

კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის
მიმოხილვა

№1, 2021

CLASSICAL AND CONTEMPORARY
RHETORIC REVIEW



ა(ა)იპ – კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი

კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველი

სამეცნიერო ჟურნალი

1

თბილისი

2021

მთავარი რედაქტორი

დოქტ. ნათია კენჭიაშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ჯოზეფ ზომპეტი (პროფ., დოქტ.)

თინათინ ბოლქვაძე (ასოც. პროფ., დოქტ.)

გიორგი ამირანაშვილი (ასოც. პროფ., დოქტ.)

მთავარი რედაქტორის ასისტენტი

ნინო თელიაშვილი (სტუდენტი)

სარედაქციო კოლეგია:

ქართული ტექსტების რედაქტორი

ნინო ნოზაძე

ქართული ტექსტების კორექტორი

თათია ცეცხლაძე

ინგლისური ტექსტების რედაქტორი

ნინო თელიაშვილი

ინგლისური ტექსტების კორექტორი

ქეთევან იმედაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

თამარ სტეფანაძე

კონსულტანტი

გურამ ლეგაშვილი

Editor-in-Chief

Dr. Natia Kentchiashvili

Scientific Council:

Joseph P. Zompetti (Prof. Dr.)

Tinatin Bolkvadze (Assoc. Prof., Dr.)

Giorgi Amiranashvili (Assoc. Prof. Dr.)

Assistant to the Editor-in-Chief

Nino Teliashvili (B.A. Student)

Editorial Board:

Georgian Text Editor

Nino Nozadze

Georgian Text Proofreader

Tatia Tsetskhladze

English Text Editor

Nino Teliashvili

English Text Proofreader

Ketevan Imedashvili

Technical Editor

Tamar Stepnadze

Consultant

Guram Legashvili

**NNLE – CENTER FOR CLASSICAL AND CONTEMPORARY RHETORIC
RESEARCH**

**CLASSICAL AND CONTEMPORARY
RHETORIC REVIEW**

SCIENTIFIC JOURNAL

1

TBILISI

2021

უკ (UDC) 808.5
კ-584

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანიში“, 2021
Printed in “Meridiani” Publishers, 2021

© 2021. საავტორო უფლებები დაცულია.
© 2021. All Rights Reserved.

ელფოსტა / Email – contact.cccrr@gmail.com

ISSN 2720-829X

სარჩევი

ცენტრის შესახებ..... 9
მთავარი რედაქტორის მიმართვა..... 11
სტატია..... 13

I. ქართული ორატორული ნიმუშები უცხოური საისტორიო ნაწარმოებებიდან

სიტყვა, თქმული ლაზი ელჩების მიერ სპარსეთის მეფის ხოსრო I-ის წინაშე 45
სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მიერ ლაზი მხედრების მიმართ, მოხირისთან ბრძოლის წინ, 549 წელს 50
სიტყვა, თქმული აიეტის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს 54
სიტყვა, თქმული ფარტაზის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს 63
საბრალდებო სიტყვა, თქმული კოლხთა წარმომადგენლის მიერ გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე, 556 წელს..... 74
დაცვითი სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელობაში ბრალდებულის რუსტიკეს მიერ მისივე გასამართლებაზე, 556 წელს.... 83
სიტყვა, თქმული დავით IV აღმაშენებლის მიერ მხედრობის მიმართ დიდგორის ბრძოლის წინ, 1121 წელს..... 92

II. ქართული ორატორული ნიმუშები ადგილობრივი საისტორიო ნაწარმოებებიდან

სიტყვა, თქმული მირიან II-ის მიერ ქართლის ერისთავების წინაშე..... 99
სიტყვა, თქმული ვახტანგ I გორგასლის მიერ ქართლის წარჩინებულთა წინაშე..... 103
სიტყვა, თქმული ჯუანშერ სპასპეტის მიერ მეფისა და ქართლის წარჩინებულთა წინაშე 107

სიტყვა, თქმული გიორგი III-ის მხედრობის მიმართ ქალაქ ანისისათვის ბრძოლის წინ, 1161 წელს..... 111
სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ..... 115
სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ, 1195 წლის 1 ივნისს..... 119
სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა წინაშე 123
სიტყვა, თქმული ბასილი ეზოსმოდვრის მიერ თამარის გარდაცვალების შემდეგ..... 127
სიტყვა, თქმული გიორგი IV ლაშას მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა წინაშე, 1223 წელს..... 135
სიტყვა, თქმული დემეტრე II თავდადებულის მიერ დარბაზში სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე..... 139
სიტყვა, თქმული ბექა I ჯაყელის მიერ ერისმთავართა დამხედრობის მიმართ თურქების წინააღმდეგ ლაშქრობის წინ, 1303 წელს143
სიტყვა, თქმული თეოდორე კათალიკოსის მიერ მხედრობის მიმართ ლორის ციხისათვის ბრძოლის წინ, 1431 წელს.....147
სიტყვა, თქმული მზექაბუჯ ორბელიანის მიერ დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე, 1792 წელს150
სიტყვა, თქმული პატრი ნიკოლა რუტილიანოს მიერ გიორგი XII-ისა და დარბაზის ერის წინაშე..... 153

III. ქართული ორატორული ნიმუში კანონიკური სამართლის მეგლიდან

შესხმა, თქმული მონაზონი არსენის მიერ კეთილად მსახურისა და ღვთივდაცულისა მეუფისა ჩუენისა დავითისი 159

**IV. ქართული ორატორული ნიმუშები
აგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან**

ქებად წმიდისა მოწამისა ჰაბომისი..... 165

სწავლა, თქმული იოვანე ზედაძნელის მიერ
მოწაფეთა მიმართ 170

სიტყვა, თქმული გრიგოლ ხანძთელის მიერ
ველმწიფეთა, მთავართა, აღმზრდელთა და
ერისა მიმართ..... 173

შესხმა, თქმული სტეფანე მტბევარის მიერ
გობრონის მიმართ..... 176

სწავლა, თქმული იოვანეს მიერ მონასტრის
ძმათა მიმართ, 1005 წლის 19 ივნისს 179

სიტყვა, თქმული გიორგი მცირის მიერ
გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო
.....182

**V. ქართული ორატორული ნიმუშები
მხატვრული ნაწარმოებიდან**

ქადაგება, თქმული ომარ-ხანის შემოჭრის
თაობაზე..... 189

შესხმა, თქმული ერეკლე II-ისადმი.....196

**VI. ქართული ორატორული ნიმუში
ისტორიული პოემიდან**

სიტყვა, თქმული თორნიკე ერისთავის მიერ
დარბაზის წინაშე..... 203

**VII. ქართული ორატორული ნიმუშები
ისტორიული რომანიდან**

პირველი საბრალდებო სიტყვა, თქმული
ბრალმდებლის მიერ მაცი ხვიტიას საქმეზე.....
.....211

დაცვითი სიტყვა, თქმული მარსელელი
ადვოკატის მიერ მაცი ხვიტიას საქმეზე.....
.....211

დასკვნითი საბრალდებო სიტყვა, თქმული
ბრალმდებლის მიერ მაცი ხვიტიას საქმეზე.....
.....211

**VIII. ქართული ორატორული ნიმუში
მემუარული ნაწარმოებიდან**

სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ რუსი
მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ.....227

TABLE OF CONTENTS

ABOUT THE CENTER	10	The Speech by Queen Tamar before the Shamkori War in front of the Army on June 1, 1195.....	120
EDITOR-IN-CHIEF ADDRESS	12	The Speech by Queen Tamar in Front of all the Nobles of the Kingdom.....	124
ARTICLE	13	The Speech by Basili Ezosmodzghvari After the Death of Tamar	128
I. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE FOREIGN HISTORICAL WORKS			
The Speech by Lazi Envoys in Front of the King Khosrow I of Persia.....	46	The Speech by Giorgi IV Lasha in Front of all the Nobles of the Kingdom in 1223	136
The Speech by King Gubazes to Lazi Horsemen Before the Battle at Mokhiri in 549.....	51	The Speech by Demetre II Devoted in Front of the Royal Court in the Hall	140
The Speech by Aiet at the People’s Assembly Because of the Political Situation of Colchis in 554.....	55	The Speech by Beka I Jakeli in Front of the Military Campaign Against the Turks in 1303	144
The Speech by Phartazes at the People’s Assembly Because of the Political Situation of Colchis in 554.....	64	The Speech by Catholicos Theodore in Front of the Army Before the Battle for the Lori Castle in 1431.....	148
The Indictment Speech by a Colchian Representative on the Trial of the Murderers of King Gubazes in 556.....	75	The Speech by Mzetchabul Orbeliani About the Unification of Georgia at the Hall in 1792	151
The Defensive Speech by Rustice Accused of Murdering King Gubaz at his own Trial in 556.....	84	The Speech by Patri Nicola Rutigliano in Front of the Giorgi XII and the Hall	154
The Speech by David IV the Restorer before the war of Didgori in front of the Army in 1121	93	III. GEORGIAN ORATORY SAMPLE FROM THE MONUMENT OF THE CANON LAW	
II. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE LOCAL HISTORICAL WORKS			
The Speech by Mirian II in front of the Nobles of Kartli.....	100	The Praise by the Monk Arsen, to the Good Servant and God Protected Reverend of David.....	160
The Speech by Vakhtang I Gorgasali in Front of the Nobles of Kartli.....	104	IV. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE HAGIOGRAPHY	
The Speech by Juansher Spaspet in Front of the King and the Nobles of Kartli.....	108	The Praise of the Holy Martyr Habos.....	166
The Speech by George III Before the Battle for the City of Anisi in front of the Army in 1161	112	The Study by Ioane Zedadzneli to the Disciples...171	
The Speech by Queen Tamar to the Supreme Ministers of the Church in the Hall	116	The Speech by Grigol Khandzteli to Sovereigns, Chiefs, Educators and the Nation	174
		The Praise by Stephane Mtbevari to the Gobron	177
		The Study by Ioane to Brothers of the Monastery on June 19, 1005.....	180
		The Speech by Giorgi Mtsire Because of the Death	

of Giorgi Mtatsmideli 183

V. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE NOVEL

The Sermon on the Invasion of Omar-Khan... 190

The Praise to Erekle II..... 197

VI. GEORGIAN ORATORY SAMPLE FROM THE HISTORICAL POEM

The Speech by Tornike Eristavi in Front of the Hall..... 204

VII. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE HISTORICAL NOVEL

The First Indictment Speech by the Prosecutor in the Case of Matsi Khvitia 212

The Defense Speech by the Lawyer from Marseilles in the Case of Matsi Khvitia 212

The Last Indictment Speech of the Prosecutor in the Case of Matsi Khvitia 212

VIII. GEORGIAN ORATORY SAMPLE FROM THE MEMOIR WORK..... 228

The Speech by Utu Mikava to the Russian officer N. Kolubyakin 228

ცენტრის შესახებ

კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნდა 2021 წლის 12 იანვარს.

ცენტრის მიზანია რიტორიკის სფეროსთან დაკავშირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მათ შორის: პროექტების, კონფერენციების, მრავალი მაგიდების, სტუდენტური ფორუმებისა და სემინარების, ლექციებისა და ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება; კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის სფეროში ჩართულ და მოღვაწე სუბიექტებთან თანამშრომლობა; ცენტრის მიზნების განსახორციელებლად, საზღვარგარეთის შესაბამის სპეციალისტებსა და დაწესებულებებთან თანამშრომლობა; სტუდენტებს, მეცნიერებსა და პროფესიონალებს შორის დიალოგისა და სხვა აქტივობების ინიცირება და წახალისება; რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სფეროში საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელება და ა.შ.

ცენტრის პერსონალი მოიცავს: ხელმძღვანელობას, დამფუძნებელ წევრებს, საპატიო წევრებს, წევრებს და ასოცირებულ წევრებს (ეს დამოკიდებულია თითოეული პირის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე). ჩვენი ცენტრის წევრობის მსურველებს არ ექნებათ რაიმე კონკრეტული პასუხისმგებლობა და მოვალეობები. ჩვენ ველით მათგან მხოლოდ გამოცდილების გაზიარებას, დაგეგმილ კვლევით პროექტებსა და ცენტრის სხვა ღონისძიებებსა თუ საქმიანობაში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართვას.

ამჟამად, ჩვენი ცენტრის გუნდი მოიცავს დამფუძნებელ წევრებს, მათ შორის, ცენტრის დამფუძნებელი წევრი და დირექტორია დოქტ. ნათია კენჭიაშვილი, თანადამფუძნებელი წევრი გახლავთ ასოც.-პროფ., დოქტ. გიორგი ამირანაშვილი, ხოლო საპატიო წევრია პროფ. ჯოზეფ ფ. ზომპეტი.

დოქტ. ნათია კენჭიაშვილის კვლევითი და აკადემიური საქმიანობა ძირითადად უკავშირდება რიტორიკას. სწავლების სამივე საფეხურზე მისი საკვალიფიკაციო ნაშრომები ეხებოდა რიტორიკის თეორიასა და პრაქტიკას. წლების განმავლობაში მისი საკვლევო ტექსტების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და დღესდღეობით, მოიცავს 1000-ზე მეტ ქართულენოვან, თუ თარგმნილ ორატორულ ნიმუშს, რომელთა საერთო მოცულობაც მილიონ სიტყვას აღწევს.

ცენტრის საქმიანობის ფარგლებში, 2021 წლის იანვარში გადაწყდა წინამდებარე სამეცნიერო ჟურნალის „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმომხილველის“ დაფუძნება. ჟურნალი საყურადღებოა იმით, რომ მასში გამოქვეყნდება სხვადასხვა დროის ცნობილი თუ უცნობი ორატორული ნიმუშები. გამოცემა ხელს შეუწყობს ორატორული ნიმუშების გაციფრების საქმეს და ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის ტექსტური კოლექციის შევსებასა და მისი მოცულობის გაზრდას.

ცენტრის დირექტორი გამოთქვამს იმედს, რომ ამ და სხვა არაერთი კვლევითი აქტივობით შესაძლებელი იქნება სამეცნიერო კვლევების წახალისება და აღნიშნულ საქმიანობებში დაინტერესებული პირების ჩართვა.

ველით თქვენთან თანამშრომლობას!

ცენტრის დამფუძნებელთა სახელითა და პატივისცემით,
ფილოლოგიის დოქტორი, ნათია კენჭიაშვილი
თბილისი, 2021 წლის იანვარი

ABOUT THE CENTER

The Center for Classical and Contemporary Rhetoric Research (CCCRR) is a non-entrepreneurial (non-commercial) legal entity established on 12th January, 2021.

The goals of the center include to conduct educational and research activities related to the field of rhetoric: planning and implementation of projects, conferences, round tables, student forums and seminars, lectures and trainings; To collaborate with persons / organizations, that work in the field of classical and contemporary rhetoric; To cooperate with relevant experts and institutions abroad in order to achieve the goals of the center; To initiate and encourage dialogue and other activities between students, scholars and professionals; To implement consulting activities in the field of rhetoric theory and practice, etc.

The center staff will include: the leaders, the founding members, the honorary members, the ordinary members, and the associate members (depending on someone's qualification and experience). Our members will not have any specific responsibilities and duties. We foresee and expect from them just to share their experiences within competence at scheduled research projects and other events or activities of the center.

Currently our center team includes the founding members: the center founding member & director Dr. Natia Kentchiashvili, co-founding member Assoc. Prof. Dr. Giorgi Amiranashvili and Honorary Member Prof. Joseph P. Zampetti.

Dr. Natia Kentchiashvili's academic and research activities are mainly related to rhetoric. At all three levels of education, her theses dealt with rhetorical theory and practice. Over the years, the size of her research texts has increased dramatically and today, it includes more than 1000 Georgian-language or translated oratory samples with a total volume of up to a million words.

In addition to this project, it is planned to launch a journal "Classical and Contemporary Rhetoric Review", where will be published not only famous but also unknown rhetorical samples of different times. The journal will contribute to digitize the rhetoric samples and complete the text collection of the Georgian Rhetoric Corpus and increase its volume.

The director of the center hopes that with the above mentioned and many other research activities will make it possible to encourage scientific research and involve interested people in these activities.

We are looking forward to collaborating with you!

On behalf of the founding members of the center and yours respectfully,

Doctor in Philology, Natia Kentchiashvili

Tbilisi, January 2021

მთავარი რედაქტორის მიმართვა

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, წარმოგიდგინოთ ა(ა)იპ – კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრის პერიოდული გამოცემის – „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმომხილველის“ პირველი ნომერი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცენტრის დაფუძნებიდან ჯერ ერთი წელიც არაა გასული, მისი ეგიდით უკვე არაერთი აქტივობა გვაქვს დაგეგმილი სამომავლოდ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობას. უნდა ითქვას, რომ ჟურნალის პირველი გამოცემა ჩვენი ცენტრის გეგმების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება და სტრატეგიული ნაწილია.

ჟურნალის გამოცემის იდეა გაჩნდა 2021 წლის იანვარში და დაიბეჭდება წელიწადში ერთხელ. ჟურნალში წარმოდგენილი იქნება როგორც საკუთრივ ორიგინალური ქართული, ისე ამა თუ იმ ქვეყნის რიტორიკული მემკვიდრეობის ამსახველი თვალსაჩინო ორატორული ნიმუშების თარგმანები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ კულტურული, ისტორიული და მხატვრული ღირებულება და მკითხველზე / მსმენელზე ზეგავლენისა და შთაბეჭდილების მოხდენის უნარი. აღნიშნული წამოწყებით გვსურს პოპულარიზება გავუწიოთ ორატორული ხელოვნების ნიმუშების ცნობადობას მკითხველთა ფართო მასებში. სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაიბადა ჟურნალის დაფუძნების იდეა.

რაც შეეხება წინამდებარე ნომერსა და მის შინაარსობრივ მხარეს, მასში წარმოდგენილია ორატორული ნიმუშების ტექსტები, მოკლე მიმომხილველით, ლექსიკონით, შენიშვნებითა და განმარტებებით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალის ფურცლებზე აგრეთვე შეხვდებით არა მხოლოდ ქართულენოვან, არამედ თარგმნილ ორატორულ ნიმუშებს. აღნიშნული ტიპის მასალა უმეტესად სწორედ ხელმეორედ ქვეყნდება წინამდებარე ჟურნალში, რაც მის ღირსებას კიდევ უფრო ზრდის.

ჟურნალის მომზადების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულნი: ნინო თელიაშვილი, ნინო ნოზაძე, თათია ცეცხლაძე, ქეთევან იმედაშვილი, გურამ ლეგაშვილი და სხვ. დიდ მადლობას მოვახსენებთ მათ ჩემი და ცენტრის სახელით მათი მხრიდან გამოჩენილი დაინტერესებისა და გულმოდგინებისთვის და მომავალში ვუსურვებთ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

იმედი გვაქვს, დავაკმაყოფილებთ მკითხველთა ინტერესს და მივცეთ მათ შესაძლებლობას, ჟურნალის მეშვეობით გაეცნონ ცნობილ, თუ უცნობ ორატორულ ნიმუშებს. ვიმედოვნებთ, რომ ყველანი ერთად თავს გავართმევთ ამ მნიშვნელოვან გამოწვევას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი გამოწვევაა მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგომა და ვგრძნობთ, ამ პასუხისმგებლობას. დასასრულ, ისღა დაგვრჩენია, სასიამოვნო კითხვა ვუსურვოთ მათ, ვინც გაეცნობა ჟურნალს, ჩვენ კი გავაგრძელებთ მუშაობას ცენტრის ამ გამოცემის შემდეგ ნომრებზე და სიამოვნებით მივიღებთ ყველა იმ ობიექტურ მოსაზრებასა თუ საქმიან წინადადებას, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალის შემდგომ გამოცემათა დახვეწასა და განვითარებას. ჟურნალი სიამოვნებით მიიღებს რიტორიკის ამა თუ იმ დარგისა თუ ჟანრის, როგორც ორიგინალურ ქართულ, ისე თარგმნილ ორატორულ ნიმუშს მომდევნო ნომრებში გამოსაქვეყნებლად.

ჟურნალის გამომცემელთა სახელითა და პატივისცემით,
ფილოლოგიის დოქტორი, ნათია კენჭიაშვილი
თბილისი, 2021 წლის იანვარი

EDITOR-IN-CHIEF ADDRESS

Dear reader,

We are pleased to present the first issue of the “Classical and Contemporary Rhetoric Review”, published by the Center for Classical and Contemporary Rhetoric Research.

Although less than a year has passed since the establishment of our center, we have set a number of activities for the future, both short-term and long-term, which include activities not only locally but also internationally. It should be mentioned that the first edition of the journal is also one of the clear expressions and strategic parts of our center’s plans.

The journal has been launched on January 2021 and will be published once a year. The journal will present not only original Georgian, but also translations of conspicuous oratorical samples reflecting the rhetorical heritage of different countries, which still do not lose their cultural, historical and artistic value and the ability to impress and influence the reader / listener. With this initiative, we want to popularize rhetoric among a wide mass of readers. With the above in mind, the idea of establishing a journal was born.

While talking the issue above mentioned and its content, in which you will see the text of numerous oratorical samples with brief reviews, dictionaries, notes and explanations in Georgian and English. On the pages of the journal you will find not only Georgian, but also translated oratorical samples. This type of material is mostly republished in this journal, which further increases its dignity.

Nino Teliashvili, Nino Nozadze, Tatia Tsetskhladze, Ketevan Imedashvili, Guram Legashvili and others were actively involved in the preparation of the journal. We thank them on behalf of me and the CCCRR for their outstanding interest and diligence and wish them success in their professional endeavors in the future.

We hope that we will satisfy the interest of readers and give them the opportunity to get acquainted with the famous or unknown oratorical samples through the journal. We hope that together we will deal with this important challenge.

It should also be noted that it is a great challenge to present ourselves to a wide audience of readers and we feel this responsibility. In the end, we wish the reader a pleasant reading, and we will continue working on the following issues of the journal and will gladly accept all the objective opinions or business proposals that will help further editions of the series to be refined and developed.

On behalf of the journal publishers and yours respectfully,
Doctor in Philology, Natia Kentchiashvili
Tbilisi, January 2021

ქართული ორატორული ნიმუშები ნაწარმოებებიდან

(ზოგადი მიმოხილვა)

ქართული მჭევრმეტყველება მდიდარია ორატორული ნიმუშებით, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულია როგორც დამოუკიდებელი, ისე ჩანართის სახით სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოებში. წინამდებარე ჟურნალში წარმოგიდგენთ სწორედ ამ უკანასკნელი სახის ორატორულ ნიმუშებს. აღნიშნული ტექსტები, თავის მხრივ, დაცულია როგორც ქართულენოვან, ისე უცხოენოვან წერილობით წყაროებში. ორატორული ნიმუშების მოძიებისას სასარგებლო მასალებს შეიცავდა სხვადასხვა ტიპის წყარო, მათ შორის, ხელნაწერები, აკადემიური გამოცემები, პერიოდიკა და სხვ. ამა თუ იმ წყაროს შესწავლამ ამ თვალსაზრისით საშუალება მოგვცა კიდევ ერთხელ მივზრუნვოდით სხვადასხვა ნაწარმოებში დაცულ იმ ორატორულ ნიმუშებს, რომლებიც უკვე გამოვლენილია, ასევე ყურადღება მიგვექცია იმ ნიმუშებისთვისაც, რომლებიც აქამდე არ ყოფილა საგანგებო შესწავლის საგანი და არც ცალკე არ დაბეჭდილა, როგორც ორატორული ნიმუში. შედეგად, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ჟანრისა და პერიოდის ნაწარმოებების დახარისხება თემატურ ჯგუფებად, რომლებიც წარმოდგენილია რუბრიკების სახით, მათ შორის: ქართული ორატორული ნიმუშები უცხოური საისტორიო ნაწარმოებებიდან, ქართული ორატორული ნიმუშები ადგილობრივი საისტორიო ნაწარმოებებიდან, ქართული ორატორული ნიმუში კანონიკური სამართლის ძეგლიდან, ქართული ორატორული ნიმუშები აგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან, ქართული ორატორული ნიმუშები მხატვრული ნაწარმოებებიდან, ქართული ორატორული ნიმუში ისტორიული პოეზიიდან, ქართული ორატორული ნიმუშები ისტორიული რომანიდან და ქართული ორატორული ნიმუში მემუარული ნაწარმოებებიდან. ჟურნალში ორატორული ნიმუშები მოყვანილია ქრონოლოგიურად, მათი შექმნის თარიღების გათვალისწინებით და წარმოდგენილია შესაბამის თემატურ რუბრიკებად.

1. საკითხის შესწავლის ისტორია

ქართული მჭევრმეტყველების შესწავლის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც გამოიკვლია სხვადასხვა ჟანრისა თუ პერიოდის ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები მათში დაცული ორატორული ნიმუშების გამოვლენა-გამოცემის მიზნით, გახლდათ ნ. კანდელაკი. მის ნაშრომებში სხვა საყურადღებო საკითხებთან ერთად, არც თუ ისე უმნიშვნელო ადგილი უკავია ამა თუ იმ ნაწარმოებში დაცული ორატორული ნიმუშების გამოვლენის საკითხსა და მათ გამოცემას კრებულებში. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ მიკვლეული ნიმუშების გარდა, აღნიშნული პირველწყაროები კიდევ არაერთ ორატორულ ნიმუშს შეიცავს. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, საჭიროდ ჩავთვალეთ სრულად მოგვეყვანა ასეთი ტიპის მასალა და წარმოგვედგინა მათი მოკლე მიმოხილვები. შესაბამისად, კვლევისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი საკითხები: მეტ-ნაკლები სისრულით გამოგვევლინა ქართული ორატორული ნიმუშები სხვადასხვა ჟანრისა და პერიოდის ნაწარმოებებში (მაგ. ისტორიულ, აგიოგრაფიულ, მხატვრულ და სხვ. სახის ნაწარმოებებში), დაგვედგინა თითოეული ორატორული ნიმუშის ავტორი¹ (მაგ., მეფე, დედოფალი, საერო პირი, სასულიერო პირი...), სათაური², წარმოთქმის ადგილი (მაგ.,

¹ შენიშვ. ავტორში იგულისხმება ორატორული ნიმუშის წარმომთქმელი, ან სხვაგვარად, ორატორი.

² შენიშვ. დამოუკიდებელი სახით წარმოდგენილი ორატორული ნიმუშების შემთხვევაში, საქმე შედარებით მარტივადაა, რადგან სათაური, როგორც წესი, მეტ-ნაკლები სისრულით წარმოდგენილია, ზოგჯერ მოეპოვება ქვესათაურებიც; ხოლო, რაც შეეხება სხვადასხვა ნაწარმოებში ჩანართის სახით დაცულ ორატორულ ნიმუშებს, მათი სათაურები ცალკე გამოყოფილი არაა, რადგან მთლიანი თხზულების ორგანული შემადგენელი ნაწილია, თუმცა ჟურნალში მოყვანისას, წარმოდგენილი გვაქვს მათი პირობითი სათაურები კვადრატულ ფრჩხილებში, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული სათაური არ ერთვოდა ორიგინალ ტექსტს და შექმნილია ჩვენ მიერ

დარბაზი, სასამართლო, ბრძოლის ადგილი...), წარმოთქმის დრო (წელი, თვე და რიცხვი), აღგვეწერა აღნიშნული წყაროსა და უშუალოდ ორატორული ნიმუშის ბეჭდური გამოცემები (პირველი ბეჭდური გამოცემა, შემდგომი ბეჭდური გამოცემა და მოგვეყვანა ბიბლიოგრაფიული მონაცემები), თითოეული ნიმუშისთვის დაგვედგინა დარგობრივი და ჟანრობრივი კუთვნილება, ნ. კანდელაკის კლასიფიკაციის გათვალისწინებით და ა.შ.

2. ქართული ორატორული ნიმუშების ამსახველი ძირითადი უცხოენოვანი და ქართულენოვანი წყაროების მიმოხილვა

პირველი ქართული ორატორული ნიმუშები შემონახულია ჩანართების სახით უცხოურ წერილობით წყაროებში, მათ შორის, რომაულ და ბიზანტიურ საისტორიო ნაწარმოებებში. ამდენად, ქართული მჭევრმეტყველების ადრეული ნიმუშების ამსახველი მასალის მოყვანა წარმოუდგენელი იქნებოდა მათი გათვალისწინების გარეშე.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისთვის პირველ ცნობებს ვხვდებით რომაულ (ლათინურენოვან) წერილობით წყაროებში, კერძოდ კი, I ს.-ის რომაელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტუსის ანალებში. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის შესწავლის კუთხით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბიზანტიურ (ბერძნულენოვან) წერილობით წყაროებსაც, კერძოდ, VI საუკუნის ორ ბიზანტიელ ისტორიკოსს – პროკოპი კესარიელსა და აგათია სქოლასტიკოსს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იჩენენ გარკვეულ ტენდენციურობას ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებისას, მთლიანობაში, მათ მიერ მოწოდებული ცნობები, ძირითადად, რეალურად ასახავენ ისტორიულ სინამდვილეს, ხოლო რაც შეეხება მათთან დაცულ ორატორულ ნიმუშებს, ისინი ტოვებს ზუსტად ჩაწერილი სიტყვების შთაბეჭდილებას. პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ისტორიულ წყაროებში დაცული ორატორული ნიმუშების ქართული თარგმანების მოყვანისას დავყვარდებით ს. ყაუხჩიშვილის მიერ მომზადებული „გეორგიკის“ მრავალტომეულის მე-2³ და მე-3 ტომებს⁴, ასევე წარმოგიდგინთ აიეტისა და ფარტაზის სიტყვათა უფრო ადრეულ ქართულენოვან თარგმანებსაც, რომელიც ეკუთვნის გრ. ყიფშიძეს⁵. გარდა ამისა, მოგვყავს ყველა უცხოენოვანი (ბერძნულენოვანი) ორატორული ნიმუშის ინგლისური თარგმანებიც, რომელიც ეკუთვნით ჰ. ბ. დიუნინგს⁶ და ჯ. დ. ფრენდოს⁷.

ქართული ორატორული ნიმუშები გაცილებით უხვადაა მიმოვანტული სხვადასხვა პერიოდის ადგილობრივ წყაროებში, მათ შორის, სასულიერო თუ საერო მწერლობის ისეთ დარგებში, როგორცაა ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა, ისტორიოგრაფია, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.

ძველი ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის საკუთრივ ქართულენოვანი წყაროებიდან უპირველესია „ქართლის ცხოვრება“⁸ და კერძოდ, მისი სხვადასხვა ნაწილი: ლეონტი მროველის

ორატორული ნიმუშების სათაურების შედგენის ზოგადი სტილის გათვალისწინებით. ერთადერთი გამონაკლისი, ესაა იოანე საბანისძის აგიოგრაფიულ თხზულებაში დაცული ორატორული ნიმუში, რომელიც ცალკე, მეოთხე ქვეთავის სახითაა წარმოდგენილი და აქვს თავისი სახელწოდებაც, კერძოდ, „ქება წმიდისა მოწამისა ჰაზოისი“.

³ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 16-195.

⁴ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 23-187.

⁵ არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 266-278.

⁶ Procopius with an English translation by H. B. Dewing, in six volumes, History of the Wars, Vol. I, Books I-II, Loeb Classical Library, London William Heinemann, 1914.

⁷ Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975.

⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955; ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერ ჯუანშერიანის „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოდვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერლის „მონღოლთა დროინდელ ისტორია“. პირველი ქართულენოვანი ორატორული ნიმუშები აღნიშნული საისტორიო თხზულებების განუყოფელი ნაწილია. აქ დაცულია ქართველ მეფეთა, სხვადასხვა საერო და სასულიერო პირთა საჯარო გამოსვლების ამსახველი მასალა. „ქართლის ცხოვრების“ გარდა, ასევე საყურადღებოა პლატონ იოსელიანის მატთანე „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“⁹.

ქართულ სასულიერო მწერლობაში ქადაგებათა პირველ ნიმუშებს ვხვდებით, ძირითადად, არა დამოუკიდებელი სახით, არამედ როგორც აგიოგრაფიული ნაწარმოებების შემადგენელი ნაწილი. ამ მხრივ, უნდა დავასახელოთ „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთა. რომელთა განანათლეს ქუეყანა ესე ჩრდილოეთისა და ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოზმან სარგებელად, რომელნი ისმენდენ“¹⁰, რომელშიც დაცულია სწავლის ჟანრის ორატორული ნიმუში; შემდეგი აგიოგრაფიული თხზულებაა იოანე საბანისძის „წამება ჰაზოძისი“¹¹, რომლის მეოთხე თავი „ქება წმიდისა მოწამისა ჰაზოძისი“ არის ორატორული ნიმუში და, ამავე დროს, ნაწარმოების განუყოფელი ნაწილი; შემდეგი თხზულებაა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“¹², რომელშიც უხვად მოიპოვება ჰომილეტიკური ლიტერატურის ნიმუშები, კერძოდ, ქადაგების, სწავლისა თუ შესხმის ჟანრის ჩანართები; სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ნიმუშს ვხვდებით უცნობი ავტორის „კონსტანტი კახის მარტვილობაში“; სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშია დაცული სტეფანე მტბევარის „გობრონის წამებაში“¹³; გიორგი მთაწმიდელის „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“¹⁴ შეიცავს სწავლის ჟანრის სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშს; გიორგი მცირის „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“¹⁵ შეიცავს თავად ავტორის მიერ წარმოთქმულ სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ნიმუშს ჩანართის სახით.

ორატორული ნიმუში მოგვეპოვება ქართული კანონიკური სამართლის ძეგლ „ძეგლისწერაში“; ასევე ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მიჯნაზე იოანე ბატონიშვილის მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში „კალმასობაში“¹⁶ ვხვდებით ორ ორატორულ ნიმუშს. გარდა ამისა, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“¹⁷ შეიცავს ლექსად თქმულ ორატორულ ნიმუშს, რომელიც მთლიანად ავტორის მხატვრული შემოქმედების ნაყოფია. ანტონ ფურცელაძის ისტორიულ რომანში „მაცი ხვიტია“¹⁸ გვაქვს სამოსამართლო მჭევრმეტყველების სამი ორატორული ნიმუში. ამ შემთხვევაშიც, სამივე სიტყვა ავტორის მიერაა შეთხზული, თუმცა საფუძვლად უდევს რეალური საქმის მასალები. დაბოლოს, კორნელი ბოროზდინის მემუარულ ნაწარმოებში „სამეგრელო და სვანეთი“¹⁹ მოთავსებულია პოლიტიკური მჭევრმეტყველების ორი ორატორული ნიმუში.

ამგვარად, წინამდებარე ჟურნალი თავს უყრის ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისთვის ცნობილ თუ უცნობ ორატორულ ნიმუშებს, რომლებსაც შეიცავს როგორც უცხოური, ისე ქართულენოვანი ნაწარმოებები.

⁹ იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელისა შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936.

¹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

¹⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, მეცნიერება, 1967, გვ. 58-59.

¹⁵ იქვე.

¹⁶ ბატონიშვილი, ი., კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, სახელგამი, 1936.

¹⁷ წერეთელი, აკ., რჩეული ნაწარმოებების ხუთტომეული, ტ. II, პოემები, დრამატული ნაწერები ლექსად, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1989.

¹⁸ ჟურნალი „მნათობი“, ივნისი და ივლისი, 1872, №6-7, გვ. 37-62.

¹⁹ ბოროზდინი, კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: მოგონებანი, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ, ტფილისი, სახელგამი, ცეკავშირის სტამბა, 1934.

2.1. უცხოენოვანი ორატორული ნიმუშები საისტორიო ნაწარმოებებიდან

ანტიკური ხანის საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული მწიგნობის პირობებში მჭევრმეტყველების მრავალი ძეგლი განადგურდა და დაიკარგა. თუმცა, საბედნიეროდ, მოგვეპოვება უცხოური წყაროები, რომელთა წყალობითაც არაერთი ორატორული ნიმუში შემოგვინახა ისტორიამ.

უცხოური წყაროებიდან ერთ-ერთ პირველ წყაროდ უნდა დავასახელოთ, I ს.-ის რომაელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტუსის ანალები („მატიანე“). „ანალები“ მოიცავდა წინარე ხანას – ოქტავიანუს ავგუსტუსის გარდაცვალებიდან (14 წ. ახ. წ.) 69 წლამდე – ნერონის სიკვდილამდე და მეორე სახელად ერქვა „ღვთაებრივი ავგუსტუსის გარდაცვალების შემდგომი (ისტორია)“ („Ab excessu divi Augusti“). ტაციტუსმა ალბათ ტიტუს ლივიუსის წაბადვით (ლივიუსის ისტორიას ჰქვია – „Ab urbe condita libri“ – „ქალაქის [ე. ი. რომის] დაარსების შემდგომი [ისტორია]“) შეარქვა ეს სახელი და თანაც თითქმის იქიდან იწყებს თავის ანალებს, სადაც ლივიუსმა შეწყვიტა თხრობა²⁰. ანალებს არ მოუღწევია ჩვენამდე სრული სახით.

„ანალების“ მეექვსე წიგნის ოცდამეთოთხმეტე თავში მოთხრობილია ქართველებსა და პართელებს შორის მიმდინარე ომზე და ნახსენებია იბერთა მეფე ფარსმან პირველი (ახ. წ. I ს., 30-60-იანი წწ.), რომელსაც ბრძოლის წინ სიტყვა წარმოუთქვამს მხედრობის მიმართ. ისტორიკოსი შემდეგანირად გადმოგვცემს სიტყვის წარმოთქმის წინარეგარემოებებსა და შემდეგ მოჰყავს სიტყვის პერიფრაზი: „როდესაც მეომართა რიგები ორივე მხარეს საომრად განეწყვნენ, პართელმა²¹ ბევრი ილაპარაკა აღმოსავლეთზე ბატონობასა და არშაკიდების²² ბრწყინვალეობაზე, თანაც დაუპირისპირა ისინი მდაბიო იბერიელს²³ მისი როქის სპით. ფარსმანმა²⁴ კი უთხრა თავისიანებს: პართთა²⁵ ბატონობა არ გვიწვნევია და, რაც უფრო ვეცდებით, მით მეტ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით; ხოლო თუ [მტერს] ზურგი ვუჩვენებთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებითო. ამასთანავე თავიანთ მრისხანე საომარ წყობასა და მიდიელების²⁶ ოქროთი დაკაზმულ რაზმებზე მიუთითა: აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი საშოვარიანო.“²⁷

როგორც ალ. გამყრელიძე აღნიშნავს თავის გამოკვლევაში, ტაციტუსი თითქმის თანამედროვეა მის მიერ აღწერილი ამბებისა, ამასთანავე, როგორც დადასტურებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, იგი ეყრდნობა დიდძალ პირველწყაროებს (მაგ., სენატის სხდომათა ოქმებს, წარმოთქმულ სიტყვათა დედნებს, სახელმწიფო საბუთებს და სხვ.) და, ამავე დროს, საკმაოდ კრიტიკულადაც ეკიდება მათ²⁸. აღნიშნულ წყაროში ორატორული ნიმუში დაცულია ლათინურ ენაზე, გადმოცემულია მესამე პირში, არის პერიფრაზული ხასიათის და წარმოადგენს სამხედრო მჭევრმეტყველების ადრეულ ნიმუშს²⁹. სიტყვას ახასიათებს მოვლენის მოკლე, შემჭიდროებული აღწერა და ექსპრესიულობა. აღნიშნული რომაული ისტორიული წყარო გამოიკვლიეს ნ. კანდელაკმა³⁰ და ვ. კაჭახიძემ³¹.

²⁰ ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბილისი, მეცნიერება, 1973, გვ. 8-9.

²¹ პართელი – იგულისხმება სარდალი ოროდი, შვილი პართელთა მეფის არტავანისა.

²² არშაკიდები – პართელთა სამეფო საგვარეულო.

²³ იბერიელი – იგულისხმება ფარსმან I.

²⁴ ფარსმანი – ფარსმან I (ახ. წ. I ს.) – ქართლის (იბერიის) მეფე.

²⁵ პართთა – იგულისხმებიან პართელები – სახელგანთქმული მეომარი ხალხი ძველ აზიაში, ახლანდელი ირანის ტერიტორიაზე.

²⁶ მიდიელები – იგულისხმებიან სპარსელები.

²⁷ ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბილისი, მეცნიერება, 1973, ანალები, წიგნი VI, 34.

²⁸ იქვე, გვ. 9.

²⁹ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 27.

³⁰ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 91; კანდელაკი, ნ., ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი, ხელოვნება, 1961, გვ. 220.

³¹ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 170.

ქართული მჭევრმეტყველების შემდგომი უცხოენოვანი წყაროებიდან უნდა დავასახელოთ VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. იგი არის არაერთი მეტად საყურადღებო ნაშრომის ავტორი, რომელთა შორის იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას აღწერს მისი მეოთხე წიგნი. ამ წიგნში ბიზანტიის კეისრის იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) დროინდელი ომებია აღწერილი და იმავე პერიოდის საქართველოს ისტორიული ამბებია წარმოდგენილი. პროკოპი კესარიელთან დაცულია სულ ორი ორატორული ნიმუში: [სიტყვა, თქმული ლაზი ელჩების მიერ სპარსეთის მეფის ხოსრო I-ის წინაშე] და [სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მიერ ლაზი მხედრების მიმართ, მოხირისთან ბრძოლის წინ, 549 წელს].

პროკოპი კესარიელთან დაცული ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ლაზი ელჩების მიერ სპარსეთის მეფის ხოსრო I-ის წინაშე]³². ნ. კანდელაკის შეფასებით, „ეს სიტყვა ქრონოლოგიურად პირველი ორატორული ძეგლია, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე სრული სახით და, ჯერხნობით, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის ყველაზე ადრინდელ მთლიან ქმნილებად უნდა ჩაითვალოს“³³. სიტყვა წარმოითქვა დაახლოებით 540 წელს. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება საელჩო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე, მათ შორის, პირველად, 1890 წელს – ა. ჭყონიას მიერ³⁴, 1934 წელს – „გეორგიკაში“³⁵, 1968 წელს – ნ. კანდელაკის მიერ „ქართული მჭევრმეტყველებაში“³⁶.

პროკოპი კესარიელთან დაცული ქართული მჭევრმეტყველების მომდევნო ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მიერ ლაზი მხედრების მიმართ, მოხირისთან ბრძოლის წინ, 549 წელს]³⁷. ეს ბრძოლა უნდა მომხდარიყო 549 წელს, როცა ჯერ კიდევ დაგისთე მეთაურობდა ბიზანტიელთა ჯარს ეგრისში. იგი დარგობრივად მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე, მათ შორის, პირველად, 1890 წელს – ა. ჭყონიას მიერ³⁸, 1934 წელს – „გეორგიკაში“³⁹, 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ შედგენილ წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“⁴⁰, 1997 წელს – ვ. კაჭახიძესთან⁴¹.

ქართული მჭევრმეტყველების შემდგომი უცხოენოვანი წყაროებიდან უნდა დავასახელოთ VI საუკუნის ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ.), რომლის საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილია სულ ოთხი ორატორული ნიმუში, რომელთაგან პოლიტიკური მჭევრმეტყველების ნიმუშებია: [სიტყვა, თქმული აიეტის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს] და [სიტყვა, თქმული ფარტაზის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს] ფარულ თათბირზე, ხოლო სამოსამართლო მჭევრმეტყველების ნიმუშებია: [საბრალდებო სიტყვა,

³² გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 48-53.

³³ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 30.

³⁴ ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 349-351.

³⁵ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 48-53.

³⁶ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 590-591.

³⁷ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 117-119.

³⁸ ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 352-353.

³⁹ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 117-119.

⁴⁰ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 104.

⁴¹ კაჭახიძე, ვ. მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 171.

თქმული კოლხთა წარმომადგენლის მიერ გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლებაზე, 556 წელს] და [დაცვითი სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელობაში ბრალდებულის რუსტიკეს მიერ მისივე გასამართლებაზე, 556 წელს].

ნ. კანდელაკის შეფასებით, აიეტის, ფარტაზისა და კოლხთა წარმომადგენლის სიტყვები თავის დროზე ორატორებს წარმოუთქვამთ მშობლიურ ენაზე, რომლის საბუთადაც მეცნიერი აღნიშნავს, რომ „ამას ადასტურებს მსმენელთა ეროვნული შემადგენლობისა და კრების ადგილის დასახელება ისტორიკოსის მიერ: სიტყვები თქმულა კოლხეთში, „კავკასიის ერთ ხეობაში“, სადაც „შეყარეს დიდძალი ხალხი“, ცხადია, კოლხები. კიდევ მეტი: კოლხთა წარმომადგენლის სიტყვის მსმენელთა შორის ისტორიკოსი ასახელებს „კოლხთა ლაშქარს“. კოლხთა ფართო მასის მიერ ამ სიტყვების მოსმენა და გაგება, რაც ხაზგასმულია პირველწყაროში, გვიჩვენებს, რომ ორატორების ენა მშობლიური იყო კოლხებისთვის. ამრიგად, ეს სიტყვები ბიზანტიელ ისტორიკოსს უთარგმნია ბერძნულ ენაზე და შეუტანია თავის თხზულებაში.“⁴² ჩვენი ვარაუდით, ეს შეხედულება მცდარია, რადგან აგათია სქოლასტიკოსი თავადვე აღნიშნავს, რომ „კავკასიონის ძირში“ გაიმართა ნამდვილი რომაულ-ატიკური სასამართლო თავისი შესაბამისი წესებითა და პროცედურით, რომლის სამუშაო ენა ბერძნული უნდა ყოფილიყო და ყველა წარმოთქმული სიტყვა იწერებოდა სტენოგრაფიულად სპეციალურად მოწვეული ბერძნულენოვანი პირების მიერ. სასამართლოზე წარმოდგენილ პირთა შესახებ წყაროში ვკითხულობთ: „...იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით; იყვნენ აგრეთვე სხვა მოსამსახურეებიც, მკაცრნი და ამყენი და სასამართლოს ხლართების საუკეთესო მცოდნენი, [...] ესენი ყველანი ბიზანტიონიდან იყვნენ მთავრობის მიერ გამოგზავნილნი“⁴³. ეს მონაკვეთი ირიბად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სასამართლოს ძირითადი შემადგენლობა, მათ შორის, სასამართლოს მსაჯული, სტენოგრაფისტები, ბრალდებაში მიცემულები იყვნენ ბიზანტიის იმპერიის წარმომადგენლები და შესაბამისად, ეკუთვნოდნენ ბერძნულენოვან სამყაროს. ამას კიდევ უფრო ამყარებს ბრალდებულის რუსტიკეს სიტყვის ფრაგმენტი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „მოსამართლე რომაელი კაცია“⁴⁴. ხოლო, რაც შეეხება კოლხთა წარმომადგენლებს, რომლებიც ბრალმდებლების როლში გამოდიოდნენ, მათ შესახებ აგათია სქოლასტიკოსი აღნიშნავს, რომ „[მათ] უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა“⁴⁵, რაც ქმნიდა იმის საფუძველს, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი სიტყვა ბერძნულ ენაზე წარმოეთქვათ. გარდა ამისა, აგათია სქოლასტიკოსს მოჰყავს კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ კოლხი წარმომადგენლები, სავარაუდოდ, ბერძნულად მეტყველებდნენ: „ბრალმდებლები რომ ასეთ ბრალდებებს აყენებდნენ, კოლხთა ლაშქარს, რომელიც იქვე იყო თავმოყრილი, არც ნათქვამი სიტყვები ესმოდა კარგად და არც აზრების მნიშვნელობის გაგებაც შეეძლო; მაგრამ იმას კი ხვდებოდნენ ისინი, თუ რის შესახებ იყო თითოეული მათგანი გამოთქმული, და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნადებსაც ურთავდნენ და მათთან ერთად მიხვრა-მოხვრასაც იცვლიდნენ: ისინი იცვლიდნენ გუნებას იმისდა მიხედვით, იმედს ამჩნევდნენ ბრალმდებლებს თუ სასოწარკვეთას“⁴⁶. ეს მონაკვეთიც ადასტურებს იმ თვალსაზრისს, რომ „კოლხთა ლაშქარი“ თავის მშობლიურ ენაზე კი არ ისმენდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, არამედ ბერძნულ ენაზე.

აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილი პირველი ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული აიეტის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს]. იგი დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე, მათ შორის, პირველად, 1890 წელს – ა. ჭყონიას მიერ⁴⁷, 1898 წელს – არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილ „სიტყვიერების თეორიაში“, რომელშიც შესულია გრ. ყიფშიძის მიერ შესრულებული

⁴² კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 316.

⁴³ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 125.

⁴⁴ იქვე, გვ. 142.

⁴⁵ იქვე, გვ. 127.

⁴⁶ იქვე, გვ. 140.

⁴⁷ ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 354-358.

თარგმანი⁴⁸, 1936 წელს – „გეორგიკაში“, რომლის თარგმანიც ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁴⁹, 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ შედგენილ „ქართულ მჭევრმეტყველებაში“⁵⁰, 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილის, ვ. პაპასკირის „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“⁵¹, 2004 წელს – „ქართული დიპლომატიის ისტორიაში“⁵². წინამდებარე ჟურნალში გთავაზობთ ორატორული ნიმუშის ორივე ქართულენოვან თარგმანს უცვლელი სახით, რომელთაგან [სიტყვა, თქმული აიეტის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს] თარგმნილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ⁵³, ხოლო „სიტყვა კოლხიდელის აიეტისა ლაზთა მეფის გუბადის მოკვლის გამო, თქმული საერო კრებაზედ“ – გრ. ყიფშიძის მიერ⁵⁴.

აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილი მეორე ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ფარტაზის მიერ სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს]. იგი დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე, მათ შორის, პირველად, 1890 წელს – ა. ჭყონიას მიერ⁵⁵, 1898 წელს – არხიმანდრიტი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილ „სიტყვიერების თეორიაში“, რომელშიც შესულია გრ. ყიფშიძის მიერ შესრულებული თარგმანი⁵⁶, 1936 წელს – „გეორგიკაში“, რომლის თარგმანიც ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁵⁷, 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ შედგენილ „ქართულ მჭევრმეტყველებაში“⁵⁸, 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილის, ვ. პაპასკირის „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“⁵⁹, 2004 წელს – „ქართული დიპლომატიის ისტორიაში“⁶⁰. წინამდებარე ჟურნალში გთავაზობთ ორატორული ნიმუშის ორივე ქართულენოვან თარგმანს უცვლელი სახით, მათ შორის, [სიტყვა, თქმული ფარტაზის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს] არის ს. ყაუხჩიშვილის მიერ თარგმნილი⁶¹,

⁴⁸ არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარადისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 266-271.

⁴⁹ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 64-70.

⁵⁰ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 106-109.

⁵¹ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2000, გვ. 105-109.

⁵² ქართული დიპლომატიის ისტორია: ქრესტომატია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 52-56.

⁵³ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 64-70.

⁵⁴ არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარადისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 266-271.

⁵⁵ ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 359-365.

⁵⁶ არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარადისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 271-278.

⁵⁷ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 72-81.

⁵⁸ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 110-115.

⁵⁹ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 110-116.

⁶⁰ ქართული დიპლომატიის ისტორია: ქრესტომატია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 56-62.

⁶¹ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

ხოლო „სიტყვა კოლხიდელის ფარცატისა იმავე ლაზთა მეფის გუბადის მოკვლის გამო“ – გრ. ყიფშიძის მიერ⁶².

აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილი მესამე ორატორული ნიმუშია [საბრალდებო სიტყვა, თქმული კოლხთა წარმომადგენლის მიერ გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლებაზე, 556 წელს]. როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, საბრძოლო მოქმედებები ლაზიკაში შეწყდა 556 წლის ზამთარში და სწორედ ამის შემდეგ მოაწყო ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ ქალაქ არქეოპოლისში⁶³ გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლება. სასამართლოს სცენას ისტორიკოსი შემდეგნაირად გადმოსცემს: „რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსალოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებელნი, დარბაისელი კოლხები...“⁶⁴. სასამართლოს მსვლელობისას ჯერ ითქვა საბრალდებლო სიტყვა კოლხთა წარმომადგენლების მიერ, ხოლო შემდეგ დაცვითი სიტყვა ბრალდებულთაგან ერთ-ერთის რუსტიკეს მხრიდან. აგათია სქოლასტიკოსი კოლხი წარმომადგენლების სახელებს არ ახსენებს. მას ნათქვამი აქვს: „კოლხთა კაცები, რომელნიც ბრალმდებლებად იყვნენ დანიშნულნი, წამოდგნენ მაშინვე, როდესაც მსაჯულმა გამოუცხადა – თქვენი ბრალდებები წამოაყენეთ თუ გსურთო – და, რადგან საბრალდებო ბევრი ჰქონდათ სათქმელი, თქვეს შემდეგი...“⁶⁵ და ამას მოსდევს საბრალმდებლო სიტყვის ტექსტი. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამოსამართლო მჭევრმეტყველებას, ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრსა და საბრალდებო სიტყვის ქვეჟანრს. სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე, მათ შორის, 1936 წელს – „გეორგიკაში“⁶⁶, 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ შედგენილ „ქართულ მჭევრმეტყველებაში“⁶⁷, 1961 წელს – ვ. ჟვანიას მიერ⁶⁸, 1993 წელს – ფრაგმენტის სახით ჟურნალში „მართლმსაჯულების მაცნე“⁶⁹, 1997 წელს – ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“⁷⁰, 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილის, ვ. პაპასკირის მიერ „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“⁷¹.

აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილი მეოთხე ორატორული ნიმუშია [დაცვითი სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელობაში ბრალდებულის რუსტიკეს მიერ მისივე გასამართლებაზე, 556 წელს], რომელიც წარმოითქვა კოლხთა წარმომადგენლების საბრალდებო სიტყვის შემდეგ. სასამართლოს შესახებ ნათქვამია: „სიჩუმე რომ ჩამოვარდა, შუაში წარსდგა რუსტიკე თავის ძმასთან, იოანესთან ერთად და თქვა შემდეგი...“⁷² და ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი. ორატორული ნიმუში წინა ნიმუშის მსგავსად დარგობრივად მიეკუთვნება სამოსამართლო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრსა და დაცვითი სიტყვის ქვეჟანრს. სიტყვა

1936, გვ. 72-81.

⁶² არხიმანდრიტი კირონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 271-278.

⁶³ არქეოპოლისი // ძველი ქალაქი = ციხე-გოჯი – დღევანდელი ნოქალაქევი, ლაზეთის (ლაზიკა) სამეფოს ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი.

⁶⁴ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 127.

⁶⁵ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 129.

⁶⁶ იქვე, გვ. 129-140.

⁶⁷ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 116-121.

⁶⁸ ჟვანია, ვ., ქართველი იურისტები: ნარკვევები ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიიდან, თბილისი, ხელოვნება, 1961, გვ. 141-146.

⁶⁹ ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, 1993, №4, გვ. 23-24.

⁷⁰ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 165-166.

⁷¹ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატიკა-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 117-123.

⁷² გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 141.

გამოქვეყნდა 1936 წელს გამოცემულ „გეორგიკაში“⁷³.

გარდა ბერძნულ-ლათინური წყაროებისა, თარგმნილი ნიმუში მოგვეპოვება ფრანგულ საისტორიო წყაროშიც, კერძოდ, დავით IV აღმაშენებლის [სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ დიდგორის ბრძოლის წინ, 1121 წელს]. ორატორული ნიმუში გვხვდება ფრანგი ისტორიკოსის უოლტერ გოტიეს წიგნში „ანტიოქიის ომები“, რომელიც დაიწერა XII საუკუნის დასაწყისში და პირველად დაიბეჭდა 1611 წელს. წიგნში გადმოცემულია ანტიოქიის სამთავროს ისტორია 1119-1126 წლებში და აღწერილია ქრისტიანულ და მუსლიმურ სახელმწიფოებს შორის მომხდარი სისხლისმღვრელი ომები. უოლტერ გოტიე იყო ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ანტიოქიის სამთავროს კანცლერი⁷⁴. ტამპლიერ ჯვაროსანთა ორდენის დამფუძნებლები ჰუგო დე პეინი და გოდფრი დე სენტ ომერი ანტიოქიაში შეხვდნენ ანტიოქიის კანცლერს უოლტერ გოტიეს, რომელსაც უამბეს საქართველოში დიდგორის ველზე გამართული ბრძოლის (შემდგომში ცნობილი, როგორც „ძლევაჲ საკვირველი“) შესახებ, სადაც მეფე დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით ქართველთა ლაშქარმა ილ-ლაზის ხელმძღვანელობით თურქ-სელჩუკთა და არაბთა გაერთიანებული ჯარი დაამარცხა. მისი ცნობები დიდგორის ომის შესახებ სანდო წყაროდ ითვლება.

„ანტიოქიის ომებიდან“ ეს სიტყვა ქართულად გადმოთარგმნა და დამატების სახით გამოაქვეყნა ზ. ავალიშვილმა 1929 წელს პარიზში გამოცემულ თავის ნაშრომში „ჯვაროსანთა დროიდან“, კერძოდ, ფრანგულენოვანი წყარო ქართულ თარგმანთან ერთად ერთვის ავტორის წერილს „გარშემო ერთის ომისა“⁷⁵. გოტიე-კანცლერის „ანტიოქიის ომები“ ომი II, მუხლი XVI გვაცნობს ჯერ სიტყვის წარმოთქმის პირობებს და შემდეგ თვით სიტყვასაც⁷⁶. სიტყვის ტექსტს წინ უძღვის შემდეგი: „...ესე მეფე დავით, წმინდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი, ოთხმოცი ათასი მიდიელ⁷⁷ და ქრისტიანი მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დადგა, ორ მათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც, ხმები იყო, რომ მტერნი შეტევას უპირებდნენ; დადგა და წარმოთქვა ესრეთ...“⁷⁸. ამას მოსდევს თვითონ სიტყვა, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ დავით მეფემ მეომრებს უკან დასახევი გზა მოუჭრა, რითაც თავიდან აიცილა თავის ლაშქარში შემავალი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მხრიდან სიმხდალის გამოვლენისა და გაქცევის შესაძლებლობა. დავით აღმაშენებლის სიტყვის შემდეგ ნათქვამია: „ასეთი მეფის, ამ ჭეშმარიტის და სრულის ქრისტიანის, აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა“⁷⁹. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

დავით აღმაშენებლის სიტყვის ქართული თარგმანი შემდეგ კიდევ გამოქვეყნდა თანამედროვე გამოცემებშიც, მათ შორის, 1958 წელს – ნ. კანდელაკის „ქართულ მჭევრმეტყველებაში“⁸⁰, 1997 წელს – ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“⁸¹ და 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილისა და ვ. პაპასკირის „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“⁸².

როგორც კვლევამ აჩვენა, უცხოურ საისტორიო წყაროებში დაცული ორატორული ნიმუშები, ძირითადად, განეკუთვნება პოლიტიკურ, სამოსამართლო და სამხედრო მჭევრმეტყველების დარგებს.

⁷³ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 141-151.

⁷⁴ ბერძენიშვილი, ნ., ჯავახიშვილი, ივ., ჯანაშია, ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1948, გვ. 224.

⁷⁵ ავალიშვილი, ზ., ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 45-51.

⁷⁶ იქვე, გვ. 46.

⁷⁷ მიდიელი = სპარსი = სპარსელი – საკუთარი გეოგრაფიული სახელიდან: მიდია – ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

⁷⁸ ავალიშვილი, ზ., ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 44-45.

⁷⁹ იქვე, გვ. 45.

⁸⁰ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 154.

⁸¹ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზემო, სამელოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 172.

⁸² ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 127.

2.2. ქართული ორატორული ნიმუშები საისტორიო ნაწარმოებიდან

საისტორიო მწერლობაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია მრავალი ნიმუში, რომელთაგან ერთ-ერთი პირველია [სიტყვა, თქმული მირიან II-ის მიერ ქართლის ერისთავების წინაშე]⁸³. აღნიშნულ ორატორულ ნიმუშს შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომლის ავტორია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი.

ნ. კანდელაკის აზრით, „ის გარემოება, რომ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულის ორატორული ძეგლი ჩვენამდე მოღწეულია ახალი წელთაღრიცხვის XI ს-ის ისტორიკოსის თხზულებით, ცხადია, დედნის ღირსებას ართმევს და ნდობის ძალას უმცირებს მირიანის სიტყვის ტექსტს, მაგრამ მისი შემონახვის ფაქტი და დამხმარე მასალად გამოყენება იმას მოასწავებს, რომ ის სანდო წყაროდ მიუჩნევათ. ეს, ალბათ, შესაძლებელი გახდა მირიანის სიტყვის დროზე ფიქსირებისა და დაცვის მეოხებით, რასაც უქცევია ის XI ს-ის მეცნიერისთვის ხელმისაწვდომ დოკუმენტად“⁸⁴. იგი დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

შემდეგი ნიმუშია [სიტყვა, თქმული ვახტანგ I გორგასლის მიერ ქართლის წარჩინებულთა წინაშე]⁸⁵. აღნიშნული ორატორული ნიმუში გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ კი, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“⁸⁶. ნაშრომი აღგვიწერს V-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას და მათ შორის, ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდს, ხოლო ავტორია XI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი ჯუანშერ ჯუანშერიანი. როგორც ნ. კანდელაკი აღნიშნავს: „მართალია, მროველის მსგავსად, ჯუანშერიც საკუთარი დროის შუქით წვდება მისგან დიდად დაშორებულ ეპოქას, მაგრამ შეინიშნება, რომ მისი ისტორია ძველ წყაროებსაც ეყრდნობა და ამით შორეული ფაქტების გადმოცემაში საკმაო ნდობას იმსახურებს“⁸⁷.

„ქართლის ცხოვრებაში“ ჩართული ორატორული ნიმუშის დასაწყისში ვკითხულობთ შემდეგს: „მაშინ, ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად. და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი⁸⁸ და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა“⁸⁹, და ათასის-თავნი და ასის-თავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე. მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილასოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ჳმითა მაღლითა და თქუა...“⁹⁰. ამას მოსდევს უშუალოდ ვახტანგ გორგასლის სიტყვა. შესავლიდან ვგებულობთ იმასაც, რომ იგი თხუთმეტი წლის იყო მაშინ, როცა ეს სიტყვა წარმოთქვა წარჩინებულთა წინაშე. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

შემდეგი ნიმუშია [სიტყვა, თქმული ჯუანშერ სპასპეტის მიერ მეფისა და ქართლის წარჩინებულთა წინაშე]⁹¹. „ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებული ვახტანგ გორგასლის სიტყვას მოსდევს მისივე სპასპეტის ჯუანშერის სიტყვა მეფისა და ქართლის წარჩინებულთა წინაშე. ჯუანშერი იყო ვახტანგ გორგასლის სპასპეტი, რაც შინაარსობრივად თითქმის უტოლება სპასალარის თანამდებობას, თუმცა „ქართლის ცხოვრება“ მათ ერთმანეთისაგან მაინც განასხვავებს. ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზის (ძვ. წ. IV ს. – III ს. პირველი ნახ.) დროინდელ ქართლში სპასპეტი უმაღლესი რანგის

⁸³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 31.

⁸⁴ კანდელაკი ნ., ქართული საელჩო მჭევრმეტყველება, ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი, 1966, გვ. 127; კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1968, გვ. 487-488.

⁸⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 147-148.

⁸⁶ იქვე, გვ. 139-244.

⁸⁷ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 28.

⁸⁸ სპასპეტი – მხედართმთავარი (საშ. სპარს. spahpat – მხედართმთავარი).

⁸⁹ იგულისხმება ერისთავები დასხდნენ სელის ბალიშებით.

⁹⁰ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 147.

⁹¹ იქვე, გვ. 148-149.

სამხედრო მოხელე იყო (მსგავსად სპასალარისა); იგი ასევე მეფის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა და ხელმძღვანელობდა ერისთავების ჯარებს და ა.შ. ჯუანშერსაც სწორედ სპასპეტის თანამდებობა ეკავა ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში. უშუალოდ მისი სიტყვის ტექსტის შემდეგ ვკითხულობთ: „ესე თქუა ჯუანშერ სპასპეტმან და დაემოწამნეს ყოველნი წარჩინებულნი ერისთავნი ზრახვასა მისსა“⁹². ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

შემდეგი ნიმუშია [სიტყვა, თქმული დავით IV აღმაშენებლის მიერ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე სასულიერო პირთა მიმართ]⁹³. აღნიშნული ორატორული ნიმუში გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ კი, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“⁹⁴. თხზულებაში ვკითხულობთ: „თქუნ, მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი. და ჩუნ ვერა-რას უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონი. და ესე საცნაურ არს თქუნდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებასა, ვითარცა მწედრობათა შინა აღზრდილი; ამისთვისცა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტყუათა გეზრახო თქუნ“⁹⁵.

ორატორული ნიმუში ფრაგმენტული სახით არის ჩვენამდე მოღწეული⁹⁶, თუმცა, სამაგიეროდ, გვაწვდის სრულ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა შედეგი, რეაქცია და შეფასება მოჰყვა დავით აღმაშენებლის სიტყვით გამოსვლას: „ესე მწვალებელნი და ესეოდენ ზარგაჯილ ყვნა და ყოვლად უღონო, რომელთა აღიარეს ცხადად ძლეულება თვისი ამისთა ოდენ მეტყუელთა, ვითარმედ: „ჩუნ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუნთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუნნი“. და ესრეთ ფრიად მაზრალობელნი თავისანი მიიქცეს სირცხვლეულნი, არღარა ოდეს მკადრებელნი ამისნი ოდესცა“⁹⁷. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

შემდეგი ნიმუშია [სიტყვა, თქმული გიორგი III-ის მიერ მხედრობის მიმართ ქალაქ ანისისათვის ბრძოლის წინ, 1161 წელს]⁹⁸. გიორგი III-ის სიტყვა გვხვდება თამარ მეფის პირველ ისტორიაში, რომელსაც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით შეიცავს „ქართლის ცხოვრება“ და ეწოდება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ეს ისტორია წარმოადგენს გიორგისა და თამარის მეფობათა საკმაოდ ვრცელ აღწერილობას. ძეგლი ბევრჯერაა გამოცემული, თუმცა მხოლოდ 1941 წელს გამოქვეყნდა შესწორებული და აღდგენილი სახით, ვრცელი გამოკვლევის წამმდგარებითა და საძიებლების დართვით, რომელიც ეკუთვნის კ. კეკელიძეს⁹⁹. რაც შეეხება აღნიშნულ საისტორიო ნაწარმოებში დაცულ ორატორულ ნიმუშს, გიორგი III-მ თავისი სიტყვა მხედრობის მიმართ წარმოსთქვა 1161 წელს გამართული ბრძოლის წინ, როდესაც იგი თავისი ლაშქრით მოულოდნელად თავს დაესხა სომხეთის დედაქალაქ ანისს, გაათავისუფლა ის მაჰმადიანთა ბატონობისაგან და მთელი ციხე-ქალაქი მისი ოლქითურთ საქართველოს პოლიტიკურ გავლენას დაუმორჩილა. მეფის სიტყვას საისტორიო პირველწყაროში წინ უძღვის შემდეგი ტექსტი: „ხოლო მეფემან მტკიცედ, ამკედრებულმან ჰუნესა¹⁰⁰ ზედა, ჳმითა მით ხოსროვანითა გასცა ღაღადი და სწავლაჲ გულსა მკედართა, მხეცებრ განძნებულთასა, ვითარმედ...“¹⁰¹ და ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი, რომლის

⁹² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 149.

⁹³ იქვე, გვ. 357.

⁹⁴ იქვე, გვ. 318-364.

⁹⁵ იქვე, გვ. 357.

⁹⁶ შენიშვ. ორატორული ნიმუშის ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ მისი ცალკე წარმოდგენა სხვა ნიმუშებს შორის და არც ცალკე მოკლე მიმოხილვა დავურთეთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

⁹⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 357.

⁹⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 8.

⁹⁹ იხ. კეკელიძე, კ. (რედ.), ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.

¹⁰⁰ ჰუნე – ცხენი.

¹⁰¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II,

შემდეგ კვლავ გრძელდება ისტორიის თხრობა. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

შემდეგი ნიმუშებია [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ]¹⁰², [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ, 1195 წლის 1 ივნისს]¹⁰³ და [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა წინაშე]¹⁰⁴. თამარ მეფის სამივე ორატორული სიტყვა გვხვდება ბასილი ეზოსმოდვრის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, რომელიც აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს და გამოიცა 1944 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ¹⁰⁵. თამარ მეფის სიტყვები პროფ. ვ. დონდუას მიერ 1938 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე ბასილი ეზოსმოდვრის ძეგლის თარგმანში: „Жизнь царицы цариц Тамары“, რომელსაც წინ უძღვის მთარგმნელის შესავალი წერილი: „Басили, историк царицы Тамары“¹⁰⁶. იგივე სიტყვები არტურ ლაისტის მიერ 1905 წელს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე ნარკვევში: „Das Zeitalter der Königin Tamar“¹⁰⁷. არსებობს თამარ მეფის დროინდელი მატთანის თანამედროვე გამოკვლევაც, რომელსაც ერთვის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“¹⁰⁸.

„ქართლის ცხოვრებიდან“ თამარ მეფის პირველი ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ]¹⁰⁹. პირველწყაროში ორატორული ნიმუშის ტექსტს წინ უძღვის შემდეგი სიტყვები: „ხოლო შემო-რა-კრბეს ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი, რომელთა პირად აქუნდა ზემო მოკსენებული ნიკოლას¹¹⁰, მსგავსი სეხნისა თვისისა, და ანტონი ქუთათელი საღირის-ძე¹¹¹, დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით. მიეგებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა. შეკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თვით დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით და ესრეთ ეუბნებოდა...“¹¹². ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი. იგი დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

„ქართლის ცხოვრებიდან“ თამარ მეფის მეორე ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ, 1195 წლის 1 ივნისს]¹¹³. სიტყვა ნათქვამია პირისპირ მხედრების მიმართ და წარმოადგენს ქართული სამხედრო მჭევრმეტყველების კლასიკურ ნიმუშს. სიტყვას წინ უძღვის შემდეგი: „ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მკედარი, ყოვლით-კერძო, სავსენი სიხარულითა, რომელნი ძალით იპყრობოდეს თავთა შინა თვისთა. შეკრბეს სომხითს შინა. და მივიდა თამარ და იხილნა. დაყვნეს მცირედნი დღენი მათცა ლოცვისათვის. მერმე რქუა მათ...“¹¹⁴ და ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი. შემდეგ გრძელდება ისტორიის თხრობა. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება

თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 8.

¹⁰² იქვე, გვ. 118.

¹⁰³ იქვე, გვ. 126.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 145.

¹⁰⁵ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად დაამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1944.

¹⁰⁶ Дондуа, В., Басили, историк царицы Тамары: Жизнь царицы цариц Тамары, Памятники эпохи Руставели, Ленинград, Государственный Эрмитаж, 1938, ст. 33-76.

¹⁰⁷ Leist, A., Das georgische Volk, Dresden, 1905, s. 120-136.

¹⁰⁸ თამარ მეფის დროინდელი მატთანე („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მარინე ქადაგიძემ, თბილისი, 2001.

¹⁰⁹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 118.

¹¹⁰ ნიკოლასი – იგულისხმება ყოფილი კათალიკოს-პატრიარქი (1149-1178 წწ.) ნიკოლოზ გულაბერისძე, რომელიც თამარის მოწვევით საგანგებოდ დაბრუნდა იერუსალიმიდან ამ კრების გამო.

¹¹¹ ანტონი ქუთათელი საღირის-ძე – თამარ მეფის დროინდელი ქართველ მღვდელმთავართა წარმომადგენელი.

¹¹² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 118.

¹¹³ იქვე, გვ. 126.

¹¹⁴ იქვე, გვ. 125-126.

სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ, 1195 წლის 1 ივნისს], როგორც ორატორული ნიმუში, ცალკე გამოქვეყნებულია ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“¹¹⁵.

„ქართლის ცხოვრებიდან“ თამარ მეფის მესამე ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა წინაშე]¹¹⁶. ამ დრომდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული მასზე, როგორც ორატორულ ნიმუშზე და უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ჟურნალში პირველად ქვეყნდება დამოუკიდებელი სახით. თამარ მეფის [სიტყვა, თქმული ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა წინაშე] წარმოადგენს მის უკანასკნელ სიტყვას. სიტყვას წინ უძღვის შემდეგი: „ბრძენმან ბრძნისა ნეტარება აქაცა მოილო თამარ, რამეთუ შემოუწოდა ყოველთა [წარჩინებულთა] სამეფოსა თვისისათა წინაშე მისსა, განიმტკიცა თავი თვისი, და მკედ მჯდომარე ესრეთ ეტყოდა...“¹¹⁷ და ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი. შემდეგ გრძელდება ისტორიის თხრობა. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

შემდეგი ნიმუშია [სიტყვა, თქმული ბასილი ეზოსმოდვრის მიერ თამარის გარდაცვალების შემდეგ]¹¹⁸. ბასილი ეზოსმოდვარი (ეზოსმოდვარი) იყო XII-XIII საუკუნეების ქართველი ისტორიკოსი, თამარ მეფის ეზოსმოდვარი. იგი თამარის მეორე ისტორიკოსად ითვლება, ხოლო მისი თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ მიჩნეულია მეტად სანდო საისტორიო წყაროდ, რომელიც დაწერილია უაღრესად მსუბუქი, სადა და ბუნებრივი ენით. ბასილი ეზოსმოდვარს ეკუთვნის ორატორული ხასიათის სიტყვა, წარმოთქმული თამარის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც გვხვდება მისივე საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“¹¹⁹. იგი დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. ბასილი ეზოსმოდვრის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს და გამოიცა 1944 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ¹²⁰. არსებობს თამარ მეფის დროინდელი მატიანის თანამედროვე გამოკვლევა, რომელსაც ერთვის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“¹²¹. ასევე უშუალოდ [სიტყვა, თქმული ბასილი ეზოსმოდვრის მიერ თამარის გარდაცვალების შემდეგ], როგორც ორატორული ნიმუში, ცალკე გამოქვეყნდა ისეთ გამოცემაში, როგორიცაა „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-15 ტომი¹²².

შემდეგი ნიმუშია [სიტყვა, თქმული გიორგი IV ლაშას მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა წინაშე 1223 წელს]¹²³. სიტყვა გვხვდება XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის „მონღოლთა დროინდელ ისტორიაში“, რომელიც გადმოგვცემს საქართველოს ისტორიულ ვითარებას ლაშა-გიორგის გამეფებიდან (1213 წ.) გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე (1314 წ.). ამ საისტორიო თხზულების ავტორის ვინაობა უცნობია. მის პირობით სახელად მეცნიერებაში მიღებულია წოდება „ჟამთააღმწერელი“, რომელიც აღნიშნავს მემატიანეს და გვხვდება ამავე ნაწარმოებში. უცნობია თხზულების სათაურიც, თუმცა მის აღსანიშნად დამკვიდრებულია სახელწოდება „მონღოლთა დროინდელი ისტორია“ ან „ასწლოვანი მატიანე“.

ნაწარმოებში მეფის სიტყვას წინ უძღვის შემდეგი ტექსტი: „მაშინ ვითარცა ცნა აღსასრული თვისი

¹¹⁵ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 173.

¹¹⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 145.

¹¹⁷ იქვე, გვ. 145.

¹¹⁸ იქვე, გვ. 146-150.

¹¹⁹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 115-150.

¹²⁰ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბუქდა დაამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1944.

¹²¹ თამარ მეფის დროინდელი მატიანე („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მარინე ქადაგიძემ, თბილისი, 2001.

¹²² მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, თბილისი, ციციანათელა, 2013, გვ. 112-116.

¹²³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 166-167.

მეფემან ლაშა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა, შევედრა და თვისი რუსუდან ცრემლითა მომდინარემან და თქუა...¹²⁴. ამას მოსდევს მეფის სიტყვა, რომლის შემდეგაც ნათქვამია: „ვითარ დაასრულა ბრძანება ესე, შეისუენა¹²⁵⁻¹²⁶. ლაშა-გიორგი 1223 წლის 18 იანვარს აღესრულა და წინამდებარე სიტყვა მეფემ წარმოსთქვა სწორედ გარდაცვალების წინ. შესაბამისად, ეს სიტყვა ითვლება მის უკანასკნელ საჯარო გამოსვლად წარჩინებულთა წინაშე. იგი დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. ამ დრომდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული მასზე, როგორც ორატორულ ნიმუშზე. ამდენად, წინამდებარე ჟურნალში პირველად ქვეყნდება.

შემდეგი ნიმუშია [სიტყვა, თქმული დემეტრე II თავდადებულის მიერ დარბაზში სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე]¹²⁷. დემეტრე თავდადებულის სიტყვა გვხვდება XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ჟამთააღმწელის „მონღოლთა დროინდელ ისტორიაში“.

დემეტრე II თავდადებულს მეფობა მოუწია საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში, XIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს დიდი შინაური ომი ატყდა ჰულაგუიანთა სახელმწიფოში აჰმად ყაენსა და არღუნ ყაენს შორის პირველობისთვის. დემეტრე II-მ აჰმად ყაენის მხარე დაიკავა, მაგრამ იგი არღუნ ყაენმა დაამარცხა და მოკლა. არღუნ ყაენმა დემეტრე II ურდოში გაიწვია. მეფემ იცოდა, რომ იქსიკვდილი ელოდა. ისიც კარგად უწყოდა, რომ წაუსვლელობით ყაენს განარისხებდა და საქართველოს ააოხრებდა. დემეტრე II-მ შეკრიბა დარბაზის ერი და გააცნო თავისი გადაწყვეტილება არღუნ ყაენთან წასვლის თაობაზე. მეფე გაემგზავნა ურდოში, სადაც 1289 წლის 12 მარტს არღუნის ბრძანებით იგი სიკვდილით დასაჯეს. წინამდებარე სიტყვა დემეტრე თავდადებულმა წარმოსთქვა სწორედ მონღოლთა ურდოში წასვლის წინ და ითვლება მის უკანასკნელ საჯარო გამოსვლად. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

ნაწარმოებში მეფის სიტყვას წინ უძღვის შემდეგი ტექსტი: „და მოუწოდა მეფემან კათალიკოსსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა, მონასტერთა და უდაბნოთა გარესჯისა მღელე-მონაზონთა, და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა. შემოკრბეს მის წინაშე, დაჯდა და ტახტსა ზედა დასხდეს ყოველნი დიდებულნი თვს-თვსად, და-აღალო მეფემან პირი თვისი და ბრძანა...“¹²⁸. ამას მოსდევს მეფის სიტყვა, რომლის შემდეგაც ნათქვამია: „ხოლო ვითარ ესმათ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და მოძღუართა და მთავართა, განკვრდეს, თუ ვითარ დადვა მეფემან სული თვისი ერისა მისისათვს...“¹²⁹.

ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაშრომი შესულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1633-1646 წლებში და გამოცემულია ე. თაყაიშვილის რედაქციით 1906 წელს¹³⁰. დემეტრე თავდადებული [სიტყვა, თქმული დარბაზში სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე], როგორც ორატორული ნიმუში, ცალკე კიდეც დაიბეჭდა მომდევნო გამოცემებში, მათ შორის, 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილისა და ვ. პაპასკირის „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“¹³¹, 2013 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-15 ტომში¹³².

შემდეგი ნიმუშია [სიტყვა, თქმული ბექა I ჯაყელის მიერ ერისმთავართა და მხედრობის მიმართ თურქების წინააღმდეგ ლაშქრობის წინ, 1303 წელს]¹³³. ბექა I ჯაყელის სიტყვა გვხვდება XIV

¹²⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 166.

¹²⁵ შეისუენა – გარდაიცვალა.

¹²⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 167.

¹²⁷ იქვე, გვ. 287-288.

¹²⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 287.

¹²⁹ იქვე, გვ. 288.

¹³⁰ ქართულის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1906, გვ. 736-737.

¹³¹ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 128.

¹³² მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, ციციანთელა, თბილისი, 2013, გვ. 110-111.

¹³³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 311-312.

საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჟამთააღმწერლის ისტორიაში, სადაც ასევე დაცულია დემეტრე თავდადებულის სიტყვა. ამ უკანასკნელის შემდეგ ავტორი განაგრძობს მონღოლთა დროინდელ ისტორიას და შესაფერ ადგილას ათავსებს ბექა ჯაყელის სიტყვის ტექსტს. ნაწარმოებში მის სიტყვას წინ უძღვის შემდეგი ტექსტი: „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამცხისათა, შავშ-კლარჯთა, შემოკრიბნა ყოველნი და რქუა...“¹³⁴. ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი, რომლის შემდეგაც ნათქვამია: „და ვითარ ესმა მთავართა და სპათა ბექასთა, სიხარულით მიემოწმნეს, და დააპირეს ლაშქრობა თურქთა ზედა“¹³⁵. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

ბექა I ჯაყელი (დაახლ. 1240-1306 წწ.) იყო სამცხის ათაბაგი 1285-1306 წლებში. მისი მმართველობის დროს სამხრეთ საქართველოს მოულოდნელად თავს დაესხნენ რუმის სასულთნოს თურქები. მტერმა სათარეშოდ აქცია სამცხის დიდი ნაწილი და დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას. ამ მოვლენების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა, სავარაუდოა, რომ 1302 წლიდან 1303 წლამდე მომხდარი ამბებია აღწერილი. თავდაპირველად, ეს იყო მტრის მარბიელი შემოსევა, რომლის შედეგადაც ბასიანი და ფანასკერტი მოაოხრეს. ბექამ ვერ მიუსწრო, ხოლო მტრის მეორე შემოსევას უკვე მომზადებული დაუხვდა, დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი, დაამარცხა და განდევნა თურქები. სავარაუდოა, რომ აზატ მოსეს მეთაურობით პირველი მარბიელი ლაშქრობა 1302 წელს მოხდა, ხოლო მეორე ლაშქრობა – 1303 წელს. შესაბამისად, ბექა ჯაყელის მჭევრმეტყველების ნიმუშიც ამ უკანასკნელის წლით უნდა განისაზღვროს.

ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაშრომი შესულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1633-1646 წლებში და გამოცემულია ე. თაყაიშვილის რედაქციით 1906 წელს¹³⁶, ასევე – „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული რედაქციით 1959 წელს¹³⁷. ცალკე, როგორც ორატორული ნიმუში, სიტყვა გამოქვეყნდა 1958 წელს ნ. კანდელაკის მიერ წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“¹³⁸, 1968 წელს – ასევე ნ. კანდელაკის „ქართულ მჭევრმეტყველებაში“¹³⁹, 1997 წელს – ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“¹⁴⁰.

შემდეგი ორატორული ნიმუშია [სიტყვა თქმული კათალიკოს თეოდორეს მიერ მხედრობის მიმართ ლორის ციხისათვის ბრძოლის წინ, 1431 წელს]. საქართველოს მეფემ ალექსანდრე I-მა 1431 წელს დიდი ძალისხმევით შედეგად შემოიერთა ციხე-ქალაქი ლორე და ლორის ველი, რომელიც მანამდე შავბატკნიან თურქმანებს ეპყრათ. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვას წინ უძღვის შემდეგი: „...ჩუენისა სულისა მოძღუარმან და მეოხმან პატრონმან კათოლიკოზმან თედორე ამუჭი სოფელი და მისნი შესავალნი იაჯნეს, და გავიგონეთ, რომე ამა ლორისა ციხისა შოვნასა შიგან, და მისთა შესავალთს შოვნასა შიგან, დიდად და უსაზომოდ მოიჭირვეს: პირველად ვედრებითა ღმრთისათა, და კუალად და კუალად ლაშქართა მიმცნებითა, ესრეთ, ვითარმედ“... ამას მოსდევს თეოდორეს სიტყვის ტექსტი, რომლის შემდეგ კვლავ გრძელდება სიგელის შინაარსის თხრობა.

თეოდორე კათალიკოსის სიტყვა მოთავსებულია მცხეთის სიგელში (№333, ნუსხა №203), რომელიც შედგენილია 1433 წელს და ხელმოწერილია საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის მიერ. მცხეთის სიგელი დაბეჭდილია რამდენჯერმე: 1897 წელს – თ. ჟორდანიას მიერ¹⁴¹, 1914 წელს – ს.

¹³⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 311.

¹³⁵ იქვე, გვ. 312.

¹³⁶ ქართულის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1906, გვ. 736-737.

¹³⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 311-312.

¹³⁸ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 167.

¹³⁹ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 164.

¹⁴⁰ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამკადაგებლო, საზემო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 173-174.

¹⁴¹ ჟორდანია, თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წ. 2 (1213 წლიდან 1700 წლამდე), შერეული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას-მიერ, ტფილისი, კ.ი. მუხრან-ბატონის გამომცემა (მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.), 1897, გვ. 242-243.

კაკაბაძის მიერ¹⁴². ცალკე, როგორც ორატორული ნიმუში, სიტყვა გამოქვეყნდა 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“¹⁴³, 1968 წელს – კვლავ ნ. კანდელაკის მიერ „ქართული მჭევრმეტყველებაში“¹⁴⁴.

ქართულ საისტორიო მწერლობაში, „ქართლის ცხოვრების“ გარდა, ორატორული ნიმუშები დაცულია ასევე პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, მათ შორის: [სიტყვა, თქმული მხეჭაბუკ ორბელიანის მიერ დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე, 1792 წელს] და [სიტყვა, თქმული პატრი ნიკოლა რუტილიანოს მიერ გიორგი XII-ისა და დარბაზის ერის წინაშე]. უნდა აღინიშნოს, რომ პლატონ იოსელიანი არასწორად მიუთითებს, როცა გიორგი XII-ის ნაცვლად გიორგი XIII-ს წერს. მეფეთა ნუმერაციაში დაშვებული ეს ხარვეზი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ გიორგი ბრწყინვალის ორჯერ გამეფება მან ორ სხვადასხვა გამეფებად აღიქვა და ყველა მომდევნო გიორგის შეუცვალა რიგითობა. ამიტომ წინამდებარე ჟურნალში ყველგან მოვიხსენიებთ, როგორც გიორგი XII (1798–1800 წწ.). პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ არის ჯერჯერობით ერთადერთი წყარო, საიდანაც ვიცნობთ ზემოაღნიშნულ ორივე ორატორულ ნიმუშს. ეს წყარო სულ სამჯერ დაიბეჭდა: პირველად გამოიცა 1879–1880 წწ. ჟურნალ „ივერიაში“ ცალკე დამატების სახით – „ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა“, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან¹⁴⁵; მეორედ გამოიცა 1895 წელს, სახელწოდებით „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება“, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ¹⁴⁶, მესამედ პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ გამოიცა 1936 წელს, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით¹⁴⁷. ეს უკანასკნელი გამოცემა გასწორებულია ძირითადი დედნის (H – 2301) მიხედვით. ცალკე, როგორც ორატორული ნიმუში, სიტყვა გამოქვეყნდა 1958 წელს ნ. კანდელაკის მიერ წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“¹⁴⁸, 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილისა და ვ. პაპასკირის მიერ „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“¹⁴⁹.

პირველი ნიმუში, რომელიც გვხვდება პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, არის [სიტყვა, თქმული მხეჭაბუკ ორბელიანის მიერ დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე, 1792 წელს]. ნ. კანდელაკის აზრით, ეს არის სიტყვის ან ფრაგმენტი ან შემოკლებული ვერსია¹⁵⁰. რაც შეეხება თავად წყაროს, როგორც ა. გაწერელია აღნიშნავს, ეს არის პლატონ იოსელიანის ერთადერთი მონოგრაფიული ნაშრომი დაწერილი ქართულ ენაზე¹⁵¹. ავტორი არ იცავს ისტორიულ პერსპექტივას თავის მონოგრაფიაში. ეს ნაშრომი ტენდენციურია თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ის ყველაფერში ამართლებს მეფეს. პლატონ იოსელიანის ისტორიულ ნაშრომებს საერთოდ ახასიათებს ერთგვარი სუბიექტივიზმი მოვლენების შეფასებისას. თუმცა მონოგრაფიას იშვიათი ლიტერატურული ღირსებაც მოეპოვება. ისტორიკოსის ეს ნაშრომი დაწერილია გემოვნებით. თხრობის დროს ავტორი სცილდება ეპიზოდების გადმოცემის ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებს – ის არა მხოლოდ ისტორიკოსია, არამედ მწერალი-ბიოგრაფიც. ამიტომ „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“,

¹⁴² კაკაბაძე, ს., წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფილისი, 1914, გვ. 13.

¹⁴³ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 171–172.

¹⁴⁴ კანდელაკი, ნ. ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 165.

¹⁴⁵ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1879, №9; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1879, №10; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1880, №1, ნაწილი I, ნაწილი II; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1880, №2, ნაწილი I, ნაწილი II.

¹⁴⁶ ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, თფილისი, 1895.

¹⁴⁷ იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936.

¹⁴⁸ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 206–207.

¹⁴⁹ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატიკა-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 133.

¹⁵⁰ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 331.

¹⁵¹ იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936, გვ. VII.

ა. გაწერელის აზრით, ლიტერატურულ თხზულებადაც უნდა ჩაითვალოს¹⁵². ამ წყაროში მოყვანილი ორატორული ნიმუშიც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის ზედმიწევრით ზუსტად უნდა იყოს მოყვანილი.

რაც შეეხება საჯარო გამოსვლისას წარმოთქმული სიტყვის წინაპირობებს, ისტორიიდან ცნობილია, რომ სოლომონ პირველის გარდაცვალების (1784) შემდეგ იმერეთში ტახტის მადიებელთა შორის გამოჩნდნენ მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე და მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. მათ შორის ხანგრძლივი ბრძოლა გაიმართა. ამ ვითარებაში იმერეთის მოწინავე თავადების ერთმა ჯგუფმა 1792 წელს ერეკლე მეორეს ამერ-იმერეთის გაერთიანების წინადადებით მიმართა. მეფე დათანხმდა და გაიმართა ბჭობა სამეფო პალატაში. კრებას ესწრებოდნენ იმერეთის მხრიდან დესპანები: ქაიხოსრო წერეთელი, ექვთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, ზურაბ წერეთელი, იოანე აბაშიძე და სხვ. ქართლ-კახეთის მხრიდან შეკრებაზე წარმოდგენილნი იყვნენ: მეფე ერეკლე, უფლისწული გიორგი (შემდეგში მეფე გიორგი მეთორმეტე), სოლომონ ლიონიძე, მზექაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი და სხვ. ბჭობაზე სიტყვა წარმოსთქვა მზექაბუკ ორბელიანმა საქართველოს გაერთიანების სასარგებლოდ. პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ვკითხულობთ: „პირველი და ძლიერი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა ორბელიანისა... მეფე სდუმებდა და ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა“¹⁵³. ამას შემდეგ მოსდევს სიტყვის ტექსტი.

მეორე ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული პატრი ნიკოლა რუტილიანოს მიერ გიორგი XII-ისა და დარბაზის ერის წინაშე], რომელიც გვხვდება პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. იტალიელი კაპუჩინელი მისიონერი პატრი ნიკოლა რუტილიანო მეფის მრჩევლის მოვალეობას ასრულებდა. მან მეფე გიორგი XII-ისა და დარბაზის ერის წინაშე მეტად მჭევრმეტყველური და შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა და იწინასწარმეტყველა შედეგი, რაც მოჰყვებოდა მეფის განზრახვას „რუსეთისადმი ქვეყნის გარდაცემის“ თაობაზე¹⁵⁴. წყაროში ვკითხულობთ: პატრი ნიკოლა რუტილიანო „ესე განამიეს ქართლით მინისტრის ბრძანებითა 22 ნოემბ. 1801 წელსა“¹⁵⁵.

როგორც კვლევამ აჩვენა, ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ორატორული ნიმუშები, ძირითადად, განეკუთვნება სადარბაზო და სამხედრო მჭევრმეტყველების დარგებს.

2.3. ქართული ორატორული ნიმუში კანონიკური სამართლის მეგლიდან

ორატორული ნიმუში [შესხმა, თქმული მონაზონი არსენის მიერ კეთილად მსახურისა და ღვთივდაცულისა მეუფისა ჩუენისა დავითისი] წარმოადგენს რუის-ურბნისის „მეგლისწერის“ შემადგენელ ნაწილს. მეგლისწერა მიიღეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კრებების მსგავსად იყო ორგანიზებული და მასზე მიღებულ დადგენილებებს კანონის ძალა ჰქონდა. მისი მოწვევის თარიღად სხვადასხვა დროს ასახელებენ¹⁵⁶, ნაწილი იზიარებს 1103 წელს¹⁵⁷, ნაწილი კი – 1105 წელს¹⁵⁸. რუის-ურბნისის კრების ინიციატორი იყო დავით აღმაშენებელი, კრების თავმჯდომარე იოანე კათალიკოსი, ხოლო მეგლისწერის შემუშავებაში მონაწილეობას

¹⁵² იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936, გვ. IX-XI.

¹⁵³ იქვე, გვ. 15-16.

¹⁵⁴ პაპუაშვილი, ნ., მართლმადიდებლები და კათოლიკეები საქართველოში, კრებულში: ტოლერანტობის სკოლა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014, გვ. 283.

¹⁵⁵ იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936, გვ. 154.

¹⁵⁶ შენიშვ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის თარიღის შესახებ იხ. გაბიძაშვილი, ე. რუის-ურბნისის კრების მეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978, გვ. 14-19.

¹⁵⁷ ჯავახიშვილი, ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1965, გვ. 213.

¹⁵⁸ გაბიძაშვილი, ე., რუის-ურბნისის კრების მეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978, გვ. 19.

იღებდნენ გიორგი მწიგნობართუხუცესი და არსენ ბერი.

ივ. ჯავახიშვილი ძეგლისწერას ოთხ ნაწილად ჰყოფს: 1) შესავალი; 2) დადგენილებანი; 3) დავითის შესხმა; 4) გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მრავალჟამიერი და საუკუნო ხსენება¹⁵⁹. ივ. ჯავახიშვილი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ „შესხმას“ „ძეგლისწერის“ დამოუკიდებელ ნაწილად გამოჰყოფს: „ძეგლისწერა ოთხი მთავარი ნაწილისაგან შედგება, თუმცა თ. ჟორდანიამ გამოცემის მიხედვით მხოლოდ ერთს, სახელდობრ, მესამე ნაწილს აქვს განსაკუთრებული სათაური. პირველ ნაწილს შესავალი შეადგენს, იწყება თავითგანვე და თავდება იქ, სადაც საკუთრივ კრების დადგენილება იწყება, მეორე – სწორედ ამ დადგენილებებს შეიცავს..., რომელსაც მესამე ნაწილის სათაურის მსგავსად, წითურად ასომთავრულად დაწერილი წინადადება მისდევს: „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. აქ მესამე ნაწილი იწყება. იგი დავით აღმაშენებლისადმი მიმართულ სამადლობელ ქება-დიდებას წარმოადგენს, როგორც ამ კრების მოწვევისა და ისევე საზოგადოდ მთელი მისი მოღვაწეობისათვის. ამას ბოლოში მისდევს კრების მიერ წარმოთქმული და აღწერილი მეფისა, მისი სახლობისა და გამოჩენილ ქართველ ცოცხალ მოღვაწეთათვის მრავალჟამიერი ცხოვრება, ხოლო მიცვალებულთათვის საუკუნო ხსენება. ეს ძეგლისწერის მეოთხე და ამასთანავე უკანასკნელი ნაწილია“¹⁶⁰.

კ. კეკელიძე ძეგლისწერას სამ ნაწილად ჰყოფს: 1) პროლოგი ან შესავალი, რომელშიაც გათვალისწინებულია ეკლესიის დაარსება საზოგადოდ და საქართველოში კერძოდ, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა საკანონმდებლო მოქმედება და მათ მსგავსად, რუის-ურბნისის კრების მოწვევა; 2) რუის-ურბნისის კრების კანონმდებლობა ან დადგენილებანი; 3) სინოდიკონი, რომელშიც რედაქტორი ეუბნება ცოცხლებს (მეფე-დედოფლებს, კათოლიკოს-მღვდელმთავრებს და ცნობილ სასულიერო მოღვაწეებს) „მრავალჟამიერს“, ხოლო მიცვალებულებს – საუკუნო ხსენებას¹⁶¹. კ. კეკელიძე „ძეგლისწერის“ ამ ნაწილს, სადაც დავითის შესხმაც შედის, „სინოდიკონის“ სახელწოდების ქვეშ აერთიანებს.

ამასთან, თ. ჟორდანიამ მიიჩნევს, რომ სათაურში „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ იგულისხმება არსენ ბერი, რომელსაც დავით აღმაშენებელმა მიანდო შიო-მღვიმეში ეკლესიის აშენება და არა მოძღვარი მეფისა¹⁶². ს. ყუბანეიშვილის აზრით კი, არსენი დავით აღმაშენებლის მოძღვარია¹⁶³. კ. კეკელიძე „შესხმას“ „ძეგლისწერის“ გაგრძელებად და მის ორგანულ ნაწილად მიიჩნევს: „ერთშიაც და მეორეშიაც დავითი ერთგვარი ენამზებობითა და ეპითეტებითაა შემკობილი და დახასიათებული“¹⁶⁴. იგი მთლიანად თხზულების ავტორად მიიჩნევს დავით აღმაშენებლისა და დიმიტრი მეფის თანამედროვე არსენ ბერს იგივე ბერმონაზონს და გამოირიცხავს არსენ იყალთოელს: „არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის სახელით ჩვენამდე შენახული თხზულებანი იმდენად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ენით, რომ შეუძლებელია ეს ორი სახელი ერთი და იმავე პიროვნების აღმნიშვნელად მივიჩნიოთ“¹⁶⁵. ე. გაბიძაშვილი ასევე იზიარებს კ. კეკელიძის მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ „მონაზონი არსენი“ არა მარტო „შესხმის“ ავტორია, არამედ მთლიანად „ძეგლისწერისაც“¹⁶⁶.

ე. გაბიძაშვილის აზრით, მონაზონი არსენის მიერ დავით აღმაშენებლისადმი წარმოთქმული შესხმა შედგენილია მსოფლიო კრებათა ტრადიციების ანალოგიით¹⁶⁷; ამის მაგალითად მოჰყავს

¹⁵⁹ ჯავახიშვილი, ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1982, გვ. 55-56.

¹⁶⁰ ჯავახიშვილი, ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1928, გვ. 42-43.

¹⁶¹ კეკელიძე, კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1951, გვ. 542.

¹⁶² ჟორდანიამ, თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წ. 2 (1213 წლიდან 1700 წლამდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას-მიერ, ტფილისი, კ. ი. მუხრან-ბატონის გამოცემა (მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.), 1897, გვ. 68.

¹⁶³ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 380.

¹⁶⁴ კეკელიძე, კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1960, გვ. 310.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 309.

¹⁶⁶ გაბიძაშვილი, ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, მეცნიერება, 1978, გვ. 29.

¹⁶⁷ იქვე, გვ. 24.

კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების ეპისტოლე თეოდოსი დიდის მიმართ: „სადაღადებელი წმიდისა ამის კრებისაჲ კეთილად მსახურისა მიმართ მეფისა თეოდოსი დიდისაჲ, რომელსა შეუდგინნეს მათ მიერ დასხმულნი კანონნი“¹⁶⁸. ასევე დავითის შესხმის კიდევ უფრო თვალსაჩინო მსგავსების მაგალითად ასახელებს VI (ტრულის) მსოფლიო კრების მიმართვას იუსტინიანე იმპერატორისადმი: „უფროსად კეთილად მსახურსა და ქრისტეს მოყუარესა მეფესა იუსტინიანეს წმიდაჲ და მსოფლიო კრებაჲ საღმრთოთა წამისყოფითა და ბრძანებითა კეთილად მსახურისა მპყრობელობისა თქუენისაჲთა ღმრთივ დაცვულსა ამას და სამეუფოსა ქალაქსა შინა შეკრებული“¹⁶⁹. ე. გაბიძაშვილის დაკვირვებით, იუსტინიანესადმი კრების მიმართვა იწყება ვრცელი შესავლით, რომელშიც საუბარია ქრისტიანული სარწმუნოების მიერ განვლილი გრძელი გზის შესახებ და შინაარსობრივად დათემატურად გვაგონებს რუის-ურბნისის კრების „მეგლისწერის“ ვრცელ შესავალს. ხოლო შემდეგ იწყება უშუალოდ იმპერატორის შესხმა, რომელიც ასევე სიტყვიერი გაფორმებითაც ავლენს დავით აღმაშენებლის შესხმასთან მსგავსებას¹⁷⁰.

ორატორული ნიმუში მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველების დარგსა და შესხმის ჟანრს. ეს არის დავით აღმაშენებლისადმი მიმართული შესხმა, რომელიც მონაზონი არსენის მიერ დაიწერა და მის მიერვე წარმოითქვა.

არსებობს რუის-ურბნისის კრების მეგლისწერის ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“¹⁷¹, 1897 წელს – თ. ჟორდანიას მიერ^{172 173}, ხოლო 1978 წელს – ე. გაბიძაშვილის მიერ¹⁷⁴. უშუალოდ არსენ იყალთოელის [შესხმა თქმული კეთილად მსახურისა და ღვთივდაცულისა მეუფისა ჩუენისა დავითისი], როგორც ქართული სასულიერო პოეზიის ნიმუში, ცალკე გამოქვეყნდა 1946 წელს ს. ყუბანეიშვილის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“¹⁷⁵, ხოლო, როგორც ქართული ორატორული ნიმუში, შევიდა 1898 წელს არხიმანდრიტი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილ „სიტყვიერების თეორიაში“¹⁷⁶, ასევე 1958 წელს – ნ. კანდელაკის წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: მეგლები და მასალები“¹⁷⁷ და 2013 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-15 ტომში¹⁷⁸.

2.4. ქართული ორატორული ნიმუშები აგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან

ქართულ სასულიერო მწერლობაში ქადაგებათა პირველ ნიმუშებს, ძირითადად, ვხვდებით არა დამოუკიდებელი სახით, არამედ ფრაგმენტულად, როგორც აგიოგრაფიული ნაწარმოებების შემადგენელი ნაწილი.

¹⁶⁸ დიდი სჯულისკანონი, თბილისი, მეცნიერება, 1975, გვ. 260, 5.

¹⁶⁹ იქვე, გვ. 365-366, 35.

¹⁷⁰ გაბიძაშვილი, ე., რუის-ურბნისის კრების მეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, მეცნიერება, 1978, გვ. 25.

¹⁷¹ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 518-530.

¹⁷² ჟორდანია, თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წ. 2 (1213 წლიდამ 1700 წლამდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას-მიერ, ტფილისი, კ.ი. მუხრან-ბატონის გამოცემა (მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.), 1897, გვ. 68-72.

¹⁷³ შენიშვ. თ. ჟორდანიას მიერ თხზულების ტექსტი დაიბეჭდა საეკლესიო მუზეუმის №76 ხელნაწერის მიხედვით.

¹⁷⁴ გაბიძაშვილი, ე., რუის-ურბნისის კრების მეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978.

¹⁷⁵ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 380.

¹⁷⁶ არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 283-284.

¹⁷⁷ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: მეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 156.

¹⁷⁸ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, თბილისი, ციციანთელა, 2013, გვ. 109-110.

VIII ს.-ის აგიოგრაფიული ძეგლი, იოანე საბანისძის „წამება ჰაზომისი“ შეიცავს ქადაგების ნიმუშს. აგიოგრაფიული ნაწარმოების სრული სათაურია „წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესითა ჰაზომისი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჯელითა სარკინოზთადათა¹⁷⁹, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისადათა“. თხზულების ოთხ თავად დანაწილება ავტორისეულია.

პ. ინგოროყვა, „აზოს წამების“ მეოთხე თავს – „ქება წმიდისა მოწამისა ჰაზომისი“ – ძველქართული სასულიერო პოეზიის ნიმუშად თვლის და ყოფს სტროფებად¹⁸⁰. რ. სირაძე „აზოს წამებას“ პოლიჟანრულ თხზულებად მიიჩნევს, კერძოდ, პირველ თავს – „ღმრთის-მსახურებისათვის შეკრებულთა მათ უწყება და მარტვილთ-მოყვარეთა მათ სწავლა და ახლისა ამის მოწამისა მოხსენება წმიდისა ჰაზომისი“ – ქადაგებად, ხოლო მეოთხე თავს – „ქება წმიდისა მოწამისა ჰაზომისი“ – ჰიმნოგრაფიად^{181 182}. მათგან განსხვავებით, თხზულების მეოთხე თავის შესახებ კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ეს ქება ან ხოტბა ნამდვილი ნიმუშია ქართული მჭევრმეტყველობითი სიტყვისა, ის მაჩვენებელია, თუ რა სიმაღლეზე ასულა ამ დროს ორატორული ხელოვნება ჩვენში“¹⁸³. ნ. კანდელაკიც ასევე მიიჩნევს, რომ „ამ თხზულების [იოანე საბანისძის აზო ტფილელის მარტვილობა] მეოთხე თავი „ქება წმიდისა მოწამისა ჰაზომისი“ ქადაგების ჟანრის ბრწყინვალე ორატორული ნიმუშია, რომელიც წარმოადგენს თხზულების მთავარი გმირის რიტორიკულ ხოტბას; ბოლო, მეოთხე თავი დართული აქვს ნაწარმოებს ამბიონიდან წასაკითხავად ან წარმოსათქმელად. ყველა ნიშნის მიხედვით ის უფრო მიემართება მსმენელს, ვიდრე მკითხველს“¹⁸⁴. „ქება წმიდისა მოწამისა ჰაზომისი“, როგორც ორატორული ნიმუში, დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – ქების ჟანრს.

არსებობს თხზულების არაერთი ბეჭდური გამოცემა, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“¹⁸⁵, მეორედ – 1899 წელს პ. კარბელაშვილის რედაქციით ცალკე წიგნად¹⁸⁶, იმავე წელს გამოიცა ასევე კირიონ ეპისკოპოსის მიერ¹⁸⁷, 1935 წელს – კ. კეკელიძის მიერ „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურის“ კრებულში¹⁸⁸, 1946 წელს – ს. ყუბანეიშვილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“¹⁸⁹, 1963 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“¹⁹⁰, 2007 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-2 ტომში¹⁹¹. ასევე არსებობს აგიოგრაფიულ თხზულების რუსულად თარგმნილი გამოცემაც, რომელიც ეკუთვნის მ. საბინინს¹⁹². იოანე საბანისძის „ქება წმიდისა მოწამისა ჰაზომისი“ ცალკე გამოქვეყნდა 1913 წელს პ. ინგოროყვას მიერ „ძველ-ქართული სასულიერო პოეზიაში“¹⁹³, 1958

¹⁷⁹ სარკინოზი – არაბი, ისმაიტელი.

¹⁸⁰ ინგოროყვა, პ., ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII-X საუკუნეები, ტფილისი, 1913, გვ. ა-ვ.

¹⁸¹ სირაძე, რ., ქართული აგიოგრაფია, თბილისი, ნაკადული, 1987, გვ. 65.

¹⁸² შდრ. იხ. [ქება] წმიდისა აზომისი, რომელიც ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებია.

¹⁸³ კეკელიძე, კ. (რედ.), ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი I, ტფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935, გვ. 51.

¹⁸⁴ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 21 და გვ. 125; კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1968, გვ. 245-246.

¹⁸⁵ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერა ილუწრითა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 333-350.

¹⁸⁶ კარბელაშვილი, პ. (რედ), წმიდა მოწამე აზო ტფილელი, ტფილისი, გამოცემა საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმისა N3 (მ. შარაძის და ამხ. სტ.), 1899.

¹⁸⁷ კირიონ ეპისკოპოსი, წმიდა მოწამე აზო ტფილელი, ტფილისი, (მ. შარაძის და ამხ. სტ.), 1899.

¹⁸⁸ კეკელიძე, კ. (რედ.), ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი I, ტფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935, გვ. 55-80;

¹⁸⁹ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 55-71.

¹⁹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 46-81.

¹⁹¹ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 2, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 108-139.

¹⁹² Сабинин, М. П., Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. I, Санкт-Петербург, изд. авт., 1871, ст. 166-178.

¹⁹³ ინგოროყვა, პ., ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII-X საუკუნეები, ტფილისი, 1913, გვ.

წელს – ნ. კანდელაკის „ქართულ მჭევრმეტყველებაში“¹⁹⁴, 2013 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-15 ტომში¹⁹⁵, 2019 წელს – მ. გიგინეიშვილის, ლ. გრიგოლაშვილისა და ვ. როდონაიას მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“¹⁹⁶.

შემდეგი ორატორული ნიმუშია [სწავლა, თქმული იოვანე ზედაძნელის მიერ მოწაფეთა მიმართ], რომელიც დაცულია აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთა. რომელთა განანათლეს ქუეყანად ესე ჩრდილოეთისადა ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოზმან სარგებელად, რომელნი ისმენდენ“¹⁹⁷. თხზულების ავტორია არსენ II კათალიკოსი. ორატორული ნიმუში განეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგსა და სწავლის ჟანრს.

არსებობს თხზულების ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“¹⁹⁸, 1946 წელს – ს. ყუბანეიშვილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“¹⁹⁹, 1963 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“²⁰⁰, 2007 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-2 ტომში²⁰¹.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ უზვად მოიპოვება ჰომილეტიკური ლიტერატურის ნიმუშები, კერძოდ, ქადაგების, სწავლისა თუ შესხმის ჟანრის ჩანართები. აგიოგრაფიული თხზულების სრული სათაურია „შრომად და მოლუაწებად ღირსად ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისადა, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისადა, და მის თანა ვსენებად მრავალთა მამათა ნეტართადა“²⁰². თხზულებაში პირველი ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული გრიგოლ ხანძთელის მიერ კელმწიფეთა, მთავართა, აღმზრდელთა და ერისა მიმართ]. დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაციით, იგი განეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

თხზულების ავტორი არის გიორგი მერჩულე, რომელმაც თავისი ნაწარმოები შექმნა გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, კერძოდ, 951 წელს. ავტორი აღნიშნავს: „რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა“²⁰³. ამდენად, ის ეყრდნობოდა სანდო პირთა მონათხრობსა და წერილობით წყაროებს.

თხზულება პირველად აღმოაჩინა ნ. ჩუბინაშვილმა 1845 წელს. არსებობს თხზულების ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1946 წელს ს. ყუბანეიშვილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“²⁰⁴ და „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის

ა-ვ.

¹⁹⁴ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 126-129.

¹⁹⁵ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, ციციანათელა, თბილისი, 2013, გვ. 29-33.

¹⁹⁶ გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., როდონაია, ვ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 2019, გვ. 79-115.

¹⁹⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 191-217.

¹⁹⁸ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 193-208.

¹⁹⁹ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 157-159.

²⁰⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 191-217.

²⁰¹ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 2, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 175-197.

²⁰² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 248-319.

²⁰³ იქვე, გვ. 348-349.

²⁰⁴ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 99-156.

ძეგლებში²⁰⁵, 2007 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-2 ტომში²⁰⁶, 2019 წელს – მ. გიგინეიშვილის, ლ. გრიგოლაშვილისა და ვ. როდონაიას მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“²⁰⁷.

შემდეგი ორატორული ნიმუშია [შესხმა, სტეფანე მტბევარის მიერ გობრონის მიმართ], რომელიც დაცულია „გობრონის წამებაში“. ნაწარმოების სრული სათაურია „წამებად წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით“ და დაიწერა სტეფანე მტბევარის მიერ ამოტ ერისმთავართ-ერისმთავარის ბრძანებით. რაც შეეხება ისტორიულ გარემოებებს, გობრონი ხელმძღვანელობდა ადარბადაგანის ამირის (სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორია) აბულ კასიმის საქართველოში ლაშქრობის დროს ყველისციხის დაცვას და აღესრულა მოწამეობრივად 914 წელს. დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაციით, ორატორული ნიმუში განეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგსა და შესხმის ჟანრს.

არსებობს თხზულების ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“²⁰⁸, მეორედ გამოიცა 1946 წელს ს. ყუბანეიშვილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“²⁰⁹, 1963 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“²¹⁰, 2007 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-2 ტომში²¹¹. არსებობს აგიოგრაფიულ თხზულების რუსულად თარგმნილი გამოცემაც, რომელიც ეკუთვნის მ. საბინინს²¹².

შემდეგი ორატორული ნიმუშია [სწავლა, თქმული იოვანეს მიერ მონასტრის ძმათა მიმართ, 1005 წლის 19 ივნისს], რომელიც დაცულია „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“²¹³. აგიოგრაფიული თხზულების ავტორია გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც აღგვიწერა თავისი მასწავლებლების მოღვაწეობა. ნაწარმოების სრული სახელწოდებაა „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი ეფთვიმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისადა აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა“.

ორატორულ ნიმუშს წინ უძღვის შემდეგი ტექსტი: „და განმგებელად და ეპიტროპად თვთ-მპყრობელნი მეფენი განაწესნა და თქუა, ვითარმედ: „ვინაფთგან მწყალობელი ვინმე და ჯელის-ამპყრობელი და განმგებელი საქმარ არს, რად ვყო გლახაკმან ამან და უნდომან, რამეთუ, დაღაცათუ კადნიერ არს სიტყუად ესე, არამედ მინდობითა ტკბილსა მას მოწყალებასა და სახიერებასა, რომელი-ესე მათითა წყალობითა და შეწევნითა აღვაშენე ლავრაჲ, მათთა-ვე ჯელთა შევჰვედრებ და ჩემ თანა მონათა და მლოცველთა მათთა ეფთვიმეს და გიორგის. რამეთუ დაღაცათუ ყოველსა ქუეყანასა სწყალობენ და ყოველთა გლახაკთა ეურვიან, არამედ ჩუენ უღირსთა ზედა უმეტეს ყოველთასა აჩუენეს წყალობად, ვინაჲ-ცა სამირკუელითგან დიდთა მათ ქველის-მოქმედებათა მათთა მიერ აღვაშენე ლავრაჲ ესე“. ხოლო ძმათა ჰრქუა, ვითარმედ...“²¹⁴ და ამას მოსდევს უშუალოდ იოანე მთაწმინდელის სწავლა ძმათა მიმართ. ორატორული ნიმუშის შემდეგ ვკითხულობთ: „და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა და აღწერით დაუტევა, მერმე აკურთხა ნეტარი ეფთვიმე ზეგარდამოდთა კურთხევითა

²⁰⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 248-319.

²⁰⁶ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 2, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 243-346.

²⁰⁷ გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., როდონაია, ვ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 2019, გვ. 116-192.

²⁰⁸ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონი (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 393-400.

²⁰⁹ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 80-85.

²¹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 172-183.

²¹¹ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 2, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 228-242.

²¹² Сабинин, М. П., Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. II, Санкт-Петербург, изд. авт., 1872, ст. 57-63.

²¹³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, მეცნიერება, 1967, გვ. 58-59.

²¹⁴ იქვე, გვ. 58.

და ჯელთა შინა მისთა წმიდად სული თვისი ღმერთსა შეჰვედრა და მშჯდობით მას ზედა დაწვა და დაიძინა, თთუესა ივნისსა იდ, და მეოხ არს ცხორებისათვის სულთა ჩუენთადას²¹⁵. ნაწარმოებიდან დგინდება ორატორული ნიმუშის წარმოთქმის თვე და რიცხვი – 19 ივნისი (იდ ივნისი), ხოლო იოანეს გარდაცვალების წლად ისტორიაში ცნობილია 1005 წელი²¹⁶. აგიოგრაფიული ნაწარმოებიდან იმასაც ვგებულობთ, რომ ორატორული ნიმუში წარმოთქმულია უშუალოდ იოანეს გარდაცვალების წინ, რაც იძლევა მისი დათარიღების შესაძლებლობას. რაც შეეხება დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, ნიმუში განეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგსა და სწავლის ჟანრს.

არსებობს თხზულების ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“²¹⁷, მეორედ გამოიცა 1946 წელს ს. ყუბანეიშვილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“²¹⁸, 1967 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“²¹⁹, 2019 წელს – მ. გიგინეიშვილის, ლ. გრიგოლაშვილისა და ვ. როდონაიას მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“²²⁰.

შემდეგი ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული გიორგი მცირის მიერ გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო]. გიორგი მცირემ აღგვიწერა თავისი მასწავლებლის, გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობა აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხორება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისადა“, რომელიც დაიწერა 1066-1068 წლებში. გიორგი მცირე მოღვაწეობდა ათონის ივერიის მონასტერში და ითვლება ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელის ლიტერატურული ტრადიციის გამგრძელებლად. ნაწარმოებში ჩართულია ავტორის, გიორგი მცირის [სიტყვა, თქმული გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო]. სიტყვას წინ უძღვის შემდეგი: „მე ესრეთ ვიტყოდი ძმათა მიმართ ჩემთა და ყრმათა მოძღურისა ჩემისათა...“²²¹ და ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი. შემდეგ გრძელდება ბიოგრაფიის თხრობა.

არსებობს გიორგი მცირის აგიოგრაფიული თხზულების მრავალრიცხოვანი ნაბეჭდი გამოცემა, რომლებიც ეფუძნება XVIII საუკუნის ცალკეულ ნუსხებს, მათ შორის, ბეჭდურად პირველად გამოიცა 1882 წელს მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“²²², 1901 წელს – „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით“²²³, 1946 წელს – ს. ყუბანეიშვილის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“^{224 225}, 1967 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“²²⁶,

²¹⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, მეცნიერება, 1967, გვ. 59.

²¹⁶ კეკელიძე, კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1945, გვ. 226.

²¹⁷ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შვერებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 401-432.

²¹⁸ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 178-189.

²¹⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967, გვ. 38-100.

²²⁰ გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., როდონაია, ვ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 2019, გვ. 193-220.

²²¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, მეცნიერება, 1967, გვ. 189-194.

²²² საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შვერებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 437-488.

²²³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, სტამბა გრ. ჩარკვიანისა, 1901, 279-351.

²²⁴ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 190-214.

²²⁵ შენიშვ. ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ ქრესტომათიაში თხზულების ტექსტი იბეჭდება შემოკლებით XII საუკუნის ხელნაწერის (S-353) მიხედვით.

²²⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, მეცნიერება, 1967, გვ. 106-207.

ასევე „მწიგნობრობა ქართულის“ მე-3 ტომში²²⁷. ასევე ცალკე, უშუალოდ ორატორული ნიმუში გამოქვეყნდა 1958 წელს ნ. კანდელაკის წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“²²⁸, 2013 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მე-15 ტომში²²⁹. არსებობს აგიოგრაფიულ თხზულების ნათარგმნი გამოცემებიც, მათ შორის, რუსულად თარგმნილი მ. საბინინის მიერ²³⁰ და ლათინურად – პ. პეტერსის მიერ²³¹. მთელი თხზულებისა და განსაკუთრებით, მასში მოთავსებული სამგლოვიარო სიტყვის მჭევრმეტყველურ მხარეს პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება 1916 წელს გამოცემულ ნაშრომში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“²³². ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

როგორც კვლევამ აჩვენა, ქართულ აგიოგრაფიაში დაცული ორატორული ნიმუშები განეკუთვნება სამკადაგებლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დარგებსა და სიტყვის, სწავლის, ქებისა და შესხმის ჟანრებს.

2.5. ქართული ორატორული ნიმუშები მხატვრული ნაწარმოებიდან

„კალმასობა“, ანუ, როგორც თვით ავტორი უწოდებს, „ხუმარსწავლა“, ორიგინალური ჟანრის ნაწარმოებია. იგი წარმოადგენს XVIII საუკუნის ქართული ენციკლოპედიური ხასიათის ისტორიულ-ლიტერატურულ თხზულებას. ნაწარმოები ასახავს მაშინდელი ცოდნის თითქმის ყველა დარგს. მისი ავტორია იოანე ბატონიშვილი (1767-1830 წწ.²³³). წიგნი შედგენილია პეტერბურგში 1813-1828 წწ.-ში და იწერებოდა 15 წლის განმავლობაში. არსებითად, თხზულება არის ძველი ქართული მწერლობის ბოლო ნაწარმოები და ახალი ქართული მწერლობის პირველი მხატვრული ძეგლი²³⁴.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ გვხვდება ორატორული ნიმუში [ქადაგება, თქმული ომარხანის შემოჭრის თაობაზე]²³⁵. ნ. კანდელაკი თავის ნაშრომში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“ მსჯელობს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულ მხოლოდ ერთ ორატორულ ნიმუშზე, რომლის სათაურად ასახელებს „სიტყვა ერეკლე მეორისადმი“, თუმცა არ ახსენებს კიდევ ერთ ნიმუშს, კერძოდ, [ქადაგება, თქმული ომარხანის შემოჭრის თაობაზე].

იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ წერს: „ხოლო ხვალისადღე დილით ადრე წავიდნენ წმინდანინოს. წირვა მოისმინეს, პარაკლისი იხადეს და მერეთ ბოდბელს სთხოეს, რომ იოანეს ექადაგნა ხალხისათვის. ბოდბელმან ნება სცა. იოანეს მაზარა მოასხეს და კარში გამოიყვანეს. ჭანდრებთან დააყენეს და ხალხი სულ იმრგვლივ იმა მოედნის გარემემო დადგნენ, ვინადგან საყდარში ესეოდენი ხალხი ვერ დაეტეოდა. და რა დარიგდენ ხალხნი და დასხდენ, მაშინ იოანემ აქეთ-იქით თავი დაუკრა, მივიდა, ბოდბელს ხელს აკოცა, და აღვიდა იმა ჭანდრების ქვეშე მალალს ტახტზედ. პირველად სთქვა „სახელითა მამისათა“ და მერე მოითხოვა შენდობა და სთქვა: მე თუმცა ყმაწვილი კაცი ვარ ჯერეთ, და, ჩემის ხარისხის მიხედვით, არა თავსმეყვის ესეოდენსა ერთა შეკრებულებათა წინაშე წარმოდგომად და სიტყვის თქმად, გარნა ბრძანებასა ყოვლად სამღვდელოსასა და მეფის ძისასა ვერ ურჩ ვექმენ,

²²⁷ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული: სასულიერო მწერლობა, ტ. 3, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 65-149.

²²⁸ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 145-149.

²²⁹ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, თბილისი, ციციანათელა, 2013, გვ. 92-97.

²³⁰ Сабинин, М. П., Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. II, Санкт-Петербург, изд. авт., 1872, ст. 161-212.

²³¹ Peeters, P., *Histoires monastiques Géorgiennes*, Bruxelles Bollandistes, 1923.

²³² ჯავახიშვილი, ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII ს.ს.), ტფილისი, აღ. ჯაბადარი (ქართ. ამხანაგობის სტ.), 1916, გვ. 88-91.

²³³ შენიშვ. იოანე ბატონიშვილის დაბადება-გარდაცვალების თარიღების შესახებ იხ. ბარამიძე, აღ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1952, გვ. 372-376.

²³⁴ ბარამიძე, აღ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VIII, თბილისი, მეცნიერება, 1985, გვ. 194.

²³⁵ ბატონიშვილი, ი., კალმასობა, ტ. I, კ. კველიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, სახელგამი, 1936, გვ. 156-163.

რადგან მონოზონთა უფრო რე მორჩილება თანააძთ თვისისა უფროსისა. იმა მიხედვით წინადაგიდებ თქვენ, ძალისამებრ ჩემისა, რადენსამე სწავლისა სიტყვათა... და მერეთ მოჰყვა შემდგომსა სიტყვასა. პირველად აღმოიხრა და მწუხარებით სთქვა...“²³⁶ და ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი. შესაბამისად, იგი დარგობრივად მიეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – ქადაგების ჟანრს.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ასევე გვხვდება მეორე ორატორული ნიმუში [შესხმა, თქმული ერეკლე II-ისადმი]²³⁷. ამასთან, ნ. კანდელაკი აღნიშნული ნიმუშის სათაურს მოიხსენიებს, როგორც „სიტყვა ერეკლე მეორისადმი“. სინამდვილეში კი, ესაა მეფის შესხმა, რასაც ადასტურებს უშუალოდ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოყვანილი შესავალი სცენა: „ხვალისა-დღე წირვის დროს მივიდა სიონში; გარდიხადეს მუნ დღესასწაულობა, და მერეთ წარმოვიდნენ მეფესთან²³⁸. ჯერ სამღვდელოთ მიულოცეს, და მერე დიდებულთა, თავადთა და აზნაურთა, და მერე მოქალაქეთა; ხოლო შემდგომად ამისა წარდგა იოანე²³⁹, თავი დაუკრა მეფესა. რა ბატონმან იოანე იხილა, იცნო, ვინადგან ბატონს თელავის სკოლაში მიებარებინა ალექსის-შვილის დავით რექტორისათვის²⁴⁰, უბრძანა: „ჩემო ფილოსოფოსო, რად გენბავს?“ იოანემ თავი მძიმედ დაუკრა, წინ წარდგა და მოახსენა: „ამ ბედნიერების ხვედრისათვის თქვენს უმაღლესობას მსურს შესხმა მოვახსენო, თუ ღირს-მყოფს თქმად უმაღლესობად თქვენი“. – მეფემან: „მმადლობელი ვიქნები!“ მაშინ იოანე წარდგა და იწყო თქმად შემდგომისა ამის ხატითა ესრეთ...“²⁴¹ და ამას მოსდევს შესხმის ტექსტი. ამდენად, ორატორული ნიმუშის სათაურის მოყვანისას მართებული იქნებოდა გამოგვეყენებინა შემდეგი ფორმულირება: [შესხმა, თქმული ერეკლე II-ისადმი]. შესაბამისად, სწორი იქნება ასევე, თუ ორატორულ ნიმუშს დარგობრივად მივაკუთვნებდით სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – შესხმის ჟანრს. იოანე ბატონიშვილის [შესხმა, თქმული ერეკლე მეორისადმი] წარმოადგენს მეფის მჭევრმეტყველურ ხოტბას. „კალმასობის“ ავტორის მიერ სიტყვა მიეწერება ისტორიულ პიროვნებას იონა ხელაშვილს. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი ი. ბატონიშვილის ნაშრომის პერსონაჟია და არა მხოლოდ ეს სიტყვა, არამედ დიალოგების დიდი ნაწილი წარმოდგენილია მის „სახელსა ზედა“, როგორც თვითონ ამბობს ერთ პირად წერილში²⁴². ამ საბუთით ეს სიტყვა „კალმასობის“ ავტორის (და არა პერსონაჟის) ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ი. ბატონიშვილმა მართლაც გამოიყენა მასალის სახით ი. ხელაშვილის რომელიმე ორატორული ნიმუში.

ნ. კანდელაკი თავის ნაშრომში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“ მსჯელობს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულ ამ ორატორულ ნიმუშზე: „საქმე ისეა დახატული, თითქოს ეს სიტყვა თავის დროზე ცნობილ მქადაგებელს იონა ხელაშვილს (1772-1837) უთქვამს მეფის წინაშე. სინამდვილეში, უნდა ვიფიქროთ, სიტყვა შეთხზულია იოანე ბატონიშვილის მიერ, როგორც ერთგვარი ორატორული ნიმუში, რომელიც, ალბათ, არასოდეს არ წარმოთქმულა. „კალმასობა“ დაწერილია 1813-1828 წლებში და მის ფურცლებზე მოთავსებული სიტყვაც ამ პერიოდის ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ისიც შესაძლოა, რომ ეს სიტყვა უფრო ადრე შეიქმნა, თავის დროზე წარმოითქვა კიდევ და შემდეგ „კალმასობის“ მასალად გადაიქცა. ასეა თუ ისე, ხსენებული სიტყვა ი. ბატონიშვილის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს. ეს მართებულია თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვის ენობრივი ფორმა განურჩეველია „კალმასობის“ სადა სიტყვიერი ფორმისაგან და არაფრით არ ჩამოგავს

²³⁶ ბატონიშვილი, ი., კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, სახელგამი, 1936, გვ. 156.

²³⁷ იქვე, გვ. 177-179.

²³⁸ იგულისხმება ერეკლე II (1720-1798 წწ.), მეფე კახეთისა (1744-1762 წწ.-ში) და ქართლ-კახეთისა (1762-1798 წწ.-ში).

²³⁹ იგულისხმება იონა (იოანე) ხელაშვილი – ქართველი ბერი, მწიგნობარი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, მკვლევარი, იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მთავარი პერსონაჟი.

²⁴⁰ იგულისხმება დავით რექტორი (დავით ალექსის ძე (ალექსიშვილი) მესხიშვილი) (1745-1824 წწ.) – ქართველი მეცნიერი, მწიგნობარი, პედაგოგი, კალიგრაფი. 1783 წელს გაიოზ რექტორის რუსეთში გამგზავრების შემდეგ, იყო თელავის სემინარიაში ჯერ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო 1790 წლიდან სემინარიის გაუქმებამდე, 1801 წლამდე მისი რექტორი.

²⁴¹ ბატონიშვილი, ი., კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, სახელგამი, 1936, გვ. 177.

²⁴² კარიჭაშვილი, დ., დამატებითი შენიშვნა, – საქართველოს არქივი, წიგნი II, ტფილისი, 1927 წ., გვ. 187.

იონა ხელაშვილის ღვლარქნილ მეტყველებას²⁴³. მიუხედავად იმისა, რომ ნ. კანდელაკის მოსაზრება გამოთქმულია მეორე ორატორული ნიმუშის ([შესხმა ერეკლე მეორისადმი]) თაობაზე, არსებითად, იგივე თვალსაზრისი შესაძლოა გავავრცელოთ პირველი ორატორული ნიმუშის ([ქადაგება, თქმული ომარ-ხანის შემოჭრის თაობაზე]) მიმართაც.

ნ. კანდელაკის წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება“ გამოქვეყნდა იოანე ბატონიშვილის [შესხმა, თქმული ერეკლე II-ისადმი]²⁴⁴, ხოლო [ქადაგება, თქმული ომარ-ხანის შემოჭრის თაობაზე] არ დაბეჭდილა. წინამდებარე ჟურნალში მოყვანილია ორივე ორატორული ნიმუში.

2.6. ქართული ორატორული ნიმუში ისტორიული პოემიდან

აკაკი წერეთლის ისტორიულ პოემა „თორნიკე ერისთავი“ დაცულია ერთი ორატორული ნიმუში, კერძოდ, [სიტყვა, თქმული თორნიკე ერისთავის მიერ დარბაზის წინაშე]. სიტყვა გამოირჩევა იმით, რომ ის ლექსის ფორმითაა გადმოცემული, თუმცა ატარებს საჯარო გამოსვლისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს. ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. პოემის ძირითადი სიუჟეტი აგებულია X საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდის ისტორიულ მოვლენებზე. საქართველოს ისტორიის აღნიშნული მონაკვეთი გამორჩეულია იმით, რომ სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი ქვეყნის გაერთიანებას.

თორნიკე ერისთავი იყო ტაოელი დიდებულის, ჩორდვანელის ძე, ბერად აღკვეცის შემდეგ იოანე-თორნიკედ წოდებული, X საუკუნის II ნახევარში ცნობილი ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე იყო. ერთხანს იოანე-თორნიკე ათონის მთაზე, განთქმულ ათანასე დიდის ლავრაში, იყო ბერად შემდგარი. X საუკუნის 60-იან წლებში ათანასეს ლავრაში მოვიდნენ ქართველები – იოანე (იოანე ათონელი) ბერი, მისი ძე ეფთვიმე ათონელი და თორნიკე ერისთავი, რომლებიც ერთ წელიწადზე მეტ ხანს დარჩნენ ლავრაში, შემდეგ კი მათ სხვა ქართველებთან ერთად ათონის ივერთა მონასტერი ააშენეს. იოანე-თორნიკე საქართველოს ისტორიაში ცნობილია, აგრეთვე, როგორც დავით კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, რომლის დახმარებითაც X საუკუნის 70-იან წლებში (976-979 წწ.) ჩაახშეს საიმპერატორო ტახტის წინააღმდეგ ამბოხებული ძღვეამოსილი ბიზანტიელი სარდლის, ბარდა სკლიაროსის აჯანყება. დავით კურაპალატმა თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკ ერისთავთერისთავის სარდლობით ბიზანტიაში გაგზავნა 12 ათასი ქართველი მეომარი, რომლებმაც სასტიკად დაამარცხეს ბარდა სკლიაროსი და ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დაპირებული ტერიტორია („ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი“) დავით კურაპალატს გადასცა. სამხედრო ნადავლიდან მიღებული წილი იოანე-თორნიკემ ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, უდიდესი ნაწილი კი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა. 980 წელს ბიზანტიის კეისარმა იოანე-თორნიკეს სვინგელოზის (პატრიარქის თანამემწე ბერი) წოდება უბოძა.

აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ მრავალჯერ გამოქვეყნდა. საყურადღებოა შემდეგი გამოცემები: პროკლე კეკელიძის „აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები“²⁴⁵, აკაკი წერეთლის რჩეული ნაწარმოებები²⁴⁶ და სხვ.

2.7. ქართული ორატორული ნიმუშები ისტორიული რომანიდან

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე (1839-1913 წწ.) სამწერლობო და

²⁴³ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 36-37.

²⁴⁴ იქვე, გვ. 250-252.

²⁴⁵ კეკელიძე, პრო., აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები: თორნიკე ერისთავი, ნათელა: ტექსტოლოგიური გამოკვლევა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1961, გვ. 99-154.

²⁴⁶ წერეთელი, აკ., რჩეული ნაწარმოებების ხუთტომეული, ტ. II, პოემები, დრამატული ნაწარმები ლექსად, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1989, გვ. 24-82.

პუბლიცისტური მოღვაწეობის გარდა, იურიდიულ საქმიანობასაც ეწეოდა საქართველოში; იგი ჯერ სასამართლო გამომძიებელი იყო, შემდეგ მომრიგებელი მოსამართლე და ერთხანს ადვოკატიც. XIX საუკუნის 70-იან წლებში ანტონ ფურცელაძე სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში მოღვაწეობდა როგორც ადვოკატი. პირადი არქივის შესწავლიდან ირკვევა, რომ სამეგრელოს სასამართლოში ერთ-ერთ საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესზე მას ევალებოდა სისხლის სამართალში მიცემულთა დაცვა, სასამართლოზე წარმოუთქვამს დაცვითი სიტყვაც, რომელიც შემდეგ შეუსწორებია. ეს სიტყვა მწერალმა შემდეგ გამოიყენა თავის ცნობილ რომანში „მაცი ხვითია“.

„მაცი ხვითია“ პირველად გამოქვეყნდა 1872 წელს ჟურნალ „მნათობში“²⁴⁷. ქვესათაურად წამძღვარებული აქვს „ისტორიული რომანი მეგრულის ცხოვრებიდან“ და ფრჩხილებში „ეს რომანი ეკუთვნის 500 წლის წინათ დროებას“. ნაწარმოებში აღწერილია მაცი ხვითი საქმეზე გამართული სასამართლო პროცესი; მოყვანილია ჯერ ბრალმდებლის პირველი საბრალდებო სიტყვა²⁴⁸, შემდეგ ამას მოსდევს ვინმე მარსელელი ადვოკატის დაცვითი სიტყვა²⁴⁹ და ბოლოს, ბრალმდებლის დასკვნითი საბრალდებო სიტყვა²⁵⁰. უნდა აღინიშნოს ის, რომ როგორც საბრალდებო, ისე დაცვითი სიტყვები ამ ნაწარმოების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია²⁵¹. რაც შეეხება მარსელელ ადვოკატს, ნაწარმოებში მის შესახებ ნათქვამია, რომ მაცი ხვითი საშველად, მისმა ცოლმა, ეკამ დაიქირავა მარსელელი ადვოკატი, რომელიც საფრანგეთიდან ამ საქმის გამო ჩამოვიდა. სასამართლოს ეპიზოდში, ცხენის ქურდობაში ბრალდებული მაცი ხვითი დამცველად გამოყვანილი ვინმე მარსელელი ადვოკატი ლიტერატურული პერსონაჟია და დაცვითი სიტყვა მისი პირითაა წარმოთქმული. თუმცა, სინამდვილეში, ეს არის მხოლოდ მხატვრული ხერხი და რეალურად, ეს სიტყვა ისევე, როგორც დანარჩენი სიტყვები თავად ავტორის, ანტონ ფურცელაძის მიერაა შედგენილი.

ნაწარმოებში მაცი ხვითი საქმის შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: „მოვიდა დღე მაცის გასამართლებისა. ორი გამოჩენილი ადვოკატი ერთი ბრალმდებელათ და მეორე გამმართებელათ უნდა შეყრილიყვნენ იმისთანა კაცზედ, რომლისაც მოქმედებები ცხადათ იყვნენ დამტკიცებულნი არამც თუ მარტო სხვა პირთა ჩვენებაებითა, არამედ თვით დამნაშევისაგან გამოტებითა. მრავალი ხალხი შეიყარა ამ ამბის საყურებლათ არამცთუ მარტო სამეგრელოსა და აფხაზეთიდან, და თვით ქართლისა და იმერეთიდანაც. თვით მეფეც დაესწრო ამ სჯაში. შემოიყვანეს მაცი და მაცისთან თანამოზიარენი. იმათ შემოჰყვნენ თოფიარლიანი ყარაულები და ხმალ ამოღებული პირები საიდუმლო პოლიციისა. შემოვიდნენ მოსამართლენი და დაფიცებული მამბოხელნი. შემოვიდა ბრალდებულიცა. შემოვიდა მაცის ადვოკატიცა“²⁵². ნაწარმოებში სრულადაა აღწერილი სასამართლო პროცესი და მოყვანილია ორივე მხარის დაცვითი და საბრალდებო სიტყვები.

მარსელელი ადვოკატის დაცვითი სიტყვა, როგორც ორატორული ნიმუში, მოგვიანებით, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1974 წელს გამოქვეყნდა შემოკლებული სახით ვ. სიდამონიძის მიერ შედგენილ კრებულში „ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება“²⁵³. ნიმუშს სათაურად აწერია „ანტონ ფურცელაძის დაცვითი სიტყვა“. სამივე ორატორული ნიმუში – ბრალმდებლის პირველი საბრალდებო სიტყვა, მარსელელი ადვოკატის დაცვითი სიტყვა და ბრალმდებლის დასკვნითი საბრალდებო სიტყვა – დარგობრივად მიეკუთვნება სამოსამართლო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად, შესაბამისად – დაცვითი და საბრალდებო სიტყვის ჟანრს.

2.8. ქართული ორატორული ნიმუშები მემუარული ნაწარმოებიდან

²⁴⁷ ჟურნალი „მნათობი“, იანვარ-ივლისი, 1872, №1-7.

²⁴⁸ ჟურნალი „მნათობი“, ივნისი და ივლისი, 1872, №6-7, გვ. 37-39.

²⁴⁹ იქვე, გვ. 39-55.

²⁵⁰ იქვე, გვ. 56-62.

²⁵¹ შენიშვ. მომდევნო ჟურნალებში იგეგმება დაცვითი სიტყვის შემოკლებული ვერსიის დაბეჭდვაც. წინამდებარე ჟურნალში კი გთავაზობთ მხოლოდ ისტორიული რომანიდან აღებულ როგორც დაცვით, ისე საბრალდებო სიტყვებს.

²⁵² ჟურნალი „მნათობი“, ივნისი და ივლისი, 1872, №6-7, გვ. 36.

²⁵³ სიდამონიძე, ვ. (შემდგ.), ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1974, გვ. 126-131.

კ. ბოროზდინის მემუარული ნაწარმოები „სამეგრელო და სვანეთი“ შეიცავს შემდეგ ორატორულს ნიმუშებს: „სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ რუსი მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ“²⁵⁴ და „სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის წინაშე“²⁵⁵. ორატორული ნიმუშები დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ქართული სადარბაზო მჭევრმეტყველებას ჩაენაცვლა ე.წ. „ხალხური პოლიტიკური მჭევრმეტყველება“. ამ დარგის პირველ წარმომადგენლად, ნ კანდელაკი და ც. ბარბაქაძე ასახელებენ სწორედ 1857 წლის აჯანყების მეთაურს მჭედელ უტუ მიქავას, რომლის რამდენიმე ორატორული ნიმუშია მოღწეულია ჩვენამდე მემუარული პროზის მეშვეობით²⁵⁶. „ხალხური პოლიტიკური მჭევრმეტყველების“ სხვა ნიმუშებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. ასეთ პირობებში კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უტუ მიქავას გადარჩენილ ორატორულ მემკვიდრეობას. მისი საჯარო გამოსვლის ნიმუშები შემონახულია კ. ბოროზდინის მემუარულ ნაწარმოებში „სამეგრელო და სვანეთი“, სადაც მოთავსებულია ორატორის ორი სიტყვა: პირველია „სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ რუსი მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ“²⁵⁷, ხოლო მეორე „სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის წინაშე“²⁵⁸.

რაც შეეხება ისტორიულ ვითარებას, ცნობილია, რომ 1857 წელს სამეგრელოში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ეკატერინე დადიანმა დახმარებისათვის რუსეთის ხელისუფლებას მიმართა, იგი გლეხთა სასტიკად დასჯას თხოულობდა, მთავრობამ ეს მომენტი სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისათვის გამოიყენა და აჯანყების მიზეზად მმართველობის უვარგისობა ჩათვალა. 1857 წლის 26 სექტემბერს სამეგრელოს დროებით მმართველად გენერალი ნ. კოლუბიაკინი დაინიშნა. ჩვენამდე მოღწეული ორი საჯარო გამოსვლის სიტყვიდან ერთი მიემართება სწორედ გენერალ ნ. კოლუბიაკინს, ხოლო მეორე – ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს. თვითონ უტუ მიქავას შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული: „ცალმხრივი იქნებოდა უტუს პიროვნების გაშუქება, თუ აქვე მოკლედ მაინც არ გავიხსენებდით მის მჭევრმეტყველურ ნიჭს. ამ მხრივ მას ბადალი არა ჰყავდა თავის ამხანაგებში. ის ამით ბუნებით იყო დაჯილდოებული და სხვას რომ თავი ვანებოთ, რუსის ისეთი მოხელენი, რომელნიც უშუალოდ ისმენდნენ მის სიტყვას, მისი ლაპარაკის სიძლიერე-სითამამეს, როგორცაა ბოროზდინი, ერისთავი, მიქელაძე – გაკვირვებაში ვარდებოდნენ“²⁵⁹.

კ. ბოროზდინის „სამეგრელო და სვანეთი“ ქართულად თარგმნა თ. სახოკიამ. წიგნი გამოქვეყნდა სულ ორჯერ: პირველად გამოიცა 1934 წელს²⁶⁰, მეორედ – 2019 წელს²⁶¹. პირველი „სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ რუსი მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ“, ცალკე გამოქვეყნდა 1968 წელს ნ. კანდელაკის „ქართულ მჭევრმეტყველებაში“²⁶². წინამდებარე ჟურნალში ორივე სიტყვა მოგვყავს პირველი გამოცემიდან. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

დასკვნა

²⁵⁴ ბოროზდინი, კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: მოგონებანი, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ, ტფილისი, სახელგამი, ცეკავშირის სტამბა, 1934, გვ. 114-116.

²⁵⁵ იქვე, გვ. 150-151.

²⁵⁶ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 151; ბარბაქაძე, ც., ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა, თბილისი: ქართული ენა, 2003, გვ. 171.

²⁵⁷ ბოროზდინი, კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: მოგონებანი, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ, ტფილისი, სახელგამი, ცეკავშირის სტამბა, 1934, გვ. 114-116.

²⁵⁸ იქვე, გვ. 150-151.

²⁵⁹ კოლხიდელი, მ., გლეხების აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა (ისტორიული მონოგრაფია), ტფილისი, თვით-შრომა, 1926, გვ. 72-73.

²⁶⁰ ბოროზდინი, კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: მოგონებანი, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ, ტფილისი, სახელგამი, ცეკავშირის სტამბა, 1934.

²⁶¹ ბოროზდინი, კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: კავკასიური მოგონებანი, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ, თბილისი, პეგასი, 2019.

²⁶² კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 152-153.

ქართული ორატორული ხელოვნების ისტორია ცნობს ისეთ ნიმუშებს, რომლებიც სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოების შემადგენელი ნაწილია. წინამდებარე ჟურნალის მიზანი იყო შეძლებისდაგვარად ამომწურავად წარმოგვედგინა სწორედ იმგვარი ორატორული ნიმუშები, რომლებიც დამოუკიდებელი სახით არაა ჩვენამდე მოღწეული, არამედ წარმოადგენს ამა თუ იმ ნაწარმოების შემადგენელ ნაწილს.

ნიმუშების მოძიებისას, გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის წყარო, მათ შორის, საისტორიო ნაწარმოებები, კანონიკური სამართლის ძეგლები, აგიოგრაფიული თხზულებები, მხატვრული ნაწარმოებები, ისტორიული პოემები და რომანები. ამათგან ორატორული ნიმუშების შემცველი საისტორიო წყაროებიდან გვაქვს როგორც საკუთრივ ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი წყაროები. გარდა ამისა, უცხოენოვან წყაროებში დაცული ორატორული ნიმუშების შემთხვევაში, წარმოდგენილია ჩვენ ხელთ არსებული ქართულენოვანი და ინგლისური თარგმანები. წინამდებარე ჟურნალში ორატორულ ნიმუშთა ტექსტის მოყვანისას, აქცენტი კეთდება აკადემიურ გამოცემებსა და პირველწყაროებზე. ორატორული ნიმუშების ტექსტები მოყვანილი გვაქვს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

მოკლე მიმოხილვებში წარმოდგენილია თითოეული ორატორული ნიმუშის შესახებ ძირითადი ინფორმაცია: ნიმუშის სათაური, ავტორი, წარმოთქმის ადგილი და თარიღი (თუ ეს დგინდება), პირველი ნაბეჭდი გამოცემა, შემდგომი ნაბეჭდი გამოცემები, დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია და ა.შ. აღნიშნულ ორატორულ ნიმუშთა დარგობრივ და ჟანრობრივ კუთვნილებას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ აქ წარმოდგენილია სადარბაზო, პოლიტიკური, საელჩო, სამხედრო, სამოსამართლო, სამქადაგებლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დარგები და სიტყვის, ქადაგების, შესხმის, ქების, საბრალდებო და დაცვითი სიტყვის ძირითადი და დამხმარე ჟანრები. ყველა ორატორული ნიმუშისთვის, შეძლებისდაგვარად, დადგენილია წარმოთქმის თარიღი. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ნიმუშისთვის ეს ინფორმაცია ვერ დაზუსტდება, მაგალითად, როგორც ეს გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებებში ჩართული ნიმუშების შემთხვევაში. ხოლო რაც შეეხება ისტორიული თხზულებების შემადგენელ ორატორულ ნიმუშებს, უმეტესი მათგანი მოყვანილია შესაბამისი თარიღის მითითებით; ქრონოლოგიურად, იწყება VI საუკუნის უცხოურ წყაროებში დაცული ნიმუშებით და მთავრდება XIX საუკუნის ორატორული ნიმუშებით.

წინამდებარე ჟურნალში წარმოდგენილია თითოეული ორატორული ნიმუშის მოკლე მიმოხილვები ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც საშუალებას მისცემს არაქართულენოვან მკითხველს, გაეცნოს ინფორმაციას მათ შესახებ. ჩვენ მივესალმებით ამგვარ პრაქტიკას იქიდან გამომდინარე, რომ ამით გავზრდით ქართულენოვანი და თუნდაც უცხო ენაზე დაცული ორატორული ნიმუშების მიმართ ცნობადობას საერთაშორისო სამეცნიერო თუ არასამეცნიერო წრეებში.

ჟურნალის ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ წინამდებარე გამოცემა პირველად აერთიანებს და გაცილებით უფრო სრული სახით გვთავაზობს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში ცნობილ თუ უცნობ ყველა იმ ორატორულ ნიმუშს, რომელიც ამა თუ იმ ნაწარმოების შემადგენელი ნაწილია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალში შეტანილი ცალკეული ნიმუში მართალია აქამდე არაერთგზის გამოქვეყნდა, თუმცა ისინი მიმოფანტულია სხვადასხვა გამოცემაში, წინამდებარე ჟურნალი კი, ერთად უყრის თავს უკვე ცნობილ ორატორულ ნიმუშებს თემატური თვალსაზრისით, ასევე მასში პირველად ქვეყნდება ზოგიერთი უცნობი ორატორული ნიმუშიც. აქვე უნდა ითქვას, რომ ჟურნალის ძირითადი თემატური ხაზი მთლიანად დაცულია და მკითხველს ქართული მჭევრმეტყველებიდან ვთავაზობთ მხოლოდ ისეთ ორატორულ ნიმუშებს, რომლებიც დამოუკიდებელი სახით არაა წარმოდგენილი და არის ამა თუ იმ ნაწარმოების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი.

**I. ქართული ორატორული ნიმუშები უცხოური საისტორიო
ნაწარმოებებიდან**

**I. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE FOREIGN
HISTORICAL WORKS**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

უცხოენოვან წყაროში დაცული ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ლაზი ელჩების მიერ სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის წინაშე], რომელიც გვხვდება VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულებაში²⁶³. ნ. კანდელაკის შეფასებით, „ეს სიტყვა ქრონოლოგიურად პირველი ორატორული ძეგლია, რომელიც მოღწეულია ჩვენამდესრულისა ხით და, ჯერხნობით, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის ყველაზე ადრინდელ მთლიან ქმნილებად უნდა ჩაითვალოს“²⁶⁴. სიტყვა წარმოითქვა დაახლოებით 540 წელს.

პროკოპი კესარიელი არის ავტორი არაერთი მეტად საყურადღებო ნაშრომისა, რომელთა შორის იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას აღწერს მისი მეოთხე წიგნი. ამ წიგნში ბიზანტიის კეისრის იუსტინიანე I-ის (527–565 წწ.) დროინდელი ომებია აღწერილი და იმავე პერიოდის საქართველოს ისტორიული ამბებია წარმოდგენილი. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება საელჩო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე, მათ შორის, პირველად, 1890 წელს – ა. ჭყონიას მიერ²⁶⁵, 1934 წელს – ს. ყაუხჩიშვილის მიერ „გეორგიკაში“²⁶⁶, 1968 წელს – ნ. კანდელაკის მიერ „ქართულ მჭევრმეტყველებაში“²⁶⁷.

წინამდებარე ჟურნალში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი თარგმანები, რომელთაგან ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს²⁶⁸, ხოლო ინგლისური თარგმანი – ჰ. ბ. დიუინგს²⁶⁹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

²⁶³ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 16-195.

²⁶⁴ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 30.

²⁶⁵ ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 349-351.

²⁶⁶ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 48-53.

²⁶⁷ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 590-591.

²⁶⁸ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 48-53.

²⁶⁹ Procopius with an English translation by H. B. Dewing, in six volumes, History of the Wars, Vol. I, Books I-II, Loeb Classical Library, London William Heinemann, 1914, pp. 391-395.

The text was typed, the dictionary, notes,
Explanations and a brief overview
were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

One of the earliest oratorical samples of Georgian rhetoric preserved in a foreign language source, is [The speech by Lazi Envoys in front of the King Khosrow I of Persia], placed with the sixth-century Byzantine historian Procopius of Caesarea²⁷⁰. According to N. Kandelaki's assessment, "This speech is chronologically the first oratorical monument, which has reached to us in its full form and, so far, should be considered as the earliest complete creation in the history of the Georgian rhetoric."²⁷¹ The speech was spoken about 540 AD.

Procopius of Caesarea is the author of a number of noteworthy works, among them which his fourth book describes the political situation in Georgia at that time. This book describes the wars of the time of the Byzantine Emperor Justinian I (527–565) and presents the historical stories of Georgia of the same period. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the embassy rhetoric, and to the speech genre.

The speech was published several times; for the first time, in 1890 – by A. Tchkonია²⁷², in 1934 – in "Georgica" by S. Kauhchishvili²⁷³; in 1968 – by N. Kandelaki in "Georgian Rhetoric"²⁷⁴.

In the present edition, we have printed the Georgian and English translations of the oratorical sample, the Georgian translation of it belongs to S. Kauhchishvili²⁷⁵, and the English translation to H. B. Dewing²⁷⁶. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

²⁷⁰ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 2, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Publication of the Georgian Historical and Ethnographic Society, 1934, pp. 16-195 (in Greek and Georgian).

²⁷¹ Kandelaki, N., Georgian Rhetoric, Tbilisi, Soviet Georgia, 1968, p. 30 (in Georgian).

²⁷² Tchkonია, A., Historical Essay, or Chrestomathy for the History of Georgia: From Ancient Times to the Reign of the Bagrationis, Tbilisi, 1890, pp. 349-351 (in Georgian).

²⁷³ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 2, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Publication of the Georgian Historical and Ethnographic Society, 1934, pp. 48-53 (in Greek and Georgian).

²⁷⁴ Kandelaki, N., Georgian Rhetoric, Tbilisi, Soviet Georgia, 1968, pp. 590-591 (in Georgian).

²⁷⁵ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 2, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Publication of the Georgian Historical and Ethnographic Society, 1934, pp. 48-53 (in Greek and Georgian).

²⁷⁶ Procopius with an English translation by H. B. Dewing, in six volumes, History of the Wars, Vol. I, Books I-II, Loeb Classical Library, London William Heinemann, 1914, pp. 391-395.

სიტყვა

თქმული ლაზი ელჩების მიერ სპარსეთის მეფის ხოსრო I-ის წინაშე

„თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეგხვედრია ისეთები, რომელნიც რაღაცნაირად თავისიანთაგან გადამდგარან და სრულიად უცხო ხალხს მიჰკვდილებიან – რასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა – და კეთილად შეტრიალებულ ბედს ისინი კვლავ თავისიანებისთვის დაუბრუნებია უფრო მეტად დაკმაყოფილებულნი, – ირწმუნე, დიდებულო მეფე²⁷⁷, რომ ასეთები ლაზებიც არიან. კოლხები²⁷⁸ ხომ ძველითაგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ეხლაც არის დაცული, ხოლო შემდეგ ხანებში ჩვენს წინაპრებს მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა – მოხდა კი ეს ან თქვენი უზრუნველობით იმათზე, ან სხვა მიზეზის გამო (ჩვენ ამის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით). ეხლა კი ჩვენ და ლაზიკის მეფე²⁷⁹ გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ გსურთ, ხოლო გთხოვთ თქვენ განსაჯოთ ჩვენ შესახებ შემდეგნაირად: თუ ჩვენ რომაელებისაგან არავითარი უბედურება არ განგვიცდია, არამედ უვიცობით შეპყრობილნი გადმოვდივართ თქვენკენ, უმაღვე უკუაგდეთ ჩვენი თხოვნა თქვენ, რომელნიც იფიქრებთ, რომ კოლხები არც თქვენი ერთგული იქნებიან ოდესმე (ვინაიდან დარღვეული მეგობრობის მაგალითი ამის შემდეგ სხვებთან დადგენილი მეგობრობის საზომად შეიქმნება). ხოლო თუ ჩვენ რომაელების მეგობრები ვიყავით სიტყვით, საქმით კი – ერთგული მონები, და ჩვენი მიმძლავრებლებისაგან უწმინდური საქმეები განვიცადეთ, მიგვიღეთ ჩვენ, წინანდელი მოკავშირეები: გაიჩინეო მონებად ისინი, ვინც თქვენ მეგობრებად გყავდათ; შეიზიზღეთ მწარე მიმძლავრება, თქვენ მეზობლად რომ აღმართულა ჩვენზე, და თქვენ იქით სამართლიანობის ღირსეულ საქმეს, რომელზე ზრუნვაც მუდამ მამაპაპეული წესი იყო სპარსელებში უსამართლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის. საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენ წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის²⁸⁰ ეშინიან. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰკატრონებოდნენ. იმ აზრით რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი, მეფეც, რანაირ დასკვნამდე მივიდნენ: რაც კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო, რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკეს შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თვითეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისდა მიხედვით. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გვმძლავრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრილმალე, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის. აი, ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა. იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის

²⁷⁷ მეფე – იგულისხმება ხოსრო I ანუშირვანი (496-579 წწ.), სპარსეთის მეფე, სასანიდური ირანის 22-ე შაჰინშაჰი 531-579 წლებში.

²⁷⁸ კოლხები – სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ძველი ქართველი ტომების საერთო სახელი, აქ იგულისხმებიან ლაზები.

²⁷⁹ ლაზიკის მეფე – იგულისხმება გუბაზ II (გ. 554), რომელმაც 540 წელს ლაზი ელჩები გაუგზავნა ირანის შაჰს ხოსრო I ანუშირვანს.

²⁸⁰ სტრატეგოსი – სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელი.

ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. ყოველ შემთხვევაში თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა²⁸¹ დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა. მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული.“

²⁸¹ ლაზთა ქვეყანა – ლაზიკა, იგივე ეგრისის სამეფო.

The speech

by Lazi Envoys in Front of the King Khosrow I of Persia

“If any people in all time have revolted from their own friends in any manner whatsoever and attached themselves wrongfully to men utterly unknown to them, and after that by the kindness of fortune have been brought back once more with greatest rejoicing to those who were formerly their own, consider, O Most mighty King²⁸², that such as these are the Lazi. For the Colchians²⁸³ in ancient times, as allies of the Persians, rendered them many good services and were themselves treated in like manner; and of these things there are many records in books, some of which we have, while others are preserved in thy palace up to the present time. But at a later time it came about that our ancestors, whether neglected by you or for some other reason (for we are unable to ascertain anything certain about this matter), became allies of the Romans. And now we and the king of Lazica²⁸⁴ give to the Persians both ourselves and our land to treat in any way you may desire. And we beg of you to think thus concerning us: if, on the one hand, we have suffered nothing outrageous at the hands of the Romans, but have been prompted by foolish motives in coming to you, reject this prayer of ours straightway, considering that with you likewise the Colchians will never be trustworthy (for when a friendship has been dissolved, a second friendship formed with others becomes, owing to its character, a matter of reproach); but if we have been in name friends of the Romans, but in fact their loyal slaves, and have suffered impious treatment at the hands of those who have tyrannized over us, receive us, your former allies, and acquire as slaves those whom you used to treat as friends, and shew your hatred of a cruel tyranny which has risen thus on our borders, by acting worthily of that justice which it has always been the tradition of the Persians to defend. For the man who himself does no wrong is not just, unless he is also accustomed to rescue those who are wronged by others when he has it in his power. But it is worth while to tell a few of the things which the accursed Romans have dared to do against us. In the first place they have left our king only the form of royal power, while they themselves have appropriated the actual authority, and he sits a king in the position of a servant, fearing the general who issues the orders; and they have put upon us a multitude of soldiery, not in order to guard the land against those who harass us (for not one of our neighbours except, indeed, the Romans has disturbed us), but in order that they may confine us as in a prison and make themselves masters of our possessions. And purposing to make more speedy the robbery of what we have, behold, O King, what sort of a design they have formed; the supplies which are in excess among them they compel the Lazi to buy against their will, while those things which are most useful to them among the products of Lazica these fellows demand to buy, as they put it, from us, the price being determined in both cases by the judgment of the stronger party. And thus they are robbing us of all our gold as well as of the necessities of life, using the fair name of trade, but in fact oppressing us as thoroughly as they possibly can. And there has been set over us as ruler a huckster who has made our destitution a kind of business by virtue of the authority of his office. The cause of our revolt, therefore, being of this sort, has justice on its side; but the advantage which you yourselves will gain if you receive the request of the Lazi we shall forthwith tell. To the realm of Persia you will add a most ancient kingdom, and as a result of this you will have the power of your sway extended, and it will come about that you will have a part in the sea of the Romans through our land, and after thou hast built ships in this sea, O King, it will be possible for thee with no trouble to set foot in the palace in Byzantium. For there is no obstacle between. And one might add that the plundering of the land of the Romans every year by the barbarians along the boundary will be under your control. For surely you also are acquainted with the fact that up till now the land of the Lazi has been a bulwark against the Caucasus mountains. So with justice leading the way, and advantage added thereto, we consider that not to receive our words with favour would be wholly contrary to good judgment.”

²⁸² King – Refers to Khosrow I Anushirvani (496-579), King of Persia, 22nd Shahinshah of Sassanid Iran in 531-579.

²⁸³ Colchians – The common name of the ancient Georgian tribes living in the south-eastern and eastern Black Sea coast, here refers to the Laz.

²⁸⁴ King of Lazica – Refers to Gubaz II (d. 554), who sent Lazi Envoys to Shah Khosrow I Anushirvani of Iran in 541.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

უცხოენოვან წყაროში დაცული ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მიერ ლაზი მხედრების მიმართ, მოხირისთან ბრძოლის წინ, 549 წელს], რომელიც გვხვდება VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულებაში²⁸⁵.

პროკოპი კესარიელი არის ავტორი არაერთი მეტად საყურადღებო ნაშრომისა, რომელთა შორის იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას აღწერს მისი მეოთხე წიგნი. ამ წიგნში ბიზანტიის კეისრის იუსტინიანე I-ის (VI ს.) დროინდელი ომებია აღწერილი და იმავე პერიოდის საქართველოს ისტორიული ამბებია წარმოდგენილი. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე, მათ შორის, პირველად, 1890 წელს – ა. ჭყონიას მიერ²⁸⁶, 1934 წელს – ს. ყაუხჩიშვილის მიერ გეორგიკაში²⁸⁷, 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ შედგენილ გამოცემაში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“²⁸⁸, 1997 წელს – ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“²⁸⁹.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი თარგმანები, რომელთაგან ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს²⁹⁰, ხოლო ინგლისური თარგმანი – ჰ. ბ. დიუინგს²⁹¹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

²⁸⁵ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 16-195.

²⁸⁶ ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 352-353.

²⁸⁷ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 117-119.

²⁸⁸ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 104.

²⁸⁹ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 171.

²⁹⁰ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1934, გვ. 117-119.

²⁹¹ Procopius with an English translation by H. B. Dewing, in six volumes, History of the Wars, Vol. V, Books VII-VIII, Loeb Classical Library, London William Heinemann LTD, Harvard University Press, 1962, pp. 121-123.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

One of the earliest oratorical samples of Georgian rhetoric preserved in a foreign language source, is [The Speech by King Gubazes to Lazi Horsemen before the Battle at Mokhiri in 549], placed in the composition of the 6th century Byzantine historian, Procopius of Caesarea²⁹².

Procopius of Caesarea is a Byzantine historian of the first half of the sixth century. He is the author of a number of noteworthy works, among them the fourth book describes the political situation in Georgia of that time. This book describes the wars of the time of Byzantine Emperor Justinian I (VI century) and presents the historical stories of Georgia of the same period. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the military rhetoric, and to the speech genre.

The speech was published several times; for the first time, in 1890 – by A. Tchkonია²⁹³; In 1958 – by N. Kandelaki, in his compiled edition: “Georgian rhetoric: Monuments and Materials”²⁹⁴; In 1965 – in “Georgica” by S. Kauhchishvili²⁹⁵; In 1997 – by V. Katchakhidze in “Rhetoric”²⁹⁶.

In the present edition, we have printed the Georgian and English translations of the oratorical sample, the Georgian translation belongs to S. Kauhchishvili²⁹⁷, and the English translation to H. B. Dewing²⁹⁸. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

²⁹² Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 2, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Publication of the Georgian Historical and Ethnographic Society, 1934, pp. 16-195 (in Greek and Georgian).

²⁹³ Tchkonია, A., Historical Essay, or Chrestomathy for the History of Georgia: From Ancient Times to the Reign of the Bagrationis, Tbilisi, 1890, pp. 352-353 (in Georgian).

²⁹⁴ Kandelaki, N. (Comp.), Georgian rhetoric: Monuments and Materials, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 104 (in Georgian).

²⁹⁵ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 2, Greek text with Georgian translation, Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Publication of the Georgian Historical and Ethnographic Society, 1934, pp. 117-119 (in Greek and Georgian).

²⁹⁶ Katchakhidze, V., Rhetoric: Political, Judicial, Military, Academic, Preaching, Ceremonial, Funeral, Tbilisi, Metsniereba, 1997, p. 171 (in Georgian).

²⁹⁷ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 2, Greek text with Georgian translation, Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Publication of the Georgian Historical and Ethnographic Society, 1934, pp. 117-119 (in Greek and Georgian).

²⁹⁸ Procopius with an English translation by H. B. Dewing, in six volumes, History of the Wars, Vol. V, Books VII-VIII, Loeb Classical Library, London William Heinemann LTD, Harvard University Press, 1962, pp. 121-123.

სიტყვა

თქმული გუბაზ მეფის მიერ ლაზი მხედრების მიმართ, მოხირისთან
ბრძოლის წინ, 549 წელს

„მე არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი თქვენს აღსაფრთოვანებლად. ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული, რასაც ჩვენთან ამჟამად აქვს ადგილი. საფრთხე არსებობს ხომ ცოლებსთვის, შვილებსთვის, სამშობლო ქვეყნისთვის და, ერთი სიტყვით, ყველაფრისთვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს. არავინ არ დაუთმობს იმათ, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საკუთრებისთვის. თქვენ კარგად იცით, რომ წინ აღარაფერი უდგება სპარსელების ანგარებას, როდესაც მათ ეს შეუძლიათ; თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არც თუ მხოლოდ დაგვიმორჩილებენ ან ხარკს დაგვადებენ ან სხვა რამესაც დაისაკუთრებენ – ნუ დავივიწყებთ იმასაც, რაც ამას წინათ ხოსრომ²⁹⁹ ჩაიდინა ჩვენ მიმართ – მაგრამ დე³⁰⁰ სიტყვის ფარგლებში ნუ დავვირჩევა სპარსთა საქმეები, დე ნუ აღიგვება სახელი ლაზთა³⁰¹. ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, მიდთა³⁰² წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე ხელჩართულ ბრძოლაში. მიჩვეულისათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიდუხჭირე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით. ასე რომ შესაფერისი იქნება გძულდესთ მტრები, როგორც ბრძოლაში დამარცხებულნი და არა თქვენსავით აღფრთოვანებულნი. ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ვეღარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედებით.“

²⁹⁹ ხოსრო – ხოსრო I ანუშირვანი (496-579 წწ.), სპარსეთის მეფე, სასანიდური ირანის 22-ე შაჰინშაჰი 531-579 წლებში.

³⁰⁰ დე – დაე (შორისდებული).

³⁰¹ ლაზთა – ლაზი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველური ტომის წარმომადგენლები.

³⁰² მიდთა – მიდიელი = სპარსი = სპარსელი – საკუთარი გეოგრაფიული სახელიდან: მიდია – ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

The speech

by King Gubazes to lazi horsemen before the battle at Mokhiri, in 549

“Fellow-men, I know not whether it is necessary to address any exhortation to you to impel you to be of good courage. For those men whose enthusiasm is upheld by the necessity of circumstances would, I think, need no further exhortation, and this is the case with us, in the present crisis at any rate. For it is your women and children and your ancestral land, and, to speak plainly, your all, which is involved in this danger, for it is to secure these that the Persians are coming upon us. For no one in the whole world gives way to those who are seeking by violence to rob him of any of his possessions, for nature compels him to fight for his property. And you are not ignorant that nothing stops the avarice of the Persians when they have come to have power in their grasp, and if at the present time they prevail over us in the war, they will not stop with simply ruling us or imposing taxes or treating us in other matters as subjects, – a statement which we can test by our own memory of what Chosroes³⁰³ attempted upon us not long ago. But let me not even so much as mention the experience we have had with the Persians, and let not the name of the Lazi³⁰⁴ come to an end. And the struggle against the Medes³⁰⁵, my fellow-men, is not a hard one for us who have many times grappled with them and prevailed over them in the fight. For a task which has become thoroughly familiar entails no difficulty whatever, the necessary labour having been previously expended in practice and experience. Consequently, we shall be obliged because of this fact actually to despise the enemy as having been defeated in previous combats and having no such ground for courage as you have. For when the spirit has been humbled, it is by no means wont to mount again. Holding these thoughts then before your minds, advance with high hopes to close with the enemy.”

³⁰³ Chosroes – Khosrow I Anushirvani (496-579) – 22nd Shahinshah of Sassanid Iran in 531-579. Khosrow I Anushirvani (496-579), King of Persia, 22nd Shahinshah of Sassanid Iran in 531-579.

³⁰⁴ Lazi – Representatives of the Kartvelian tribe living on the south-eastern shore of the Black Sea.

³⁰⁵ Medes = Persian – from its own geographical name: Media – northwestern part of Iran.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ბიზანტიელი პოეტისა და ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის (536-582) საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილია ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული აიეტის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს]³⁰⁶. იგი დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე: პირველად, 1890 წელს – ა. ჭყონიას მიერ³⁰⁷, 1898 წელს – არხიმანდრიტი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილ „სიტყვიერების თეორიაში“³⁰⁸, 1936 წელს – „გეორგიკაში“³⁰⁹, 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ შედგენილ „ქართულ მჭევრმეტყველებაში“³¹⁰, 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილის, ვ. პაპასკირის „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“³¹¹, 2004 წელს – „ქართული დიპლომატიის ისტორიაში“³¹².

წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი თარგმანები, რომელთაგან [სიტყვა, თქმული აიეტის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს] თარგმნილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ³¹³, „სიტყვა კოლხიდელის აიეტისა ლაზთა მეფის გუბადის მოკვლის გამო, თქმული საერო კრებაზედ“ – გრ. ყიფშიძის მიერ³¹⁴, ინგლისურად ჯ. დ. ფრენდოს მიერ³¹⁵.

³⁰⁶ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 64-70.

³⁰⁷ ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 354-358.

³⁰⁸ არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარადისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 266-271.

³⁰⁹ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 64-70.

³¹⁰ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 106-109.

³¹¹ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 105-109.

³¹² ქართული დიპლომატიის ისტორია: ქრესტომატია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 52-56.

³¹³ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 64-70.

³¹⁴ არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარადისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 266-271.

³¹⁵ Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975, pp. 76-79.

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview
were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by Aiet at the people's assembly because of the political situation of Colchis in 554] is presented in historical essays of the Byzantine poet and historian, Agathias Scholasticus (536-582)³¹⁶. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the political rhetoric, and to the speech genre.

The speech was published several times; for the first time, in 1890 – by A. Tchkonია³¹⁷; In 1898 – in “Speech Theory”, compiled by Archimandrite Kyrion and Gr. Kipshidze³¹⁸; In 1936 – in “Georgica” translated by S. Kauhchishvili³¹⁹; In 1958 – in “Georgian Rhetoric”, compiled by N. Kandelaki³²⁰; In 2000 – in “Georgian Oratory Art”, compiled by T. Jagodnishvili, I. Jagodnishvili and V. Papaskiri³²¹; in 2004 – in “History of Georgian Diplomacy”³²².

In the present edition, we have printed the Georgian and English translations of the oratorical sample, including [The Speech by Aiet at the People's Assembly because of the Political Situation of Colchis in 554] translated by S. Kauhchishvili³²³, and “The speech of Colchian Aiet about the murder of Gubadze, the king of Lazians, spoken at a secular assembly” – by Gr. Kipshidze³²⁴, and English translation – by J. D. Frendo³²⁵.

³¹⁶ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 3, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 64-70. (in Greek and Georgian).

³¹⁷ Tchkonია, A., Historical Essay, or Chrestomathy for the History of Georgia: From Ancient Times to the Reign of the Bagrationis, Tbilisi, 1890, pp. 354-358 (in Georgian).

³¹⁸ Archimandrite Kyrion, Kipshidze Gr. (Comp.), Speech Theory: In addition to literary samples, Tbilisi, Printing House of M. Sharadze and Partnership, 1898, pp. 266-271 (in Georgian).

³¹⁹ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 3, Greek text with Georgian translation, Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 64-70 (in Greek and Georgian).

³²⁰ Kandelaki, N. (Comp.), Georgian rhetoric: Monuments and Materials, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 106-109 (in Georgian).

³²¹ Jagodnishvili, T., Jagodnishvili I., Papaskiri V., Georgian Oratory Art (Chrestomathy-Practicum), Tbilisi, Technical University, 2000, pp. 105-109 (in Georgian).

³²² History of Georgian Diplomacy: Chrestomathy, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research Center for the History of Georgian State and Public Diplomacy, Tbilisi, Tbilisi University Press, 2004, pp. 52-56 (in Georgian).

³²³ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 3, Greek text with Georgian translation, Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 64-70 (in Greek and Georgian).

³²⁴ Archimandrite Kyrion, Kipshidze Gr. (Comp.), Speech Theory: In addition to literary samples, Tbilisi, Printing House of M. Sharadze and Partnership, 1898, pp. 266-271 (in Georgian).

³²⁵ Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975, pp. 76-79.

სიტყვა

თქმული აიეტის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის
პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს

„რომაელები³²⁶ რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი; მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ იმ დროს, როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევდნენ, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ექვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად: საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი³²⁷, რომელიც ასე საცოდავად იქმნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს. გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდგან ვეღარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო. ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვზივართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალოთ ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება: თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და, გულხელდაკრფილნი რომ ვისხდებით, უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს. იმათ, ვინც ემორჩილება, ისინი, რა თქმა უნდა, უფრო თავხედურად ეპყრობიან და, ჩვეულებრივ, ქედმაღლურად უყურებენ მოსამსახურეებს. მეფეც³²⁸ გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა: და ეს ბოროტმოქმედება რომ ასე ერთბაშად იქმნა სისრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მხურვალედ მოუწოდებდა ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდგინედ შეასრულეს. მარტო ის კი არ არის, რომ მათ გაგვანადგურეს თუმცა ჩვენ არც უსამართლობა ჩაგვიდენია და არც რაიმე მტრობა ყოფილა ჩვენს შორის, არამედ, რა ჩვეულებაც წინათ ჰქონდათ, იმასვე მისდევნენ, თითქოს ერთბაშად შეეპყრას ისინი სიმხეცეს, სიგიჟეს, სიძულვილს და ყველა სხვა ამგვარ მოვლენას. სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული; ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამ, სანამ ის მტრად რჩება. მე ვინატროდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონოდა მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდა უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდა. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძღურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ. ამრიგად, ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენს ნამდვილ მტერზე, თუ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ დაუსჯელად იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მივიღებთ საჭირო ზომებს, რომ უზრუნველი გავხადოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება. ზედმეტი და უშედეგო იქნება ის გაიძვერობა და ფლიდობა, რომელთაც ისინი მზაკვრული პირფერობითა და ხელოვნური მოპყრობით იყენებენ იმათ მიმართ, ვინც მათ დაენდო, და რომელთა საშუალებით ისინი უსამართლო საქციელს სჩადიან, და ისინი ვეღარ გამოიყენებენ იმათ ჩვენს წინააღმდეგ, თუ მტერთან საერთო აღარაფერი გვექნება და ამკარად გამოვეთიშებით მას. თუ ისინი სცდიან ჩვენთან შეომებას, მათ მოუხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ლაზებთან და სპარსელებთან, ისიც მტრის მიწა-წყალზე, ესე იგი აქ, და ცხადია, მათ შემოტევას ვერ გაუძლებენ.

³²⁶ რომაელები – იგულისხმება ბიზანტიის იმპერიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის მკვიდრნი, რომელთა დაქვემდებარებაშიც აღმოჩნდა ლაზიკა, იგივე ეგრისის სამეფო.

³²⁷ გუბაზი – გუბაზ II (გ. 554) – ეგრისის მეფე VI საუკუნის 40-50-იან წლებში.

³²⁸ მეფე – იგულისხმება იუსტინიანე I (482-565) – ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში.

აი, ეხლახან არ იყო, რომ მიდიელთა მცირედენ ჯარს შეეხნენ მთელი თავისი ჯარით და მაშინვე სასირცხოვად გაიქცნენ ისე, რომ დღემდისაც კი არ მოუთქვამთ სული იმ რბენისაგან? ისინი, ასე ვთქვათ, ყველაფერში დამარცხდნენ; მხოლოდ სისწრაფით აჯობეს დამდევენებლებს.

ამის ცხად და აშკარა მიზეზად შეგვეძლო ჩაგვეთვალა მათი სილაჩრე და ის, რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვისებები ხომ ახასიათებს მათ, როგორც ჭეშმარიტად მათი კუთვნილი და თითქოს თანდაყოლილი. გარდა ამისა ამ, ბუნებით თანდაყოლილ, ცუდ თვისებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლოდ სისხლის დაღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლებულებს უორკვედებათ უბედურება. გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა; მაგრამ არა მგონია ბოროტმოქმედი და სისხლში გასვრილი ადამიანები ოდესმე ეზიარონ ამ კეთილ საწყისს. ამრიგად, თუ ჩვენ გონიერად ვიმსჯელებთ, არ უნდა მივემხროთ იმათ, რომელთაც კარგად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ და რომელთაც ურისხდება ის, ვინც ყველაფრის განმგებელია. მაშასადამე, რომ სპარსელების მხარეზე გადასვლა ჩვენთვის ადვილი და სასარგებლოა და რომ ეს უზენაესსაც ესამოვნება, ეს მტკიცდება საქმით და არა სიტყვით. ეს არ იქნება ჩვენი მხრით არც უსამართლო საქციელი, არც იმის მაჩვენებელი, თითქოს ჩვენ ვერაგნი გამოვდეგით. წინადაც ბევრჯერ მოუყენებიათ შეურაცხყოფა რომაელებს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით ძველ მდგომარეობაში დარჩენას: შეუფერებლად მიგვაჩნდა იოლი გადადგომა იმ სხვადასხვა მიზეზთა გამო რომელნიც თუმცა საშინელნი იყვნენ, მაგრამ მაინც მოსათმენნი და არც თუ ძალიან აუტანელნი. მაგრამ, ჩემის აზრით, არ შეეფერება გონიერ ადამიანებს, რომ ჩვენ სრულის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნებანი და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ, და არაფრით არ შევებრძოლოთ ამ უწმინდურ და შეუფერებელ საქმეებს: ეს უფრო შეეფერება მხდალ და ლაჩარ ადამიანებს, რომლებიც თავისი უქნარობით სახელმწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ. რაც შეეხება ამ უკანასკნელ მკვლელობას, არ მგონია სხვაგან სადმე მომხდარიყოს მაგაზე უფრო დიდი უბედურება, ან რომ მომხდარიყო, ასე იოლად ჩაევლო. ამიტომ არც ჩვენ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ეს საქმე: სასირცხო იქნება, თუ ჩვენ მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დავუწყებთ. ის რომ ეხლა აქ იყოს, საყვედურით აგვავესება და დავგძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ ეს ბოროტმოქმედნი, იმის მაგიერ რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ გამევებულნი, ჯერ კიდევ დაიარებიან ამ მიწა-წყალზე. მაგრამ ვინაიდან ამიერიდან ის ველარ გამოჩნდება ჩვენ შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცი: დე ის წარმოუდგეს თქვენს გონებას, თითქოს ის ამ კრებაზე იყოს და მიგითითებდეს თქვენ თავის ჭრილობაზე, მკერდზე და კისერზე, და თვისტომთ თხოვდეს ეხლა მაინც გადაუხადონ მტერს სამაგიერო. მერმე, რომელი თქვენგანი დაუჭერს მხარს იმათ, რომელნიც ყოყმანობენ და კიდევ მსჯელობენ იმის შესახებ, სამართლიანია თუ არა კოლხების მხრით გუბაზის გლოვა? თუ ჩვენ შეუფერებლად მივიჩნევთ რომაელებისაგან გადადგომას და შევშინდებით, სიფრთხილე გვმართებს, რომ ამ ბოროტმოქმედების მონაწილეებად არ ჩავთვალონ, ვინაიდან დაუდევრობას ვიჩენთ და მიცვალებულის სისხლის აღებას ვაყოვნებთ; რომ მხოლოდ სიცოცხლეში ვეპყრობოდით მას სიყვარულით და სიკვდილის შემდეგ აღარც კი გვახსოვს, ამით უფრო მტკიცდება ჩვენი ორგულობა. თუ საქმეები კარგად მიდის, დიდი უგუნურება იქნება ძველ, ნაცად წესებს ვულაატოთ; ხოლო როდესაც პირიქითაა, ვფიქრობ, უაზრობა იქნება, თუ ჩვენ, რაც შეიძლება მალე, არ შევეგუებით ახლად შექმნილ მდგომარეობას. სიმტკიცე გონიერების თვალსაზრისით უნდა გავსინჯოთ: არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი არ არის საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან. მაგრამ როდესაც ისე ხდება, რომ უგულვებელყოფენ იმას, რაც უნდა ახსოვდეთ, ხოლო აკეთებენ იმას, რაც შეუფერებელია, მაშინ უფრო გასაკიცხავია ის, ვინც ძველ ვითარებას მისდევს, ვიდრე ის, ვინც ახალს ემხრობა. და, აი, ამას რომ შეიტყობენ ჩვენგან სპარსელები და გაიგებენ, ჯეროვანი სიყვარულით მოგვეპყრობიან და ჩვენთვის იბრძოლებენ, ვინაიდან ისინი კაცთმოყვარენი და გულკეთილნი არიან, და მეზობელთა ზრახვებსაც კარგად მიუხვდებიან ხოლმე; გარდა ამისა ჩვენი ნებაყოფლობითი მიმხრობით ისინი მოკავშირედ იძენენ უაღრესად გამოსადეგ ქვეყანას და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათ. მაშ, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა, სასწრაფოდ შეუდეგით საქმეს და გამოამყდავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გავაკეთებთ იმას, რაც სწორი და სამართლიანია და რაც სარგებლობას მოგვიტანს, – ამით ჩვენ უდიდეს სახელს მოვიხვეჭით.“

სიტყვა

კოლხიდელის აიეტისა ლაზთა მეფის გუბაძის მოკვლის გამო,
თქმული საერო კრებაზედ

„მარტო სიტყვითა და ლაპარაკით რომ ეწყენინებინათ თქვენთვის ბერძნებს³²⁹, ან მარტო ავი რამ განზრახვა რომ შეგემჩნიათ, ეგ კიდევ არაფერი; ჩვენც ადვილად შევიძლებდით სამაგიერო გადაგვხადნა. მაგრამ, როგორ უნდა ავიტანოთ დღეს ის საშინელი უპატიურება, რომელიც იმათ მოგვაცენეს და ან როგორ შეიძლება ახლა ფიქრი, ტოკვა და ყოყმანი? ხომ დავკარგეთ ასეთი მოხერხებული დრო და მერე როდის-ღა შევიძლებთ, რომ შური ვიძიოთ და სამაგიერო ვაზღვევინოთ. განა საბუთებს ვერ წავუყენებთ იმისას, რომ საქმით დავვიშავეს და არა მარტო განზრახვით? საჭირო არც-კია რომ ამისი დამამტკიცებელი საბუთები დაგისახელოთ. სულ-მდაბლობით მოჰკვლეს იმათ გუბაძე³³⁰, იგი დიდებული ვაჟ-კაცი; მოჰკვლეს ისე უკადრისად, თითქო ვიგინდარა და ზნე-დაბალი კაცი ყოფილიყოს. წავიდა, განჰქრა დიდება კოლხიდელებისა! ახლა ჩვენ იმას-კი აღარ უნდა ვფიქრობდეთ, რომ სხვები დავიმორჩილოთ და ვმართოთ საქმენი მათნი, არამედ იმისიც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, თუ, ვინც უწინ ჩვენ გვემორჩილებოდა, ავად არ მოგვეპყრა ახლა. განა რა ჭკუაა, რომ დავსხდეთ და ვიფიქროთ, ჩვენი მტერნი არიან თუ მოყვარენი ისინი, ვინც პირველი კაცი მოგვიკლაო. მოვალენი ვართ შევიგნოთ, რომ თავ-გასულობა მათი ამას არ დასჯერდება. ეს ერთი დანაშაული რომ არაფრად ჩავუგდოთ, შემდეგაც აღარ მოიშლიან ჩვენს შეურაცხებასა. უფრო გულ-დამშვიდებით და ნაკლები შიშით დავგიწყებენ წყენას, იმიტომ რომ თავიანთ დაპყრობილთ ისინი მეტად შეუბრალებლად ეპყრობიან და ზიზღით უყურებენ თავის ხელქვეითებს. იმათი იმპერატორიც³³¹ მელა კაცია. ის მუდამ მოხარულია და მოსურნე ყოველ-გვარის არევ-დარევისა. ეს კაცისკვლავ იმიტომ მოჰხდა ისე სასწრაფოდ, რომ თვითონ ის აგულიანებდა ამ საქმეში თავის ხელ-ქვეითებს და იმათაც დიდის სიამოვნებით შეასრულეს მისი სურვილი; არამც თუ მაშინა გვცარცვაგდენ და გვყლევავდენ, როცა არაფერს არ ვუშავებდით და ჩვენ შორის არავითარი სამდურავი არ იყო, არამედ მაშინაც-კი, როცა მეგობრობით გვეპყრობოდნენ, დიდი შეურაცხყოფა მოგვაცენეს და დიდათ გაგვაბიაბრუეს. კაცს ეგონებოდა, სულ ერთად შეჰყრიათ სენი სასტიკობისა, უგუნურებისა, ჩვენის მძულვარებისა და სხვა ამისთანა ბიწიერებაო. სპარსელნი სულ სხვა ზნისანი არიან, ბერძნებისაგან დიდად განირჩევიან. თუ მეგობრობა აქვთ ვისთანმე, მუდამ დიდად განირჩევიან. თუ მეგობრობა აქვთ ვისთანმე, მუდამ ერთგულობას უწივენ, ხოლო მტერს მტრულად ეპყრობიან და არა ჰზოგავენ.

ჩემი სურვილი და ნატვრა ის არის, კოლხიდელების სამეფო ისევე ყოვლად-ძლიერი იყოს, როგორც წინად ყოფილა, რომ არავითარი შემწეობა უცხოელთა არ ეჭირვებოდეს და რომ სრულიად დამოუკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიანობისა, ისე ომიანობის დროსა, მაგრამ, რა-კი დროთა-ბრუნვისა გამო, ანუ ბედის დაუდგომლობის მიზეზით, ანუ, შესაძლოა, ამ ორსავე მიზეზით ერთად, ასე დავუძღვრდით და თვითონ ჩვენ ჩავუვარდით ხელში სხვებს, გონიერება უფრო ის იქნება, იმათ ხელში ვირჩიოთ ყოფნა, ვინც უფრო ზომიერები და მართლის მოყვარენი არიან და უფრო გატანა იციან თავიანთ მომხრეებისა. ჩვენს ნამდვილს მტრებზე უფრო ძლიერნი ვიქნებით მაშინ, როცა არ შევარჩენთ იმათ თავიანთ დანაშაულს და ვიზრუნებთ ამასთანავე შემდეგისათვის. ახლა ბერძნები თავის მელამობითა და თვალთმაქცობით გვაბრმავებენ. ხოლო, რა-კი მათნი მტერნი შევიქნებით, იმათი მოჩვენებული სიმშვიდე და მეგობრობა ვედარას გააწყობს, ამაო შეიქმნება. ფარისევლებს აღარ მიეცემათ შემთხვევა, რომ კვლავ დაგვათათბირონ ტკბილის სიტყვითა და მოქარგულის ენით, რადგან მტრად გადაკიდებულნი სრულიად შორი-შორს ვიქნებით ერთმანერთზე. თუნდა რომ კიდევ გამოილაშქრონ ჩვენ წინააღმდეგ, კარგად ვერ მოუვათ საქმე: სპარსელები და ლაზები ერთად

³²⁹ ბერძნები – იგულისხმება ბიზანტიის იმპერიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის მკვიდრნი, რომელთა დაქვემდებარებაშიც აღმოჩნდა ლაზიკა, იგივე ეგრისის სამეფო.

³³⁰ გუბაძე – იგულისხმება გუბაზი – გუბაზ II (გ. 554) – ეგრისის მეფე VI საუკუნის 40-50-იან წლებში.

³³¹ იმპერატორი – იგულისხმება იუსტინიანე I (482-565) – ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში.

შევერთდებით და რაღას გააწყობენ ისინი, მერე ისიც მტრის ქვეყანაში შემოსულნი? ერთს ჩვენს შეტევასაც ვერ გაუძლებენ. სულ ახლახან არ იყო, რომ მთელი მაგათი ჯარი გააქცია მიდიელების³³² მცირე რაზმმა და საშინელი სირცხვილი აჭამა. დღესაც სული ვერ მოუბრუნებიათ, ისე დაიხოცნენ მაშინ სირბილით. ყველაფერში დამარცხდნენ და მხოლოდ იმაში აჯობეს სპარსელებს, რომ ძალიან მოკვარცხლეს და გამოკიდებულნი სპარსნი ვეღარ დაეწივნენ. მიზეზი ამისა ის იყო, რომ მხდალნი არიან და განგებულება მათი უგონოა. ამისთანა ნაკლი და ამგვარივე ბიწიერება თან-დაყოლილი აქვთ, დაბადებითვე დასჩემებიათ. ასე ბიწიერნი არიან ბუნებით და კიდევ მაინც სულს იმძიმებენ სხვა დანაშაულით, რომელიც აორკეცებს მათს უბედურებას; აორკეცებს იმიტომ რომ კაცის-კვლის გამო დაჰკარგეს მფარველობა უზენაესისა, იმიტომ რომ იმდენად მახვილი არა სჭრის, რამდენადაც კეთილი და სათნოება; არა მგონია, რომ ცოდვილსა და დამნაშავეს ეწვიოს ამისთანა მადლი. მაშ ასე: თუ გვინდა რომ კეთილ-გონიერნი ვიყვნეთ, არ უნდა დავიჭიროთ მხარე ბერძნებისა, რომელთაც თავი თავის ალაგას არა აქვთ და რომელთაც უწყრება და ურისხდება ის, ვინც არის ყოველისავე ხსნა და ცხონება.

ამ გვარად, თვით საქმით დავამტკიცეთ და არა ლიტონის³³³ სიტყვით, რომ ადვილია ჩვენთვის სპარსელებს მივემხროთ და რომ ღვთისთვისაც ეს იქნება უფრო სასიამოვნო და კაცისათვისაც. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ან უსამართლოდ მოვიქცით, ან ღალატი გავწიეთ. მართალია, წინადაც ბევრი უსამართლობა გვინახავს ბერძნებისაგან, მაგრამ მაინც ვამჯობინებდით არ შეგვეცვალა ჩვენი ყოფა-მდგომარეობა, იმიტომ რომ არ არის კარგი სხვა მხარეზე გადასვლა მხოლოდ რამდენისამე მიზეზის გამო. ეს მიზეზები თუმცა პატივსადაც მიზეზები იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა მოთმენა და ატანა მაშინდელის ყოფისა. ხოლო როცა უმწვერვალესად გვიჭირებენ საქმეს და გამოვყევართ მოთმინებიდან, მაშინ, მგონია, რომ მხოლოდ უგუნურნი, მხდალნი და საცოდავნი თუ აიტანენ ყოველსავე ამას მოთმინებით და არ აღშფოთდებიან, რაც უნდა უსიამოვნება და სირცხვილი აჭამონ. არსად და არასოდეს არ მოჰხდებოდა ისეთი ბოროტ-მოქმედება, როგორც იყო მოკვლა გუბადისა. ხოლო თუ მოჰხდებოდა, დაუსჯელად არ ჩაივლიდა. იმიტომ არც ჩვენ უნდა დავსტოვოთ ეს გარემოება უყურადღებოდ, რადგან სირცხვილი იქნება ჩვენთვის დავივიწყოთ მეფე ჩვენი და პირში ვეფეროთ მის მკვლელებსა. ახლა რომ ის ჩვენ წინაშე წარმოსდგეს, უეჭველია, სამართლიანად გაგვკიცხავდა და საყვედურით გვეტყოდა, რომ ჩემი ჯეროვანი პატივისცემა არა გქონიათ, რაკი მკვლელნი ისევ თქვენს ქვეყანაში არიან და ჯერაც არ განგიდევნიათო. მაგრამ იმას ხომ თქვენ შორის თავის დღეში ვეღარ ჰნახავთ და ვეღარ გეტყვით ამ საყვედურს. მაშ აზრით მაინც წარმოიდგინეთ, რომ მეფე ჩვენი სდგას ჩვენ შორის, გვიჩვენებს თავის წყლულს, მახვილით გაპობილს მკერდს და დიდს ნახმლევს კისერზე, გვიჩვენებს და ემუდარება თავის ერს, ახლა მაინც ნუ შეარჩენთ ჩემს სისხლს, გადაუხადეთ სამაგიერო და ნუ გამხდით მტრის გულისათაო.

ამას გარდა, ვინ იქნება თქვენში ისეთი, რომ საქმე დაიჭიროს იმასთან, ვინც ტოკავს და ფიქრობს, ვითომ სამართლიანად იქცევინ კოლხიდელები, როცა ენანებათ გუბამე, თუ არაო. ყოველ ამასაც რომ თავი დავანებოთ, უნდა გავფრთხილდეთ, რომ ჩვენ მოწილენი არ გაგვხადონ ბოროტ-მოქმედებისა. რა-კი ასე გვემინიან სპარსელების მომხრეობისა, იფიქრებენ, რომ გუბადის ჯავრს იმიტომ არ ჰყრილობენ და ამ საქმეს ასე გულ-გრილად იმიტომ მოექცნენ, რომ თვითონაც წილი უდევთ იმის მოკვლაშიო. ჩემის აზრით, უფრო მოღალატენი შევიქნებით, თუ როცა კაცი ცოცხალი იყო, მის სახელსა ვფიცავდით, მოკვდა და მაშინვე დავივიწყეთ. როცა ყოველივე საქმე კარგად მიდის, უგუნურება იქნება შეცვლა არსებულის წესისა და წყობილებისა, ხოლო როცა ყოველივე საქმე დაცარულია, უგუნურებაა არ აყვეთ დროს. მოთმინებით ატანა დღევანდელის ყოფისა მაშინ არის საქებური, როცა ასეთს მოთმენას გონიერებაც მოითხოვს. ხოლო ვინც უგულვებელ-ჰყოფს იმას, რისთვისაც გულითა და სულით უნდა ჰზრუნავდეს, და ამჯობინებს იმას, რაც შესაფერი არ არის, მაშინ ის უფროა დამნაშავე, ვინც მისცივებია ძველს ყოფას და წეს-წყობილებას, ვიდრე ის, რომელიც ხსნას და შველას სხვა ყოფასა და სხვა წყობილებაში ეძებს.

სპარსელებმა რომ შეიტყონ ასეთი ჩვენი განზრახვა, დიდად შეგვიყვარებენ და ეცდებიან დაგვიფარონ, იმიტომ რომ კაცთ-მოყვარენი და სულ-გრძელნი არიან; ამასთანავე, იმათ იციან და ეხერხებათ გაგება თავიანთ მეზობელთა სურვილისა. ამას გარდა კიდევ, ჩვენი ქვეყანა იმათთვის

³³² მიდიელები – იგულისხმებიან სპარსელები.

³³³ ლიტონი – დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო, უბრალო, ცარიელი, მარტივი.

ძალიან მოხერხებულს ალაგას არის მოთავსებული; მხედრობა კიდევ ჩვენი და ძლევითა და დიდებით არის მოსილი; სპარსელნი ჩვენს მხედრობას უფრო ირჩევენ, ვიდრე ფულსა და ქონებას. ოლონდ-კი ჩვენის ნებითვე მოვინდომოთ და შევატყობინოთ ჩვენი სურვილი, თორემ ისინი დიდის სიამოვნებით დაგვიმეგობრდებიან. ახლა ნულარ მოჰყვებით ფიქრსა და განსჯასა, შეუდექით პირდაპირ საქმესა და სთქვით, რაც გულში გაქვთ. ქებისა და დიდების ღირსნი მაშინ შეიქმნებით, როცა იმას მოიქმედებთ, რაც სამართლიანია და სათანადო და რაც შეგქმნთ სარგებლობას.“

The Speech

by Aiet at the People's Assembly Because of the Political Situation of Colchis in 554

“If the Romans confined their injuries to words and thoughts, then we would still be effectively repaying them in kind. But are we to stand for the present state of affairs, in which whilst they have already committed the most monstrous act of aggression we ourselves hang around debating the issue and let the opportunity for retaliation slip through our fingers? It is no longer possible to say that whereas they have not yet been shown to be openly engaged in active hostility against us a likely case could be made out for accusing them of hostile intent, nor indeed, will it be necessary to produce arguments in order to establish the existence of a secret plot. But it is no longer possible only because Gubazes our great and noble king has been unceremoniously disposed of like the meanest of his subjects. Gone forever is the ancient dignity of the Colchians. Henceforth there will be no question of our aspiring to rule over others. No, we must rest content if we are allowed to avoid sinking to a much lower level than that of those who until recently were our dependents. And is it not an extraordinary state of affairs if we are going to sit around examining the question of whether we should regard the men responsible for this situation as our worst enemies or our friends? Yet it must be realized that their insolence will not confine itself to this action. Even if we drop the charge against them they will not leave us alone. On the contrary they will ill-treat us with greater impunity if we do nothing. When they find people docile their insolence knows no bounds and they habitually despise anyone who treats them with deference. Their Emperor is utterly unscrupulous and delights in continually creating tension and instability. Hence the suddenness with which the hideous crime was perpetrated, since it was committed at his express command and with their willing collaboration. We have all but suffered the rape of our country at their hands though there was no prior aggression on our part or spontaneous outbreak of hostility. While appearing to remain on the same friendly terms as before they have committed the most unspeakable of crimes, as though seized with a sudden access of insane cruelty and hatred and all the other dark and brutal passions.

How different are the ways of the Persians! Those whose friendship they have had from the start they go out of their way to treat with unfailing kindness, reserving their anger for their enemies, as long as they remain enemies. I could have wished that the Colchian state were still possessed of its ancient might, needing no help from foreign powers and completely independent in all matters that touch upon war and peace. But, since whether through the passage of time or the whims of fortune or perhaps through a combination of both we have been reduced to the status of a subject people, I think it pays us to join the side whose attitude is the more reasonable and whose goodwill towards their allies is not liable to fluctuation. In this way we will get the better of our real enemies since their past misconduct will not go unpunished and we shall have taken the necessary steps to ensure our future safety. For that sly and ingratiating manner which enables them to injure the unsuspecting by hiding their true selves behind a facade of suavity and charm will be completely wasted on us owing to our open and uncompromising hostility towards them. Even if they should try to make war on us they would be fighting on enemy territory and would never be able to stand up to the combined strength of the Lazi and the Persians or even to sustain the first shock of our arms. It is not long since they engaged a detachment of Persians with their entire army and were at once ignominiously put to flight. They ran so fast that even now they have scarcely recovered their breath and though they were roundly beaten in every other way they did excel their pursuers in one respect – the speed of their flight!

One might name as the obvious and immediate cause of this rout a combination of cowardice and bad judgement, and indeed such shameful defects seem to be part and parcel of their whole make-up. But the addition of deliberate wickedness to natural depravity tipped the scales so heavily against them that their plight was made doubly disastrous, and by their foul misdeed they forfeited the protection of Providence. For it is not so much by force of arms as by godfearing conduct that victory is assured, and I find it inconceivable that

heaven should intervene on the side of abandoned wickedness. Therefore we will have no truck with these men, if we have any sense, since they lack sound judgement and have moreover incurred the wrath of the being whose special province is the safety of all things. Events have shown more clearly than words can that our joining the Persian side will be an easy and advantageous course to pursue and will win the approval of the Deity. Nor would such a course carry with it the implication, from a human point of view, of treachery or unjust aggression on our part. Indeed we have seen fit on many occasions in the past to abide by the terms of our alliance in spite of the insulting behaviour of the Romans because we felt that to shift one's allegiance on account of provocation which though serious was not altogether unbearable was an extremely shabby thing to do. But to suffer outrageous and irremediable harm without a murmur of protest, not to show a flicker of anger in the face of monstrous inhumanity, that, I say, is not the reaction of sensible men but of cowards and weaklings who contrive to mask their callous indifference to the fate of their country with a specious pretence of political maturity. It is hard to imagine how any other people could become the victims of a fouler crime or how, if they did, they could possibly overlook it. Similarly we too must not turn a blind eye to what has happened but must recoil in disgust from the thought of displaying indifference to the memory of our king and betraying a desire to flatter his murderers. If it were possible for him to be present here he would be inveighing bitterly against our neglect of duty which has enabled these guilty wretches to continue to reside in his land instead of being expelled from it long ago. But since he will never again be present to address you, bethink yourselves of the man and summon up a mental picture of him standing in the midst of the assembled company, pointing to the wound on his neck and his chest and imploring his fellow-countrymen to take vengeance even at this late hour on his enemies. Which of you then would brook a moment's doubt or discussion concerning the justice of Gubazes' claim to the sympathy of the Colchians? Yes, we must be on our guard lest through our fear of being branded as deserters we allow ourselves to become participants in the crime and throw away the chance of avenging the dead man. We will look a great deal more treacherous if our affection for him lasts no longer than his lifetime and if when once we lose the man we lose his memory too.

When all is as it should be it is the height of folly to change one's whole way of life, but when the reverse is the case it pays, I think, to adapt oneself speedily to events. Reason is the criterion upon which resolution should be based and a dogged attachment to the status quo is not always something to be praised but only when it makes good sense. But when it is a question of giving heed to unworthy considerations and clinging tenaciously to a false position then the man who maintains his previous stand is more blameworthy than the man who changes sides.

When the Persians learn from us of this decision and realize its implications their hearts will with good reason warm to us and they will fight on our behalf, for they are generous and magnanimous and especially good at divining their neighbours intentions. Besides they will be gaining, without even having to ask for it, the alliance of a country of vital strategic importance and considerable military strength, which they themselves would go to great trouble and expense to possess. Make it therefore your one object to get down to business and disclose your intentions. By so doing we should greatly enhance our prestige while at the same time pursuing a just, honourable and advantageous course of action".

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ბიზანტიელი პოეტისა და ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის (536-582) საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილია ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული ფართაზის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს]³³⁴. იგი დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვა გამოქვეყნდა პირველად 1890 წელს – ა. ჭყონიას მიერ³³⁵, 1898 წელს – არხიმანდრიტი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილ „სიტყვიერების თეორიაში“³³⁶, 1936 წელს – „გეორგიკაში“³³⁷, 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ შედგენილ „ქართულ მჭევრმეტყველებაში“³³⁸, 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილის, ვ. პაპასკირის „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“³³⁹, 2004 წელს – „ქართული დიპლომატიის ისტორიაში“³⁴⁰.

წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი თარგმანები, მათ შორის, [სიტყვა, თქმული ფართაზის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს] ს. ყაუხჩიშვილის მიერაა თარგმნილი³⁴¹, „სიტყვა კოლხიდელის ფარცატისა იმავე ლაზთა მეფის გუბადის მოკვლის გამო“ – გრ. ყიფშიძის მიერ³⁴², ხოლო ინგლისურად თარგმნილია ჯ. დ. ფრენდოს მიერ³⁴³.

³³⁴ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 72-81.

³³⁵ ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 359-365.

³³⁶ არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 271-278.

³³⁷ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 72-81.

³³⁸ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 110-115.

³³⁹ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 110-116.

³⁴⁰ ქართული დიპლომატიის ისტორია: ქრესტომატია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 56-62.

³⁴¹ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 72-81.

³⁴² არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 271-278.

³⁴³ Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975, pp. 79-83.

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview
were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by Phartazes at the people's assembly because of the political situation of Colchis in 554] is presented in historical essays of the Byzantine poet and historian, Agathias Scholasticus (536-582)³⁴⁴. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the political rhetoric, and to the speech genre.

The speech was published several times; for the first time, in 1890, by A. Tchkonია³⁴⁵; In 1898 – in “Speech Theory”, compiled by Archimandrite Kyrion and Gr. Kipshidze³⁴⁶; In 1936 – in *Georgica* translated by S. Kauhchishvili³⁴⁷; In 1958 – in “Georgian Rhetoric”, compiled by N. Kandelaki³⁴⁸; In 2000 – in “The Georgian Oratory Art”, compiled by T. Jagodnishvili, I. Jagodnishvili and V. Papaskiri³⁴⁹; In 2004 – in “History of Georgian Diplomacy”³⁵⁰.

In the present edition, the Georgian and English translations of the oratorical sample are printed, including [The speech by Phartazes at the People's Assembly because of the Political Situation of Colchis in 554] translated by S. Kauhchishvili³⁵¹, and “The Speech of Colchian Fartsati about the murder of Gubadze, the king of Lazians” – by Gr. Kipshidze³⁵², and English translation – by J. D. Frendo³⁵³.

³⁴⁴ *Georgica: Information of Byzantine writers about Georgia*, vol. 3, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 72-81 (in Greek and Georgian).

³⁴⁵ Tchkonია, A., *Historical Essay, or Chrestomathy for the History of Georgia: From Ancient Times to the Reign of the Bagrationis*, Tbilisi, 1890, pp. 359-365 (in Georgian).

³⁴⁶ Archimandrite Kyrion, Kipshidze Gr. (Comp.), *Speech Theory: In addition to literary samples*, Tbilisi, Printing House of M. Sharadze and Partnership, 1898, pp. 271-278 (in Georgian).

³⁴⁷ *Georgica: Information of Byzantine writers about Georgia*, vol. 3, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 72-81 (in Greek and Georgian).

³⁴⁸ Kandelaki, N. (Comp.), *Georgian rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 110-115 (in Georgian).

³⁴⁹ Jagodnishvili, T., Jagodnishvili, I., Papaskiri, V., *Georgian Oratory Art (Chrestomathy-Practicum)*, Tbilisi, Technical University, 2000, pp. 110-116 (in Georgian).

³⁵⁰ *History of Georgian Diplomacy: Chrestomathy*, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research Center for the History of Georgian State and Public Diplomacy, Tbilisi, Tbilisi University Press, 2004, pp. 56-62 (in Georgian).

³⁵¹ *Georgica: Information of Byzantine writers about Georgia*, vol. 3, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 72-81 (in Greek and Georgian).

³⁵² Archimandrite Kyrion, Kipshidze Gr. (Comp.), *Speech Theory: In addition to literary samples*, Tbilisi, Printing House of M. Sharadze and Partnership, 1898, pp. 271-278 (in Georgian).

³⁵³ Agathias, *The Histories*, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, *Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis*, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975, pp. 79-83.

სიტყვა

თქმული ფარტაზის მიერ ეგრისის სახალხო კრებაზე კოლხიდის
პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 554 წელს

„ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხეხო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგიწყვიტოს. უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დაეუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება. ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ თქვენ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო. კარგად უნდა შეიგნოთ, რომ, რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოიჩინოთ იქიდან ის, რაც უმჯობესია: იმის ამკარა საბუთად, რომ თქვენ მოსტყუვდით, ის გამოდგება, რომ თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს³⁵⁴. ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიჭრელე: რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემართათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუვდით. სხვა თუ არაფერი, ის კი მაინც ნათლად უნდა შეგემჩნიათ, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდით, რომ მომხდარი ამბავი არ იყო საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდით დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის³⁵⁵ მკვლელები; თვითონ კი მკვლელების დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათსაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათსაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ. თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო: არავინ არ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ, მშობლიურ წესებს და იმ ვერაგებს კი არ გამოვუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ ამგვარივე სახელი. ეხლა აღარ არის საჭირო იმაზე ფიქრი, რაც მოხდა და დასრულდა, და უკვე აღარ შეიძლება დაბრუნებულ იქნას (თითქოს არ მომხდარიყოს); ნუ აყვებით, მსჯელობის დროს, მოწოლილ ბოდმას და გულის-ტკივილს, რომ არ დაეკარგოთ მოსაზრების უნარი და არ დავაბუნდოვანოთ ჩვენი მსჯავრი: შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა. გამოვიჩინოთ ჩვენი მწუხარება, რამდენადაც ეს საჭიროა იმის დასამტკიცებლად, რომ დაუდევრობას არ ვიჩინებ, და მოვისაზროთ მომავლისათვის, თუ როგორ მოვაგვაროთ საქმეები უფრო უკეთ. უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებს ცვლილებები, და, როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს.

მაგრამ ეს მრჩეველი³⁵⁶, რომელიც დიდი ხანია მიდიელების³⁵⁷ მომხრეობას იჩენს და მოწადინებულია ჩვენც გადაგვიყვანოს მათ მხარეზე, ცდილობს შეგვაშინოს – თითქოს ბავშვები ვიყავით – და გვიმტკიცებს რომაელები არ იკმარებენ იმას, რაც გაბედეს, კიდევ მეტი უბედურება

³⁵⁴ აიეტი – VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი, წარჩინებული კოლხი. ამ კონტექსტში ფარტაზი აიეტს მოიხსენიებს, როგორც ოპონენტს და თავის წინა სიტყვით გამომსვლელს.

³⁵⁵ გუბაზი – გუბაზ II (გ. 554) – ეგრისის მეფე VI საუკუნის 40-50-იან წლებში.

³⁵⁶ მრჩეველი – იგულისხმება აიეტი, VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი, წარჩინებული კოლხი.

³⁵⁷ მიდიელები – იგულისხმებიან სპარსელები.

მოგველისო. ამბობს იმასაც, რომ მათ დიდი გაიძვერა მეფე³⁵⁸ ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყო. ამას ამბობს ის და აქებს და ადიდებს სპარსელებს; ის ფიქრობს, რომ ამ გზით დაგვარწმუნებს ჩვენ და ჩვენც ეხლავე საკუთარი ფეხით ვეახლებით აშკარა მტრებს და ხვეწნას დავუწყებთ. ამ მიზნისათვის ხმარობს ის ყოველგვარ საშუალებას; იმთავითვე იღწვის და ცდილობს იმისათვის, რომ განახორციელოს ის, რაც მას განზრახული აქვს; მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი; ხოლო, როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭირო, მაშინ გემართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება. ამან კი ბოლო თავში გადაიტანა და, ვიდრე ჩვენ საბოლოოდ რასმე გადავწყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება? თქვენ კი, კოლხებო, არასდროს არ უნდა დაუკავშიროთ თქვენი აზრები გარეშე მოსაზრებებს, უნდა უყუროთ ერთს რომელსამე წინდასახულ მიზანს და ისე წარმართოთ თქვენი მსჯელობა. განა შესაძლებელია ვითარების შეტრიალება ძალით და მისი ისე მოქცევა, როგორც გესიამოვნება? თქვენ, პირიქით, სხვა წესს უნდა მისდიოთ: წმინდა და დამოუკიდებელი მსჯელობა იხმაროთ ისე, რომ ზედმიწევნით გაარჩიოთ საქმე და დაადგეთ იმ გზას, რომელიც სასარგებლო იქნება. თუ ჩვენ ასე ვიმსჯელებთ, მაშინვე ცხადი გახდება, რომ არც რომაულ რაზმებს, არც სტრატეგოსებს, საერთოდ აღებულს, მით უმეტეს არც მათ მეფეს არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზის წინააღმდეგ. ხომ თვით მათ შორისვე გავრცელებული ხმები და ერთხმად აღიარებული, რომ რუსტიკე³⁵⁹ და მარტინე³⁶⁰, რომელთაც შურდათ მისი წარმატება, აჰყვენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს და დანარჩენი სარდლები არა თუ მათ არ ეხმარებოდნენ, არამედ აშკარადაც სწუხდნენ. უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზრით, და ამასთანავე ერთად მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ, იმათ მიმართ კი, რომლებიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნაირ ხიფათში ვარდებიან იმის გულისთვის, რომ ჩვენ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ, გამცემლები გამოვსულიყავით; ყველაზე უფრო უწმიდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლოობას. აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადავიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც? რას მოვიგებთ იმით, რომ, ვთქვათ, მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სულები კი წავიწყდით? რომ კიდევაც ნება დავგვართონ და ჩვენ ნებაზე მიგვიშვან, სულ ერთია – მაინც არ ექნებათ ჩვენ მიმართ კეთილი განწყობილება და ნდობა: მათი მოპყრობა ჩვენდამი ვერაგული და არასაიმედო იქნება და მარტოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული. ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთასხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი, კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასდროს არ არის მტკიცე; ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა. თუ ვინიცობა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა: საქმით ისინი ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან. ჰო და, აბა, რის გულისათვის უნდა გადავიდეთ, კოლხებო, სპარსელების მხარეზე, თუ კი ისინი მაინც ჩვენ მტრებად დარჩებიან და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ისღა გვექნება, რომ ისინი უფრო ადვილად მოგვაყენებენ ვნებას, ვინაიდან ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარასაგან? მაგრამ ვთქვათ, თუ გნებავთ, რომ ეს საქციელი არც უსამართლო იქნება და არც არასაკადრისი, და დავუშვათ, რომ სპარსელები თავისი ხასიათით მტკიცენი და სანდონი არიან და ჩვენთან დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. ესეც რომ მივიღოთ და, მაშასადამე, აღარავითარი დაბრკოლება აღარ გველოებოდეს, მაინც ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შევძლებთ ჩვენ სხვის მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული საუკეთესო სტრატეგოსების

³⁵⁸ მეფე – იგულისხმება იუსტინიანე I (482-565 წწ.) – ბიზანტიის იმპერატორი 527–565 წლებში.

³⁵⁹ რუსტიკე – ბიზანტიელი სარდალი, სტრატეგოსი, გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭვმიტანილი (VI ს.).

³⁶⁰ მარტინე – ბიზანტიელი სარდალი, სტრატეგოსი, გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭვმიტანილი (VI ს.).

ხელმძღვანელობით? როგორღა შევძლებთ საშინელი სასჯელის თავიდან აცდენას, როდესაც ისინი, რომლებმაც უნდა აღმოგვიჩინონ დახმარება, ჯერ კიდევ შორს, იბერიაში³⁶¹, აყოვნებენ და ზღაპრებით მოიწვევენ წინ, ხოლო ისინი კი, რომელთაგანაც სასჯელს უნდა ველოდეთ, მთელ ამ ქვეყანას ფლობენ და ჩვენს ქალაქებში ცხოვრობენ?

მართალია, ეს სახელოვანი კაცი³⁶² გვიმტკიცებს, რომაელები³⁶³ ჩვენს იერიშს ვერ გაუძლებენო, და საბუთად მოჰყავს ამას წინათ მომხდარი შემთხვევა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბრძოლის შედეგები უთუოდ განსაზღვრულ პირობებს არ ექვემდებარება და რომ, ვინც ეხლა შემთხვევით დამარცხება განიცადა, მუდამ იმნაირივე უბედურების ლუკმა არ იქნება? პირიქით, ხშირად გამარჯვება ბედის უკუღმართობას გამოასწორებს ხოლმე და დამარცხებულებს ხვდება წილად. ამიტომ ჩვენ იმ იმედით, რომ რომაელები ამიერიდანაც ყოველთვის დამარცხებულნი აღმოჩნდებიან ბრძოლებშიო, არ გვმართებს ზომასზე მეტად ვიყოთ დამშვიდებულნი. რომ ისინი დამარცხდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ კარგად არ მოიფიქრეს ის, რაც საჭირო იყო, ჩვენ ეს უნდა გამოგვადგეს კარგ მაგალითად და წინასწარი ზომები მივიღოთ, რათა მოუფიქრებლობის გამო ხიფათი არ შეგვემთხვეს; და, რასაკვირველია, აქედან ჩვენ ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ ადვილად ვაჯობებთ მათ. ხომ საფიქრებელია, რომ, რახან წინათ შეცდომები დაუშვეს, გამოცდილებით ისწავლიდნენ, თუ რას უნდა ერიდონ, და ამიერიდან იზრუნავენ, რომ შეცდომა გამოასწორონ. ხოლო თუ მათ ღვთაება უწყობს ამ საზიზღარი მკვლელის ჩადენისათვის და ამით აიხსნება მათი უბედურება, რაღა საჭიროა ჩვენც არ მივეშველოთ ღვთაების, თითქოს მსჯავრის დასადებად მას თავისი ძალა არ ჰყოფნიდეს და ჩვენს დახმარებას საჭიროებდეს? რა საქციელის ჩადენის შესაძლებლობადა დარჩება სხვებს, თუ ჩვენ გადადგომით ვუპასუხებთ რომაელთა იმ წყალობას, რომელიც გვიცავს ჩვენ როგორც საჭიროა, და რომლის მეოხებით ჩვენ მშვიდად ვცხოვრობთ? ამიტომ, ნურავინ ნუ ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი, სრულიად არა ვაჟკაცურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ, შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია ის, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვებისათვის; მოგვიწოდებდა არ მივცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხო და მამაპაპური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა, არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვქონოდა, რომ უზენაესის თვალი არ მოაკლდება ერს. ნუთუ რამენაირად დასაჯერებელია, რომ გუბაზი, რომელსაც ძალადობამ მოუსპო სიცოცხლე, ყველაფერ ამას შესაწყენარებად თვლის, ხოლო ჩვენ, რომლებიც მას სიყვარულით ვეპყრობით, წინააღმდეგს ვფიქრობთ? მაგრამ მე მეშინია, ვაი თუ მხოლოდ იმის გამოც, რომ ასეთი რამ გავიფიქრეთ და განვიზრახეთ, უდიდესი სასჯელი მოგვეზღოს. თუ ჩვენ შევუდგებით გადადგომას ისეთი იმედებით, რომლებიც ბუნდოვანია და ჰგულისხმობენ საქმის წარმართვისას სასწორის ან აქეთ ან იქით გადახრას, მაშინ ხომ საშინელება იქნებოდა ასეთ გარდამწყვეტ წუთებში მხოლოდ ბედზე ვყოფილიყავით დამოკიდებული; ან და, იქნებ, იმათ, ვინც ეს გზა აირჩია, უფრო გაბედულად შესძლონ ამ სამარცხვინო საქმის შესრულება. ხოლო, თუ ეს ბოროტება წინასწარ უკვე ყოველმხრით ნათელია, ნუთუ ზიზღის ღირსნი არ არიან ისინი, ვინც ეს გაფიქრებინათ? თუ როგორ განვთავისუფლდეთ ამათგან, მე უკვე საკმაოდ ვილაპარაკე. მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. თუ კი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დაგვივიწყნია, და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად.“

³⁶¹ იბერია = ივერია = ქართლი – ძველი აღმოსავლეთ საქართველო.

³⁶² „სახელოვანი კაცი“... – იგულისხმება აიეტი, VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი, წარჩინებული კოლხი.

³⁶³ რომაელები – იგულისხმება ბიზანტიის იმპერიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის მკვიდრნი, რომელთა დაქვემდებარებაშიც აღმოჩნდა ლაზიკა, იგივე ეგრისის სამეფო.

სიტყვა

კოლხიდელის ფარცატისა იმავე ლაზთა მეფის გუბამის მოკვლის გამო

„ახალი ამბავი არ არის თქვენთვის, კოლხიდელებო, რომ შეგაშფოთათ მოქარგულის ენით ნალაპარაკევა და ხელოვნურად წარმოთქმულმა სიტყვებმა. მჭერ-მეტყველება ჰხიბლავს ადამიანს და სძლევს ყველას, მეტადრე იმას, ვინაც არ გამოუცდია მისი ძალ-ღონე. მაგრამ მაინც შესაძლოა გაეუმადრდეთ და არ ავყვეთ გულს, უკეთუ დაფვიქრდებით, დროსა და გარემოების შესაფერისად განვსჯით და გულის-ხმიერებით ჩავაკვირდებით საქმეს. თქმული იმიტომ-კი არ უნდა მოგწონდეთ, რომ მოულოდნელი იყო თქვენთვის და ყური თქვენი არა სჩვევია იმის გაგონებას. თქმული უნდა მოიწონოთ მხოლოდ მაშინ, როცა ნათქვამი თქვენთვის საპატიოსნოა და სასარგებლო. გაიგეთ და შეიტყეთ, რომ იქნება თქმული სასიამოვნოა თქვენთვის, მაგრამ მაინც ის უნდა ირჩიოთ, რაც უკეთესია; ჯერ მარტო ისა, რომ ასე მალე აჰყვეთ ნალაპარაკევა, ცხადი საბუთია, რომ მოტყუებულნი ხართ. იცოდეთ, რომ ვისაც სწადიან ცუდი რამ ურჩიოს ადამიანს, სცდილობს სიტყვა მოჰქარგოს, მოჰკაზმოს, გაალამაზოს, იმიტომ რომ მოთინთლულის, გულს-მოსახვედრის სიტყვებით უფრო ადვილად მოჰხიბლავს, მოინადირებს გულუბრყვილოსა და გულ-დანდობილსა, მაშ, იცოდეთ, რომ თქვენ ფიქრად არც-კი მოგდით, რანაირადა ხართ მოტყუებულები და ბადეში გაბმული აიეტის³⁶⁴ სამაცდურო და ხერხიანის სიტყვითა. ერთი რამ მაინც უნდა შეენიშნა ყოველს თქვენგანს, სახელდობრ ისა, რომ მოლაპარაკემ იმ თავიდამვე სულ სხვა საგანზე ჩამოაგდო ლაპარაკი, იმ საგანზე, რომელიც სრულებით ახლო არ უდგება იმას, რისთვისაც ჩვენა ვართ შეკრებილი. იმანა სთქვა, ვითომ ჩვენ ყველას გვგონია, რომ რაც მოჰხდა, ყოვლად შეუწყნარებელი საქმე არ იყოს, ვითომ დანაშაულად არ ვუთვლით ბერძნებს მათ მიერ ჩადენილს სამარცხვინო კაცის-კვლას, ვითომ ჩვენ მხოლოდ იმ ფიქრში ვართ, მართლა ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს გუბამის³⁶⁵ მკვლელებმა თუ არაო; მაგრამ მოლაპარაკემ მკვლელებს-კი არ დაუწყო ბრალდება, მოგვიყვა იმის წილადობილას, რაც ყველამ ვიცით უიმისოდაც. მე-კი ვიტყვი, რომ წყეულ და შეჩვენებულ იქმნენ მღვთისაგან მკვლელნი. სიამოვნებით დაფუწყებდი ცქერას, რა სატანჯელიც უნდა მიეყენებინათ, არა თუ მათთვის, ვინც თავიანთის ხელით ჩაიდინეს კაცის-კვლა, არამედ მათთვისაც, ვისაც შეეძლო აეცილებინა ჩვენთვის ეს უბედურება და ხელი არ შეუშალა მკვლელებს და ბოლოს იმათთვისაც, ვინც სიხარულით მიეგება ამ კაცის-კვლას და არ აშფოთდა, გული არ აემღვრა. დიად, თუმცა ასეთის აზრისა ვარ, მაინც ვგონებ, რომ სპარსელების მხარეზედ გადასვლა სარგებლობას არ მოგვიტანს. ვერავინ ვერ იტყვის, რომ, რა-კი ბერძნებმა დაარღვიეს კანონი, ვითომ ჩვენის მხრითაც მოსაწონი იქნებოდა მამა-პაპათა ანდერძი დაგვერღვია, არაფრად ჩაგვეგდო ღალატობის ჩადენა, აღარ გვმაგებოდა ძველებურად მოღალატენი და ჩვენც გაგვტეხოდა სახელი ღალატის გამო. ჩვენ არ უნდა მოვისვენოთ და არ უნდა დავჯერდეთ იმ ფიქრსა, რომ, ვითომც, რაც მოჰხდა, იმას აღარა ეშველება-რაო. არა, უნდა ვსწუხდეთ, და ამ წუხილით დავამტკიცოთ, რომ გულ-გრილად არ ვუყურებთ უკვე ჩადენილს ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ ამასთანავე ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ, რომ შემდეგისათვის საქმენი უკეთესად მოეწყოს. მხოლოდ უგუნურნი და უჭკუონი სწუხან და შფოთვენ გამუდმებით იმის გამო, რაც უბედურება მოჰხდა და შეემთხვათ ოდესმე. გონიერნი და ჭკვიანები-კი, იციან რა ცვალებადობა წუთის-სოფლისა, როდი ჰშფოთავენ ბედის-ცვლილებისა გამო, და რაც უნდა ზარალი და უბედურება ჰნახონ, არა ჰკარგავენ იმედს მერმისისას³⁶⁶. ეს ჩვენი მრჩეველი და მოთათბირე აიეტი-კი³⁶⁷, რომელიც დიდი

³⁶⁴ აიეტი – VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი, წარჩინებული კოლხი. ამ კონტექსტში ფარტაზი აიეტს მოიხსენიებს, როგორც ოპონენტს და თავის წინა სიტყვით გამომსვლელს.

³⁶⁵ გუბამე – იგულისხმება გუბაზი – გუბაზ II (გ. 554) – ეგრისის მეფე VI საუკუნის 40-50-იან წლებში.

³⁶⁶ მერმისი – მომავალი, მყოფადი დრო.

³⁶⁷ აიეტი – იგულისხმება აიეტი, VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი, წარჩინებული კოლხი.

ხანია ეტანება სპარსელებს³⁶⁸ და მოწადინებულია, რომ ჩვენც იმათკენ გადავიდეთ, სცდილობს დაგვაშინოს, თითქო ბავშვები ვიყვნეთ და გვეუბნევა, რომაელები³⁶⁹ იმას როდი დაგვაჯერებენ, რაც დაგვმართეს, უარესს გვიზამენო; რომ ვითომ ცბიერ-უცბიერესი მათი მეფე³⁷⁰ თვით აგულიანებდა მკვლელებს, ჩაედინათ ასეთი შემადრწუნებელი ავაზაკობა, რომელიც წინადავე იყო გადაწყვეტილი და მოფიქრებულიო. გვეუბნება ამას და თან გულ-მოდგინედ აქებს სპარსელებს იმ აზრით, რომ ვითომ ამით დაგვაჯერებს, დავიმცირით თავი და ჩვენის ნებითვე გადავიდეთ ჩვენთა მოსისხლე მტერთა მხარეზე. იმას მხოლოდ ერთი რამ სწადიან და მხოლოდ ერთ რისთვისამე ჰზრუნავს, სახელდობრ იმისთვის, რომ შესრულდეს ის, რაზედაც წინადავე უზრუნია; ამიტომ გვირჩევს, მოუფიქრებლივ მოვიქცეთ, არღვევს წესს თათბირისას და სრულიად აბათილებს, ძალას უკარგავს ბჭობას, განსჯას საქმისას. თქვენ თვითონ იანგარიშეთ აბა: ჯერ უნდა მოფიქრება და ბჭობა იყოს იმისი, რაც ბუნდად გვესმის, ცხადად ვერ წარმოგვიდგენია; და როცა განიხილვის, რაც განსახილველია, რაც უნდა გაკეთდეს და გადაწყდეს, მხოლოდ მაშინ უნდა გაჩნდეს ნება და სურვილი აღსრულდეს ის, რაც გადაწყდა. აიეტმა-კი ბოლო თავში მოაქცია და უნდა იმოქმედოს მაშინ, როცა საქმე ჯერ მოფიქრებული არ არის. რის მაქნისი უნდა იყოს მაშინ ბჭობა და ფიქრი, თუ-კი ერთიცა და მეორეც იმ დროს გაჩნდება, როცა საქმე უკვე გადაწყვეტილია.

თქვენ-კი, კოლხიდელო, განირიდეთ თუ რამ აზრი აგჩემებიათ წინდაწინვე და ისე აილ-დაილევით საქმე. იქონიეთ სახეში მხოლოდ ის, რაც უფრო სასურველია თქვენთვის. რაც გადაწყდეს ბოლოს, ყველამ აილეთ და ის შეასრულეთ. თქვენ უფრო სხვა წესსა და რიგს უნდა ადგეთ, ვიდრე სხვანი. თვითვეულმა უნდა გადაწყვიტოს საქმე სრულის თავის ჭკუითა, ვისგანმე ძალ-დაუტანებლივ, იმ აზრით, რომ აი ვიფიქრე ყოველ-მხრივ და ის ვარჩიე, რაც სასარგებლოა ჩემთვისაო. რაკი ასე იფიქრებთ და განსჯით საგანს, მაშინვე დაინახავთ, რომ არც ბერძნების ჯარები, ანუ ლეგიონები, არც მათნი წინამძღოლნი და სარდალნი, არც უმეტესად თვით იმპერატორი³⁷¹ არავითარს მახეს არ უგებდა გუბამეს. იმათში ყველა იმას ამბობს და იმას აღიარებს, რომ რუსტიკმა³⁷² და მარტინემ³⁷³ შეიშურეს სიკეთე მისი და აჰყვნენ თავის მხეცურ გულის-თქმასაო. სხვა წინამძღოლთ, არამც თუ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ მაგბოროტ-მოქმედებაში, არამედ დიდადაც სწყენიათ და გული ამღვრევიათ მარტინესა და რუსტიკზე. ამიტომ, ვგონებ, უსამართლობა იქნება და არც არავითარ სარგებლობას მოგვიტანს, რომ ერთისა და ორის დანაშაულის გამო დავარღვიოთ სახელმწიფო კანონები, რომლის პატივისცემაც ვიტვირთეთ, შევსცვალოთ ის წესი და რიგი ცხოვრებისა, რომელსაც შევჩვევივართ და მოღალატენი შევიქმნეთ იმათი, ვინც ჩვენის გულისათვის სდგანან ციხეებში სადარაჯოდ და, ვინ იცის, რა საფრთხეში არ არიან, რა მოსათმენს არ ითმენენ, ოღონდ-კი ჩვენ ვსცხოვრებდეთ მშვიდობითა და მოსვენებით. დასასრულ კიდევ, დიდი ცოდვა იქნება ჩვენის მხრით უარყოფით ქვემარტი სარწმუნოება, წმინდა საიდუმლო და ქრისტეს მოძღვრება. თუ არ უარყოფა, მაშ სხვა რა უნდა იყოს ჩვენი გადასვლა იმათ მხარეზე, რომელნიც ისეთი დაუძინებელნი და ძლიერნი მტერნი არიან ყოვლად შემძლებელისა? ჩვენ რომ იმათ წირვა-ლოცვა დაგვიშალონ და თავიანთი სარწმუნოება შემოგვატყუონ, განა ამაზე მეტად საშინელი-და მოჭხდება რამე ჩვენის ცოცხლისა და მკვდრისათვის? რა სარგებელი უნდა გვექონოდა, თუმცა მთელი სპარსეთიც ჩვენ შემოგვეერთებინა და სულნი ჩვენი-კი წაგვეწყმინდა? თუმცა ვსთქვათ, რომ სპარსელებმა ხელი არ ახლეს ჩვენს სარწმუნოებასა, მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ დიდის გულ-კეთილობით არ მოგვექცევიან, არამედ მუდამ გულში ხინჯი ექმნებათ და საექვოდ დაგვიწყებენ ცქერას, დროსა და გარემოების მიხედვით.

მაშ რის იმედით-ღა უნდა გადავიდეთ, კოლხიდელო, სპარსელების მხარეზე? ისინი მაინც ჩვენს მტრობას არ დაიშლიან და მხოლოდ იმას თუ მოვიძვირებთ, რომ იმდენად უფრო ადვილად შეგვაწუხებენ, რამდენადაც ჩვენთვის ძნელი იქნება გავუფთხილდეთ შინაურს და ქურდულს მტერს, ვიდრე პირდაპირ მოსულს. ვსთქვათ თუნდა, რომ ჩვენი გადასვლა სპარსელების მხარეზე საწინააღმდეგო არ არის არც სამართლიანობისა და არც პატიოსნებისა; ვსთქვათ ისიც, რომ ვითომ

³⁶⁸ სპარსელები – იგულისხმებიან მიდიელები.

³⁶⁹ რომაელები – იგულისხმება ბიზანტიის იმპერიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის მკვიდრნი, რომელთა დაქვემდებარებაშიც აღმოჩნდა ლაზიკა, იგივე ეგრისის სამეფო.

³⁷⁰ მეფე – იგულისხმება იუსტინიანე I (482-565 წწ.) – ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში.

³⁷¹ იმპერატორი – იგულისხმება იუსტინიანე I (482-565 წწ.) – ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში.

³⁷² რუსტიკი < რუსტიკე – ბიზანტიელი სარდალი, სტრატეგოსი, გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭვმიტანილი (VI ს.).

³⁷³ მარტინე – ბიზანტიელი სარდალი, სტრატეგოსი, გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭვმიტანილი (VI ს.).

სპარსელების ხასიათიც უფრო უცვლელია და საიმედო და რომ ისინი თავის დღეში არ დაარღვევენ პირობასა და აღთქმასა. ბოლოს, თუმცა ისიც ვსთქვათ, რომ აღარა გვიშლის-რა სპარსების მხარეზე გადასვლასა. მაინც ვამბობ, რომ ჩვენი ღონე საკმარისი არ არის ამ საქმის გასაბედავად. აბა, როგორ უნდა მოვახერხოთ ესა, როცა ბერძნები, ესოდენ მრავალნი და მამაცნი და მათნი უკეთესნი სარდალნი პირში გვიდგანან? როგორ გადაურჩებით საშინელ შურის-ძიებასა მაშინ, როცა ისინი, ვინც უნდა მოგვეშველნენ, ყოვნდებიან ივერიაში³⁷⁴ და არ მოეჩქარებიან ჩვენდა საშველად? ხოლო ჩვენის სამაგიეროს გადამხდელთ-კი მთელი ჩვენი ქვეყანა ხელში უჭირავთ და შიგ ჩვენს ქალაქებში სცხოვრობენ. პატივცემული აიეტი-კი ბრძანებს, რომ ბერძნები ჩვენს ერთს შეტევასაც ვერ გაუძლებნო და თავის სიტყვების დასამტკიცებლად მოჰყავს ამას წინანდელნი გარემოებანი. ხოლო ვინ არ იცის, რომ ბედი ომში ცვალებადია, და რომ ისინი, ვინც ომში ერთხელ და ორჯელ დამარცხდნენ, შესაძლოა, მუდამ არ დამარცხდნენ და ბევრჯელ გაიმარჯვონ კიდევ. ხშირად გამარჯვება რჩება იმათ, ვინც წინად დამარცხდა, რათა მით გასწორდეს პირველი შეცდომა ბედისა. ამიტომ დიდი იმედი არ უნდა გვექონდეს იმისი, რომ ბერძნები ყოველთვის დამარცხდებიან, როგორც აქამდე იყო. თუ მხოლოდ იმეტომ დამარცხდნენ, რომ კარგად ვერ მოისაზრეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ამ მაგალითმა უნდა დაგვაფიქროს და ჩვენთვის გამოსაყენებელი ჰქუა გვასწავლოს, სახელდობრ, ის ჰქუა, რომ მოუფიქრებლობას მარცხი და ფათერაკი მოსდევს. ან-კი როგორ შეიძლება იმის მიხედვით, რაც იყო, იმედი მივცეთ ჩვენს თავს, რომ უთუოდ გავიმარჯვებთ; უფრო ჰქუას ახლოა, რომ რაკი ერთხელ და ორჯელ შესცდნენ და დამარცხდნენ, მით უფრო გამოიცადნენ, ჰქუა ისწავლეს და შემდეგში მეტის მოფიქრებით და ჰკუით ეცდებიან აიცდინონ შეცდომა. ხოლო თუ თვით ღმერთს აწყენინეს, განარისხეს მით, რომ მათის დაუდევრობით მოჰხდა საზიზღარი კაცის-კვლა და ამიტომ ეწიათ ასეთი უბედურება, ღმერთს რაღა ჩვენი მიშველება და დახმარება ეჭირვება: თვითონაც შეიძლებს მათს დასჯასა. ბერძნებმა იმდენი სიკეთე გაგვიწიეს, ისე გვიცავენ და გვიფარავენ, რომ ჩვენ ყოვლად მოსვენებულნი ვსცხოვრობთ და, თუ მაინც ამ სიკეთის მაგიერ, ვუღალატებთ და განუდგებით, სხვა ვილა მოგვენდობა, რას არ გაგვიბედავენ და რა ბოროტება უნდა იყოს, რომ არ მოგვაყენონ. ამიტომ სჯობს რომ განსვენებულს გუბამეს არავინ არ წამოგვიყენებდეს აქ სიტყვიერად, ვითომ-და ჩვენ შორის სდგას, ჰღვრის ცრემლს, რომელიც არ შეეფერება მამა-კაცს, და გვიჩვენებს თავის წყლულებს, აი გეცოდებოდეთ, ჩემო-თანამემამულენოვო. ასეთი საქციელი ეკადრება მხოლოდ სუსტს და განებიერებულს კაცს, და არა მეფეს, მით უფრო – ლაზს და უფრო კიდევ – გუბამეს. ის რომ ჩვენ შორის იყვეს, ეჭვი არ არის, როგორც კაცი სათნოიანი და გონიერი, გვისაყვედურებდა, ეგ რა გიფიქრიათო, დაგვიშლიდა კიდევ და გვეტყოდა, ნუ დაღონდებით და ნუ შედრკებით, ნუ ილტვით, როგორც მონები, არამედ გიბრძანებთ, გამაგრდით ისე, როგორც ჩვეულება აქვთ კოლხიდელებს, და ნურას ჩაიდენთ ისეთსა, რაც სამარცხვინოა და მოაყივნებს თქვენთა მამა-პაპათა სახელსაო. იყავით ისევე, როგორცა ხართ და იმედი იქონიეთ, რომ ღმერთი არ დასტოვებს კოლხიდელებსაო. განა უგუნურება არ იქნება ვიფიქროთ, რომ ის, ვინც ძალადობით მოჰკლეს, ასე ფიქრობს და ჩვენ-კი, რომელთაც ვითომ გვიყვარს ის კაცი, სულ სხვა გზას გვინდა დავადგეთ? მე იმისიც მეფიქრება, რომ მართო იმისათვისაც არ დავისაჯნეთ საკმაოდ, რაც ფიქრი და განზრახვა გავივლეთ გულში. მომზადებულიც რომ ვიყვნეთ განდგომისათვის და იმედი გამარჯვებისა საეგებიოდ წინ არ გვედგას, ამინც სწორედ დიდად სამძიმო იქმნებოდა ამისთანა გაჭირვებულ ყოფაში მხოლოდ ვინიცობაზედ მიგვეგდო ჩვენი ბედი. მაგრამ, ვინ იცის, იქნება ისინი, ვინც ასე ფიქრობდნენ მოქცევასა, ვარაუდობდნენ, რომ დიდი თავის ტეხა არ უნდა საქმესაო. ხოლო თუ წინ-დაუხედაობა და მოსალოდნელი ბოროტება ასეთის განზრახვისა ასე ცხადია, მაშ რაოდენად ღირსნი უნდა იყვნენ სიმულვილისა ისინი, ვინც ჩაგვაგონა მაგისთანა ფიქრი და აზრები? ვგონებ საკმაოდ გავარკვიეთ, როგორ უნდა მოვერიდნეთ ამისთანა კაცებს. ჩემი აზრი-კი ის არის, რომ უნდა ვაუწყეთ იმპერატორს, როგორ მოჰხდა ყოველივე ესე, რათა მან ღირსეულად დასაჯოს თავი დამნაშავენი კაცის-კვლისა. თუ ეს ასე მოჰხდა, მაშინ ჩვენც დავივიწყებთ, თუ რამ მტრობა გვექონია რომაელებისა და კვლავ მოვითმენთ იმათთან ერთად ყოველსავე მოსათმენს და კვლავ ვილაშქრებთ და ვიბრძოლებთ ისევე ისე, როგორც გვიბრძოლნია წინად. ხოლო თუ არ შეიწყნაროს ჩვენი თხოვნა, მაშინ უნდა ვიფიქროთ და განვსაჯოთ, საჭიროა თუ არა სხვა გზას მივმართოთ. ასეთის ქცევით დავამტკიცებთ, რომ არ დაგვივიწყნია გუბამე და ჩვენს საქმეებს მოფიქრებით განვაგებთ.“

³⁷⁴ ივერია = იბერია = ქართლი – ძველი აღმოსავლეთ საქართველო.

The Speech

by Phartazes at the People's Assembly Because of the Political Situation of Colchis in 554

“That what you heard has had a profoundly disturbing effect upon your minds is not surprising. You have in fact succumbed to a magnificent piece of oratory. The power of eloquence is indeed hard to combat. No man is proof against its well-aimed shafts, least of all those who have never before experienced them. But that does not mean that it cannot be countered by the prudent exercise of the faculty of reason and by bringing critical discernment to bear on the realities of a situation. Do not, therefore, accept statements whose credibility turns out on closer inspection to rest not on any considerations of honesty or utility but solely on the suddenness and novelty of their appeal. Rather must you realize that however attractive they may appear better options do in fact exist. Furthermore, that you were easily won over should itself be a clear proof of the deception practised on you.

The man who is advocating a dishonest stand has greater need of impressive arguments and fine words; thus, by effectively sugaring the pill he quickly enlists the support of the more simple-minded. That is precisely what happened to you when Aetes³⁷⁵ contrived to lend an air of attractive novelty to his tendentious exposition. You have no conception how thoroughly you have been hoodwinked. Yet, if nothing else, one can hardly fail to note how he started off by dragging in a completely irrelevant question. As though you were all saying that what had happened was not serious, refusing to condemn the brutal murder and concentrating all your attention on the question of whether the murderers of Gubazes were really in the wrong, he came forward and delivered a lengthy indictment of them, in which he devoted much discussion to proving what had already been established. I for my part regard as the vilest and most abandoned wretches whom I would gladly see put to the most horrible of deaths not only those who struck the blows and performed the actual killing with their own hands but all those too who had the chance to prevent it and did nothing about it. And I include those who were delighted and even those who were not particularly distressed at the crime. But the fact that I entertain such feelings does not make defection to the Persians into a sound policy. By what logic could the abandonment of principles on their part be construed as implying the necessity for a similar course of action on ours? It is hardly consistent to be angered at their treachery while ourselves incurring a similar reproach.

So, we must not now dwell on the unalterable and irrevocable past lest by deliberating in a spirit of anger we allow our judgement to be clouded and deprive ourselves of the chance of finding a better solution. No, we must keep our heads without appearing to lose our hearts and take thought in advance to ensure the successful conduct of our affairs. Only fools spend their time brooding in perpetual resentment over past ills. Wise men are inured to the whims of fortune and undismayed by chance or change. They do not react to past deprivation by destroying all hope of success for the future.

Aetes' pro-Persian sentiments are of long standing and so is his desire to bring us into an alliance with Persia. This policy he is advocating by trying to scare us like so many children into believing that the Romans will not stop at what they have done but that their effrontery will assume still more alarming proportions. Their Emperor is also credited with being an arch-trouble-maker and is supposed to have ordered the murder personally, the design itself having been hatched and elaborated long before its execution. While making these allegations he praises the Persians to the skies thinking that that will make us desert immediately and become the humble petitioners of those who are by nature our deadliest enemies. His every remark is aimed at this objective. Right from his opening words he goes to great pains and to great lengths to secure the realization of his pet schemes. And indeed, his uncritical harangue has the effect of confusing and frustrating the whole

³⁷⁵ Aetes = Aieti – Georgian political figure of the VI century, orator, distinguished Colchis. In this context, Phartazi refers to Aieti as an opponent and as his predecessor.

process of deliberation. It is the function of deliberation to take precedence always and to lead the way, subjecting all that remains unclear to a rigorous scrutiny. When the course to be pursued has been determined, then and only then does the desire to act upon the decisions arrived at become a necessary and relevant factor. But Aetes has put the cart before the horse and, before attempting to clarify the issue, has already embarked upon a decision. Yet what is the use of deliberation if the matter has been prejudged?

Bring an unbiassed mind to bear, fellow Colchians, on the matter under consideration and do not allow your views to be coloured by preconceived notions and ulterior motives. We cannot force events to fit into a pattern of our own choosing. That would be absurd. No, it behoves us to follow them step by step, subjecting them to the rational analysis of a lucid and independent mind. Such a procedure would enable us to form an accurate picture of what has happened and to discover where our true interests lie. Now if you deliberate in this fashion it will immediately become apparent to you that the conspiracy against Gubazes' life was not the doing of the Roman forces, nor even of all the generals, and still less of their Emperor. It is already common knowledge among the Romans that Rusticus and Martin out of envy for his good fortune embarked on their own private piece of wickedness not just without the co-operation of the other leaders but even in the face of their evident displeasure. I consider it unjust as well as unprofitable to do violence to the laws of our community, which we set out to cherish, on account of the wrong-doing of one or perhaps two individuals and to do away with the whole of our familiar pattern of life which means so much to us, on so slender a pretext. We would also be branding ourselves as the betrayers of those who are guarding our land and imperilling their own lives so that we can live in comfort, and most heinous of all we would be showing contempt for the dignity of the true faith in all its outward and inward manifestations. For that is precisely what we shall seem to be doing if we join forces with the violent antagonists of the Deity. If they debar us from the practice of our religion and force us to adopt theirs, then what more horrible fate than that could we suffer both in this world and in the next? What will we gain (let us put it this way) if we win the whole of Persia and suffer the loss of our souls? Even if they were tolerant we would certainly not be able to count on their lasting goodwill. On the contrary, it would be an illusory and insecure arrangement, a mere temporary expedient. There can be no real fellowship and no lasting bond between men of different religion not even under the stimulus of fear or of some previous act of kindness. A common religion is the one indispensable precondition for such a relationship. In its absence, even the tie of kinship suggests an affinity which is only so in name while in reality there is no common ground whatsoever. What then do we stand to gain from going over to the Persians if even so they will remain our enemies and we shall only succeed in making ourselves more vulnerable in that it is more difficult to guard against the enemy from within than the enemy from without? But let us assume for the sake of argument that there is nothing immoral or disreputable about such a move and that the Persians are a hundred per cent trustworthy and reliable and will never fail to honour the terms of the future treaty. Yet granted that this were really the case and assuming that none of the other objections held good we would not be in a strong enough position to act. How could we desert to a foreign power while the Romans are still in charge and have such a huge concentration of first-rate troops on our soil under the command of generals of no mean ability? How could we possibly avoid suffering the most savage reprisals when those who were supposed to come to our aid would be lingering in the region of Iberia and advancing at snail's pace whilst our avengers were occupying the whole of our country with their troops billeted in our cities?

And yet this good fellow informs us, basing his claim on recent events, that they will not even be able to sustain the first shock of our arms. Though it should be perfectly obvious that the vicissitudes of war do not conform to a set pattern and that the failures of the moment are not doomed to be similarly unsuccessful on each and every occasion. On the contrary victory often follows in the wake of defeat and cures the distress it has caused. We must not therefore become over-confident on the grounds that habitual defeat in every engagement has come to be expected of them. For if the sole cause of their defeat has been their failure to make the right decision then we should let that be a warning to ourselves to be on our guard against the dangers of precipitate action. So, on no account should we regard what has happened as a clear indication that we shall get the better of them. Indeed, it is only reasonable to suppose that those who have blundered in the past and have learnt from experience what to avoid will make good their previous omissions by their vigilance for the future. And if the Deity is angry with them because of the heinous crime they have committed against the dead man

and that is the reason for their present plight, what need is there for us to appear on the scene to give a helping hand as though He were not up to the task of seeing that justice is done but required help from us? We shall certainly have reached the acme of impiety if we dishonour by our defection the beneficent Providence which even without our doing anything fights righteously on our behalf. So, let no one introduce into his speech the figure of the dead man uttering the most unmanly complaints and beseeching his fellow countrymen to feel pity for him and pointing to his wounds. Such behaviour may perhaps accord well with the portrayal of some pusillanimous and effeminate wretch, but it should never be attributed to a king and to a king of the Lazi at that, and least of all to Gubazes. If he were present here he would, like the pious and rightminded man he was, reproach us for entertaining such proposals and would bid us not to be so dejected and faint-hearted and not to resolve to run away like a gang of slaves. He would bid us rather to recover the dignity and self-reliance of Colchians and of free men and to stand up courageously to misfortune, not allowing ourselves to be induced to do anything dishonourable or unworthy of our country's history and remaining true to its present obligations, secure in the knowledge that Providence will not abandon our nation.

Now, if these are the sort of sentiments that are likely to meet with the approval of the very man who was brutally murdered, is it not altogether extraordinary that we, who claim to be motivated by our affection towards him, should hold the opposing view-point? 8 Indeed I am afraid that we shall be severely punished merely for toying with the idea of following such a course. If the prospects of the intended defection were far from clear and the success of the issue could be said to hang in the balance, it would still be highly dangerous to make so momentous a decision depend solely upon chance, though the advocates of this policy would very probably have less to fear from their impudence. 9 But if it is shown to be a demonstrably bad policy from every conceivable point of view then how can we fail to hate the authors of such a suggestion? Enough then has, I think, been said to make it quite plain that we should steer clear of such a course.

In conclusion, I propose that we should send a report of what has happened to the Emperor of the Romans to enable him to visit with condign punishment those most responsible for the outrage. I propose also that if he proves willing to do so we should put an end to our dispute with the Romans and resume normal co-operation in both the civil and the military spheres. But if he should reject our petition then we shall have to consider whether it will not suit us to explore some other avenue. In this way, we would not appear to be unmindful of the dead nor would we give the impression of acting on impulse rather than judgement in the conduct of our affairs”.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ბიზანტიელი პოეტისა და ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის (536-582) საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილია [საბრალდებო სიტყვა, თქმული კოლხთა წარმომადგენლის მიერ გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე, 556 წელს]³⁷⁶. ისტორიიდან ცნობილია, რომ ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანე I-მა 556 წელს, სპარსელების დამარცხების შემდეგ, ქალაქ არქეოპოლისში³⁷⁷ მოაწყო გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება. სასამართლოში საბრალმდებლო სიტყვა უთქვამს კოლხთა წარმომადგენელს. ამ ორატორის სახელს აგათია სქოლასტიკოსი არ ასახელებს. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგს და სიტყვის ჟანრსა და საბრალდებო სიტყვის ქვეჟანრს.

სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე, მათ შორის, 1936 წელს – „გეორგიკაში“³⁷⁸, 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ შედგენილ „ქართულ მჭევრმეტყველებაში“³⁷⁹, 1961 წელს – ვ. ჟვანიას მიერ³⁸⁰, 1993 წელს – ფრაგმენტის სახით ჟურნალში „მართლმსაჯულების მაცნე“³⁸¹, 1997 წელს – ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“³⁸², 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილის, ვ. პაპასკირის მიერ „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“³⁸³.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი თარგმანები, რომელთაგან ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს³⁸⁴, ხოლო ინგლისური თარგმანი – ჯ. დ. ფრენდოს³⁸⁵. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

³⁷⁶ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 129-140.

³⁷⁷ არქეოპოლისი // ძველი ქალაქი = ციხე-გოჯი – დღევანდელი ნოქალაქევი, ლაზეთის (ლაზიკა) სამეფოს ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი.

³⁷⁸ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 129-140.

³⁷⁹ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 116-121.

³⁸⁰ ჟვანია, ვ., ქართველი იურისტები: ნარკვევები ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიიდან, თბილისი, ხელოვნება, 1961, გვ. 141-146.

³⁸¹ ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, 1993, №4, გვ. 23-24

³⁸² კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 165-166.

³⁸³ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 117-123.

³⁸⁴ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 129-140.

³⁸⁵ Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975, pp. 103-107.

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview
were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The indictment speech by a Colchian representative on the trial of the murderers of King Gubazes, in 556] is presented in historical essays of the Byzantine poet and historian, Agathias Scholasticus (536-582)³⁸⁶. We know from history that the Byzantine emperor Justinian I in 556, after defeating the Persians, organized the trial of the assassins of King Gubazes in the city of Archaeopolis³⁸⁷. The representative of the Colchis said an accusatory speech in court. The name of this orator is not mentioned by Agathias Scholasticus. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the field of judicial rhetoric, and to the genre of speech and the subgenre of indictment speech.

The speech was published several times, including in 1936 – in “Georgica”³⁸⁸, in 1958 – in “Georgian Rhetoric” compiled by N. Kandelaki³⁸⁹, in 1961 – by V. Zhvania³⁹⁰, in 1993 – in “Herald of Justice” as a fragment³⁹¹, in 1997 – in V. Katchakhidze’s “Rhetoric”³⁹², in 2000 – by T. Jagodnishvili, I. Jagodnishvili, and V. Papaskiri in “Georgian Oratory Art”³⁹³.

In the present edition, we have printed the Georgian and English translations of the oratorical sample, the Georgian translation belongs to S. Kauhchishvili³⁹⁴, and the English translation to J. D. Frendo³⁹⁵. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

³⁸⁶ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 3, Greek text with Georgian translation. Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 129-140. (in Greek and Georgian).

³⁸⁷ Archaeopolis // Old city = Tsikhe-Goji – today’s Nokalakevi, the capital of the Kingdom of Lazeti (Lazica) or the whole of western Georgia.

³⁸⁸ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 3, Greek text with Georgian translation, Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 129-140. (in Greek and Georgian).

³⁸⁹ Kandelaki, N. (Comp.), Georgian Rhetoric: Monuments and Materials, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 116-121 (in Georgian).

³⁹⁰ Zhvania, V., Georgian Lawyers: Essays on the History of Georgian Judicial Rhetoric, Tbilisi, Khelovneba, 1961, pp. 141-146 (in Georgian).

³⁹¹ Journal “Herald of Justice”, Supreme Court of the Republic of Georgia, 1993, №4, pp. 23-24.

³⁹² Katchakhidze, V., Rhetoric: Political, Judicial, Military, Academic, Preaching, Ceremonial, Funeral, Tbilisi, Metsniereba, 1997, pp. 165-166 (in Georgian).

³⁹³ Jagodnishvili, T., Jagodnishvili I., Papaskiri, V., Georgian Oratory Art (Chrestomathy-Practicum), Tbilisi, Technical University, 2000, pp. 117-123 (in Georgian).

³⁹⁴ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 3, Greek text with Georgian translation, Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, pp. 129-140 (in Greek and Georgian).

³⁹⁵ Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975, pp. 108-112.

საბრალდებო სიტყვა

თქმული კოლხთა წარმომადგენლის მიერ გუბაზ მეფის მკვლელთა
გასამართლებაზე, 556 წელს

„ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულნო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოთ. მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით, და ამიტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვითარების განმარტებას. ამრიგად, ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული, თუმცა ჩვენი სიტყვა მარტივი და გაუმართავი იქნება და, შესაძლებელია, ჩადენილი ბოროტმოქმედების მნიშვნელობა მან ვერც კი გადმოგცეთ. რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ისე შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის დროს და მშვიდობიანი ცხოვრებისა და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენნაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი, და რომელთაც უდიდესი მტრობა გამოიჩინეს თქვენ მიმართ, თქვენს მტრებს კი სამსახური გაუწიეს? მოკლული ხომ მეფე იყო, მსახულო, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული, და რომელთა საქმეებისათვის მუდამ იყო მკვლელებზე უფრო ერთგული.

უკუღმა დატრიალდა კოლხთა³⁹⁶ საქმეები და დაინგრა, განსაკუთრებით სახელმწიფო საქმეები, თუმცა ჩვენ ქვეშევრდომი სახელმწიფოს ერთ, არა უმნიშვნელო, ნაწილს შევადგენთ. თქვენც აღარა გაქვთ თავისუფალი და ურყევი მდგომარეობა და საგრძნობლად დაგისუსტდათ საკუთარი ძალ-ღონე. თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსამე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას. რადგან ყველაფერ ამის ჩამდენნი ისინი³⁹⁷ არიან, ამიტომ გეუბნებიან: ამ – თუმცა საშინელს – საქმეს კი ნუ უყურებთ, არამედ მხოლოდ ის განზრახვა უნდა გამოიკვლიოთ და მხედველობაში მიიღოთ, რომლითაც ვხელმძღვანელობდითო; და უფრო ამჯობინებენ ზოგიერთი ბუნდოვანი – თითქოს სინამდვილის შესაფერისი – საბუთების საშუალებით დაგისახონ თავისი მოქმედება, როგორც თქვენ საკეთილდღეოდ ჩადენილი, ვიდრე აღიარონ აშკარა ზარალი, საქმისათვის მიყენებული. ასეთ ტყუილებს ყბედობდნენ ისინი ხშირად სასამართლოს დანიშვნამდე და ფიქრობდნენ, რომ ბევრს შეაცდენდნენ. თუ კი ისინი საქმის გარჩევის დროსაც ასეთსავე მოსაზრებებს წამოაყენებენ, დე იცოდენ მათ, მსაჯულო, რომ არც რომაელს³⁹⁸ და არც სამართლიანობას სჩვევია ასეთი ცხადი და აშკარად ჩადენილი უსამართლობა უყურადღებოდ დასტოვოს და თავი მოატყუებინოს ბუნდოვან მიზეზებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა მკვლელების მიერ შეთხზული. შეუწყნარებელია ამის ატანა: თვითონვე აშკარად ამბობენ, რომ მოკლეს ის კაცი, და თანაც სტყუიან, რომ ამით უდიდესი სარგებლობა მოუტანეს სახელმწიფო საქმეებს. როგორ თავდება მათ თავში ეს წინააღმდეგობა, ან როგორ შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც ამ საქციელს საზიზღარს ვუწოდებთ, შევაქოთ მისი ჩამდენი და ვთქვათ, რომ მისი მიზანი იყო სახელმწიფოსთვის სარგებლობა მოეტანა? იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურევნელი, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი.

თუ კი მათ ზრახვებს გავაშიშვლებთ და გამოვიკვლევთ, აქაც ისინი გამოჩნდებიან უბოროტეს მტრებად, სპარსელთა სასარგებლო განზრახვების მქონეებად; ასე რომ საკადრისიც არ არის ამ სისხლის

³⁹⁶ კოლხთა < კოლხები – სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ძველი ქართველი ტომების საერთო სახელი, აქ იგულისხმებიან ლაზები.

³⁹⁷ ისინი – იგულისხმებიან გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭვიმტანილი ბიზანტიელი სარდლები, სტრატეგოსები: რუსტიკე, იოანე, მარტინე.

³⁹⁸ რომაელი – იგულისხმება ბიზანტიის იმპერიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის მკვიდრი.

მსმელებს რომაელების სახელით ვიხსენიებდეთ ან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ვიქონიოთ მათთან, როგორც თვისტომებთან; ისინი უნდა ჩავთვალოთ უკიდურეს მტრებად, რომლებიც ჩვენგან გამოთიშა ბუნების კანონმა, თუმცა ეს კანონი თქვენგან ხელმოწერილი არაა: მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცნობ ადამიანი და არა სიშორის მიხედვით. ცხადია, მტრად უნდა ჩათვალო ის, ვინც იმას აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმდეგეებს ესამოვნებათ, თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად ლაშქრობდეს და ახლო ნათესაურ კავშირში იყოს შენთან. ეხლა: ისინი ამბობენ, რომ მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტირანი და სპარსელების მომხრე. კიდევ მეტი: ისინი ისეთ უსამართლობამდე მივიდნენ, რომ განსვენებულს³⁹⁹ აბრალებენ მედიზმსაც⁴⁰⁰: საბრალო! სიკვდილის შემდეგაც ვერ განთავისუფლდა უბედურებისაგან, და ეხლაც, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოს, მოღალატეობაში ედება ბრალი. რომელი კანონი – თქვენი⁴⁰¹ ან ბარბაროსებისა⁴⁰² – მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალმდებლებიც, ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად სრულიად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორც შეეფერებოდა მართლაც ტირანობაში გამტყუნებულს. ეხლა კი, როდესაც თავის გამართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს; სანამ მას მოჰკლავდნენ, საჭირო იყო, თუ კი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში და თვით პირველნი გამოსულიყვნენ ბრალმდებლებად და არა ისე, როგორც ეხლა მოხდა: როდესაც ისინი თვით არიან ბრალდებულნი, საპასუხო ბრალდებას აყენებენ. თუ ეს ყველასათვის ნებადართულია, რა გვიშლიდა ხელს ჩვენც საკუთარი ხელით მოგვეკლა ეს სისხლისმსმელები? ჩვენც, სამართალში მიცემულნი, მათ, უკვე მიცვალებულთ, ბრალდებად წავუყენებდით მათ მიერ წინათ ჩადენილ შეცოდებებს, და ამით შევეცებოდით, სრულიად სამართლიანად, სამაგიერო შეგვეცოდა: ჩვენ ხომ ძალიან აღელვებული ვართ წინათ მათ მიერ აშკარად ჩადენილი საქციელით და სამართლიანად ვიძიებდით შურს! დავაც წესიერად წარიმართებოდა. მაგრამ არც ჩვენ, არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავხედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრების მოკვლა, ამგვარი საქციელის ხშირად ჩადენა მიგვიყვანდა უსაზღვრო თავხედობამდე, და როგორღა შეგრჩებოდათ თქვენ შესაძლებლობა თავისუფალი და დაუბრკოლებელი განსჯისა? ყველა რომ ჟლეტიას დაიწყებს და გაჟლეტილი იქნება და თამამად მიმართავს ერთმანეთის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ვეღარ შესძლებთ სასჯელის დადებას: უაზროდ დაიხოცება მთელი მოდგმა და გამოძიების საშუალებას წინასწარ მოსპობს იმათი უკანონო საქციელი, რომლებიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ.

თუმცა – ამბობენ ისინი – განა უბედურებაა ის, რომ ერთი კაცის, ისიც მოღალატის, მოკვლით ყველა მოკავშირე უფრო გონიერად მოიქცევა? მოღალატეთა მართლაც რომ დიდი რაოდენობა იქნეს მოსპობილი, თუმცა ამით არავითარი სხვა სარგებლობა არა აქვთ მკვლელებს, მაგრამ თვით მოვლენა ამგვარი ხალხის მოკვლისა საკმაოდ სასარგებლოა. მაგრამ, თუ კი, მიუხედავად იმისა, რომ მოღალატეობა დამტკიცებული არაა, ერთბაშად აქრობენ და ჰკლავენ ერთ-ერთ უადრესად წარჩინებულ კაცს, თითქოს ის აშკარა ბოროტმოქმედებაში დაეჭიროთ, რანაირად შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონიერად მოგექცნენ? იქნებ მათ უფრო ხელშეკრულებათა დარღვევა დაიწყონ, რახან იფიქრებენ, რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ? ისინი დაასკვნიან, რომ, თუ თქვენთანებისა და მახლობლებისადმი არ იჩენთ ღმობიერებასა და სამართლიანობას, მნელი საფიქრებელია, რომ ერთგულნი დარჩებით უცხოელთა და გარეშეთა მიმართ, რომლებთანაც მხოლოდ აუცილებლობის გამო გაქვთ ურთიერთობა. მაგრამ თქვენ არ მიგიღიათ მონაწილეობა მკვლელთა გეგმაში, არც მთელ რომაელ ერს მიეწერება ეს ბოროტმოქმედება, კერძოდ ჩადენილი ამათ მიერ; ამათი ვერაგული საქციელი ვერც თქვენ შესახებ წინათ არსებულ აზრს მოსპობს, სახელდობრ, რომ თქვენ ერთგულნი ხართ თქვენი ქვევით და ურყევი, და სამართლიანი კანონებითაც ხელმძღვანელობთ. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლანდელი სამსჯავროც ხალხის საერთო

³⁹⁹ განსვენებული – იგულისხმება გუბაზ მეფე.

⁴⁰⁰ მედიზმი – სპარსელების მხარეს ყოფნა, პროსპარსული ორიენტაციის მქონე. გუბაზ მეფეს მისი მკვლელები მედიზმს აბრალებდნენ, რის გამოც იყო, რომ ის იმსხვერპლეს.

⁴⁰¹ აქ იგულისხმება ბიზანტიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის კანონები.

⁴⁰² აქ იგულისხმება არაბერძნები, არაბერძნულად მოლაპარაკეები, ან დაბალი სოციალური და კულტურული განვითარების მქონე ხალხი, ეთნოსი.

დიდებისათვის მოაწყეთ, რათა ყველას გაეგო, რომ თქვენ არასდროს არ გნდომიათ კოლხებს ისეთი საშინელი ძალადობა განეცადათ. შესაძლებელია ეხლა ბევრის აზრი ხან აქეთ იხრებოდეს, ხან იქით, გაურკვეველი და მერყევი იყოს, მაგრამ, მსაჯული, როდესაც შენი მსაჯულის მიხედვით ისინი მალე მოკლული იქნებიან, უფრო გასაგები შეიქნება, რომ თქვენ (რომაელები) თავისიანების მოღალატენი კი არა ხართ, არამედ უსამართლოდ მოქმედთა მომთვინიერებელნი. თუმცა ისინი, როგორც ჩანს, სიტყვით თავს იცავენ, მაგრამ საქმით საკუთარი თავის გამამტყუნებლად გამოდიან და აღიარებენ ამ მკვლელობის სისაძაგლეს. მეფის წერილი ხომ უბრძანებს სტრატეგოსებს⁴⁰³ ბიზანტიონში⁴⁰⁴ მიჰგვარონ გუბაზი, ჯერ დაიყოლიონ ის ბიზანტიონში წასვლაზე, ხოლო თუ არ დაემორჩილება მათ განგებ და წინააღმდეგობას გაუწევს, ძალით გააგზავნონ; მისი მოკვლა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, სანამ ის საბოლოოდ არ გადაუდგებოდა რომაელებს და მტრულ მოქმედებას არ დაიწყებდა. ესენი კი არც სტრატეგოსები ყოფილან, არც ნება მიუცია მათთვის ვინმეს ჩაედინათ ის, რაც მოესურვებოდათ, უცბად მოეკლათ საცოდავი გუბაზი ისე, რომ არც წინასწარ ეთხოვნათ მისთვის ბიზანტიონში წასულიყო და არც ეცადათ იმის გასინჯვა, უდიერად შეხვდებოდა ის მეფის განკარგულებას თუ არა. თუმცა ისინი ამაყობენ და ტრახახობენ იმით, თითქოს შეასრულეს მეფის დავალება, მაგრამ, პირიქით, როგორც ჩანს, მათ გვერდი აუარეს მის სურვილს, წინასწარ თავხედურად შეხანხლეს გუბაზის წინააღმდეგ ყალბი ბრალდებები და, წინააღმდეგ მათთვის მეფისაგან მიცემული განკარგულებისა, საკუთარი სურვილის მიხედვით დალუპეს კაცი; და, რაც ყველაზე უფრო უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, არც კი აჩვენეს მეფის წერილი, რომ ის გასცნობოდა მის შინაარსს და მოქცეულიყო საჭიროებისამებრ.

ნუ თუ, ამის შემდეგ, ის, რაც მათ გაბედეს, არ უნდა ჩაგვეთვალა ნამდვილ უბედურებად და უსაზიზღრეს მკვლელობად? ვინმეს მიმართ უსამართლობის ჩადენა ხომ აკრძალულია. და ჩვენც უნდა ვერიდებოდეთ მის ჩადენას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უსამართლობა ეხება მეგობარსა და კეთილისმსურველს, იმ ადამიანს, რომელიც ხშირად გაბმულა საფრთხეში მახლობელთა გულისათვის. ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და, იმ დროს როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების⁴⁰⁵ სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ ჩასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუ კი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი. სად ხართ კანონებო, სად არის სამართალი! მას აბრალდებენ მედიზმს, ტირანობას, რომაელთა მოღალატეობას! ის მოკლეს რუსტიკემ⁴⁰⁶ და იოანემ⁴⁰⁷, ამ სამაგელმა და საზიზღარმა კაცებმა მოკლეს მეფე! ის რომ მართლაც დამნაშავე ყოფილიყო, ამათ მიერ კი არ უნდა ყოფილიყო ის მაშინვე მოსპობილი, არამედ მისი საქმე დინჯად უნდა გაერჩია რომაელთა და კოლხთა საერთო მეფეს, როგორც უდიდესსა და ყოველთა უძლიერესს, და სათანადო სასჯელი დაენიშნა. მაგრამ, ვინაიდან ამათ არ ჰქონდათ არავითარი კანონიერი საბუთი მისი მოკვლისათვის, უფრო კი შურიანობით გამოწვეული უზომო მტრობა აღიზიანებდა მათ ბოროტება ჩაედინათ, სათანადოდ არ მოიფიქრეს, გონიერი მოსაზრება არ მოიხმარეს და არც გაითვალისწინეს, თუ რა იქნებოდა სასარგებლო, და ამაყურ ქცევასა და შურისძიებას რომ დაემორჩილნენ, ჩაიდინეს დიდი თვითნებობა. ის, რაც დიდი ხანია განზრახული და ზედმიწევნით დაგეგმილი ჰქონდათ, სისრულეში მოიყვანეს პირველ შესაძლებლობისთანავე ისე, რომ არც დროის ვითარებას მიაქციეს ყურადღება და არც კარგად მოიფიქრეს. რადგან ისეთ მძიმე ომში ვიყავით გახვეული, გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდა უცხო და

⁴⁰³ სტრატეგოსი – სარდალი, სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელი.

⁴⁰⁴ ბიზანტიონი – იგივე ბიზანტიუმი (ბერძნ: Βυζάντιον, ლათ: Byzantium) – ძველბერძნული ქალაქი ბოსფორის სრუტის სანაპიროზე. ბიზანტიუმი არის ბერძნული დასახელების ბიზანტიონის ლათინიზებული ვარიანტი; აქ იგულისხმება ბიზანტიის იმპერიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი.

⁴⁰⁵ მიდიელები – იგულისხმებიან სპარსელები.

⁴⁰⁶ რუსტიკე – ბიზანტიელი სარდალი, სტრატეგოსი, გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭვმიტანილი (VI ს.).

⁴⁰⁷ იოანე – რუსტიკეს ძმა, გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭვმიტანილი (VI ს.).

ჯერ კიდევ უცნობი ერები. ამათ კი ისინიც კი რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი მახლობელი მეგობრები იყვნენ. და მათი ბრალია, რომ ჩვენ მტრის მხარეზე გადავედით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით, რომ ეს ქვეყანა სპარსელების ხელშია და მშობლიური წესები მივიწყებულია, – ერთი სიტყვით, ყველაფერი უწესრიგოდ მიმდინარეობს; აი, რამდენი ზარდამცემი ნიშანია აჯანყებისა და შინაური არეულობისა. ამიტომ, რადგან ყველაფერი ეს ნამდვილად ასეა და ჩვენი საქმეები ყოველმხრივ ანგრეულია, უნდა მივუყენოთ ამათ ისეთი ღირსეული სასჯელი, რომლის გამოძენასაც კი შევძლებთ. თუ ჩვენ რომაელთა ერთგულნი ვართ ურყევად, არ იქნება სამართლიანი, მსაჯულო, რომ ამათ ჩვენი ჩვილი ხასიათით ისარგებლონ და უფრო ნაკლები სასჯელი მიიღონ, ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფერება.“

The Indictment Speech

**by a Colchian Representative on the Trial of the Murderers of King
Gubazes in 556**

“The enormity of the crime committed is in itself sufficient to condemn its perpetrators to the severest of punishments without our uttering a single word. But since it is a requirement of your laws that even in the case of notorious and outrageous offences judgment must not be passed until all the facts have been clearly stated, we have come here to give a bare recital of events. In this way, we too shall fulfil the requirements of the law, though our language will be simple and unadorned and quite unequal to the magnitude of the crimes committed. What semblance of an excuse will they find for the cold-blooded murder of a man of such exalted rank who was bound to you by ties of friendship, alliance, hospitality and by a common religion, a man in fine who possessed all the attributes of a most intimate associate and friend? What vestige of an excuse, then, will be left them once they are shown to have behaved with extreme hostility towards you by virtually promoting the interests of the enemy? The murdered man was a king, a king of no mean nation, a great force for virtue and one who, far more than his murderers ever did, had always had the interests of the Romans at heart.

The Colchian state is in ruins, indeed it would be more accurate to say, ‘The Empire is in ruins’, given that we constitute a not inconsiderable fraction of its subjects. The stability and integrity of your regime has been destroyed and your own power is sadly weakened as a result. For a state which is not firmly supported throughout its entire structure no longer has any title to be considered a unified political entity. Indeed, to call it a state becomes a contradiction in terms once its unity has been drastically impaired. Now the very men who have brought about this situation say that you must take into account not the appalling consequences of their action but the spirit in which it was done, and they would have you proceed by an obscure and specious form of argumentation to conjure up a fanciful picture of the benefits that have accrued to you therefrom rather than give any credence to the manifest harm already experienced. Even before the trial in fact they thought by dint of repeating these sophistries to mislead the masses. If therefore they are going to put forward this type of argument in a court of law then they had better realize that it is not in keeping with the principles of Roman justice to turn a blind eye to such a glaring and flagrant offence in order to be deceived by such obscure allegations and trumped-up charges as theirs. It is intolerable that they should openly admit that they have killed Gubazes and yet persist in making the wild assertion that the common good has benefited immensely from their action. How can such glaring inconsistencies be reconciled? By what logic shall we describe the act as an atrocity while at the same time praising the public-spirited intent of its perpetrators? The two notions of public good and illegal violence have from time immemorial been diametrically opposed. Likewise, cruelty and justice are poles apart. There is no common ground between them and no possible point of contact.

But if we confine ourselves to a bare examination of the end in view even on that score they will be convicted of malice aforethought, since the policy they adopted has the blessing of Persia. These murderers therefore are not fit to be called Romans, nor should they be judged with the indulgence extended to one’s fellow countrymen but rather as though they were your worst enemies, since they are already divided from you by the common law of humanity even if not yet by your own written code. For actions, not distance, are the only proper criterion for determining what is alien and hostile. Whoever deliberately plays into the hands of the enemy may himself with good reason be deemed an enemy, even if he is close at hand, even if he is serving in the same army, even if he is of the same blood. ³ But they claim that they did not kill a friend or a king but an enemy and a rebel and an active sympathizer of Persia. Yes, in their criminal folly they have even gone so far as to charge the dead man with conspiracy to betray the state to the Persians. And things have now come to such a pass that even in death the unhappy man has no rest but must stand trial for high treason in circumstances where he can gain nothing from an acquittal. What law is there in force among yourselves or among barbarians which would sanction the practice of first pronouncing and executing the sentence and then

proceeding to draw up the indictment? Setting themselves up as judges, enemies and accusers all rolled into one, they inflicted upon an innocent man without even giving him a trial the punishment appropriate to one who had been genuinely convicted of seeking to assume arbitrary and unconstitutional powers. Now when they are supposed to be defending themselves they have come bringing accusations against the victim of their own injustice. Yet if they believed in the charges they are making they ought first to have embarked openly on criminal proceedings against him and been the first to open the case for the prosecution before killing him and not to have waited until they were themselves accused and then bring out a counter-accusation.

If everyone is entitled to do this sort of thing then why did we not take the law into our hands also and kill these murderous brutes, since when we were brought to justice we could always have countered the charges preferred against us by arraigning them posthumously with their previous crimes, and thus attempted to demonstrate that two wrongs make a right? Given in fact the incontrovertible nature of the evidence for the prior events to which we had reacted in anger, we would have been punishing them with greater justice and the case for the defence would have proceeded with all due propriety. But there is no place for such outrageous conduct either on our part or on anybody else's, that is if you are to live according to your traditional standards of legality. For if whoever feels so inclined is permitted to kill his private enemies in this summary and offhand manner, and the practice becomes such a regular occurrence that no limit is set to criminal daring, how long do you imagine the authority of the judiciary will remain unimpaired? In the mutual slaughter and the endless chain of plots and counterplots that will ensue you will not be able to punish or bring to heel the culprits in time, and as your nation rushes blindly to destruction all possibility of impartial investigation will be precluded by a wave of personal vendettas.

Yet the accused contend that there is nothing very dreadful about the death of a single individual who happens also to be a traitor, especially in view of the salutary and sobering effect it will have on all your allies. I am in complete agreement. If it is a question of destroying real traitors, then the more the merrier. The mere fact of ridding the world of such men is in itself a sufficient boon, even if no other benefit derives from the action of their slayers. But if without there being a shred of evidence to convict him a person of very great distinction is suddenly struck down and punished like a common traitor caught red-handed in the act, one is perhaps entitled to ask exactly how that is meant to have a salutary and sobering effect upon your allies? Surely, they would be much more likely to disavow their alliance if they suspected that you were party to such an outrage. Indeed, they could hardly avoid the inescapable conclusion that if you show so little concern for justice and humanity in your dealings with your close friends and associates you will scarcely prove more reliable in your dealings with strangers who have been recognized merely in response to some sudden and pressing need. But you were not privy to their plan nor will the whole Roman people be involved in the guilt which attaches to them as individuals, nor for that matter will your long-standing reputation for honesty, reliability and justice be eclipsed and overshadowed by their nefarious conduct. On the contrary, it is our opinion that this tribunal has been set up to preserve the good name of the nation and to make it clear to everybody that you wish to dissociate yourselves entirely from the action of those who have inflicted such cruel and monstrous indignities on the Colchians. Perhaps at this point the minds of most men are perplexed and undecided, perhaps they even find your motives open to doubt. But once, my Lord, your verdict, which will be their death-warrant, is pronounced then it will become crystal clear that it is your practice not to betray your friends but to punish those who do wrong.

As for the defence which they appear to be putting up, it is in reality tantamount to an open admission of guilt. The Emperor's letter in fact instructs the generals to send Gubazes to Constantinople using persuasion in the first instance and even force should he refuse to co-operate and in the event of his resisting compulsion not on any account killing him until he resorted to actual revolt and armed hostilities. These men, however, without even themselves being generals and without in any other way being authorized to work their wills on him, killed their hapless victim in the twinkling of an eye. They did not urge him to go to Constantinople. They did not find him uncooperative and have recourse to a reasonable degree of compulsion. They did not even bother to find out whether he had any intention of not respecting the Emperor's command! Yet it is their proud boast that they have executed the Emperor's instructions, whereas in reality they have shown flagrant disregard for his wishes by daring to employ vicious slander against Gubazes in the first place and then by tak-

ing it upon themselves to do the exact opposite of what had been wisely enjoined upon them. Most abhorrent of all, they precluded all possibility of choice by suppressing the contents of the letter.

It is indeed hard to envisage a punishment sufficiently severe to match the enormity of their crimes. To injure another is always immoral and illegal, but it is especially so if the injured party happens to be a friend and one who has often risked his life on behalf of his associates. For who was the man who preferred your friendship to the wealth of the Persians and to all the attractive propositions they made him? Who was the man who set at nought the friendship of Chosroes and who, though the way lay open through defection to immense prosperity and distinction, was happy to remain in a less exalted position and retain his links with you? Who, I ask, was the man who, when his land had long been hard pressed by the Persians and when aid from you was slow in coming, departed suddenly and took to the mountains, living on the very peaks of the Caucasus and putting up with inhuman conditions rather than accept the friendly overtures the enemy were making to him and come down from his mountain fastness to live in ease and comfort in his own home? Who was this man then? None other than Gubazes, the man who was afraid to face no danger on your account (oh the injustice of it!), Gubazes the traitor, the rebel, the man who betrayed the Empire to the Persians! And he, a king, has met his death at the hands of such vile and loathsome men as John and Rusticus. Yet even if he had really been guilty of the sort of crime he has been accused of, they still ought not to have dispatched him with such indecent haste. He should first have been judged by the Emperor, who is the common sovereign of the Romans and the Colchians with supreme authority over both peoples, before receiving his due share of punishment. 4 But since their murderous act was motivated not by any just cause but by an irrational hostility which erupted under the stimulus of envy into this piece of diabolical wickedness they left no room in their minds for sanity or for considerations of expediency. Venting the spleen of their accumulated hatred at the first opportunity afforded them they put their long-premeditated plan into execution, heedless of the critical state of affairs at the time and regardless of the consequences. In the midst of a conflict of such proportions, when the sensible thing would have been to conciliate and win over even those peoples with whom no contacts had as yet been established, they have done their level best to antagonize even those who until recently were the closest friends of the Romans. Indeed, if it depended solely on them we should have gone over to the enemy, we should be plotting against our staunchest friends, our country would be in the hands of the Persians and violent upheaval and civil strife would be combining to sound the death-knell of our ancestral traditions. 6 You must, therefore, inflict a fitting punishment upon them, if indeed such a punishment can be found, just as though all these things really had taken place and you were faced with the collapse of your Empire. For even if we have in fact remained true to the cause of the Romans, it is not right that they should benefit from our virtuous conduct and be any less severely punished than the nature of their criminal endeavour demands”.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

აგათია სქოლასტიკოსის (536-582) საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილია ორატორული ნიმუში [დაცვითი სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელობაში ბრალდებულის რუსტიკეს მიერ მის გასამართლებაზე, 556 წელს], რომელიც წარმოითქვა კოლხთა წარმომადგენლების საბრალდებო სიტყვის შემდეგ. სასამართლოს შესახებ ნათქვამია: „სიჩუმე რომ ჩამოვარდა, შუაში წარსდგა რუსტიკე თავის ძმასთან, იოანესთან ერთად და თქვა შემდეგი...“⁴⁰⁸ და ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგს, სიტყვის ჟანრსა და საბრალდებო სიტყვის ქვეჟანრს.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი თარგმანები, რომელთაგან ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁴⁰⁹, ხოლო ინგლისური თარგმანი – ჯ. დ. ფრენდოს⁴¹⁰. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁴⁰⁸ გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 141.

⁴⁰⁹ იქვე, გვ. 141-151.

⁴¹⁰ Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975, pp. 108-112.

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview
were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The Defensive Speech by Rusticus at the Trial of the Accused in the Murder of King Gubazes at his own Trial in 556] is presented in historical essays of the Byzantine poet and historian, Agathias Scholasticus (536-582), which was uttered after the indictment speech of the Colchians. It is said about the court: “When the silence fell, Rustike appeared in the middle with his brother, John and said the following...”⁴¹¹ and this is followed by the text of the speech. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the field of judicial rhetoric, and to the genre of speech and the subgenre of defensive.

In the present edition, we have printed the Georgian and English translations of the oratorical sample, the Georgian translation of which belongs to S. Kauhchishvili⁴¹², and the English translation to J. D. Frendo⁴¹³. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁴¹¹ Georgica: Information of Byzantine writers about Georgia, vol. 3, Greek text with Georgian translation, Edition and notes of S. G. Kauhchishvili, Tfilisi, Tbilisi University Publishing House, 1936, p. 141. (in Greek and Georgian).

⁴¹² Ibid, pp. 141-151.

⁴¹³ Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by J. D. Frendo, Corpus Fontium Historiae Byzantinae IIA: Series Berolinensis, Walter de Gruyter Berlin Ne York, 1975, pp. 108-112.

დაცვითი სიტყვა

თქმული გუბაზ მეფის მკვლელობაში ბრალდებულის რუსტიკეს მიერ
მისივე გასამართლებაზე, 556 წელს

„ბედმა ერთბაშად შეცვალა და უკუღმა შეატრიალა ჩვენი განზრახვები; უნდა დავმტკბარიყავით უდიდესი საჩუქრებით და ამის ნაცვლად სიკვდილით დასჯა მოგველის. თუმცა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ეს სამსჯავრო და უდიდესი სიამაყის მომგვრელი: ამით ყველა კარგად გაიგებს, რომ მხოლოდ ჩვენი წყალობით მოხერხდა მოღალატისა და ტირანის მოსპობა და მეფის საქმეების ნაწილობრივ უზრუნველყოფა, ასე რომ, კიდევაც რომ სიკვდილი შეგვხვდეს, სიამოვნებით მივეგებებით მას, როგორც რაღაც საყვარელსა და სანუკვარ მძიმე ხვედრს: ჩვენ წავალთ ამიერ ქვეყნით, საუკეთესო ნუგუმის მქონენი, ვინაიდან გუბაზე წაგვყვება იმის შეგნება, რომ კოლხების ბატონებად რომაელები დავტოვეთ და სხვებს არ ჩავაგდებინეთ ის ხელში. ეს სამსჯავრო რომ სპარსელებისა იყოს და ისინი არჩევდენ ჩვენს საქმეს, ჩვენ მთლიანად გვიხდებოდეს იმის უარყოფა, რაც ჩაგვიდენია, გვეშინოდეს აქ მოტანილი საბუთებისა, მაშინ ჩვენ – სააშკარაოზე გამოყვანილთ – გაგვიჭირდებოდა სიტყვების მოძებნა იმ მოსამართლეთა საპასუხოდ, რომლებიც მტრულად და მკაცრად იქნებოდენ განწყობილი მომხდარი ამბის მიმართ, და ყოველგვარ იმედს მოკლებულნი ვიქნებოდით. მაგრამ ვინაიდან მოსამართლე რომაელი კაცია, რის გულისთვის უნდა უარყოფდეთ ჩვენ მიერ ჩადენილ საქციელს? რაში გვჭირდება თავის მართლება თქვენ წინაშე იმისათვის, რომ ვალი დაგდეთ და ტირანი⁴¹⁴ მოგამორეთ? მას ხომ ჩვენ ვერ მივაკუთვნებთ მეფის საპატიო სახელს, ვინაიდან მან საქმით გვაჩვენა თავისი მტრობა, თუმცა ბრალმდებლები ბევრს ყვირიან და გაიძახიან. საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეთ, რომ მეფე მოჰკალითო. ცხადია, რომ მეფის სახელწოდება აბზინდა⁴¹⁵ და ქლამიდს⁴¹⁶ და, საერთოდ, გარეგან სამკაულებს კი არ განეკუთვნება, არამედ მიეკუთვნება იმას, ვინც სამართლიანობას მისდევს, ზომას არ აჭარბებს თავის ქცევაში და მხოლოდ დადგენილ წესებს უფარდებს თავის გულის ნადებს. თუ ჩვენ, ეს კაცი რომ მოვკალით, უკანონოდ მოვიქცებით, მაშინ ბრალდება სამართლიანი იქნება და კოლხებიც მართალნი იქნებიან, რომ ჩვენ გვიწოდებენ მოძალადეებს, ნაძირალებს და სისხლისსმელებს. მაგრამ, თუ ის ასეთ ღირსებებს შორის ჩამორჩა თავისი ქცევით და მის განზრახვებში ზომიერი არაფერი იყო, პირიქით, ფარულად გვისისინებდა სპარსელებს და მათთვის უნდოდა ეს ქვეყანა გადაეცა, განა უმჯობესი არ იქნებოდა დაგვესწრო უბედურების მოახლოვებისათვის და გაგვემარჯვნა, ვიდრე ის, რომ მის მეფურ გარეგნობას შევღალადებოდით და მტერს ჩავვარდნოდით ხელში? როდესაც წინასწარ შეიტყობ ვინმეს მიერ განზრახულ სახიფათო გეგმას და შესაძლებელია მაშინვე აიცდინო ეს ვერაგობა. რამენაირად უშველო შექმნილ მდგომარეობას და შემდეგ ნელ-ნელა გამოასწორო მომხდარი ამბავი, დიდი სისასტიკე იქნებოდა შური გეძია წინდაწინ და არ დაკმაყოფილებულიყავი შესაძლებლობით, რომ შემთხვევა მოგეცემოდა სამაგიერო ხიფათში ჩაგეგდო მოწინააღმდეგე. მაგრამ, როდესაც გეგმა უკვე სისრულეში მოჰყავთ და აღარაფერი გრჩება დასაცავად, ყველაფერი სწრაფად ილუპება, ისპობა სახელმწიფოს კეთილდღეობა და მასთან ერთად ისპობა ყოველგვარი იმედი გადარჩენისა, მაშინ გონიერმა კაცმა სწრაფად უნდა იმოქმედოს და ზომები მიიღოს, რათა არაფერი დაგემართოს ისეთი, რასაც ვეღარ უწამლებ.

თუმცა ბრალმდებლები ძალიან იჭაჭებიან, გაჰკვივან უნამუსობაზე, უწმინდურობაზე, სისხლისსმელობაზე და სხვა ამგვარი ტრაგიკული სახელებით ამკობენ ჩვენს საქციელს და გაიძულებენ თქვენ მხოლოდ ამ მომხდარ ამბავს მიაქციოთ ყურადღება, მაგრამ, მსაჯულო, უყურადღებოდ არ დასტოვებ, ალბათ, იმ ამბებს, რომლებიც ჩვენ საქციელს წინ უძღოდა, ასწონ-დასწონი იმ მიზეზებს, რომლებმაც გაგვაბედინეს ის საქმე, და სისწორით გაიგებ ჩვენი საქციელის

⁴¹⁴ ტირანი – ტირანში რუსტიკე გულისხმობს მის მიერ მოკლულ ლაზთა მეფეს, გუბაზს.

⁴¹⁵ აბზინდა – სარტყლის, ფეხსაცმლის, ცხენის ადკაზმულობის და მისთანების შესაკრავი.

⁴¹⁶ ქლამიდი < ქლამინდი – ძველი ბერძნებისა და რომაელების სამოსი (მამაკაცისა) – ერთგვარი ლაზადა, რომელსაც შესაკრავი ჰქონდა მარჯვენა მხარზე ან გულზე, სამეფო წამოსასხმელია ფილონის მსგავსი.

ნამდვილ აზრს. ქალაქებში ხშირად ვპოულობთ ხოლმე მაწანწალებსა და ქურდ-ბაცაცებს ან სხვა ამგვარი უკეთური საქმის ჩამდენთ, რომლებსთვისაც ან თავი წაუგდებინებიათ ან ფეხები მოუჭრიათ, მაგრამ ამ საქციელისათვის არავის ვდებთ ბრალს, თუმცა ესეც ძალიან უწყალო საქციელად ჩანს; არც იმ მართველ მოხელეებზე ვიყრით ჯავრს, რომლებმაც დაუშვეს ასეთი შურისძიება, და არც უწმინდურ, საზიზღარ და ბოროტ საქციელად ვნათლავთ ამას: ჩვენ მხედველობაში ვღებულობთ ამ ბოროტმოქმედთა მიერ წინათ ჩადენილ უკეთურ საქმეებს, ვიგონებთ იმას, რომ მათ სასჯელი მიიღეს მათ მიერ ჩადენილი უსამართლო ქვევისათვის და მათდამი გამოჩენილი სისასტიკე სიამოვნებას გვგვრის. სანამ ბოროტმოქმედები არ შეწყვეტილა, არც სასჯელის დადება უნდა იქნეს მიჩნეული შეუფერებლად.

ამრიგად, გუბაზი ჩვენ⁴¹⁷ მოვკალით. მერე რა მოხდა აქ საშინელი, თუ ჩვენ მოვკალით მოღალატე ადამიანი და ჩვენი მტერი⁴¹⁸? ბრალმდებლები სამართლიანად ამბობენ, რომ მტრის სახელწოდება შეეფერება არა იმას, ვინც მოშორებით, უცხოეთში, ცხოვრობს, არამედ იმას, ვინც თუმცა თვისტომია, მაგრამ მტრისთვის სასიამოვნო საქმეს აკეთებს; ჩვენის აზრითაც ასეთი განსაზღვრა საუკეთესოა და უქმშარიტესი და სინამდვილეს შეეფერება. და, რახან ორივენი თანახმა ვართ ამაში, ვისარგებლებთ ამ საბუთით და დავამტკიცებთ, რომ გუბაზი ჩვენი მტერი იყო. ხოლო თუ ეს დამტკიცებული იქნება ამ გზით, ნათელყოფილი იქნება ისიც, რომ ის მოკლულ იქნა სრულიად მართებულად. მთელი ეს ბარბაროსული მოდგმა⁴¹⁹, თუმცა ის რომაელების ქვეშევრდომია, მაგრამ თავისი შეხედულებით ძალიან დაშორებულია მათ; რომაელთა კანონების სიმწყობრე ამძიმებს მას და ის ისწრაფის გადატრიალებისა და აჯანყებისაკენ; სანამ სხვის ხელქვეით არის, მას არ შეუძლია მშვიდად ცხოვრება ისე, რომ უსამართლო საქმეებში არ გაერთოს. თუ ამას მარტონი ვერ ახერხებენ, ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ის ტომები, რომლებიც მათნაირივენი არიან და რომელთა ჩვეულებებიც მათ საკუთარ ჩვეულებებს უახლოვდება. გუბაზი ყველა ამ თვისებით იყო აღჭურვილი: ის ხომ წარმოშობით ბარბაროსი⁴²⁰ იყო და ამ მოდგმისათვის დამახასიათებელი მზაკვრობით იყო დასწრებული; გარდა ამისა ჩვენ მიმართ ისეთი ბოროტებით იყო გამსჭვალული, რომ არც კი თვლიდა საჭიროდ ამის დაფარვას, – პირიქით, ისწრაფოდა განეხორციელებინა თავისი მტრული, რომლებიც მანამდე გულში ჰქონდა ჩათხრობილი და დაფარული. ჩვენ რომ წვალებაში ვიყავით და ყოველგვარ ხიფათში ვებმოდით, რათა მტერს მისი გულისნადები არ ასრულებოდა, გუბაზი ამ დროს ამჯობინებდა შინ მჯდარიყო თვისტომებთან ერთად და საწვალეებელ საქმეს მოშორებული ყოფილიყო. გარდა ამისა ის ზედმიწევნით ადევნებდა თვალყურს ბრძოლის მიმდინარეობას და უთვალთვალებდა, თუ რით დამთავრდებოდა ეს ბრძოლა. თუ ვინცობა რომაელები ბრძოლაში წარმატებას მიაღწევდნენ და მართლაც რომ გამარჯვებულის ქმშარიტ სახელს მოიპოვებდნენ, ის მაშინვე თავის მტრობასა და შურს ამქადავებდა და ცდილობდა სასაცილოდ აეგდო ეს გამარჯვება, გაებათილებინა მიღწევის მნიშვნელობა; თვით საქმეს უმნიშვნელოდ ნათლავდა, შედეგსაც უმნიშვნელოდ თვლიდა და ამასაც ჩვენ კი არ მოგვაწერდა, არამედ ბრმა ბედს. თუ კი მოხდებოდა ისე, რომ ფეხი დაგვიცდებოდა (და განა შესაძლებელია, რომ ადამიანის საქმე უკუღმა არ წავიდეს და მუდამ ერთ მდგომარეობაში იყოს?), ის, ვითარცა მომხდარი ამბის უეჭველი მსაჯული, მაშინვე პირწმინდად გაათავისუფლებდა ხოლმე ბედისწერას ყოველგვარი ბრალდებისაგან, თითქოს მისი მონაწილეობით არ ხდებოდეს ყველაფერი: მისთვის უკვე წინასწარვე იყო გადაწყვეტილი, რომ ჩვენი საქმის ცუდად წარმართვაში ბრალი მიუძღოდა მხოლოდ ჩვენს სულიერ სილაჩრეს, მარჯვენის სისუსტეს და გეგმის უვარგისობას. ბედის ცვალებადობას, უწყესრიგობასა და მოუფიქრებლობას ის არასდროს არ მიაწერდა მტერს (ჩვენ კი ყოველთვის ამას გვაბრალვებდა), თითქოს ამ მიზეზით არ ყოფილიყოს, რომ მტერი გვაჯობებდა ხოლმე ჩვენ.

და ამას ის გაჰკიოდა ხმამალა და აშკარად, და აცნობებდა ხოლმე არა მარტო სპარსელთა ჯარებს, რომელთაც ის ყოველგვარ საქმეში შველოდა, არამედ ის მაშინვე შიკრიკებს აფრენდა ხოლმე, რომ ცნობები მიეტანათ იბერიანში, სვანთა ტომისათვის, კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ბარბაროსთათვის,

⁴¹⁷ ჩვენ – იგულისხმებიან ბრალდებულები – ძმები რუსტიკე და იოანე.

⁴¹⁸ „ჩვენი მტერი...“ – ამ ფრაზაში წარმომთქმელი გულისხმობს გუბაზს და მოიხსენიებს მას, როგორც ბიზანტიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის მტერს.

⁴¹⁹ „ბარბაროსული მოდგმა...“ – რუსტიკე ამ ფრაზით შეურაცხყოფით მოიხსენიებს ლაზებს.

⁴²⁰ ბარბაროსი – არაბერძენი, არაბერძნულად მოლაპარაკე, ან დაბალი სოციალური და კულტურული განვითარების მქონე ადამიანი.

უფრო შორს იმათ იქითაც, თუ კი შესაძლებელი იქნებოდა დედამიწის კიდეზედაც. ცნობა კი ასეთი იგზავნებოდა: «რომაელები ცუდი მეომრები არიან, ბარბაროსები მათ ამარცხებენ». და მისი ცდა მარტო ის კი არ იყო, რომ რომაელთა მოდემისათვის ჩირქი მოეცხო (თუმცა ესეც საშინელი რამ არის და მტრულად განწყობილი ადამიანის სულისკვეთებას ამჟღავნებს), არამედ უფრო მეტს იღვწოდა, რაღაც სხვას, უფრო დიდს, იზრახავდა და ამზადებდა. ის საჭიროდ თვლიდა შეერყია ბარბაროსთა შორის გაბატონებული აზრი ჩვენი დიდი მეფის შესახებ, რომელიც განთქმული იყო, როგორც უძლიერესი და გამარჯვებათა შარავანდედით მოსილი მეფე; ამით მან გაათამამა ის, ვინც წინათ შიშით და გაკვირვებით შეგვყურებდა. განა უფრო სამართლიანი არ იქნება ასეთი რამეების ჩამდენს მტერი ვუწოდოთ, ვიდრე მეგობარი, კეთილისმსურველი, მეფე, მოკავშირე ან სხვა ამგვარი სახელები, რომლებსაც ბრალმდებლები თხზავენ ამ ტირანის შესახებ? თუმცა ორივეს – მტერსაც და მოყვარესაც – ერთნაირად ანიჭებენ ამ სახელს, მაგრამ მოყვარის გარჩევა მტრისაგან მხოლოდ იმის მიხედვით შეიძლება კეთილად არის ის განწყობილი მომხდარი ამბების შედეგების მიმართ, თუ მტრულად. მაშასადამე, ვინაიდან უკვე დამტკიცებულია, რომ გუბაზი ჭმუნვას ეძლეოდა, როდესაც ჩვენ ვიმარჯვებდით, და ხარობდა, როდესაც მარცხი მოგვდიოდა, რაღას გაჰკვივან ბარბაროსები რომაული კანონების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვით ვსჯით ხოლმე, ან კიდევაც სრულიად ვანადგურებთ იმათ, ვინც არსებულ წყობილებას ერთგვარად არყევს და ზიანს აყენებს? თუ ეს ასეა, თავი დავანებოთ საბუთებს, მითითებებს და საეჭვო მტკიცებებს; ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ საქმეთა ვითარებას და ვნახოთ, სად მიგვიყვანს ის.

სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის ციხე⁴²¹, რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის⁴²² მიდამოებიდან, და ჩვენთვის აუტანელ სირცხვილს წარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარიმტკიცედ ჩამჯდარიყო ზღუდის შიგნით ჩვენს მიწა-წყალზე. სტრატეგოსთათობირზე გამარჯვა იმ აზრმა, რომ მთელი ჯარით გავმგზავრებულყავით იმათ წინააღმდეგ, გაგვენადგურებინა ისინი და, ამრიგად, განვთავისუფლებულიყავით მეტად სახიფათო ჩასაფრებისაგან. ჩვენ, რასაკვირველია, გვჭირდებოდა კოლხთა ჯარიც, არა მარტო იმიტომ, რომ კოლხები, როგორც იმ ადგილების მცოდნენი უფრო მეტად, ვიდრე ამ ადგილთა არმცოდნენი, სასარგებლო რჩევა-დარიგებას მოგვცემდნენ, არამედ იმიტომაც, რომ, რადგან ბრძოლა მოგვიხდებოდა გამაგრებულ ადგილას ჩამჯდარ და კარგად შეიარაღებულ მებრძოლებთან და აგრეთვე იმათთანაც, რომლებიც ალბათ მუხირისიდან⁴²³ მოვიდოდნენ მათ საშველად, კოლხებსაც გაეწიათ ჩვენთვის დახმარება, ჩვენთან ერთად ებრძოლათ. ასეთ პირობებში რა უნდა ექნათ სტრატეგოსებს? რასაკვირველია, უნდა მიემართათ ერისმთავრისათვის და მოეთხოვათ ბრძოლაში მონაწილეობა მიელო, მის შემდეგ რაც დაუმტკიცებდნენ ამ მოთხოვნის საბუთიანობას. და მართლაც, მიმართეს კიდევ და დაუმტკიცეს. იმან კი ისე წარმოიდგინა თავი, თითქოს მართლაც მეფე ყოფილიყოს და თითქოს მის ხელთ ყოფილიყოს თავისი ნებისაებრ ემართა, უარი თქვა ჩვენთან ერთად ელაშქრა ციხის წინააღმდეგ და არც კი მოვიდა ჩვენთან. არავითარი მიზეზებიც კი არ დაასახელა, რომლებიც, თუმცა შეუფერებელი იქნებოდნენ, მაგრამ გარეგნულად მაინც გაამართლებდნენ მის უარს. მან გაცილებით უფრო ამაყად და უხეშად მოგვიგო უარი, ვიდრე ეს დაქირავებულ ქვეშევრდომს შეეფერებოდა. კიდევ მეტი; ის მუდამ სიძულვილით უცქეროდა სტრატეგოსებს და გაშმაგებით მტრობდა მათ, და ვაჟკაცობად და სამეფო ღირსების შესაფერისად მიაჩნდა ის, რომ ახდილად არცხვენდა სტრატეგოსებს მათ მიერ შესრულებული საქმეების გამო. და ყველაფერ ამის შემდეგ განა საჭირო იყო მეტის დაყოვნება ჩვენი მხრით? განა უნდა გვეცადა უფრო მეტი საბუთებისათვის და გვეჩვენებინა მეფის წერილი, რათა ბიზანტიონში⁴²⁴ წასულიყო, იმ დროს როდესაც საკუთარი მიწა-წყლის ფარგლებში რაღაც მოკლე მანძილის გამოვლასაც კი არ ნებულობდა?

⁴²¹ ონოგურისის ციხე – ისტორიული ციხე-სიმაგრე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი არქეოპოლისის (ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია) მახლობლად. ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია.

⁴²² არქეოპოლისი // ძველი ქალაქი = ციხე-გოჯი – დღევანდელი ნოქალაქევი, ლაზეთის (ლაზიკა) სამეფოს ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი.

⁴²³ მუხირისი = მუხურისი = მოხირისი – ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქი იყო.

⁴²⁴ ბიზანტიონი – იგივე ბიზანტიუმი (ბერძ. Βυζάντιον, ლათ: Byzantium) – ძველბერძნული ქალაქი ბოსფორის სრუტის სანაპიროზე. ბიზანტიუმი არის ბერძნული დასახელების ბიზანტიონის ლათინიზებული ვარიანტი; აქ იგულისხმება ბიზანტიის იმპერიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი.

მერე და, განა შესაძლებელი იქნებოდა მოგვეხერხებინა აგრე რიგად ჩვენ წინააღმდეგ განწყობილი გუბაზის გაგზავნა ბიზანტიონში ისე, რომ ამას არ გამოეწვია ათასნაირი შინაური აჯანყება, მრავალი ხოცვა-ჟლეტა, აშკარა გადადგომა, სპარსელთა მოულოდნელი შემოჭრა? მოწინააღმდეგე ხომ არ გვემორჩილებოდა და გვებრძოდა, ხოლო მთელი ერი აჯანყების მოყვარულია, მას, ბარბაროსული წესის მიხედვით, ახასიათებს მისწრაფება არსებული წყობილების შერყევისადმი, მით უმეტეს რომ ახლოს ცხოვრობენ ისინი, ვინც მათ მხარს დაუჭერს. ამიტომ, ვერაგული ზრახვების მეთაური რომ მოვკალით, ამით ძალიან ადვილად მოვუღეთ ბოლო მთელ რიგ ასეთ უბედურებას, არსებულსა და მოსალოდნელს, ისე რომ სრულიად დაუჯერებელია, რომ ასეთი რამ მომავალში განმეორდეს.

ამიტომ, მსაჯულო, ნუ გვისაყვედურებენ იმ წერილის გამო, ნურც გვაგინებენ, რომ არ შევასრულეთ წერილში მოხსენებული დავალება. განა ცხადი არ არის, რომ ის მოწერილობა – სამეფო ქალაქში გამგზავრების შესახებ – მხოლოდ მის გამოსაცდელად იყო გამოგზავნილი, რათა გამოგვეცადა, შეასრულებდა თუ არა ის თავისი ნებით ბრძანებას და კანონიერად მოიქცეოდა? რადგან ჩვენ მალე შევიტყვეთ მისი შეუპოვრობა და ჯიუტობა და რადგან ის მცირე მოთხოვნასაც კი არ ასრულებდა, განა შევძლებდით მის დაყოლიებას უფრო დიდ მოთხოვნაზე და განა სასწრაფოდ არ უნდა მიგვემართა იმ უკიდურეს საშუალებისათვის, რომელსაც აუცილებლობის გამო მივმართეთ, რადგან ამასობაში ბევრი რამ საშინელი მოხდა? თუ ხელიდან გაუშვებ მოხერხებულ დროს და არ გამოიყენებ იმას საქმის მოსაგვარებლად, შემდეგში ვეღარ დაიბრუნებ იმას, რაც გამოგეპარა! იქნებ, როგორც ბრალმძებლები ამბობენ, ის და დაგვრჩენოდა, რომ სამართალში მიგვეცა გუბაზი, ფუჭი სიტყვიერი ბრძოლა გაგვეჩაღებინა და სახელმწიფო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მაგიერ სიტყვების რახარუხი გაგვემართა? მაგრამ, ბედშავნო, ამის ნებას არ იძლეოდენ სპარსელები, რომლებიც აქვე იყვნენ სამტროდ დარაზმულნი და გამზადებულნი იმისათვის, რომ მთელი კოლხეთი ეგდოთ ხელთ იმის (გუბაზის) დახმარებით. ვინაიდან ყოველმხრივ დამტკიცებულია, რომ გუბაზი მტერი და მოღალატე იყო და ტირანის ზრახვების მატარებელი, სულ ერთი არ იყო კოლხებისათვის, ჩვენ მოვკლავდით მას თუ სხვები? გონიერი მოსაზრება მარტო სტრატეგოსებსა და, საერთოდ, ძალაუფლების მქონეთ კი არ ებადებათ და მოუდით ხოლმე, არამედ ყოველ მსურველს, ჩემის აზრით, უფლება აქვს და შეუძლია გამოექომაგოს სახელმწიფოს, რომელშიაც ის მოღვაწეობს, და შეძლებისამებრ იზრუნოს საზოგადო კეთილდღეობისათვის. თუმცა ჩვენ მათი აზრით საზიზღარნი და საძაგელნი ვართ, მაგრამ სინამდვილეში მეფისა და რომაელთა ერთგულნი ვართ და თავზე არ მოვუსვამთ იმათ, ვინც ცდილობს მახე დაგვიგოს. თუ კიდევ მეტის თქმას საჭირო, კარგად იცოდე, მსაჯულო, რომ ჩვენ ამ, ჭეშმარიტად კარგი და სამართლიანი საქმის ჩადენა გავბედეთ სწორედ დროზე, და მარტინეს⁴²⁵ თანხმობაც გვექონდა ამაზე.“

⁴²⁵ მარტინე – ბიზანტიელი სარდალი, სტრატეგოსი, გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭმიტანილი (VI ს.).

The Defensive Speech

by Rustice Accused of Murdering of King Gubazes at his own Trial in 556

“Fortune has given a sudden and unexpected twist to events, with the result that when we should be receiving the greatest rewards we find ourselves on trial for our lives. Yet we contemplate this ordeal with joy and with the conviction that it will redound to our credit, since whatever its outcome it cannot fail to make it still more abundantly clear to all that by our own unaided efforts we have brought about the downfall of a traitor and a rebel and upheld the interests of the Emperor. And so even in the event of our being put to death we would freely accept and welcome as though it were the object of our desire the anguish which is forced upon us. And we shall depart from this life comforted and fortified for our journey into the hereafter by the conscious certainty that we have left the Romans still in full possession of their Colchian dominions and not yet having forfeited them to any foreign power.

If we were standing trial in a Persian court in the presence of Persian judges it would behove us to deny most strenuously that we ever did do what in fact we did. We would be in fear and trembling lest our assertions be refuted and, if they were, it is quite conceivable that we should be at a loss how to plead our cause before bitterly hostile judges who were incensed at the failure of their hopes which our actions had brought about. But since it is a Roman who is presiding over the court what possible grounds could we have for denying what we have done? What need is there for us to justify to you our action when as a result of it we have done you the signal service of destroying the rebel Gubazes? I say ‘rebel’ because he does not deserve to be accorded the august title of ‘king’. His deeds have shown him to be the negation all that such a title stands for, though our accusers are raising an indignant outcry at what they describe as the outrageous murder of a king. This name, however, should not be applied to the outward trappings of royalty – the jewelled clasp and fancy robe, but to the man who is the active embodiment of justice, whose desires do not cause him to disregard the call of duty and whose aspirations are kept within their proper bounds. If that was the sort of man we killed then we have committed a heinous crime, the case of the prosecution is a just one and the Colchians have every reason to describe us as brutal and vicious murderers. But if the real Gubazes was the complete antithesis of this, if he was prepared to stop at nothing in his efforts to harm us by secretly letting in the Persians and betraying his country to them, can there really be any question as to whether we ought not to have nipped the potential menace in the bud by our timely intervention rather than allow our deference to the crown to make us play into the hands of the enemy? If, however, anybody receives prior intelligence of some threatening move being contemplated in some particular quarter and has it in his power to frustrate the design immediately and having averted the crisis to proceed to take deliberate and concerted action to cope with any possible emergency, it would in such a case be the height of cruelty on his part to resort to punitive measures in advance instead of defending himself by ensuring the possibility of foiling any hostile attempt should the occasion arise. But when one is faced with a *fait accompli* against which all remedies are of no avail, when the state is threatened with imminent destruction and the situation seems to preclude even the faintest ray of hope then swift and decisive action is the only sane policy and every effort must be made to avoid suffering some irreparable harm.

Now our accusers may cry shame, infamy and murder until they burst. They may seize upon such expletives in order to cast the whole affair in a lurid and melodramatic light and try to force you to consider only the deed itself. But it is for you in your judicial capacity to take into account the circumstances that led up to it, to weigh up the causes that impelled us to take action and from the Tightness of the undertaking to establish the honesty of our intentions. We do in fact often see in the various towns and cities vagrants, thieves and other types of criminal beheaded or with their feet cut off, and we do not cry shame on the spectacle, inhuman though it may appear to be, nor do we vent our indignation on the authorities concerned with administering these punishments by calling them savage brutes and cruel fiends. No, when we consider the crimes the felons in question have committed and bear in mind that that is why they are being punished we rejoice in the harshness of the punishment, since it has not been devised without good reason, as witness the unabated persistence of criminal activity.

Gubazes therefore has been slain by us. And what, might we ask, is so dreadful about slaying a man who is a traitor and an enemy? Our accusers, moreover, have defined the term enemy. They say that it should be applied not to the man who is separated from us by a great distance but to whoever, even if he is a fellow countryman, seeks to curry favour with the enemy. We too consider this to be the best, most accurate and most realistic view of the matter. Given such a measure of agreement on both sides then, let us set out to prove by this mutually acceptable criterion that Gubazes was indeed an enemy, for once this has been demonstrated it will become immediately apparent that his killing was fully justified.

Now all barbarian peoples are by nature so constituted that even when they are subjects of the Romans they are far removed in spirit from them and, chafing at the imposition of the rule of law, they incline instinctively to turbulent and seditious behaviour. There is nothing they would like better than to continue living as their own masters, subject to no outside jurisdiction and a law unto themselves. And if it is not possible for them to do so then they strive to attach themselves to those nations with whom they have most in common. But Gubazes, in addition to being tarred with the same brush since he was himself a barbarian by birth and consequently tainted with the innate treachery of his race, surpassed himself in his wickedness towards us. He no longer deemed it necessary to hide his feelings, but hastened to put into effect what had hitherto been the secret aspirations of a hostile mind. While we were toiling away and facing every kind of danger in our efforts to frustrate the enemy's plans he saw fit to stay at home with his fellow countrymen and absent himself from the struggle. But at the same time, he kept a watchful eye on which way the fighting was going. If the Romans achieved some resounding success over the enemy his immediate reaction was a display of hostility and spite in which he would seek by mockery to destroy the impression created by our achievements. He would dismiss the whole undertaking as a trifling incident and its outcome as insignificant and attributable not to ourselves but to the vagaries of fortune. But if by chance we met with some reverse (and it is not humanly possible to escape such ups and downs) he would set himself up as a critical interpreter of events and immediately exempt fortune from any blame or any part in what had happened. He had already decided in advance that the sole cause for any reverse we experienced was a combination of poor morale, physical incapacity and unintelligent planning. He would never, as he did when abusing us, seek to explain away the successes achieved by the enemy at our expense simply by making some disparaging reference to the fickle, irregular and irrational behaviour of fortune.

He proclaimed these sentiments openly and made them known not only to the Persian forces for whose benefit he was actively intriguing but messengers were at once despatched by him and carried the news to Iberia, to the Alans, the Suanians, to the barbarians beyond the Caucasus, to more distant and still more distant peoples. Indeed if they could have travelled to the ends of the earth for him he would not have declined to send them. His message was: "The Romans are cowards in war and are being beaten by the barbarians." Now his purpose in eagerly pursuing this policy was not just to bring the Roman people into disrepute, though that would of itself be a sufficiently damning proof of his hostile attitude. His efforts were in fact directed to a different and more sinister objective. His intention was to undermine as best he could the widespread belief among foreign peoples concerning the triumphant and invincible might of the Emperor and in this way to incite to some rash act of defiance those peoples who had hitherto been overawed and abjectly subservient. How then, in all fairness, are we to describe the perpetrator of these acts? Surely as an enemy rather than as a friend and a well-wisher, an ally and a king or any other of the fancy titles the prosecution has applied to the rebel Gubazes. Yet both prosecution and defence have conceded that the only way one can tell a friend from an enemy is by the manner in which he reacts to events. Since, therefore, it has now been demonstrated that Gubazes was distressed at our successes and elated at our failures, what earthly reason can barbarians have for inveighing against the laws of the Romans according to which we are in the habit of punishing or even executing, should the occasion arise, those who engage in riotous and subversive activities. But let us, if you like, set aside all proofs, inferences and deductions and, concentrating our attention exclusively on the hard facts of the case, see to what conclusions such a consideration leads us. The fort of Onoguris⁴²⁶ had been wrested from the territory of Archaeopolis⁴²⁷ and was in Persian hands. The presence of an enemy army firmly entrenched within our borders was an unbearable affront. The strategy which found favour with the generals was to launch a full-scale attack on the enemy and destroy or at least drive

⁴²⁶ The fort of Onoguris – The historic fortress in western Georgia, in particular, an important strategic point of the Kingdom of Egrisi near the Archaeopolis (now the territory of the municipality of Senaki). The exact location is unknown.

⁴²⁷ Archaeopolis // Old city = Tsikhe-Goji – today's Nokalakevi, the capital of the Kingdom of Lazeti (Lazica) or the whole of western Georgia.

out what had long constituted a thorn in the flesh and a permanent menace.

We desperately needed the help of a Colchian force, not only in order that we, with our poor understanding of local geography, might have the benefit of their first-hand knowledge of the terrain but also in order that we might enlist their active support and cooperation in the struggle against heavily-armed troops drawn up behind fortifications and also in all probability against a relief-force from Mucheirisis⁴²⁸. What then were the generals to do in these circumstances? Surely the proper thing for them to do was to ask the leader of the Colchians for assistance and to draw his attention to the fairness of their request. And that is precisely what they did. He, however, acting in a truly lordly and tyrannical fashion would not even hear of putting in an appearance let alone of actively participating in the assault on the fortress. He did not even bother to mask his refusal with some semblance of an excuse. Indeed, he rejected our request out of hand with an air of arrogant self-importance which ill became a subject who was paid for his services. Moreover, he persisted in angrily heaping insults on the heads of the generals, as though he imagined such behaviour to be courageous and in keeping with the status of a king. Clearly, he no longer meant to defer the open and shameless advocacy of his earlier designs. Was there then any point in waiting for further proof and displaying the Emperor's letter with the idea that the man who was not prepared to travel even a short distance in his own country would come to Constantinople? And how would it have been possible, if we had proposed to send him there, when he had already stirred up so much hostility against us, to avoid widespread dissension and bloodshed and open defection and the imminent prospect of a Persian invasion, since we would have had to contend with the stubborn and relentless opposition of a public enemy whilst the people as a whole would, like the barbarians they are, readily have accepted this opportunity for indulging in revolutionary violence? A further incentive would of course have been provided by the fact that Persian help would have been forthcoming from very near at hand. And so, when disaster was practically staring us in the face, we made away with the ringleader and by doing this suppressed the conspiracy with such ease and promptness that it now seems scarcely credible that any threat ever existed.

Our accusers would do well, therefore, to stop bringing up the matter of the letter and abusing us for not having followed its instructions. Is there anyone to whom it is not perfectly obvious that what was written about his having to go to Constantinople was there merely to test his intentions and to find out whether he was willing to cooperate and do as he was told? Now, having easily formed a clear idea of his unruly and aggressive frame of mind from his rejection of a smaller request, how could we have been expected to bid him comply with a demand of a more serious nature instead of having recourse to more direct action which, after exposing ourselves to numerous hazards, we would in the end in any case have had to take? Those who, when the time is ripe for action, fail to make an appropriate and decisive response to the situation cannot at a later date recover the lost opportunity. But apparently, to judge from what our accusers have to say, we could still in the last resort have brought an action against Gubazes, engaged that is to say in a futile battle of words and chosen the niceties of verbal altercation in preference to the realities of security. But the presence of the Persians did not allow such a procedure since they were closing in and ready to take over the whole of Lazica with the help of this scheming traitor. Moreover, now that the hostility, treachery and rebellious aspirations of Gubazes have been revealed on all sides what difference do the Colchians suppose it makes to them whether he was killed by us or by somebody else?

The desire to render loyal service is not the exclusive privilege of generals and other similarly exalted personages. Everyone who feels so inclined has both a right and a duty to show concern for the state of which he is a subject and to exert himself to the utmost to promote the common good. Likewise, even if to their mind we are the scum of the earth, yet we are loyal and devoted subjects of the Emperor, we do have the interests of the Romans at heart, and we are not the sort of men to acquiesce in any attempt at conspiracy. In conclusion, if we must add one further point it is this: you may rest assured that ours was an honourable, a just and a timely intervention and that it was made with the full support of Martin”.

⁴²⁸ Mucheirisis = Mukhiris = Mukhunis = Mokhiris - a historical region and fortress-city in western Georgia, in particular, was one of the most advanced cities of the Kingdom of Egrisi.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული დავით IV აღმაშენებლის მიერ მხედრობის მიმართ დიდგორის ომის წინ, 1121 წელს] გვხვდება ფრანგი ისტორიკოსის უოლტერ გოტიეს წიგნში „ანტიოქიის ომები“. წიგნში გადმოცემულია ანტიოქიის სამთავროს ისტორია 1119-1126 წლებში და აღწერილია ქრისტიანულ და მუსლიმურ სახელმწიფოებს შორის მომხდარი სისხლისმღვრელი ომები. უოლტერ გოტიე იყო ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ანტიოქიის სამთავროს კანცლერი⁴²⁹. ტამპლიერ ჯვაროსანთა ორდენის დამფუძნებლები ჰუგო დე პეინი და გოდფრიდ დე სენტ ომერი ანტიოქიაში შეხვდნენ მას და უამბეს საქართველოში დიდგორის ველზე გამართული ბრძოლის (შემდგომში ცნობილი, როგორც „ძღვევად საკვირველი“) შესახებ, სადაც ქართველთა ლაშქარმა თურქ-სელჩუკთა და არაბთა გაერთიანებული ჯარი დაამარცხა. მისი ცნობები დიდგორის ომის შესახებ სანდო წყაროდ ითვლება.

„ანტიოქიის ომებიდან“ ეს სიტყვა ქართულად გადმოთარგმნა და დამატების სახით გამოაქვეყნა ზ. ავალიშვილმა 1929 წელს პარიზში გამოცემულ თავის ნაშრომში „ჯვაროსანთა დროიდან“, სადაც ფრანგულენოვანი წყარო ქართულ თარგმანთან ერთად ერთვის ავტორის წერილს „გარშემო ერთის ომისა“⁴³⁰. გოტიე-კანცლერის „ანტიოქიის ომები“ ომი II, მუხლი XVI გვაცნობს ჯერ სიტყვის წარმოთქმის პირობებს და შემდეგ თვით სიტყვასაც⁴³¹. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

დავით აღმაშენებლის სიტყვის ქართული თარგმანი შემდეგ კიდევ გამოაქვეყნა თანამედროვე გამოცემებშიც, მათ შორის, 1958 წელს – ნ. კანდელაკის „ქართულ მჭევრმეტყველებაში“⁴³², 1997 წელს – ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“⁴³³ და 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილისა და ვ. პაპასკირის „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“⁴³⁴. წინამდებარე გამოცემაში ორატორული ნიმუშის ქართული ვარიანტი გადმოღებულია ზ. ავალიშვილის წიგნიდან⁴³⁵. გთავაზობთ სიტყვის ტექსტს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁴²⁹ ბერძენიშვილი, ნ., ჯავახიშვილი, ივ., ჯანაშია, ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1948, გვ. 224.

⁴³⁰ ავალიშვილი, ზ., ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 45-51.

⁴³¹ იქვე, გვ. 46.

⁴³² კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 154.

⁴³³ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზემო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 172.

⁴³⁴ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 127.

⁴³⁵ ავალიშვილი, ზ., ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 45-51.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by David IV the Restorer before the war of Didgori in front of the army, in 1121] is contained in the book of the french historian Walter Gauthier, entitled the “Wars of Antioch”. The book tells the story of the kingdom of Antioch in 1119-1126 and describes the bloody wars between the Christian and Muslim states. Walter Gauthier was the Chancellor of the Principality of Antioch, founded by the Crusaders⁴³⁶. The Templar Knights order founders, Hugo de Paynes and Godfrey de Saint Omer returned from Georgia and in Antioch they meet with Walter Gauthier, Chancellor of Antioch and told the story of the battle of Didgori (later called as a “Miraculous Victory”) in Georgia, between the Georgians and the Turk-Seljuks and Arabs coalition. His information about the Didgori War is considered to be a reliable source.

This speech was translated into Georgian from the “Wars of Antioch” and published by Z. Avalishvili in his work “From the time of the Crusaders” published in Paris in 1929. In his work the speech of David the Restorer is placed as an addition. It is attached to the author’s letter “Around One War”⁴³⁷. This letter refers to the French historical source of the Didgori War, which belongs to Gauthier-Chancellor. According to the author of the letter, in the “Wars of Antioch” in Article XVI, Gauthier introduces us first to the conditions of the utterance of the speech and then to the speech itself⁴³⁸. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the military rhetoric, and to the genre of speech.

The Georgian translation of David IV the Restorer’s speech was later published in modern publications, including in 1958 – in N. Kandelaki’s “Georgian Rhetoric: Monuments and Materials”⁴³⁹, in 1997 – in V. Katchakhidze’s “Rhetoric”⁴⁴⁰ and in 2000 – by T. Jagodnishvili, I. Jagodnishvili and V. Papaskiri in “Georgian Oratory Art”⁴⁴¹. In the present edition, the Georgian version of the oratorical sample is taken from Z. Avaishvili’s book⁴⁴². We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁴³⁶ Berdenishvili, N., Javakhishvili, Iv., Janashia, S., History of Georgia, part. I, From Ancient Times to the Beginning of the XIX Century, Tbilisi, State Publishing House, 1948, p. 224 (in Georgian).

⁴³⁷ Avalishvili, Z., From the time of the Crusaders, Paris, 1929, pp. 45-51 (in Georgian).

⁴³⁸ Ibid, p. 46.

⁴³⁹ Kandelaki, N. (Comp.), Georgian rhetoric: Monuments and Materials, Tbilisi, Khelovneba, 1958, p. 154 (in Georgian).

⁴⁴⁰ Katchakhidze, V., Rhetoric: Political, Judicial, Military, Academic, Preaching, Ceremonial, Funeral, Tbilisi, Metsniereba, 1997, p. 172 (in Georgian).

⁴⁴¹ Jagodnishvili, T., Jagodnishvili, I., Papaskiri, V., Georgian Oratory Art (Chrestomathy-Practicum), Tbilisi, Technical University, 2000, p. 127 (in Georgian).

⁴⁴² Avalishvili, Z., From the time of the Crusaders, Paris, 1929, pp. 45-51 (in Georgian).

სიტყვა

**თქმული დავით IV აღმაშენებლის მიერ მხედრობის მიმართ
დიდგორის ომის წინ, 1121 წელს**

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ესაა რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე⁴⁴³ უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხორგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შეუტოოთ.“

⁴⁴³ ბრძოლის ველი – იგულისხმება დიდგორის ბრძოლის ველი, სადაც დავით აღმაშენებელმა 1121 წელს დაამარცხა თურქების თაოსნობით გაერთიანებული მაჰმადიანთა დიდი ლაშქარი.

The speech

**by David IV the Restorer Before the War of Didgori in Front of the Army,
in 1121**

“Oh, warrior Christian! If we fight righteously to uphold the law of God, we will easily defeat not only the innumerable followers of the devil but also the devils themselves. And I recommend one thing that will be good for our honesty and enjoyment is that we all, with admiration for the heavens, promise the mighty God that for His love we will die on this battlefield⁴⁴⁴ rather than run away; And that we may not be able to escape even if we want to, we must enter the valley through which we have entered, gather the trees with frequent thorns, and fiercely attack the enemies with a firm heart when they approach us to attack us.”

⁴⁴⁴ battlefield – It refers to the battlefield of Didgori, where David the Restorer in 1121 defeated a large army of Muslims united under the leadership of the Turks.

**II. ქართული ორატორული ნიმუშები ადგილობრივი
საისტორიო ნაწარმოებებიდან**

**II. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE LOCAL
HISTORICAL WORKS**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორულ ნიმუშს [სიტყვა, თქმული მირიან II-ის მიერ ქართლის ერისთავების წინაშე] შეიცავს „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ კი, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომლის ავტორია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ლეონტი მროველი.

ნ. კანდელაკი აღნიშნავს: „ის გარემოება, რომ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულის ორატორული ძეგლი ჩვენამდე მოღწეულია ახალი წელთაღრიცხვის XI ს-ის ისტორიკოსის თხზულებით, ცხადია, დედნის ღირსებას ართმევს და ნდობის ძალას უმცირებს მირიანის სიტყვის ტექსტს, მაგრამ მისი შემონახვის ფაქტი და დამხმარე მასალად გამოყენება იმას მოასწავებს, რომ ის სანდო წყაროდ მიუჩნევათ. ეს, ალბათ, შესაძლებელი გახდა მირიანის სიტყვის დროზე ფიქსირებისა და დაცვის მეოხებით, რასაც უქცევია ის XI ს-ის ისტორიკოსისთვის ხელმისაწვდომ დოკუმენტად“⁴⁴⁵. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁴⁴⁶, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁴⁴⁷. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁴⁴⁵ კანდელაკი, ნ., ქართული საელჩო მჭევრმეტყველება, ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი, 1966, გვ. 127; კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1968, გვ. 487-488.

⁴⁴⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 31.

⁴⁴⁷ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 28.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by Mirian II in front of the Nobles of Kartli] contains “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), in particular, one of its components, “The Lives of Georgian Kings”, authored by the 11th century Georgian historian Leonti Mroveli.

N. Kandelaki notes: “The fact that the oratorical statue of the end of the Old Testament has survived to the present day in the writings of the XI century historian obviously detracts from the dignity of the original and diminishes the power of trust in the text of Mirian, but its preservation helps us to make sure that it was considered as a reliable source. This was probably made possible by the timely fixation and protection of Mirian’s speech, which made it an accessible document for XI century historian.”⁴⁴⁸ As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the royal rhetoric, and to the speech genre.

In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), of which the Georgian edition belongs to S. Kaukhchishvili⁴⁴⁹, and the English edition to S. Jones⁴⁵⁰. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁴⁴⁸ Kandelaki, N., *Georgian Embassy Rhetoric, Literature and Art*, Tbilisi, 1966, p. 127; Kandelaki N., *Georgian Rhetoric, Soviet Georgia*, Tbilisi, 1968, p. 487-488 (in Georgian).

⁴⁴⁹ *Kartlis Tskhovreba*, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. I, Tbilisi, Sakhelgami, 1955, p. 31 (in Georgian).

⁴⁵⁰ *A History of Georgia [Kartlis Tskhovreba]*, translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metrevelevi, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 28.

სიტყვა

თქმული მირიან II-ის მიერ ქართლის ერისთავების წინაშე

„მოიკსენეთსიყუარული მამის მამისა, მირვანისი⁴⁵¹, და კეთილი მისი თქუენ და მომართ. და დაცათუ მამამან ჩემმან შემოილო სჯული უცხო თქუენ შორის⁴⁵², და მისგანცა გაქუნდა კეთილი. სამართლად მოიკლა მამა ჩემი⁴⁵³, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამათა თქუენთა, და აწ⁴⁵⁴ ნუ არს საურავი⁴⁵⁵ და შიში გულსა თქუენსა სიკუდილისათჳს მამისა ჩემისა, რამეთუ სჯულისა და ტევებისათჳს მოჰკლვენ მამანი შვილთა და ძმანი ძმათა, და არა იძიების სისხლი სჯულისა და ტევებისათჳს მოკლულთა. მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა ფარნავაზიანთა⁴⁵⁶. და დაცათუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულსა ზედა მამათა თქუენთასა, და ვესავ მე ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, და სასოებითა მათითა წარმართებულ ვარ ძიებად მამულისა ჩემისა, აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი.“

⁴⁵¹ მირვანი – უნდა იგულისხმებოდეს მირიან I, რომელიც იყო მირიან II-ის მამის, ფარნავაზის მამა.

⁴⁵² იგულისხმება მირიან I, იგივე მირვანი, რომელმაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით, აღმართა ქალღმერთი დანიინას კერპი და ააშენა არმაზი.

⁴⁵³ იგულისხმება ფარნავაზი, მირიან II-ის მამა, რომელმაც გააძლიერა და განამტკიცა სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობა. მცხეთაში სპარსელი მოგვები (ქურუმები) მოიყვანა და ხალხშიც სპარსული რელიგიის გავრცელებას აპირებდა, მაგრამ ერისთავები აუჯანყდნენ და მეფე ბრძოლაში დაიღუპა.

⁴⁵⁴ აწ – ახლა.

⁴⁵⁵ საურავი < ურვა – წუხილი, ვნება, ზრუნვა, შფოთვა, სევდა.

⁴⁵⁶ იგულისხმება ფარნავაზიანთა დინასტია, რომლის წარმომადგენელიც იყო მირიან II.

The Speech

by Mirian II in Front of the Nobles of Kartli

“Remember the love of my grandfather mirvan and the good he did for you. And though my father introduced an alien faith, you must still remember his good deeds. my father was justly killed, for he did not keep your fathers’ faith. And now let the care and fear related to the death of my father, leave your hearts, for on account of apostasy fathers kill their children and brothers, and nobody tries to avenge those murdered for rejection of their faith. I am a descendant of your kings, the Parnavazids, and though I have been brought up among the Persians, I profess the faith of your fathers. I trust in gods, the patrons of Kartli, and, setting my hopes upon them, I am going to regain my homeland. Now receive glory and good from me.”

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორულ ნიმუშს [სიტყვა, თქმული ვახტანგ I გორგასლის მიერ ქართლის წარჩინებულთა წინაშე] შეიცავს „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ კი, მის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“⁴⁵⁷. ნაშრომი აღგვიწერს V-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას და მათ შორის, ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდს, ხოლო ავტორია XI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი ჯუანშერ ჯუანშერიანი. როგორც ნ. კანდელაკი აღნიშნავს: „მართალია, მროველის მსგავსად, ჯუანშერიც საკუთარი დროის შუქით წვდება მისგან დიდად დაშორებულ ეპოქას, მაგრამ შეინიშნება, რომ მისი ისტორია ძველ წყაროებსაც ეყრდნობა და ამით შორეული ფაქტების გადმოცემაში საკმაო ნდობას იმსახურებს“⁴⁵⁸. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს. ვახტანგ გორგასალი თხუთმეტი წლის იყო მაშინ, როცა ეს სიტყვა წარმოთქვა წარჩინებულთა წინაშე.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁴⁵⁹, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁴⁶⁰. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁴⁵⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 139-244.

⁴⁵⁸ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: მეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 28.

⁴⁵⁹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 147-148.

⁴⁶⁰ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, pp. 80-81.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by Vakhtang I Gorgasali in front of the Nobles of Kartli] contains “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), in particular, one of its components “The life of Vakhtang Gorgasali”⁴⁶¹. The work describes the history of Georgia in the V-VIII centuries, including the reign of Vakhtang Gorgasali, and the author is Juansher Juansheriani, the historian of the second half of the XI century. As N. Kandelaki notes: “It is true that, like Mroveli, Juansher, in the light of his own time, reaches an era far removed from him, but it is observed that his history also relies on ancient sources and thus deserves considerable confidence in conveying distant facts.”⁴⁶² As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs sectorally to the Royal rhetoric, and to the speech genre. Vakhtang Gorgasali was fifteen years old when he delivered this speech in front of the dignitaries.

In the present edition we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), of which the Georgian edition belongs to S. Kaukhchishvili⁴⁶³, and the English edition to S. Jones⁴⁶⁴. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁴⁶¹ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. I, Tbilisi, Sakhelgami, 1955, pp. 139-244 (in Georgian).

⁴⁶² Kandelaki, N. (Comp.), Georgian Rhetoric: Monuments and Materials, Tbilisi, Khelovneba, p. 28 (in Georgian).

⁴⁶³ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. I, Tbilisi, Sakhelgami, 1955, pp. 147-148 (in Georgian).

⁴⁶⁴ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, pp. 80-81.

სიტყვა

თქმული ვახტანგ I გორგასლის მიერ ქართლის წარჩინებულთა წინაშე

„მეფეთა და ერთა ზედა მოიწევს განსაცდელი და ჭირი ღმრთისა მიერ ცოდვათა მათთაგან: ოდეს მორწმუნეთა აკლონ მსახურება ღმრთისა და გარდაჰყდენ მცნებასა, მოაწევს ჭირთა ესევეთართა ზედა, რომელი აწ⁴⁶⁵ ესე მოიწია ჩუენ ზედა, ვითარცა რა მამა კეთილი წურთინ შვილსა კეთილთა ზედა საქმეთა. და უკეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მამისა თვისისასა. გუემს მამა იგი გუემითა და სწავლითა, რათა ისწავოს ყოველი კეთილი და იქმნას საკმარ კეთილისა. ეგრეთვე გუწუართნა ჩუენ ღმერთმან, დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან. ამისთვის გვჯმს ჩუენ, რათა ვმადლობდეთ მოწყალეებათა მისთა.“ მაშინ ყოველთა მისცეს მადლი ღმერთსა.

კულადა იწყო ზრახვად მეფემან ვახტანგ და თქუა ყოველთა წარჩინებულთა: „ისმინეთ ჳმისა ჩემისა; დაღაცათუ ყრმა ვარ და არა გინახავს ჩემგან კეთილი, მამათა კულა ჩემთაგან გინახვან დიდნი კეთილნი და დიდებანი თქუენ, რომელნი დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა. აწ უკეთუ გუაცოცხლებს ღმერთი, მოგხუდენ კეთილნი და დიდებანი, რომელნი არა გეხილნენ მამათა ჩემთაგან. აწ რომელსა გეტყვ თქუენ, დაღაცათუ ჩემ ზედა და თქუენ ზედა სწორად მოწევნულ არს განსაცდელი ესე, არამედ ესრეთ იჰყართ, ვითარმცა არა მოწევნულ არს თქუენ ზედა, არამედ ჩემ ზედა ოდენ. და არა იყოს გულსა ჩემსა სიტყუა, თუ რომელ მოიწივნეს მათ ზედა განსაცდელნი, თვისისა შურისგებისათვის ჰყოფენ ამას. არამედ ყოველნი ჩემდა სამსახურებელად დავითუალო, ყოვლისათვის კეთილი მოგაგო. და არა დავითმინო კიცხევა⁴⁶⁶ ოვსთა, არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოსათა, და წარძღუანებითა ჯუარისა მის პატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღურად და საჭურველად გულითა მოსავთა მისთა, და ვიძიოთ შური ოვსთა ზედა. უკეთუმცა წარგუკიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან, ანუ⁴⁶⁷ ბერძენთა მეფისაგან, მო-მცავითმინეთ. არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან, არა ჳამს დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათვის.“

⁴⁶⁵ აწ – ახლა, აბა.

⁴⁶⁶ კიცხევა – დაცინვა, სასაცილოდ აგდება, გაქირდვა.

⁴⁶⁷ ანუ = ან; თუ.

The Speech

by Vakhtang I Gorgasali in Front of the Nobles of Kartli

“Our Kings suffered trials and tribulations and they were sent to people by God for their sins. When believers fail in their devotion to God and ignore his precepts, God sends tribulations to such people to admonish them; the father-King lovingly educates his son, edifying him for the performance of good deeds. But if the son is negligent in following his father’s teaching, the father punishes him, beating him and instructing him, in order to teach him all the good things and make him well behaved. So, the lord – the creator of the sky and the earth – teaches us. That is why we must thank him for his mercy.” Everybody thanked the Lord.

Vakhtang continued his speech before the nobles of Kartli: “Now, listen to my word! I am young and you have not seen any good from me yet, but my ancestors granted you great favors, so that you could continue to rule. But if the lord grants us good fortune, I will give you such goods and nobility that you have never seen before among your ancestors. Imagine our common trial – from which we all suffer –as if it was only mine. But if someone takes this burden on himself, I will not suspect in the depths of my heart that he does so (just) out of vengeance, but will accept it as a service to me, and will repay him with good things. I cannot stand any more the ossetians’ mockery. I am setting my hopes upon the consubstantial Trinity, which gave birth to the infinity of God. Led by His cross, which he provides as a guide and weapon to those who keep it in their hearts, we are going to have revenge on the ossetians. If these misfortunes had fallen on us on account of the King of Persia or the King of Greece, we would have endured them. But we cannot suffer oppression by the Ossetians, it would be better to die than to bear it.”

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებული ვახტანგ I გორგასლის სიტყვას მოსდევს მისივე სპასპეტის ჯუანშერის სიტყვა მეფისა და ქართლის წარჩინებულთა წინაშე⁴⁶⁸. სიტყვის შემდეგ ვკითხულობთ: „ესე თქუა ჯუანშერ სპასპეტმან და დაემოწამნეს ყოველნი წარჩინებულნი ერისთავნი ზრახვასა მისსა“⁴⁶⁹.

ჯუანშერი იყო ვახტანგ გორგასლის სპასპეტი, რაც შინაარსობრივად თითქმის უტოლება სპასალარის თანამდებობას, თუმცა „ქართლის ცხოვრება“ მათ ერთმანეთისაგან მაინც განასხვავებს. ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზის (ძვ. წ. IV ს. – III ს. პირველი ნახ.) დროინდელ ქართლში სპასპეტი უმაღლესი რანგის სამხედრო მოხელე იყო; იგი მეფის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა და მეთაურობდა ერისთავთა ჯარებს. ჟუანშერსაც სწორედ სპასპეტის თანამდებობა ეკავა ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁴⁷⁰, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁴⁷¹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁴⁶⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 148-149.

⁴⁶⁹ იქვე, გვ. 149.

⁴⁷⁰ იქვე, გვ. 148-149.

⁴⁷¹ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 81.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

After the speeches of Vakhtang I Gorgasali in “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”) is followed by [The speech of his Spaspet Juansher in front of the King and the Nobles of Kartli]⁴⁷². After the speech we read: “This is what Juansher Spaspet said and all the nobles testified to his intention.”⁴⁷³

Juansher was a spaspets of Vakhtang Gorgasali, which is almost equal in content to Spasalar’s position, although “Kartlis Tskhovreba” still distinguishes them from each other. According to Leonti Mroveli, Spaspeti was a high-ranking military officer in Kartli during the time of Parnavaz (IV-III century BC); He was the second person after the king and was in general command of the armies of the nobility. Juansher also held the position of Spaspet during the reign of Vakhtang Gorgasali. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the royal rhetoric, and to the speech genre.

In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), of which the Georgian edition belongs to S. Kaukhchishvili⁴⁷⁴, and the English edition to S. Jones⁴⁷⁵. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁴⁷² Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. I, Tbilisi, Sakhelgami, 1955, pp. 148-149 (in Georgian).

⁴⁷³ Ibid, p. 149.

⁴⁷⁴ Ibid, pp. 148-149.

⁴⁷⁵ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metrevelevi, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 81.

სიტყვა

თქმული ჯუანშერ სპასპეტის მიერ მეფისა და ქართლის
წარჩინებულთა წინაშე

„მაშინ აღდგა ჯუანშერ⁴⁷⁶ სპასპეტი⁴⁷⁷ და თქუა: „ცხოვნი, მეფეო⁴⁷⁸, უკუნისამდე დიდებით და მტერთა შენთა ზედა ნება-აღსრულებით. ჭემმარიტი ბრძანე, ცოდვათა ჩუენთა მიერ მოიწია განსაცდელი ესე ჩუენ ზედა, და სამართლად დაგუსაჯუნა ღმერთმან: რამეთუ განვამრავლეთ ცოდვა წინაშე მისსა. და გვღირს მადლობა ღმრთისა მიმართ: რამეთუ დიდსა პატიჟსა⁴⁷⁹ ღირს ვიყვენით და არა ეზომსა, რომელ მოიწია ჩუენ ზედა; არამედ მრავალ-მოწყალემან არა შეცოდებათა ჩუენთა ოდენი პატიჟი მოგუაგო, და ამით კნინითა⁴⁸⁰ პატიჟითა გუწუართნა. და ჩუენ, მკვდრთა ქართლისათა, ამისთჳს დიდი მადლობა გვღირს ღმრთისა მიმართ. რამეთუ შენ, უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა და მამათა შენთა უფროსი, ყოვლითავე სრული⁴⁸¹, მსგავსი ნებროთ⁴⁸² გმირისა, გამოგაჩინა წინამძღურად ჩუენდა და მოცემულ ხარ ღმრთისა მიერ განმაქარვებელად ჭირთა ჩუენთა, ძუელთა და ახალთა. და უკეთუ ცოდვანი ჩუენნი არა დასძლევენ, შენ მიერ მოველით განქარვებასა⁴⁸³ ყოველთა ჭირთა ჩუენთასა და უმეტეს წარმატებასა საზღვართა ჩუენთასა ყოვლისა ჟამისასა, რამეთუ არავინ ყოფილ არს მამათა ჩუენთაგანი მსგავს შენდა. ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე, რათგან მოწევნულ არს ოვსთაგან⁴⁸⁴ ხუთსა ამას წელსა შინა, ყოფილვართ ჩუენ მწუხარებასა შინა დიდსა, ამისთჳს რამეთუ ყრმა იყავ, და არა ძალ-გედვა მკედრობა და წყობათა წინამძღურობა, და არცა შინა მეფობისა განგება. აწ, მეფეო, დაღაცათუ სრულ ხარ სიბრძნითა და ძალითა, სიმკნითა და ასაკითა, არამედ გაკლს სისრულე დღეთა მკედრობისათჳს. ხოლო ვხედავ სიბრძნესა შენსა: დაღაცათუ ყრმა ხარ⁴⁸⁵, არამედ ძალ-გიც განგება მეფობისა, ხოლო მკედრობისა და წყობათა წინაგანწყობისა შენისა არა არს ჟამი. ესე არს განზრახვა ჩემი, რათა სიბრძნითა შენითა და კითხვითა დედისა შენისათა⁴⁸⁶ გამოარჩიე ერთი ვინ ჩუენგანი წინამძღურად სპისა⁴⁸⁷ ჩუენისა, და მიგუცენ ჩუენ ყოველნი მას, და ვიყვენეთ მორჩილ ვითარცა მამისა შენისა⁴⁸⁸. და ძალითა სამებისა, ღმრთისა ერთარსებისათა, წარვიდეთ და ვიძიოთ შური. ხოლო შენ იყავ შინა და განაგებდი მეფობასა. უკეთუ ცოდვათა ჩუენთაგან ვიძლივნეთ ოვსთაგან, მეფობა შენი უვნებელად დარჩეს; ხოლო უკეთუ კულად თავითა შენითა ცოდვათა ჩუენთაგან იძლიო, სრულიად წარწყმდეს⁴⁸⁹ ქუეყანა ჩუენი, რამეთუ ნაცვალი შენი არა არს ქუეყანასა ზედა“.

⁴⁷⁶ ჯუანშერ – მოღვაწეობდა V საუკუნეში, იყო ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს მისი სპასპეტი.

⁴⁷⁷ სპასპეტი – (საშ. სპარს. spahpat – მხედართმთავარი).

⁴⁷⁸ მეფე – იგულისხმება ვახტანგ I გორგასალი.

⁴⁷⁹ პატიჟი – სასჯელი.

⁴⁸⁰ კნინი – მცირე.

⁴⁸¹ სრული – სრულყოფილი.

⁴⁸² ნებროთ = ნიმროდი, ნიმრუდი, ნიმვროდი – ბიბლიური გმირი, ქამის ძის ხუსის (ქუმის) მითიური შვილი, სწორუპოვარი მონადირე და ომის გამომგონებელი.

⁴⁸³ განქარვება – გაქრობა, გაუჩინარება.

⁴⁸⁴ ოვსი = ოსი – ერი კავკასიაში.

⁴⁸⁵ „ყრმა ხარ...“ – იგულისხმება ვახტანგ გორგასალის მცირე ასაკი. ამ დროს იგი თხოთმეტი წლისაა.

⁴⁸⁶ „დედისა შენისათა...“ – იგულისხმება ვახტანგ I გორგასალის დედა, დედოფალი საგდუხტი.

⁴⁸⁷ სპა – ჯარი, ლაშქარი.

⁴⁸⁸ „მამისა შენისა...“ – იგულისხმება ვახტანგ I გორგასალის მამა, ქართლის მეფე მირდატ VII.

⁴⁸⁹ წარწყმდეს < წარწყმედა – დაღუპვა.

The Speech

by Juansher Spaspet in Front of the King and the Nobles of Kartli

“Then spaspet⁴⁹⁰ Juansher⁴⁹¹ stood up and said: “Be blessed, King⁴⁹², for ever and ever in your greatness and in the fulfillment of your will upon your enemy! You speak the truth: these calamities befell us because of our sins, and the lord judges us justly, for we have multiplied our sins against him. And we should thank God, because we deserved greater sufferings than those that fell to our lot. But the merciful lord sent us ordeals incommensurable with our sins, edifying us through such insignificant trials. So we, the true Kartlians, have to thank the lord greatly. for he sent you to us as our leader, the best among all the Georgian kings, you, who surpass your ancestors, and are perfectly in everything like Nebrot⁴⁹³ the giant. God charged you with the task of dispersing our troubles – old as well as recent ones. And while our sins may not allow it, we expect from you the ending of all our misfortunes and the achievement of more successes within the bounds of our country than ever before, for not one of our forefathers is equal to you. Be blessed, our King, for all eternity! from the time when the ossetians invaded us, we have lived in great grief; for you were young and unable to fight, lead the army and put things in order in your kingdom. Now, our King, you are vested with wisdom and strength, courage and stature, though you are not yet of the age for performing feats of arms. But I see your wisdom: and young though you are, you are able to rule the kingdom although the time of your military feats and your leadership of the army has not yet arrived. such is my opinion: according to your understanding and following your mother’s⁴⁹⁴ advice, choose one of us to command the army and entrust us to him, whom we will obey like your father⁴⁹⁵; and with the power of the Trinity, and our consubstantial God, we will seek revenge. you, meanwhile, remain in your house and rule the kingdom. If we are defeated by the ossetians, because of our sinfulness, your kingdom will not suffer. But if you fall on the battlefield due to our sins, the whole country will be defeated, for nobody can replace you.” So said spaspet Juansher and all the nobles and aristocrats supported him.”

⁴⁹⁰ Spaspet – (Middle Persian. Spahpat – knight).

⁴⁹¹ Juansher – Served in the V century, was the spaspet of Vakhtang Gorgasali during his reign.

⁴⁹² King – It refers to Vakhtang I Gorgasali.

⁴⁹³ Nebrot = Nimrod, Nimrud, Nimrod – a biblical hero, the mythical grandson of the of Kami (Kushi), a righteous hunter and inventor of war.

⁴⁹⁴ “...your mother” – It refers to the mother of Vakhtang I Gorgasali, Queen Sagdukht of Kartli.

⁴⁹⁵ “...your father” – It refers to the father of Vakhtang I Gorgasali, King Mirdat VII of Kartli.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული გიორგი III-ის მიერ მხედრობის მიმართ ქალაქ ანისისათვის ბრძოლის წინ, 1161 წელს] გვხვდება თამარ მეფის პირველ ისტორიაში, რომელსაც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით შეიცავს „ქართლის ცხოვრება“ და ეწოდება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“⁴⁹⁶. ეს ისტორია წარმოადგენს გიორგისა და თამარის მეფობათა საკმაოდ ვრცელ აღწერილობას.

ძველი ბევრჯერაა გამოცემული, თუმცა მხოლოდ 1941 წელს გამოქვეყნდა შესწორებული და აღდგენილი სახით, ვრცელი გამოკვლევის წამძღვარებითა და საძიებლების დართვით, რომელიც ეკუთვნის ვ. კეკელიძეს⁴⁹⁷.

გიორგი III-მ თავისი სიტყვა მხედრობის მიმართ წარმოსთქვა 1161 წელს ბრძოლის წინ, როდესაც იგი თავისი ლაშქრით მოულოდნელად თავს დაესხა სომხეთის დედაქალაქს ანისს, გაათავისუფლა ის მაჰმადიანთა ბატონობისაგან და მთელი ციხე-ქალაქი მისი ოლქითურთ საქართველოს პოლიტიკურ გავლენას დაუმორჩილა. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁴⁹⁸, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁴⁹⁹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁴⁹⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 8.

⁴⁹⁷ იხ. კეკელიძე, ვ. (რედ.), ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.

⁴⁹⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 8.

⁴⁹⁹ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 230.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by George III before the battle for the city of Anisi in front of the army in 1161] is placed in the first story of Queen Tamar, which contains as an integral part “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”) and is called “The History and Eulogy of Monarchs” (“istoriani da azmani sharavandedtani”)⁵⁰⁰. This story is a fairly extensive description of the reigns of George and Tamar.

The monument has been published many times, though it was only published in 1941 in a revised and restored form, with extensive research guidance and the inclusion of search engines owned by K. Kekelidze⁵⁰¹.

George III delivered his speech to the army before the battle in 1161, when he and his army suddenly attacked the Armenian capital, Anis, liberated it from Muslim domination, and the entire fortress-city surrendered to Georgian political influence. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the military rhetoric, and to the genre of speech.

In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), of which the Georgian edition belongs to S. Kauhchishvili⁵⁰², and the English edition to S. Jones⁵⁰³. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁵⁰⁰ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kauhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, p. 8 (in Georgian).

⁵⁰¹ See Kekelidze, K. (Ed.), The History and Eulogy of Monarchs (Attempt to Restore the Text), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1941 (in Georgian).

⁵⁰² Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kauhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, p. 8 (in Georgian).

⁵⁰³ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metrevelevi, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 230.

სიტყვა

თქმული გიორგი III-ის მიერ მხედრობის მიმართ ქალაქ ანისისათვის
ბრძოლის წინ, 1161 წელს

„კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო! თუ რაზომ დიდად კეთილ არს საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარებისათჳს სიკუდილი, რომელნი სამარადისოდ ვნატრით ქრისტეს კუალთა შემდგომთა და მომკუდართა მათ თვთ ბუნებითა მკუდართა სხეულთაგან. და ხედავთა, თუ რაოდენ უფრო სასახელო არს მკნებრივ სიკუდილი, ვიდრედა სენითა განდნობითა განლეულეებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილისა საუკუნოდ გზად გუყუების. რამეთუ გუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათჳს ტომძან ებრაელთამან არტარქსერქსის⁵⁰⁴ ზე, ელენთა⁵⁰⁵ – ოდეს-იგი იძღუანებოდეს თ[ემისტ]ოკლეოს⁵⁰⁶ მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან⁵⁰⁷ სოფლისა მქონებელსა მძლესა არტარქსერქსის ზედა, რომელმან ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპაებთათჳს⁵⁰⁸, ხოლო ათინელთა⁵⁰⁹ ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრღუეულ იქმნა. აწ⁵¹⁰ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩემთჳს განლახურილისათჳს⁵¹¹ აღვიხუნეთ ლახუარნი და ოროლნი⁵¹², და უგმირნეთ ურწმუნოთა ღვთაებისა მისისათა!“

⁵⁰⁴ არტარქსერქსე – სპარსეთის რამდენიმე მეფის სახელი; აქ უნდა იგულისხმებოდეს ქსერქსე I (ძვ.წ 486-465 წწ.), რომელსაც ბერძენ-სპარსელთა ომების დროს (ძვ.წ. 499-449 წწ.) მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია თემისტოკლე ათენელმა.

⁵⁰⁵ ელენთა – ელლენი, ელინი, ბერძენი.

⁵⁰⁶ თემისტოკლე – თემისტოკლე (ძვ. ბერძ. Θემιστοκλῆς; დ. ძვ. წ. 524 – გ. ძვ. წ. 459) – ათენელი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი და მხედართმთავარი, ძვ. წ. 494-493 წლებში იყო ათენის პოლისის არქონტი. სახელი გაითქვა ბერძენ-სპარსელთა ომების მიმდინარეობისას. მისი ინიციატივით შედგენილმა საბრძოლო გეგმამ და ფლოტის რეორგანიზაციამ გარდამტეხი წვლილი შეიტანა ბერძნების გამარჯვებაში.

⁵⁰⁷ სპასპეტი – სარდალი (საშ. სპარს. spahpat – მხედართმთავარი).

⁵⁰⁸ სპა – ჯარი, ლაშქარი.

⁵⁰⁹ ათინელთა = ათინელები – საბერძნეთის მთავარი ქალაქის ათენის მკვიდრნი, ბერძნები.

⁵¹⁰ აწ – ახლა.

⁵¹¹ ჩემთჳს განლახურილისათჳს – იგულისხმება იესო ქრისტე.

⁵¹² ოროლნი = ჰოროლი – შუბის სახეობა.

The Speech

**by George III Before the Battle for the City of Anisi in Front of the Army
in 1161**

“People, my brothers, you have one spirit and one faith! You know how great it is to die for your faith and the Gospel of Christ; we always bless those who follow Christ’s steps and die for him with their perishable bodies. You see, how much better it is to die manfully than to linger from a wasting disease, for the good example and your good name will remain forever with us. We have heard from the ancient chroniclers how because of the lord’s law, the tribe of hebrews suffered many misfortunes at the time of Artakserks⁵¹³; so, did the ancient Greeks, led by the experienced commander Themistocles⁵¹⁴ at the time of Xerxes, the conqueror of the world. Themistocles, with his men, commanded the sea without a fight, and Xerxes was obliged to retreat due just to the town of the Athenians⁵¹⁵. Now, my winged lions, take lances and pikes and strike those who do not believe in the divinity of the One, who sacrificed himself for our sake!”

⁵¹³ Artaxerxes – The name of several kings of Persia; This refers to Xerxes I (486-465 BCE), who was severely opposed by Themistocles of Athens during the Greco-Persian Wars (499-449 BCE).

⁵¹⁴ Themistocles – Themistocles (Greek: Θემιστοκλῆς; 524 BC – 459 BC) was an Athenian statesman, politician, and military leader. In 494-493 he was archon of the Athenian polis. The name was mentioned during the Greco-Persian Wars. The battle plan drawn up at his initiative and the reorganization of the fleet made a turning point in the victory of the Greeks.

⁵¹⁵ Athenians – The inhabitants of Athens, the main city of Greece, the Greeks.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ] გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში, ბასილი ეზოსმოდვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“⁵¹⁶. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

თხზულება აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს, ხოლო გამოისცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1944 წელს⁵¹⁷. სიტყვა პროფ. ვ. დონდუას მიერ 1938 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე ბასილი ეზოსმოდვრის ძეგლის თარგმანში: „Жизнь царицы цариц Тамары“, რომელსაც წინ უძღვის მთარგმნელის შესავალი წერილი: «Басили, историк царицы Тамары»⁵¹⁸. იგივე სიტყვა არტურ ლაისტის მიერ 1905 წელს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე ნარკვევში: „Das Zeitalter der Königin Tamar“⁵¹⁹. არსებობს თამარ მეფის დროინდელი მატეანის თანამედროვე გამოკვლევაც, რომელსაც ერთვის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“⁵²⁰.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁵²¹, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁵²². გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁵¹⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 118.

⁵¹⁷ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად დაამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1944.

⁵¹⁸ Дондуа, В., Басили, историк царицы Тамары: Жизнь царицы цариц Тамары, Памятники эпохи Руставели, Ленинград, Государственный Эрмитаж, 1938, ст. 33-76.

⁵¹⁹ Leist, A., Das georgische Volk, Dresden, 1905, s. 120-136.

⁵²⁰ თამარ მეფის დროინდელი მატეანე („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამიებლები დაურთო მარინე ქადაგიძემ, თბილისი, 2001.

⁵²¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 118.

⁵²² A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 289.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by Queen Tamar to the supreme ministers of the church in the Hall] contains “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), in particular, one of its components of “The life of Tamar, the Great Queen of Queens” written by Basili Ezosmodzghvari⁵²³. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the royal rhetoric, and to the speech genre.

This work was discovered by Iv. Javakhishvili in 1923 and published after his death in 1944⁵²⁴. The speech was published by Prof. V. Dondua in 1938 in Russian in the translation of the monument of Basili Ezosmodzghvari: “Жизнь царицы цариц Тамары”, preceded by the translator’s introductory letter: “Басили, историк царицы Тамары”⁵²⁵. The same speech was published by Arthur Leist in 1905 in the German essay: “Das Zeitalter der Königin Tamar”⁵²⁶. There is also a modern work of the chronicle of Queen Tamar, which is accompanied by “Life of King Tamar”⁵²⁷.

In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), of which the Georgian edition belongs to S. Kauhchishvili⁵²⁸, and the English edition to S. Jones⁵²⁹. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁵²³ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kauhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, p. 118 (in Georgian).

⁵²⁴ The life of Tamar, the Great Queen of Queens, published by Ivane Javakhishvili, The Materials of Iv. Javakhishvili was prepared for printing by Nat. Javakhishvili and M. Kakhadze, Tbilisi, Academy of Sciences of the Georgian SSR, Acad. Iv. Javakhishvili Institute of History, 1944 (in Georgian).

⁵²⁵ Дондуа, В., Басили, историк царицы Тамары: Жизнь царицы цариц Тамары, Памятники эпохи Руставели, Ленинград, Государственный Эрмитаж, 1938, ст. 33-76.

⁵²⁶ Leist, A., Das georgische Volk, Dresden, 1905, s. 120-136.

⁵²⁷ Chronicle of the time of Queen Tamar (“The life of Tamar, the Great Queen of Queens”), the text was prepared for publication, researched and researched by Marine Kadagidze, Tbilisi, 2001 (in Georgian).

⁵²⁸ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kauhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, p. 118 (in Georgian).

⁵²⁹ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 289.

სიტყვა

თქმული თამარ მეფის მიერ დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ

„მ⁵³⁰ წმიდანო მამანო, თქუენ ღმრთისა მიერ განჩინებულ⁵³¹ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართველად წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყვს მიცემა სულთათჳს ჩუენტა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განჯადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთისა მბრძოლობისა. ნუ თუალ-ახუამთ მთავართა სიმდიდრისათჳს, ნუცა გლახაკთა უდებ-ჰყოფთ⁵³² სიმცირისათჳს. თქუენ სიტყვთა, ხოლო მე საქმით; თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით; თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით, ზოგად ჳელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად⁵³³, რათა არა ზოგად ვიზღვენეთ: თქუენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი⁵³⁴, ხოლო მე ვითარცა ებგური⁵³⁵.“

⁵³⁰ მ – ძველი ქართულში აღნიშნავდა შორისდებულებს – ჰოი! ოი! ჰაი!

⁵³¹ განჩინებულ – დაწესებული, გარემოძისი, განკუთნებული, ნაწილი.

⁵³² უდებ-ჰყოფთ – არად ჩაადებთ, უარყოფთ.

⁵³³ შეუგინებელი – უმწიკვლო, შეუბილწველი.

⁵³⁴ მნენი – მნე (ეკონომოსი, მმრთველი) პირი, რომელიც დიოცეზში ან რელიგიურ საკრებულოში ფინანსურ და ეკონომიკურ მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს განაგებს. დიოცეზში, სადაც ახალი დამკვიდრებული ფიგურაა, მნეს ეპისკოპოსი ნიშნავს; იგი შეიძლება იყოს საერო პირი, მამაკაცი ან ქალი, მთავარია, მას ჰქონდეს ეკონომიკურ საქმეთა წარმართვის გამოცდილება და ახასიათებდეს პატიოსნება.

⁵³⁵ ებგური – შორიდან მზვერავი, ყარაული.

The Speech

by Queen Tamar to the Supreme Ministers of the Church in the Hall

“oh, holy fathers, you are appointed by God as our teachers and the rulers of the holy Church; you have to preach for the sake of our souls. Investigate everything thoroughly, sanction the just, and banish the unjust. Begin with me, because the halo that surrounds me is the halo of royal greatness and not of theomachy. Have no scruples with princes, because of their riches, and do not neglect paupers, because of their insignificance. Do with your words and I will do by my deeds, you with your teaching and I by suggestion, you with instruction and I by resolution; let all of us lend each other a helping hand, in order to preserve the laws of God from profanity, and escape punishment, you as priests and I as a Queen, you as rulers and myself as a guardian.”

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ 1195 წლის 1 ივნისს] გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში, ბასილი ეზოსმოდვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“⁵³⁶. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

თხზულება აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს, ხოლო გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1944 წელს⁵³⁷. სიტყვა პროფ. ვ. დონდუას მიერ 1938 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე ბასილი ეზოსმოდვრის ძეგლის თარგმანში: “Жизнь царицы цариц Тамары”, რომელსაც წინ უძღვის მთარგმნელის შესავალი წერილი: «Басили, историк царицы Тамары»⁵³⁸. იგივე სიტყვა არტურ ლაისტის მიერ 1905 წელს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე ნარკვევში: “Das Zeitalter der Königin Tamar”⁵³⁹. არსებობს თამარ მეფის დროინდელი მატთანის თანამედროვე გამოკვლევაც, რომელსაც ერთვის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“⁵⁴⁰. [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ 1195 წლის 1 ივნისს], როგორც ორატორული ნიმუში, ცალკე გამოქვეყნებულია ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“⁵⁴¹.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁵⁴², ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁵⁴³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁵³⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 126.

⁵³⁷ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად დაამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1944.

⁵³⁸ Дондуа, В., Басили, историк царицы Тамары: Жизнь царицы цариц Тамары, Памятники эпохи Руставели, Ленинград, Государственный Эрмитаж, 1938, ст. 33-76.

⁵³⁹ Leist, A., Das georgische Volk, Dresden, 1905, s. 120-136.

⁵⁴⁰ თამარ მეფის დროინდელი მატთანე („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამიუბლები დაურთო მარინე ქადაგიძემ, თბილისი, 2001.

⁵⁴¹ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 173.

⁵⁴² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 126.

⁵⁴³ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 292.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by Queen Tamar before the Shamkori War in front of the army on June 1, 1195] contains “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), in particular, one of its components of “The life of Tamar, the Great Queen of Queens” written by Basili Ezosmodzghvari⁵⁴⁴. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the military rhetoric, and to the speech genre.

This work was discovered by Iv. Javakhishvili in 1923, and published after his death in 1944⁵⁴⁵. The speech was published by Prof. V. Dondua in 1938 in Russian in the translation of the monument to the courtier Basil: “Жизнь царицы цариц Тамары”, preceded by the translator’s introductory letter: “Басили, историк царицы Тамары”⁵⁴⁶. The same speech was published by Arthur Leist in 1905 in a German essay: “Das Zeitalter der Königin Tamar”⁵⁴⁷. There is also a modern study of the chronicle of Queen Tamar, which is accompanied by “Life of King Tamar”⁵⁴⁸. [The speech by Queen Tamar before the Shamkori war in front of the army on June 1, 1195], as an oratorical sample, is published separately in V. Katchakhidze’s “Rhetoric”⁵⁴⁹.

In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), of which the Georgian edition belongs to S. Kaukhchishvili⁵⁵⁰, and the English edition to S. Jones⁵⁵¹. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁵⁴⁴ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, p. 126 (in Georgian).

⁵⁴⁵ The life of Tamar, the Great Queen of Queens, published by Ivane Javakhishvili, The Materials of Iv. Javakhishvili was prepared for printing by Nat. Javakhishvili and M. Kakhadze, Tbilisi, Academy of Sciences of the Georgian SSR, Acad. Iv. Javakhishvili Institute of History, 1944 (in Georgian).

⁵⁴⁶ Дондуа, В., Басили, историк царицы Тамары: Жизнь царицы цариц Тамары, Памятники эпохи Руставели, Ленинград, Государственный Эрмитаж, 1938, ст. 33-76.

⁵⁴⁷ Leist, A., Das georgische Volk, Dresden, 1905, s. 120-136.

⁵⁴⁸ Chronicle of the time of Queen Tamar (“The life of Tamar, the Great Queen of Queens”), the text was prepared for publication, researched and researched by Marine Kadagidze, Tbilisi, 2001 (in Georgian).

⁵⁴⁹ Katchakhidze, V., Rhetoric: Political, Judicial, Military, Academic, Preaching, Ceremonial, Funeral, Tbilisi, Metsniereba, 1997, p. 173 (in Georgian).

⁵⁵⁰ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, p. 126 (in Georgian).

⁵⁵¹ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 292.

სიტყვა

თქმული თამარ მეფის მიერ მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ,
1195 წლის 1 ივნისს

„მმანო, ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათჳს და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს. გასმია⁵⁵² გედეონისთჳს სამასნი⁵⁵³ და სიმრავლე ურიცხჳ მადიამელთა⁵⁵⁴ მათ მიერ მოწყუედილი⁵⁵⁵, კულად ასურასტანელთა ბანაკი⁵⁵⁶ ლოცვითა ეზეკიელისითა⁵⁵⁷ წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაცემულნი? მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდვენით და გულნი თქუენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწვენითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით.“

⁵⁵² გასმია = გასმენია – გამოიყენებოდა ძვ. ქართულში კითხვით წინადადებაში.

⁵⁵³ გედეონისთჳს სამასნი – გედეონი (დაახლ. ძვ. წ. XIII-XII სს.) – ისრაელის მსაჯული და სარდალი, ძველი აღთქმის ბიბლიური პერსონაჟი.

⁵⁵⁴ მადიამელთა – ბიბლიური თხრობით მადიამელები არიან აბრაამის ძის მადიამისაგან წარმომდგარი ხალხი.

⁵⁵⁵ მოწყუედილი – დახოცილი.

⁵⁵⁶ ასურასტანელთა ბანაკი – ასურასტანელი = სირიელი – საკუთარი გეოგრაფიული სახელიდან; ასურასტანი = ასურეთი – სირია.

⁵⁵⁷ ეზეკიელი – წინასწარმეტყველი (ბიბლიური პერსონაჟი).

The Speech

**by Queen Tamar Before the Shamkori War in Front of the Army on June 1,
1195**

“My brothers, let not your hearts tremble for fear that there are so many of them, while you are so few, for God is with us. you have heard of Gideon⁵⁵⁸ and the three hundred men he commanded, and of the countless madianites⁵⁵⁹ he defeated, and of the camp of the Assyrians⁵⁶⁰ which was destroyed in a moment by an angel in answer to ezekias⁵⁶¹ prayer. Trust only one God, strengthen your hearts before him with truth, and set your hopes without reserve on the cross of Christ. Now with the help of the holy mother of God, storm their country and assault the enemy with the power of the invincible Cross.”

⁵⁵⁸ Gideon – (13th-12th centuries BCE), Judge and commander of Israel, biblical character of the Old Testament.

⁵⁵⁹ Madianites – According to the Bible, the Midianites are a descendant one of the sons of Abraham.

⁵⁶⁰ Assyrian camp – Assyrian = Syrian – from its own geographical name; Assyria = Syria.

⁵⁶¹ Ezekias – Prophet (biblical character).

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული თამარ მეფის მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა წინაშე] გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში, ბასილი ეზოსმოდღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“⁵⁶². ამ დრომდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული მასზე, როგორც ორატორულ ნიმუშზე. ამდენად, წინამდებარე ჟურნალში პირველად ქვეყნდება. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

ბასილი ეზოსმოდღვრის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს, ხოლო გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1944 წელს⁵⁶³. სიტყვა პროფ. ვ. დონდუას მიერ 1938 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე ბასილი ეზოსმოდღვრის ძეგლის თარგმანში: „Жизнь царицы цариц Тамары“, რომელსაც წინ უძღვის მთარგმნელის შესავალი წერილი: «Басили, историк царицы Тамары»⁵⁶⁴. იგივე სიტყვა არტურ ლაისტის მიერ 1905 წელს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე ნარკვევში: „Das Zeitalter der Königin Tamar“⁵⁶⁵. არსებობს თამარ მეფის დროინდელი მატიანის თანამედროვე გამოკვლევაც, რომელსაც ერთვის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“⁵⁶⁶.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁵⁶⁷, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁵⁶⁸. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁵⁶² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 145.

⁵⁶³ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად დაამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1944.

⁵⁶⁴ Дондуа, В., Басили, историк царицы Тамары: Жизнь царицы цариц Тамары, Памятники эпохи Руставели, Ленинград, Государственный Эрмитаж, 1938, ст. 33-76.

⁵⁶⁵ Leist, A., Das georgische Volk, Dresden, 1905, s. 120-136.

⁵⁶⁶ თამარ მეფის დროინდელი მატიანე („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მარინე ქადაგიძემ, თბილისი, 2001.

⁵⁶⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 145.

⁵⁶⁸ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, pp. 302-303.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The speech by Queen Tamar in front of all the nobles of the kingdom] contains “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), in particular, one of its components of “The life of Tamar, the Great Queen of Queens” written by Basili Ezosmodzghvari⁵⁶⁹. So far no attention has been paid to it as an oratorical sample. Thus, it is published for the first time in this edition. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the royal rhetoric, and to the speech genre.

Basili Ezosmodzghvari’s essay “Life of King Tamar”, discovered by Iv. Javakhishvili in 1923, and published after his death in 1944⁵⁷⁰. The speech was published by Prof. V. Dondua in 1938 in Russian in the translation of the monument of Basili Ezosmodzghvari: “Жизнь царицы цариц Тамары”, preceded by the translator’s introductory letter: “Басили, историк царицы Тамары”⁵⁷¹. The same speech was published by Arthur Leist in 1905 in a German essay: “Das Zeitalter der Königin Tamar”⁵⁷². There is also a modern study of the chronicle of Queen Tamar, which is accompanied by “Life of King Tamar”⁵⁷³.

In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), of which the Georgian edition belongs to S. Kaukhchishvili⁵⁷⁴, and the English edition to S. Jones⁵⁷⁵. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁵⁶⁹ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, p. 145 (in Georgian).

⁵⁷⁰ The life of Tamar, the Great Queen of Queens, published by Ivane Javakhishvili, The Materials of Iv. Javakhishvili was prepared for printing by Nat. Javakhishvili and M. Kakhadze, Tbilisi, Academy of Sciences of the Georgian SSR, Acad. Iv. Javakhishvili Institute of History, 1944 (in Georgian).

⁵⁷¹ Дондуа, В., Басили, историк царицы Тамары: Жизнь царицы цариц Тамары, Памятники эпохи Руставели, Ленинград, Государственный Эрмитаж, 1938, ст. 33-76.

⁵⁷² Leist, A., Das georgische Volk, Dresden, 1905, s. 120-136.

⁵⁷³ Chronicle of the time of Queen Tamar (“The life of Tamar, the Great Queen of Queens”), the text was prepared for publication, researched and researched by Marine Kadagidze, Tbilisi, 2001 (in Georgian).

⁵⁷⁴ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, p. 145 (in Georgian).

⁵⁷⁵ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, pp. 302-303.

სიტყვა

თქმული თამარ მეფის მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა
თვისისათა წინაშე

„მანო ჩემო და შვილო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა, უსაშინელესისა უფროს მეფეთა ქუეყანისათა, რომელმან მიუხუნის სულნი მთავართანი. თქუენ ყოველნი თვთ მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქუნდა სიყუარული თქუენი, და სარგებელსა და სათნოსა თქუენსა არა დავაკლე თვთოეულისაებრ არზანგისა, ვიდრემდის განგებითა ღმრთისათა ვიყავ თქუენ ზედა მეფედ. აწ⁵⁷⁶ მეცა წარვალ მამათა ჩუენთა თანა გზასა ჩემგან უცხოთა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფითა საკვრველითა. გევედრები ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მაკსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა მკვდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი⁵⁷⁷ და რუსუდან⁵⁷⁸. ეგენი მიიხუნით⁵⁷⁹ ჩემ წილ. და მაგათ აღმოვივსონ დაკლებული ჩემი.“

შევედრნა ყოველთა და მიუთუალნა წინაშე ხატსა ქრისტესსა და ჯუარსა ცხოველსმყოფელსა. და მერმე უკანასკნელ ჳმა აღმოუტევა, და ყოველთა მშვდობა მისცა ესრეთ მეტყუელმან: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა.“

⁵⁷⁶ აწ – ახლა.

⁵⁷⁷ გიორგი – გიორგი IV ლაშა, ლაშა-გიორგი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის ძე, რუსუდანის ძმა, სამეფო ტახტის მემკვიდრე და საქართველოს მეფე (1213-1223 წწ.-ში).

⁵⁷⁸ რუსუდანი – რუსუდან მეფე, თამარ მეფისა და დავით სოსლანის ასული, ლაშა-გიორგის და, სამეფო ტახტის მემკვიდრე და საქართველოს მეფე (1223-1245 წწ.-ში).

⁵⁷⁹ მიიხუნით – მიიღეთ, შეიწყნარეთ.

The Speech

by Queen Tamar in Front of all the Nobles of the Kingdom

“My brothers and sisters! The dreadful judge who is more fearful than earthly kings, who takes away people’s souls, has called for me. you were yourselves witnesses of my love to you, which I have stored in my heart; I never took away anything that was your share or was the object of your desire, and I was honored for the time, which according to God’s purpose, I was your queen. Now I, too, am going to my fathers, following an unknown way, obedient to the frightful order and the wonderful design. And I implore everybody: do good always and pray for me. I am leaving as heirs to my house those, whom God gave me, my children, Giorgi⁵⁸⁰ and Rusudan⁵⁸¹; receive them instead of me, and let them make up for the loss that my death causes you.”

In this way, she entrusted her children to them, and did it before the image of Christ and the life-giving cross. And then she said for the last time: “Christ, my God, the eternal King of heaven and earth, I entrust you this kingdom, which you have charged me with, and this people that you redeemed with your holy blood, and these children of mine, who you granted me, and now here is my soul.”

⁵⁸⁰ Giorgi – Giorgi IV Lasha, Lasha-Giorgi, son of Queen Tamar and David Soslan, brother of Rusudan, heir to the royal throne and king of Georgia (1213-1223).

⁵⁸¹ Rusudan – Queen Rusudan, daughter of Queen Tamar and David Soslan, sister of Lasha-Giorgi, heir to the royal throne and Queen of Georgia (1223-1245).

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ბასილი ეზოსმოდღვარს ეკუთვნის ორატორული ხასიათის სიტყვა, წარმოთქმული თამარის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც გვხვდება მისივე საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“⁵⁸². ბასილი ეზოსმოდღვარი (ეზოსმოდღვარი) იყო XII-XIII საუკუნეების ქართველი ისტორიკოსი, თამარ მეფის ეზოსმოდღვარი. იგი თამარის მეორე ისტორიკოსად ითვლება, ხოლო მისი საისტორიო თხზულება მიჩნეულია მეტად სანდო საისტორიო წყაროდ, რომელიც დაწერილია უაღრესად მსუბუქი, სადა და ბუნებრივი ენით. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

ბასილი ეზოსმოდღვრის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს და გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1944 წელს⁵⁸³. არსებობს თამარ მეფის დროინდელი მატეანის თანამედროვე გამოკვლევა, რომელსაც ერთვის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“⁵⁸⁴. ასევე უშუალოდ [სიტყვა, წარმოთქმული ბასილი ეზოსმოდღვრის მიერ თამარის გარდაცვალების შემდეგ], როგორც ორატორული ნიმუში, ცალკე გამოქვეყნდა ისეთ გამოცემებში, როგორიცაა „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-15 ტომი⁵⁸⁵.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁵⁸⁶, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁵⁸⁷. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁵⁸² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 115-150.

⁵⁸³ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად დაამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1944.

⁵⁸⁴ თამარ მეფის დროინდელი მატეანე („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მარინე ქადაგიძემ, თბილისი, 2001.

⁵⁸⁵ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, თბილისი, ციციანთელა, 2013, გვ. 112-116.

⁵⁸⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 146-150.

⁵⁸⁷ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, pp. 303-305.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Basili Ezosmodzghvari uttered an oratorical speech after Tamar's death, which is included in his own historical work, "The life of Tamar, the Great Queen of Queens"⁵⁸⁸. Basili was a Georgian historian of the XII-XIII centuries, the courtier of Queen Tamar. Basil Ezosmodzghvari is considered to be the second historian of Tamar, and his historical work is considered to be a very reliable historical source, written in a very light, plain and natural language. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the funeral rhetoric, and to the speech genre.

Basili Ezosmodzghvari's work "The life of Tamar, the Great Queen of Queens" was discovered by Iv. Javakhishvili in 1923 and published after his death in 1944⁵⁸⁹. There is also a modern study of the chronicle of Queen Tamar, which is accompanied by "Life of King Tamar"⁵⁹⁰. It was also published as an oratorical sample [The Speech by Basili Ezosmodzghvari after the Death of Tamar] separately in such publications as the 15th volume of the "Georgian Literature"⁵⁹¹.

In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from "A History of Georgia" ("Kartlis Tskhovreba"), of which the Georgian edition belongs to S. Kauhchishvili⁵⁹², and the English edition to S. Jones⁵⁹³. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁵⁸⁸ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kauhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House "Soviet Georgia", 1959, pp. 115-150 (in Georgian).

⁵⁸⁹ The life of Tamar, the Great Queen of Queens, published by Ivane Javakhishvili, The Materials of Iv. Javakhishvili was prepared for printing by Nat. Javakhishvili and M. Kakhadze, Tbilisi, Academy of Sciences of the Georgian SSR, Acad. Iv. Javakhishvili Institute of History, 1944 (in Georgian).

⁵⁹⁰ Chronicle of the time of Queen Tamar ("The life of Tamar, the Great Queen of Queens"), the text was prepared for publication, researched and researched by Marine Kadagidze, Tbilisi, 2001 (in Georgian).

⁵⁹¹ Georgian Literature, Multi-volume, Vol. 15, Book I, Tbilisi, Tsitsinatela, 2013, pp. 112-116 (in Georgian).

⁵⁹² Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kauhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House "Soviet Georgia", 1959, pp. 146-150 (in Georgian).

⁵⁹³ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, pp. 303-305.

სიტყვა

თქმული ბასილი ეზოსმოდვრის მიერ თამარის გარდაცვალების შემდეგ

„იგვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა, რამეთუ განზიგნეს ბაგენი მათნი, რომელთა პირსა შინა პირველ სხუა არარა მოაქუნდა, ვითარ თამარ. რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხორად⁵⁹⁴ თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად⁵⁹⁵ მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებლობისა სიტყუა აღმოთქუან: ყრმანი მემროწლენი, განპებასა შინა ორნატოთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან; ერას მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა მენავენი, ნიაგ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან. ესრეთ ყოველი სოფელი სავე იყო მის-მიერთა ქებათა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ასმიოდეს.

ხოლო საქმეთა მისთათვს რადლა საწმარ არს თქმად, რამეთუ კიდით-კიდედმდე განისმნეს, ვითარცა თვთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიტყვსაებრ ბრძნისა.

არა უცთომელობა მგონიეს ძალისა უზეშთაესსა მეცადინობა, რამეთუ დაწყება და აღსასრული ამის კელ-ყოფისა სრულებით ესრეთ ჩანს, ვითარცა სიმძიმესა და პატიოსნებასა თანა ოქროსასა ქარქუეტისა ნამუსრევი. რამეთუ ვინ რა წარმოთქუას ღირსი ამისთვს, გინა რა ვინ პირველ აქოს, ანუ⁵⁹⁶ რომელი უკანასკნელ: სიმდაბლე უზომო, სიმალლე შეუსწორებელი, სიმშვედე საქებელი, სამქისე ჯეროვანი, ლმობიერება მოწლე, მოწყალეობა თანა-ლმობილი, უმანკოება უზაკუელი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგადი, სიუხვე აღუზუავებელი და – თავი ყოვლისა კეთილისა – შიში ღმრთისა და მსახურება მისი შეუორგულებელი, – რომელი-ესე ყოველი ამან ესრეთ მოიგო, ვითარ ვერცა ერთი სხუამან ვერვინ. და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი⁵⁹⁷ და დარუბანდელთა⁵⁹⁸, ღუნძთა⁵⁹⁹, ოვსთა⁶⁰⁰, ქაშაგთა⁶⁰¹, კარნუ-ქალაქელთა⁶⁰² და ტრაპიზონელთა⁶⁰³, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთგან უზრუნველობასა.

ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მომურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა მიდიდსაცა აღემატებოდა. ლოცვანი და ღამისთევანი, რომელნი პალატსა⁶⁰⁴ შინა ამისსა აღესრულებოდეს, საექუელ მიჩნს მეუდაბნოეთაგანცა; ხოლო

⁵⁹⁴ აკროსტიხორი = აკროსტიხი – იამბიკო.

⁵⁹⁵ ერთბამად – ერთად, ერთბაშად.

⁵⁹⁶ ანუ = ან; თუ.

⁵⁹⁷ შარვანშეთი = შარვანი = შირვანი – ისტორიული მხარე აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მტკვრის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

⁵⁹⁸ დარუბანდელთა – ქალაქ დარუბანდის მცხოვრებნი.

⁵⁹⁹ ღუნძთა = ხუნძთა – ქართულ წყაროებში პარალელურად გვხვდება ღუნძი = ხუნძი ფორმები; ჩრდილოკავკასიელი ხალხი.

⁶⁰⁰ ოვსთა = ოსები = ალანები – გამოიყენება პარალელურად ალან-ოსები, ითვლებიან სკვითო-სარმატების შთამომავლებად.

⁶⁰¹ ქაშაგთა < ქაშაგები = ადიდელები = ჩერქეზები – კავკასიის ჩრდილო-დასასავლეთით მცხოვრები ავტოქტონი ხალხი.

⁶⁰² კარნუ-ქალაქელთა < კარნუ-ქალაქი – ერზურუმი, თეოდოსიოპოლი, ძვ. ქართულ წყაროებში მოიხსენიება, როგორც კარნუ-ქალაქი. აქ იგულისხმება ერზურუმის მცხოვრებნი.

⁶⁰³ ტრაპიზონელთა – ქალაქ ტრაპიზონის მკვიდრნი.

⁶⁰⁴ პალატი – ვრცელი და დიდი სახლი. ბერძული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად ნიშნავს დარბაზს, იგივეა, რაც სამეფო სახლი.

მარხვისათვის რაღა ვთქუა, რამეთუ წესი იყო მონაზონთა და მამხილებელ უდებთა ერი პალატისა⁶⁰⁵.

ეგრეთვე სიყუარულისათვის ხუცესთა და მონაზონთასა ნამეტნავ არს თქუამდ, რამეთუ წესიერად ცხორებულნი კაცი მარადღე იყვნინა წინაშე მისსა, და მახლობელად სასუენებელისა მისცის მათ საყოფელი, და თვთ ზრდიდის საზრდელითა და ყოვლითა საკმრითა, რაცა უნებნ, და უკეთუ მათგანი ვინმე იყვის უძლურ, თვთ მივალნ მოხილვად და ნუგეშინის ცემად, და თვთ განუშხადებნ ცხედარსა და სარცელსა.

ხოლო გლახაკათავს განეჩინეს სარწმუნონი ზედამდგომელნი, და ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქართლისა მარცულამდეცა. და ამას ყოვლადვე არა გონებდა ქველის საქმედ მითუალვად წინაშე ღმრთისა, რამეთუ რაჟამს მოიცალის მარტოებით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი, და ნაშრომსა მას თვსთა კვლთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნ თვსითა კვლითა.

ესრეთწესითა განმტკიცებულთა ღმრთისა სახიერისა სათნოებისათა არა დაწყებისა სა მიხედვიდა, არამედ აღსასრულისათა, და, ვითარცა მზე სწორ-პატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თვსთა შარავანდედთასა. ესრეთ წყალობითა ყოველთათა მოიზიდვიდა წყალობად ღმრთისა, ესრეთ გამოიფრდიდა ჟამთაგან, ესრეთ განაძლიერებდა მეგობართა, დაღათუ არარათ სიცრუით მოგებულთა და უსამართლოთა.

არაოდეს მომედგრდა ჟამისაგან, არცა უდებ იქმნა ოდესცა განგებისათვის, არაოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმეთათვის, არა დაუმძიმა კრთომასა გონებისასა და მზიდველი რამე ჩუკენებრივი, არცა სიმდაბლესა მირიდა, არცა სიმადლესა განეყენა, არცა სიტკბოება ჟამიერი უმოთნო ყო, არცა საშინელება შეურაცხ ყო; ყოველი განზავა ყოვლითა, რათა სრულებით სრულისაგან წარმოაჩინოს თავსა შორის თვსსა.

ულაფრობა მარსებელისა განუგმობელად დაიცვა, რათა მოქცევასა შინა სიმრგულისასა⁶⁰⁶ არარად ელმად და უცხოდ მიდრკეს, არცა გარდაყვეს სავესებელისა დუდილსა შინა, არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბლისასა, არამედ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოვლისფერა გარემოდ, რათა მოქცევი თვსი მარტობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა. ისურვებდა და სასურველ იყო, იწადებდა და საწადელ იყო, იქებდა და საქებელ იყო, ნატრიდეს და სანატრელ იყო, და არარა იყო სხუა კეთილი, რაცა იგი არა იყო მის შორის.

ურჩნი თვსნი დაამდაბლნა და მოყუარენი აღამაღლნა. არა ილუწიდა უმეზობლობასა, არცა „მერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა“⁶⁰⁷, არამედ თვსი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად, ვინათგან სამართალმანცა ზენამან უბჭო მართალსა. არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროსდა სცვიდა მაშინებელთაგან, და მათ საშინელ ყოფდა მტერთა ზედა. შორს განიოტა წურბლის მსგავსი ვერ-მადღრისობა, ვინ არა გესლოვან[ყო] ნაყოფი, და არცა ბუგრიან ნაშრომი.

ბჭედ⁶⁰⁸ ჯდა შორის თავისა თვსისა და მეზობელთა მეფეთა, არა მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უდელსა მძრავრობისასა ურთიერთას, და სახედ თავსა თვსსა მისცემდა და ამისთვის მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის; და არა ერთისა გული აღძრა სურვილად, არამედ ყოველნი რომელთა ესმა სახელი მისი, ვინა დიდთა მეფეთა, ცუდად შერაცხნეს თვსი ბედ-კეთილობა ვერ-ხილვისათვის მისისა. კნინდა-და ყოველსა ზღუასა აღმოიწრედდა თვსად, ვითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელი ტკბილთა წვმათა.

განიგემნე ყოველნი მათიანენი, ძუელთა გინა ახალთა მეფეთა მაქებელნი, რამეთუ გარდაემატა თამარის საქმეთა ჭემმარიტებით საქებელობა სიტყვსაებრ პირველთასა: სახარელ იყო თხრობათა შინა და კდემულ განმსწავლელობათა, შემხებელ ლბილობით და განმწურთნელ სიტკბოებით, მგუემელ მოწყალებით და შემრისხველ თანაღმობით, რათა ყოვლად ყოვლითურთ განუგმობელ აჩუენოს თვსება ღმრთისა. სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუველ. აღვრი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვს; კანონი სირცხვლისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათვს; კელით-მავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორგალეთა თუალ-უხუავად მგუემელ.

⁶⁰⁵ ერი პალატისა – იგულისხმება დარბაზის ერი.

⁶⁰⁶ სიმრგულისასა – სიმრგვალე, მთლიანობა.

⁶⁰⁷ აქ არის ესაია წინასწარმეტყველის წიგნის მეხუთე თავის მერვე ლექსი (ესაია 5: 8).

⁶⁰⁸ ბჭე – ძველ ქართულ სამართალში სადავო საქმის გამრჩევი, მოსამართლე, მსაჯული.

მღდელთ-მოძღუართა შეიმოსეს შიში; მღდელთა დაიცვეს წესი თვისი; მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქობა; მთავარნი განისწავლნეს სიწმიდით ცხოვრებად და სიმართლით სლვად; ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღმრთისა და ერთგულობით უფალთა თვისთა; ყრმანი განიწუართნეს მომაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რამეთუ ბილწებამან უწესომან და ყრმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეულობამან ვერცა თუ კუალი პოვა დღეთა თამარისთა. ვინა-და თვთ გინებადცა შორს იყვნეს, რომელნიცა პალატსა შინა ღირს იყვნეს გინა კარსა ზედა მსახურებად.

ესრეთ ყოველსა შინა დაცვითა ღმრთისა მცნებათათა მოიგო წყალობა ღმრთისა, და აკურთხა ღმერთმან ცხოვრება მისი, და განამრავლა ნაყოფი მისი, და თავ-წარსხმულ ყო მსგავსად წერილისა: „ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა“⁶⁰⁹ განთიადისა თანა, და მეუღლე მისი სიხარული შუადლე, და მწუხრი მშვდობით დაიძინა სარეცელსა ზედა თვისსა. შეამკუნა ღმერთმან დღენი მისნი პატიოსნებით და ჟამნი მისნი მშვდობით. და მეფობასა შინა მისსა არა შეიჭუა პირი მისი, ამისთვის რამეთუ არაოდეს გარე მიაქცია ჰელი სათხოველისაგან ქურივთა, ობოლთა და მიმძლავრებულთასა. წარვლნა დღენი მისნი სიხარულსა შინა, ამისთვის რამეთუ მარადლე ახარებდა ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა. და უკანასკნელ წარვიდა მამათა თვისთა თანა, და შეეძინა, და დაუტევნა ორნი შვილნი, გიორგი⁶¹⁰ და რუსუდან⁶¹¹, შუენიერნი, საწადელნი, სასურველნი და საქებელნი, შექმნით სეფის პირნი, გონიერებით აღსავსენი, სიბრძნით შემკობილნი, და ყოვლითა სიკეთითა სრულნი. თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეაწყუდია ყოველი გუარი კეთილ-მეფობისა.

აქა დავვში⁶¹² სიტყვსა წყობა, მომავალთათვის ყოველთაგან აწინდელთა სხუათა ძლევისა მიცემითა ყოველთა, და უმჯობესად შესატყვს შესაძლებელად სახის-მეტყუელებასა უადრესისა სიტყვსასა პოვნით, და ამისთვის ჩუენ მიერ დუმილით პატივ-ცემით დავიდუმოთ.“

⁶⁰⁹ ამონარიდი დავითის ფსალმუნებიდან (ფსალმ. 96, 11).

⁶¹⁰ გიორგი – გიორგი IV ლაშა, ლაშა-გიორგი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის ძე, რუსუდანის ძმა, სამეფო ტახტის მემკვიდრე და საქართველოს მეფე (1213-1223 წწ.-ში).

⁶¹¹ რუსუდანი – რუსუდან მეფე, თამარ მეფისა და დავით სოსლანის ასული, ლაშა-გიორგის და, სამეფო ტახტის მემკვიდრე და საქართველოს მეფე (1223-1245 წწ.-ში).

⁶¹² დავვში < დახშვა – დაკეტვა, დახურვა.

The Speech

by Basili Ezosmodzghvari after the Death of Tamar

“And the joy of the Georgians gave way to grief, for their lips resembled now a saltless soil, the (same) lips of the (same) people, who before her death were pronouncing nothing but the name of Tamar; for they wrote odes to her in acrostic⁶¹³ on the walls of their houses, and, adorning their seals, knives and sticks, they wrote praises to Tamar. And everybody’s mouth was ever ready to utter some suitable praise for Tamar, whether boys, or ox-drivers furrowing the soil with their ploughs, performing songs which glorified Tamar. Musicians in Iraq sang the songs composed in honor of Tamar. The franks and Greeks, sailors at sea in favorable weather, praised Tamar.

So the entire world was full of her praise, and every language in which her name was pronounced, exalted her. Is there need at all to talk of her works? for the rumors of them run all over the world, the evidence of which we have already seen.

As one wise saying goes, there is no fault in trying to do the things which exceed your powers, even though the beginning and the end of such accomplishments resemble each other as the weight and value of gold resembles those of dry grass. how must I find the proper words? Which of her virtues must I tell in the beginning, and which in the end? shall it be her indescribable modesty or excessive sublimity, her praiseworthy tranquility, her proper firmness, her heartfelt compassion, gracious kindness, innocent chastity, artless honesty, all-embracing goodness or incredible generosity? she possessed the prerequisites of all qualities, notably she was inspired with fear before the Almighty and faithfully served God. And only due to this was she able to achieve the things, which no other man could achieve. evidence of this is in all the kingdoms adjacent to Georgia: how many kings reduced to poverty she again helped acquire wealth, how many defeated among them received their kingdoms from her hands, how many outcasts had their domains restored by her and how many sentenced to death, she pardoned. Witnesses to this are the sovereign houses of Shirvan⁶¹⁴ and daruband⁶¹⁵, the Ghundzes⁶¹⁶, ossetians⁶¹⁷, Kashags,⁶¹⁸ Karnukalakians⁶¹⁹ and Trabzonians⁶²⁰. The Queen granted independence to all of them and vouched to protect them from their enemies.

Nobody followed the law of God with such zeal, as she did, and nobody bowed his head with such humility. Church services and vigils, performed at her palace, excelled the prayers of Theodosius the Great, and, I am sure, those of the Anchorites. And what to say of her fasts; she herself watched over how the monks and the courtiers observed their fasts.

It is impossible to describe her adoration for priests and monks. There were always people with her who followed the rules of the pious life. she always arranged accommodations for them close to her chambers, and provided them with food and all the necessary things. And if somebody was sick among them, she herself visited him and comforted him, and with her own hands prepared the bed for him.

She appointed faithful supervisors over the poor. The tenth part of the entire state’s income, internal as well as external, she handed out to paupers, and made sure that not even one grain of barley was lost. doing all these things she did not think she was performing godly acts of charity. Finishing her work, she set at once to

⁶¹³ Acrostic = Iamb.

⁶¹⁴ Shirvan = Sharvansheti = Sharvani = Shirvani - a historical region in the northeastern part of Azerbaijan, on the west coast of the Caspian Sea, northeast of the Mtkvari.

⁶¹⁵ daruband – Residents of the town of Daruband (in original version).

⁶¹⁶ Ghundzes – In Georgian sources, parallel are found Ghundzi = Khundzi forms; North Caucasian people.

⁶¹⁷ ossetians = Alans – Used in parallel with the Alans-Ossetians, considered to be descendants of the Scythians-Sarmatians.

⁶¹⁸ Kashags = Adyghes = Circassians – Indigenous people living in the northwest of the Caucasus.

⁶¹⁹ Karnukalakians < Carnu-city – Erzurum, Theodosiopolis. Old Georgian sources refer to it as the city of Carnu. Here are meant the inhabitants of Erzerum.

⁶²⁰ Trabzonians – Residents of the city of Trabzon.

spinning or sewing, and the things she produced with her hands she distributed among the priests and paupers.

So (it may be said that) the rules, sanctioned once and forever, the expression of the virtues of the great God, she observed not so much by beginning actions, but rather by their completion; like the sun, she cast the light of her halo upon everyone, treating everyone with the same respect. By the graces she dispensed on everybody she induced God to do the same, and thus she strengthened her friends, and most importantly, without the help of something obtained by lies or injustice.

She never relaxed or neglected her duties as sovereign; she did not allow her mind to neglect the works she had been charged with; she never yielded in her mind to any cowardly temptation that drags a man down; she did not refrain from displaying modesty and did not ignore (the necessity of being) majestic too. She did not disdain a moment's softness but showed respect for firmness too; she mixed everything with everything in order to represent all that filled her. She was perfection even among the perfect.

Submitting to the rotation of the heavenly cycle, she rigorously observed the Orthodoxy of the Creator, so as not to perform anything contrary to nature; she did not allow passions to seize her, but did not avoid those places, where you are drawn down to the earth as if by cords. Descending low from (the greatest) height, and obedient to the commands of reason, she applied all her efforts to preserve the simplicity of her human nature in compliance with her inner constitution, without coupling her nature with any passion. If she desired something, it deserved to be desired, so that when she desired something it was a thing truly desirable. she was praised, and she deserved all kinds of praise; she was looked on as a happy woman, and she was happy. And there was no good in the entire world that did not find itself in her.

Those disobedient to her she belittled, but she raised up loyal subjects. she did not alienate her neighbors; she did not annex houses to her house, and lands to her land⁶²¹, but contented herself with her family estates, so that others did not think her to be unjust and greedy. And as the highest truth judges the righteous, she, too, exerted her influence upon her neighbors not through fear, but by personally protecting them from those who terrorized them, making them even frightening for their enemies. Ridding those around her of the insatiability peculiar to leeches, she never made fruits poisonous and deeds harmful.

She sat as a judge between neighboring kingdoms, making sure that nobody started a war or tried to coerce one another. And setting herself as an example for them, she was considered to be a second Solomon among kings. Whoever heard the name of the Queen began to long in his soul to see her; and if they were unable to do so, even great kings cursed their fates. she would have absorbed the whole sea, like a cloud that sprinkles its sweet rain equally upon everyone.

If someone among you goes again over the chronicles, narrating the lives of the kings of old or of the new, he will see that not one of them exceeded by his deeds those performed by Tamar, as we said in the beginning.

She expressed joy when she related something, she was bashful when teaching somebody; she gently entered into contact with everybody and instructed them calmly, she punished mercifully and scolded kindly, so as to show plainly the properties of God. she was a light for reasonable and unreasonable people, she shone for the first and burnt the second. She was a bridle for those who strayed from the straight and narrow and a spur for the careless, a moral law for the aged and an iron staff for youngsters; she was a wise protector for those walking upon the straight path, while impartially whipping the disobedient.

The teachers of scripture feared God, the priests kept order, the monks observed respectable activity, the mtavaris learned to live piously and keep to the straight and narrow; the people acquired a sense of duty to serve God and – with fidelity – their masters. The youths learned to despise narrow disbelief, so that there was no trace of a depraved immorality or youthful and obstinate disobedience in the days of Tamar. moreover, no one used bad language, at least those who were honored to dwell in the royal chambers or to serve at the court.

In this way, observing God's laws in everything, she acquired God's grace, and God blessed her life and increased her fruitfulness. And as the Scripture says, "light falls on the righteous,"⁶²² and at dawn, her spouse is the afternoon joy; at dusk she peacefully passed away on her bed. The lord adorned the days of her life with honor and her time with peace. during the time of her reign, her face had never expressed any doubt, because not one request of a widow or orphan or some oppressed one was left without satisfaction. she spent her days

⁶²¹ Here is the eighth verse of the fifth chapter of the book of the Prophet Isaiah: "Woe unto them that join house to house, that lay field to field, till there be no place, that they may be placed alone in the midst of the earth!" (Isaiah 5:8).

⁶²² An excerpt from the Psalm of david (Psalm 96, 11).

in joy, because every day she personally brought happiness to paupers and the sick. At last she departed to her fathers and joined them, leaving behind her two children, Giorgi⁶²³ and Rusudan⁶²⁴. They were fine and beloved, such that everybody would like to have; they were praiseworthy, of regal appearance, reasonable, adorned with wisdom and filled with all kinds of virtues. During her 23 years on the throne, Tamar managed to realize a valorous reign in all its manifestations.

Here I close these words. Let the following generation find proper words for the description of other victories already achieved. We (for our part) respectfully and reverently fall silent.”

⁶²³ Giorgi – Giorgi IV Lasha, Lasha-Giorgi, son of Queen Tamar and David Soslan, brother of Rusudan, heir to the royal throne and king of Georgia (1213-1223).

⁶²⁴ Rusudan – Queen Rusudan, daughter of Queen Tamar and David Soslan, sister of Lasha-Giorgi, heir to the royal throne and Queen of Georgia (1223-1245).

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული გიორგი IV ლაშას მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა წინაშე] გვხვდება XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის ისტორიაში, რომელიც გადმოგვცემს საქართველოს ისტორიულ ვითარებას ლაშა-გიორგის გამეფებიდან (1213 წ.) გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე (1314 წ.). რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

აღნიშნული საისტორიო თხზულების ავტორი უცნობია. მის პირობით სახელად მეცნიერებაში მიღებულია წოდება ჟამთააღმწერელი, რომელიც აღნიშნავს მემატიახეს და გვხვდება ამავე ნაწარმოებში. უცნობია თხზულების სათაურიც. ნაწარმოებში მეფის სიტყვას წინ უძღვის შემდეგი ტექსტი: „მაშინ ვითარცა ცნა აღსასრული თვისი მეფემან ლაშა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა, შევედრა და თვისი რუსუდან ცრემლითა მომდინარემან და თქუა...“⁶²⁵. ამას მოსდევს მეფის სიტყვა, რომლის შემდეგაც ნათქვამია: „ვითარ დაასრულა ბრძანება ესე, შეისუენა“⁶²⁶⁻⁶²⁷. ლაშა-გიორგი 1223 წლის 18 იანვარს აღესრულა და წინამდებარე სიტყვა მეფემ წარმოსთქვა სწორედ გარდაცვალების წინ. შესაბამისად, ეს სიტყვა ითვლება მის უკანასკნელ საჯარო გამოსვლად წარჩინებულთა წინაშე.

ამ დრომდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული მასზე, როგორც ორატორულ ნიმუშზე და არც არსად გამოქვეყნებულა ცალკე. წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁶²⁸, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁶²⁹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁶²⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 166.

⁶²⁶ შეისუენა – გარდაიცვალა.

⁶²⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 167.

⁶²⁸ იქვე, გვ. 166-167.

⁶²⁹ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 322.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The Speech by Giorgi IV Lasha in front of all the nobles of the Kingdom in 1223] is placed in the history of the Georgian historian of the XIV century, the chronicler, which tells the historical situation of Georgia from the reign of Lasha-George (1213) to the reign of George the Magnificent (1314). As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs sectorally to the royal rhetoric, and to the speech genre.

The author of this historical work is unknown. In his conditional name in science he received the title of Chronograph, which refers to the chronicler and is found in the same work. The title of the novel is also unknown. In the work, the king's speech is preceded by the following text: "Then, as soon as King Lasha knew of the end, he called the kingdom of all the nobles to himself, and he came to him with tears in his eyes and said ..." ⁶³⁰. This is followed by the king's speech, after which it is said: "How he finished the order, died." ⁶³¹ Lasha-George died on January 18, 1223, and the present speech was uttered by the king just before his death. Accordingly, this speech is considered to be his last public speech before the honorees.

So far no attention has been paid to it as an oratorical sample. Thus, it is published for the first time in this edition. In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from "A History of Georgia" ("Kartlis Tskhovreba"), of which the Georgian edition belongs to S. Kauhchishvili ⁶³², and the English edition to S. Jones ⁶³³. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁶³⁰ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kauhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House "Soviet Georgia", 1959, p. 166 (in Georgian).

⁶³¹ Ibid, p. 167.

⁶³² Ibid, pp. 166-167.

⁶³³ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metrevelevi, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 322.

სიტყვა

თქმული გიორგი IV ლაშას მიერ ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა
თვისისათა წინაშე

„უწყი უმანკოება და ერთგულობა მეფეთა ნათესავისაგან თქუენ მკვდრთა საქართველოსათა, შეხედვებითა ღმრთისათა მიგათულავ დასა ჩემსა რუსუდანს⁶³⁴, რათა შემდგომად ჩემსა მეფე ჰყოთ, ვითარ არს ჩუეულება ნათესავისა თქუენისა. ერთგულობით მონებდით და სიმკნითა თქუენითა დაიცევით ტახტი მეფობისა მტერთაგან უვნებელად. დადათუ არა მამაკაცი არს, არამედ დედაკაცი, არა აკლია სიბრძნესა და სამეფოთა საქმისა ცნობასა. თქუენ, წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იცით და გაქსოვს წყალობა და ნიჭი და პატივი სანატრელისა და კეთილად მოქსენებულისა, მეფეთა შორის ბრწყინვალისა, დედისა ჩემისა⁶³⁵. ეგრეთვე, თუ ღმერთსა უნდეს, დამანცა ჩემმან იცის პატივი თქუენი. აწ⁶³⁶ შეგვედრებ წინაშე ღმრთისა, რათა მეფე ჰყოთ იგი შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით⁶³⁷, ხოლო რაჟამს ეძლოს მეფობა და მკედრობა, რომელ დავით მეფე ყოს, და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკვდრედ მეფობისა ჩემისა. დადათუ ყრმა არს აწ, არამედ ინებოს თუ ღმერთმან აღზრდა მისი, ვგონებ, რომელ შემძლებელ იყოს ჰყრობად მეფობისა, რამეთუ კეთილითა ასაკითა არს და ჰაეროვან“.

⁶³⁴ რუსუდან – რუსუდან მეფე, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შვილი, ლაშა-გიორგის და, სამეფო ტახტის მემკვიდრე და საქართველოს მეფე (1223-1245 წწ.-ში).

⁶³⁵ „დედისა ჩემისა“ – იგულისხმება თამარ მეფე.

⁶³⁶ აწ – ახლა.

⁶³⁷ დავით – იგულისხმება დავით VII ულუ, საქართველოს მეფე (1247-1270 წწ.-ში), გიორგი IV ლაშას უკანონო შვილი და ერთადერთი მემკვიდრე.

The Speech

by Giorgi IV Lasha in front of all the nobles of the Kingdom in 1223

“Knowing well of the blameless devotion of the royal family to you, people of Georgia, and trusting in God, I charge you with my sister, Rusudan⁶³⁸, for you will have to make her a queen, as it has been the custom of your ancestors. Serve her faithfully and protect by your courage the royal throne from the spite of its enemy. For though she is not a man, but a woman, she is not lacking the wisdom and the knowledge for governing a state. you, the distinguished people of this kingdom, should know and remember the grace, generosity and homage of my blessed and well-remembered mother⁶³⁹, glorious among the Kings. And, if such is the will of God, my sister, too, will be favored with your respect. Now I pray to you before God to make her the Queen, my successor. And my sister Rusudan, and that I say before God for everybody to hear, I entrust with the commission of bringing up my son David⁶⁴⁰, and when he achieves the ability to rule and becomes a capable warrior, let her make him the king, or make him a monarch and the heir to my kingdom. And though he is small yet, if the lord wishes him to grow up, he, I believe, will become quite worthy to reign, for he is stately of body, and fine of face.”

⁶³⁸ Rusudan – Queen Rusudan, daughter of Queen Tamar and David Soslan, sister of Lasha-Giorgi, heir to the royal throne and Queen of Georgia (1223-1245).

⁶³⁹ „my... mother“ – Refers to Queen Tamar.

⁶⁴⁰ David – It refers to David VII Ulu, King of Georgia (1247-1270), illegitimate child and only heir of Giorgi IV Lasha.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული დემეტრე II თავდადებულის მიერ დარბაზში სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე] გვხვდება XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის ისტორიაში, რომელიც გადმოგვცემს საქართველოს ისტორიულ ვითარებას ლაშა-გიორგის გამეფებიდან (1213 წ.) გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე (1314 წ.). ამ საისტორიო თხზულების ავტორი უცნობია. მის პირობით სახელად მეცნიერებაში მიღებულია წოდება „ჟამთააღმწერელი“, რომელიც აღნიშნავს მემატიაანეს და გვხვდება ამავე ნაწარმოებში. უცნობია თხზულების სათაურიც.

დემეტრე II თავდადებულს მოუწია მეფობა საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში, XIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს დიდი შინაური ომი ატყდა ჰულაგუიანთა სახელმწიფოში აჰმად ყაენსა და არღუნ ყაენს შორის პირველობისთვის. დემეტრე II-მ აჰმად ყაენის მხარე დაიკავა, მაგრამ იგი არღუნ ყაენმა დაამარცხა და მოკლა. არღუნ ყაენმა მეფე ურდოში გაიწვია. მეფემ იცოდა, რომ იქ სიკვდილი ელოდა. ისიც კარგად უწყობდა, რომ წაუსვლელობით ყაენს განარისხებდა და ის საქართველოს ააოხრებდა. დემეტრე II-მ შეკრიბა დარბაზის ერი და გააცნო თავისი გადაწყვეტილება არღუნ ყაენთან წასვლის თაობაზე. მეფე გაემგზავნა ურდოში, სადაც 1289 წლის 12 მარტს არღუნის ბრძანებით იგი სიკვდილით დასაჯეს. წინამდებარე სიტყვა დემეტრე თავდადებულმა წარმოსთქვა სწორედ მონღოლთა ურდოში წასვლის წინ და ითვლება მის უკანასკნელ საჯარო გამოსვლად დარბაზის წინაშე. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაშრომი შესულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1633-1646 წლებში და გამოცემულია ე. თაყაიშვილის რედაქციით 1906 წელს⁶⁴¹. ორატორული ნიმუში, ცალკე კიდევ დაიბეჭდა მომდევნო გამოცემებში, მათ შორის, 2000 წელს „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“⁶⁴², 2013 წელს „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-15 ტომში⁶⁴³.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁶⁴⁴, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁶⁴⁵. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁶⁴¹ ქართულის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1906, გვ. 736-737.

⁶⁴² ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომათია-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 128.

⁶⁴³ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, ციციანთელა, თბილისი, 2013, გვ. 110-111.

⁶⁴⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 287-288.

⁶⁴⁵ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 377.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The Speech by Demetre II Devoted in front of the Royal Court in the Hall] is placed in the history of a 14th century Georgian historian, a chronicler, who tells the historical situation of Georgia from the reign of Lasha-George (1213) to the reign of George the Magnificent (1314). As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the royal rhetoric, and to the speech genre.

The author of this historical work is unknown. In his conditional name in science he received the title of “Chronograph”, which refers to the chronicler and is found in the same work. The title of the novel is also unknown. Demetre II was a Georgian king in the second half of the 13th century, during Mongol rule. At that time a great civil war broke out between Ahmad Khan and Arghun Khan for supremacy. Demetrius II sided with Ahmad Khan, but he was defeated and killed by Arghun Khan. Arghun Kaen summoned King Horde. The king knew that death awaited him there. He also said well that he would anger Cain by not leaving and he would destroy Georgia. Demetre II gathered the people of the Hall and announced his decision to leave with Arghun Kaen. The king was sent to the Horde, where on March 12, 1289, he was executed by order of Arghun. The present speech was uttered by Demetre the Devoted just before he left for the Mongol horde, and is considered to be his last public speech before the Hall.

The historical work of the chronicler is included in the Mariamian list of “Kartlis Tskhovreba”, which was edited in 1633-1646 and published by E. Takaishvili in 1906⁶⁴⁶. The oratorical sample was published separately in the following editions: in 2000 – in “Georgian Oratory Art”⁶⁴⁷, in 2013 – in 15th volume of the “Georgian Literature”⁶⁴⁸.

In the present edition, we are printed the Georgian and English texts of the oratorical sample from “A History of Georgia” (“Kartlis Tskhovreba”), of which the Georgian edition belongs to S. Kaukhchishvili⁶⁴⁹, and the English edition to S. Jones⁶⁵⁰. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁶⁴⁶ Kartlis Tskhovreba, Queen Mary’s version edited by E. Takaishvili, Tbilisi, 1906, pp. 736-737 (in Georgian).

⁶⁴⁷ Jagodnishvili, T., Jagodnishvili, I., Papaskiri, V., Georgian Oratory Art (Chrestomathy-Practicum), Tbilisi, Technical University, 2000, p. 128 (in Georgian).

⁶⁴⁸ Georgian Literature, Multi-volume, Vol. 15, Book I, Tbilisi, Tsitsinatela, 2013, pp. 110-111 (in Georgian).

⁶⁴⁹ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House “Soviet Georgia”, 1959, pp. 287-288 (in Georgian).

⁶⁵⁰ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metrevelevi, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 377.

სიტყვა

**თქმული დემეტრე II თავდადებულის მიერ დარბაზში სამეფო კარის
წარჩინებულთა წინაშე**

„ისმინეთ ჩემი, ყოველთა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა, ვითარმედ შეისუენა მამამან⁶⁵¹ ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მძლავრებასა შინა თათართასა, და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან, და უფალმან ჩუენმან იესომ ქრისტემან, და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა, და მომმადლა მეფობა, სვიპტრა და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა [თქუენითა] წარვმართე მეფობა, და აქამომდე მშუდომით ჰგიეს⁶⁵² სამეფო ჩემი. აწ⁶⁵³ განრისხებულ არს ყაენი⁶⁵⁴, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთვის, თუ არა წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა, ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოჭრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრვიან. და უკეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქუენითა განაგეთ საქმე ესე, რამეთუ მე ესრეთ ვგონებ: მრავალ მღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა-გუაც წარსლვა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკუდეს და მე ტკრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს“.

⁶⁵¹ მამა – იგულისხმება დავით VII, ულუ (1216-1270 წწ.), საქართველოს მეფე (1247-1270 წწ.-ში).

⁶⁵² ჰგიეს – მყოფობს, არის.

⁶⁵³ აწ – ახლა.

⁶⁵⁴ ყაენი – იგულისხმება არღუნ ყაენი (1284-1291 წწ.) – ერაყის მონღოლთა მბრძანებელი.

The Speech

by Demetre II Devoted in front of the Royal Court in the Hall

“Listen to me Katholicos and officials of my Kingdom. When my father⁶⁵⁵ passed away, I was a little boy; it was the time of the Tatars’ dominance. But the lord Almighty, our master Jesus Christ and the holy mother of God, whose lot we are, and who granted us the Cross of honor, protected me and brought me to a mature age and granted me my reign, and the scepter and porphyry. With your help, I am ruling now. But now the Khan⁶⁵⁶ is enraged, he destroyed all his chiefs and now calls me to him. Knowing of his atrocities, I am inclined to refuse to go to the horde, and instead hide in the mountains and strongholds to save my life. But my whole kingdom lies defenseless before him. Look, how many Christian lives will be destroyed and taken captive, and the churches defiled and ravaged, and the icons destroyed and crosses pulled down. But if I go to the Khan, then, I am perfectly sure he will kill me. And now consider this affair with your wisdom. Now what I think: varied is our life and troubling, changeable and temporal, our days will disappear like dreams and ghosts, and our departure from this world is certain and pressing. What is the use of my life, if many lives will perish because of me, and I will leave this world loaded with sins. I am willing to appear before the Khan, and let everything be according to the will of God. If they put me to death, the country will escape disaster.”

⁶⁵⁵ “My father...” – Refers to David VII Ulu (1216-1270), King of Georgia (1247-1270).

⁶⁵⁶ Khan – It refers to Arghun Khan (1284-1291) – the ruler of the Mongols in Iraq.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული ბეჟა I ჯაყელის მიერ ერისმთავართა და მხედრობის მიმართ თურქების წინააღმდეგ ლაშქრობის წინ, 1303 წელს] გვხვდება XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჟამთააღმწერლის ისტორიაში, სადაც ასევე დაცულია დემეტრე თავდადებულის სიტყვაც. ამ უკანასკნელის შემდეგ ავტორი განაგრძობს მონღოლთა დროინდელ ისტორიას და შესაფერ ადგილას ათავსებს ბეჟა ჯაყელის სიტყვის ტექსტს. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

ბეჟა I ჯაყელი (დაახლ. 1240-1306 წწ.) იყო სამცხის ათაბაგი 1285-1306 წლებში. მისი მმართველობის დროს სამხრეთ საქართველოს მოულოდნელად თავს დაესხნენ რუმის თურქები. მტერმა სათარემოდ აქცია სამცხის დიდი ნაწილი და დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას. ამ მოვლენების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა, სავარაუდოა, რომ 1302 წლიდან 1303 წლამდე მომხდარი ამბებია აღწერილი. თავდაპირველად, ეს იყო მტრის მარბიელი შემოსევა, რომლის შედეგადაც ბასიანი და ფანასკერტი მოაოხრეს. ბეჟამ ვერ მიუსწრო, ხოლო მტრის მეორე შემოსევას უკვე მომზადებული დაუხვდა, დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი, დაამარცხა და განდევნა თურქები. სავარაუდოა, რომ აზატ მოსეს მეთაურობით პირველი მარბიელი ლაშქრობა 1302 წელს მოხდა, ხოლო მეორე ლაშქრობა – 1303 წელს. შესაბამისად, ბეჟა ჯაყელის მჭევრმეტყველების ნიმუშიც ამ უკანასკნელის წლით უნდა განისაზღვროს.

ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაშრომი შესულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1633-1646 წლებში და გამოცემულია ე. თაყაიშვილის რედაქციით 1906 წელს⁶⁵⁷. სიტყვა ცალკე, როგორც ორატორული ნიმუში, გამოქვეყნდა 1958 წელს ნ. კანდელაკის მიერ წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“⁶⁵⁸, 1968 წელს – კვლავ ნ. კანდელაკის „ქართულ მჭევრმეტყველებაში“⁶⁵⁹, 1997 წელს – ვ. კაჭახიძის „მჭევრმეტყველებაში“⁶⁶⁰. წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ორატორული ნიმუშის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები, რომელთაგან ქართული ორიგინალი ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს⁶⁶¹, ხოლო ინგლისური თარგმანი – ს. ჯონსს⁶⁶². გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁶⁵⁷ ქართულის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1906, გვ. 736-737.

⁶⁵⁸ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 167.

⁶⁵⁹ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 164.

⁶⁶⁰ კაჭახიძე, ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, მეცნიერება, 1997, გვ. 173-174.

⁶⁶¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 311-312.

⁶⁶² A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metreveli, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 388.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The Speech by Beka I Jakeli in front of the Military Campaign against the Turks in 1303] is placed in the chronicle of a 14th-century Georgian historian, where the speech of Demetre II is also preserved. After the latter, the author continues the history of the Mongol period and places the text of Beka Jakeli's speech in a suitable place. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the military rhetoric, and to the genre of speech.

Beka I Jakeli (1240-1306) was the ruler of Samtskhe in 1285-1306. During the rule of Beka Jakeli, southern Georgia was suddenly attacked by Rumi Turks. The enemy looted a large part of Samtskhe and caused great damage to the local population. The exact date of these events is unknown, however, it is probable that the events from 1302 to 1303 are described. Initially, it was an enemy raid that resulted in the capture of Basiani and Panaskerti. Beka could not catch up, and when the second invasion of the enemy was already prepared, he immediately assembled an army, defeated and expelled the Turks. It is probable that the first expedition, led by Azat Moses, took place in 1302, and the second expedition in 1303. Accordingly, the sample of Beka Jakeli's speech should also be determined by 1303.

The historical work of the chronicler is included in the Mariamian list of "Kartlis Tskhovreba", which was copied in 1633-1646 and published by edited by E. Takaishvili in 1906⁶⁶³. The speech is published separately as an oratory sample in 1958 in "Georgian Rhetoric: Monuments and Materials" by N. Kandelaki⁶⁶⁴, in 1968 – in "Georgian Rhetoric" by N. Kandelaki⁶⁶⁵, in 1997 – in "Rhetoric" By V. Katchakhidze⁶⁶⁶. In the present edition, we have printed the Georgian and English texts of the oratorical sample from "A History of Georgia" ("Kartlis Tskhovreba"), of which the Georgian edition belongs to S. Kaukhchishvili⁶⁶⁷, and the English edition to S. Jones⁶⁶⁸. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁶⁶³ Kartlis Tskhovreba, Queen Mary's version edited by E. Takaishvili, Tbilisi, 1906, pp. 736-737 (in Georgian).

⁶⁶⁴ Kandelaki, N. (Comp.), Georgian Rhetoric: Monuments and Materials, Tbilisi, Khelovneba, 1958, p. 167 (in Georgian).

⁶⁶⁵ Kandelaki, N., Georgian Rhetoric, Tbilisi, "Soviet Georgia", 1968, p. 164 (in Georgian).

⁶⁶⁶ Katchakhidze, V., Rhetoric: Political, Judicial, Military, Academic, Preaching, Ceremonial, Funeral, Tbilisi, Metsniereba, 1997, pp. 173-174 (in Georgian).

⁶⁶⁷ Kartlis Tskhovreba, The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. II, Tbilisi, State Publishing House "Soviet Georgia", 1959, pp. 311-312 (in Georgian).

⁶⁶⁸ A History of Georgia [Kartlis Tskhovreba], translated and with commentary, editor in Chief of the Georgian and Russian editions: Academician roin metrevelevi, editor in Chief of the english edition: Professor Stephen Jones, Tbilisi, ARTANUJI Publishing, 2014, p. 388.

სიტყვა

**თქმული ბექა I ჯაყელის მიერ ერისმთავართა და მხედრობის მიმართ
თურქების წინააღმდეგ ლაშქრობის წინ, 1303 წელს**

„ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო, სიტყუა ჩემი. დიდმან და სახელოვანმან, სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით⁶⁶⁹ დასცა და დაამჯო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა. მიერ ჟამითგან აქამომდე არღარა ჩენილ არიან თურქმნი, და აწ⁶⁷⁰ ცოდვათა ჩუენთათჳს კუალად აღიძრნეს მძვნვარედ და მოაოჯრეს ტაო⁶⁷¹, და ურიცხჳ სული ტყვე ყვეს და მოსწყვდეს პირითა მახზლისათა, ეკლესიანი დასცეს, და სიწმიდენი შეაგინეს, და კუალად განმზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტეანეთა და მოოჯრებად, ვინათგან მეფე⁶⁷² შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა, და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან, და არავინ არს წინააღმდეგომ თურქთა. აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთ-ნებანო! შევკრბეთ ყოვლითა ძალითა ჩუენითა და მივმართოთ თურქთა, და არა მივსცნეთ თავნი და შვილნი ჩუენნი, და არა განგუწირნეს ღმერთმან მოსავენი მისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩუენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგინებლობისათჳს და ძმათა ჩუენთათჳს, უეჭუელად ღმერთი მოგუანიჭებს ცხოვრებასა.“

⁶⁶⁹ დავით – იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი (1073-1125 წწ.) – საქართველოს მეფე (1089-1125 წწ.-ში).

⁶⁷⁰ აწ – ახლა.

⁶⁷¹ ტაო – საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი.

⁶⁷² მეფე – იგულისხმება ვახტანგ III – საქართველოს მეფე 1298 ან 1299 და 1302-1308 წლებში.

The Speech

**by Beka I Jakeli in front of the Military Campaign against the Turks in
1303**

“Now, listen to my word, my brothers and kinsmen, you, masters of Georgia. The most glorious among the bearers of the scepter and purple garments, King David⁶⁷³, smashed and overthrew the power of the Turkish tribe, and threw them out of his kingdom. From that time, up to now the Turks never reappeared. Now because of our sinfulness, they have risen again and they fiercely ravaged Tao⁶⁷⁴, took captives and destroyed people without number; they burned down churches, defiled our sacred places; and they again prepare to do all kinds of malicious things to Christians, to annihilate them. The King⁶⁷⁵ is oppressed by the Tatars, and the functionaries and the chiefs of Georgia stand idle, nobody offers any resistance to them. So, listen to me, singly and in your tribes; let us gather all our forces and battle against the Turks, and stop them from taking our heads and our children. The lord will not condemn those who place their trust in him and profess in Him; He will send us victory over them, as He granted victory to our fathers. Let us fall on the field of battle in order to keep our faith pure and let us save our brothers. There is no doubt that the lord will grant us life.”

⁶⁷³ King David – It refers to David IV the Restorer (1073-1125) – King of Georgia (1089-1125).

⁶⁷⁴ Tao – Historical-geographical part of Georgia on the territory of modern Turkey, part of historical Meskheti.

⁶⁷⁵ King – It refers to Vakhtang III – King of Georgia (1298/1299 - 1302-1308), son of Demetre II the Devoted.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული თეოდორე კათალიკოსის მიერ მხედრობის მიმართ ლორის ციხისათვის ბრძოლის წინ, 1431 წელს] მოთავსებულია მცხეთის სიგელში (№333, ნუსხა №203), რომელიც შედგენილია 1433 წელს და ხელმოწერილია საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის მიერ. 1431 წელს მან დიდი ძალისხმევით შედეგად შემოიერთა ციხე-ქალაქი ლორე და ლორის ველი, რომელიც მანამდე შავბატკნიან თურქმანებს ეპყრათ.

ორატორული სიტყვის ზეგავლენის მნიშვნელობას უსვამს ხაზს ივ. ჯავახიშვილი: „ამ დიდმნიშვნელოვანი ციხის [ლორის ციხე] წინააღმდეგ გალაშქრებაში სიტყვით და ჩაგონებით მხურვალე მონაწილეობა კათალიკოზ თეოდორეს მიუღია. მას თურმე „ლაშქართა მცნებითა“ და დარიგებით მებრძოლთა სულიერი განწყობილება განუმტკიცებია. [...] კათალიკოზ თეოდორეს მოქადაგობას უმოქმედნია და მისი ჩაგონებითა და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს ლორე მტრისათვის წაურთმევეა და თვითონ დაუჭერია.“⁶⁷⁶ რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

მცხეთის სიგელი დაბეჭდილია რამდენჯერმე: 1897 წელს – თ. ჟორდანიას მიერ⁶⁷⁷, 1914 წელს – ს. კაკაბაძის მიერ⁶⁷⁸. ცალკე, როგორც ორატორული ნიმუში, სიტყვა გამოქვეყნდა 1958 წელს – ნ. კანდელაკის მიერ წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“⁶⁷⁹, 1968 წელს – კვლავ ნ. კანდელაკის მიერ „ქართული მჭევრმეტყველებაში“⁶⁸⁰. წინამდებარე გამოცემაში თეოდორე კათალიკოსის სიტყვა გადმოღებულია ს. კაკაბაძის წიგნიდან⁶⁸¹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროებიდან.

⁶⁷⁶ ჯავახიშვილი, ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982, გვ. 257-258.

⁶⁷⁷ ჟორდანია, თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წ. 2 (1213 წლიდან 1700 წლამდე), შერეული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას-მიერ, ტფილისი, კ.ი. მუხრან-ბატონის გამოცემა (მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.), 1897, გვ. 242-243.

⁶⁷⁸ კაკაბაძე, ს., წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფილისი, 1914, გვ. 13.

⁶⁷⁹ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 171-172.

⁶⁸⁰ კანდელაკი, ნ. ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 165.

⁶⁸¹ კაკაბაძე, ს., წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფილისი, 1914, გვ. 13.

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview
were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

The oratorical example [The speech by the Catholicos Theodore in front of the Army before the battle for the Lori Castle] is placed in the charter of Mtskheta (№333, list №203), which was compiled in 1433 and signed by Alexander I king of Georgia. In 1431, with great effort, he annexed the fortress-town of Lore and the Lori Valley, which had previously been occupied by Black Sheep Turkomans.

The significance of the influence of the oratorical speech is underlined by Iv. Javakhishvili: “Catholicos Theodore took an active part in the march against this important fortress [Lori Fortress] with his words and chants. It turns out that the “commandments of the army” and the distribution strengthened the spiritual mood of the warriors. [...] Catholicos Theodore has been inactive in his preaching, and admiring his persuasion and encouragement, he has seized the Georgian army from the enemy and has supported it.”⁶⁸² As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the military rhetoric, and to the genre of speech.

This charter of Mtskheta was published several times: in 1897 – by T. Jordania⁶⁸³, in 1914 – by S. Kakabadze⁶⁸⁴. The speech is published separately as an oratory sample in 1958 in “Georgian Rhetoric: Monuments and Materials” by N. Kandelaki⁶⁸⁵, in 1968 – in “Georgian Rhetoric” by N. Kandelaki⁶⁸⁶. In the present edition, the speech of Catholicos Theodore is taken from S. Kakabadze’s book⁶⁸⁷. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁶⁸² Javakhishvili, Iv., *Essays in twelve volumes*, vol. III, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1982, pp. 257-258 (in Georgian).

⁶⁸³ Zhordania, T., *Chronicles and other material of Georgian History and Literature. Book 2 (from 1213 to 1700)*, assembled, chronologically arranged and explained by T. Zhordania, Tbilisi, K. I. Mukhran-Batoni edition (M. Sharadze and Partnership Press), 1897, pp. 242-243 (in Georgian).

⁶⁸⁴ Kakabadze, S., *Small studies on the issues of Georgian history*, Tbilisi, 1914, p. 13 (in Georgian).

⁶⁸⁵ Kandelaki, N. (Comp.), *Georgian Rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 171-172 (in Georgian).

⁶⁸⁶ Kandelaki, N., *Georgian Rhetoric*, Tbilisi, “Soviet Georgia”, 1968, p. 165 (in Georgian).

⁶⁸⁷ Kakabadze, S., *Small studies on the issues of Georgian history*, Tbilisi, 1914, p. 13 (in Georgian).

სიტყვა

**თქმული თეოდორე კათალიკოსის მიერ მხედრობის მიმართ ლორის
ციხისათვის ბრძოლის წინ, 1431 წელს**

„ამა უსჯულოთა, აგარის ნათესავთა⁶⁸⁸, ანდრონიკეს შვილი ალასტნელი გიორგი⁶⁸⁹ მოუკლავს, და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუე(ვე)ბიან, და ტახტი მეფეთა განურყუნია, და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლსალოცველი ქუაბ-ავაზაკთა უქმნია და უნეთა მათათუის საყოფად განუჩენია.

აწ ბრძოდეთ ძლიერად, და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ ქრისტესთვის წამებულთა გუერდის მითუალვით, და დაღათუ ვინმე დაკოდილთა ანუ დაშავებითა, და რათაცა ტკივილითა იტანჯებით – ყოველსავე ქრისტე მისად ნების მყოფელად და სამსახურად მიითუალავს!“

⁶⁸⁸ აგარის ნათესავი – არაბი, საზოგადოდ, მაჰმადიანი, საკუთარი სახელიდან: აგარი – აბრაამის ხარჭა (ბიბლიური თხრობით).

⁶⁸⁹ ანდრონიკეს შვილი ალასტნელი გიორგი – ჯავახეთის მთავარი (XIV ს. -ის მეორე ნახევარი).

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული მზეჭაბუკ ორბელიანის მიერ დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე, 1792 წელს] გვხვდება პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. ნ. კანდელაკის აზრით, ეს არის სიტყვის ან ფრაგმენტი ან შემოკლებული ვერსია⁶⁹⁰. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

ისტორიიდან ცნობილია, რომ იმერეთის მოწინავე თავადების ერთმა ჯგუფმა 1792 წელს ერეკლე მეორეს ამერ-იმერეთის გაერთიანების წინადადებით მიმართა. მეფე დათანხმდა და გაიმართა ბჭობა სამეფო პალატაში. კრებას ესწრებოდნენ იმერეთისა და ქართლ-კახეთის წარმომადგენლები. ბჭობაზე სიტყვა წარმოსთქვა მზეჭაბუკ ორბელიანმა საქართველოს გაერთიანების სასარგებლოდ.

პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ არის ჯერჯერობით ერთადერთი წყარო, საიდანაც ვიცნობთ სიტყვას. ნაშრომი სულ სამჯერ დაიბეჭდა: პირველად გამოიცა 1879-1880 წწ. ჟურნალ „ივერიაში“ ცალკე დამატების სახით – „ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა“, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან⁶⁹¹; მეორედ გამოიცა 1895 წელს, სახელწოდებით „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება“, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ⁶⁹², მესამედ პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ გამოიცა 1936 წელს, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით⁶⁹³. ეს უკანასკნელი გამოცემა გასწორებულია ძირითადი დედნის (H – 2301) მიხედვით. ცალკე, როგორც ორატორული ნიმუში, სიტყვა გამოქვეყნდა 1958 წელს ნ. კანდელაკის მიერ წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“⁶⁹⁴, 2000 წელს – თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილისა და ვ. პაპასკირის მიერ „ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“⁶⁹⁵.

წინამდებარე გამოცემაში [სიტყვა, თქმული მზეჭაბუკ ორბელიანის მიერ დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე, 1792 წელს] გადმოღებულია აკადემიური გამოცემიდან⁶⁹⁶. გთავაზობთ სიტყვის ტექსტს უცვლელი სახით.

⁶⁹⁰ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 331.

⁶⁹¹ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1879, №9; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1879, №10; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1880, №1, ნაწილი I, ნაწილი II; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1880, №2, ნაწილი I, ნაწილი II.

⁶⁹² ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, თფილისი, 1895, გვ. 19.

⁶⁹³ იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936.

⁶⁹⁴ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 206-207.

⁶⁹⁵ ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატიკა-პრაქტიკუმი), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 133.

⁶⁹⁶ იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936, გვ. 16.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The Speech by Mzetchabul Orbeliani about the Unification of Georgia at the Hall in 1792] is placed in Platon Ioseliani's work "Life of George Thirteenth". According to N. Kandelaki, this is either a fragment of a speech or an abbreviated version.⁶⁹⁷ As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the royal rhetoric, and to the genre of speech.

It is known from the history that one of the leading princes of Imereti addressed Erekle II in 1792 with a proposal to unite Amer-Imereti. The king agreed and a battle was held at the royal palace. The meeting was attended by representatives of Imereti and Kartli-Kakheti. Mzetchabuk Orbeliani spoke about the struggle in favor of the unification of Georgia.

Platon Ioseliani's "Life of George the Thirteenth" is so far the only source from which we know the speech. This source was printed three times in total: first time published in 1879-1880, in the magazine "Iveria" as a separate supplement – "Life of King George XIII", described by Platon Ioseliani⁶⁹⁸; Published for the second time in 1895, entitled "Life of King George XIII and the unification of Georgia with Russia", described by Platon Ioseliani, published by Z. Tchitchinadze⁶⁹⁹; for the third time published in 1936, Platon Ioseliani's "Life of George Thirteenth", with introductory letters, editing and remarks by Akaki Gatserelia⁷⁰⁰. The latter edition is corrected according to the original (H – 2301). The speech is published separately as an oratory sample in 1958 in "Georgian Rhetoric: Monuments and Materials" by N. Kandelaki⁷⁰¹, in 2000 – by T. Jagodnishvili, I. Jagodnishvili and V. Papaskiri in "Georgian Oratory Art"⁷⁰².

In the present edition, [The speech by Mzetchabul Orbeliani about the unification of Georgia in the hall in 1792] is taken from the academic edition⁷⁰³. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁶⁹⁷ Kandelaki, N. (Comp.), *Georgian rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 331 (in Georgian).

⁶⁹⁸ Political and literary magazine "Iveria", 1879, №9; Political and Literary Magazine "Iveria", №10, 1879; Political and literary magazine "Iveria", №1, 1880, part I, part II; Political and literary magazine "Iveria", №2, 1880, part I, part II (in Georgian).

⁶⁹⁹ Life of King George XIII and the unification of Georgia with Russia, described by Ioseliani Plato, published by Z. Tchitchinadze, Tfilisi, 1895, p. 19 (in Georgian).

⁷⁰⁰ Ioseliani, P., *Life of Giorgi XIII*, With introductory letters, editors and notes by Akaki Gatserelia, Tfilisi, Federation Printing House, 1936 (in Georgian).

⁷⁰¹ Kandelaki, N. (Comp.), *Georgian Rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 206-207 (in Georgian).

⁷⁰² Jagodnishvili, T., Jagodnishvili I., Papaskiri V., *Georgian Oratory Art (Chrestomathy-Practicum)*, Tbilisi, Technical University, 2000, p. 133 (in Georgian).

⁷⁰³ Ioseliani, P., *Life of Giorgi XIII*, With introductory letters, editors and notes by Akaki Gatserelia, Tfilisi, Federation Printing House, 1936, p. 16 (in Georgian).

სიტყვა

თქმული მზეჭაბუკ ორბელიანის მიერ დარბაზში საქართველოს
გაერთიანების თაობაზე, 1792 წელს

„ნუ ჰყოფნი⁷⁰⁴, მეფეო⁷⁰⁵! – იტყოდა ჭაბუა⁷⁰⁶, – მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის, ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვნასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოულო⁷⁰⁷ მეფობა შვილისშვილსა⁷⁰⁸ ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი⁷⁰⁹ იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყანისა. – ვითარ მოელო⁷¹⁰ მეფობა ქართლისა, ქართლისა მეფეთა⁷¹¹ და რად დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოელო მემამოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი⁷¹² ვითარ მოელო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა⁷¹³ ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება“.

⁷⁰⁴ ნუ ჰყოფნი – ნუ აყოფნებ.

⁷⁰⁵ მეფე – იგულისხმება ერეკლე II (1718-1798 წწ.), მეფე კახეთისა (1744-1762 წწ.-ში) და ქართლ-კახეთისა (1762-1798 წწ.-ში).

⁷⁰⁶ ჭაბუა – სახელ მზეჭაბუკის შემოკლებული ვერსია, იგულისხმება მზეჭაბუკ ორბელიანი (დაბადების წელი უცნობია – 1794).

⁷⁰⁷ ვითარ მოულო – როგორ ჩამოვართვა.

⁷⁰⁸ შვილისშვილი – იგულისხმება დავით არჩილის ძე ბაგრატიონი = სოლომონ II (1774-1815 წწ.), იმერეთის მეფე, ერეკლე II-ის ასულის ელენეს და სოლომონ I-ის ძმის, არჩილის შვილი.

⁷⁰⁹ უბედურებითი – უბედურების მომტანი.

⁷¹⁰ მოელო – ჩამოერთვა.

⁷¹¹ „მოელო მეფობა ქართლისა ქართლისა მეფეთა“ – იგულისხმება ქართლის სამეფოს გაუქმება და ქართლ-კახეთის გაერთიანება 1762 წელს).

⁷¹² „მოელო მემამოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი“ – იგულისხმება არაგვის საერისთავოს გაუქმება 1743 წელს.

⁷¹³ „მოელო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა“ – იგულისხმება ქსნის საერისთავოს გაუქმება 1775 წელს.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული პატრი ნიკოლა რუტილიანოს მიერ გიორგი XII-ისა და დარბაზის ერის წინაშე] გვხვდება პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

იტალიელი კაპუჩინელი მისიონერი პატრი ნიკოლა რუტილიანო მეფის მრჩევლის მოვალეობას ასრულებდა. მან მეფე გიორგი XII-ისა და დარბაზის ერის წინაშე მეტად მჭევრმეტყველური და შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა და იწინასწარმეტყველა შედეგი, რაც მოჰყვებოდა მეფის განზრახვას „რუსეთისადმი ქვეყნის გარდაცემის“ თაობაზე⁷¹⁴. წყაროში ვკითხულობთ: პატრი ნიკოლა რუტილიანო „ესე განაძიეს ქართლით მინისტრის ბრძანებითა 22 ნოემბ. 1801 წელსა“⁷¹⁵.

პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ არის ჯერჯერობით ერთადერთი წყარო, საიდანაც ვიცნობთ სიტყვას. ნაშრომი სულ სამჯერ დაიბეჭდა: პირველად გამოიცა 1879-1880 წწ. ჟურნალ „ივერიაში“ ცალკე დამატების სახით – „ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა“, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან⁷¹⁶; მეორედ გამოიცა 1895 წელს, სახელწოდებით „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება“, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ⁷¹⁷, მესამედ პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ გამოიცა 1936 წელს, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით⁷¹⁸. ეს უკანასკნელი გამოცემა გასწორებულია ძირითადი დედნის (H – 2301) მიხედვით.

წინამდებარე გამოცემაში [სიტყვა, თქმული პატრი ნიკოლა რუტილიანოს მიერ გიორგი XII-ისა და დარბაზის ერის წინაშე] გადმოღებულია აკადემიური გამოცემიდან⁷¹⁹. გთავაზობთ სიტყვის ტექსტს უცვლელი სახით.

⁷¹⁴ პაპუაშვილი, ნ., მართლმადიდებლები და კათოლიკეები საქართველოში, კრებულში: ტოლერანტობის სკოლა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014, გვ. 283.

⁷¹⁵ იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936, გვ. 154.

⁷¹⁶ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1879, №9; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1879, №10; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1880, №1, ნაწილი I, ნაწილი II; საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „ივერია“, 1880, №2, ნაწილი I, ნაწილი II.

⁷¹⁷ ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, თფილისი, 1895, გვ. 189.

⁷¹⁸ იოსელიანი, პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, ფედერაციის გა-მა და სტ., 1936.

⁷¹⁹ იქვე, გვ. 154.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The Speech by Patri Nicola Rutigliano in front of the Giorgi XII and the hall] is placed in Platon Ioseliani's work "Life of George Thirteenth". As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the royal rhetoric, and to the genre of speech.

Italian Capuchin missionary Patri Nicola di Rutigliano acted as an adviser to the king. He delivered a very rhetorical and meaningful speech to King George XII and the people of the Hall, and predicted the outcome of the king's intention to "hand over the country to Russia."⁷²⁰ We read in the source: Patrice Nicola Rutiliano "that was expelled from Kartli by the order of the Minister on November 22, 1801."⁷²¹

Platon Ioseliani's "Life of George the Thirteenth" is so far the only source from which we know the speech. This source was printed three times in total: first time published in 1879-1880, in the magazine "Iveria" as a separate supplement – "Life of King George XIII", described by Platon Ioseliani⁷²²; Published for the second time in 1895, entitled "Life of King George XIII and the unification of Georgia with Russia", described by Platon Ioseliani, published by Z. Tchitchinadze⁷²³; for the third time published in 1936, Platon Ioseliani's "Life of George Thirteenth", with introductory letters, editing and remarks by Akaki Gatsserelia⁷²⁴. The latter edition is corrected according to the original (H - 2301).

In the present edition, [The speech by Patri Nicola Rutigliano in front of the Giorgi XII and the hall] is taken from the academic edition⁷²⁵. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁷²⁰ Papuashvili, N., *Orthodox and Catholics in Georgia*, in the collection: *School of Tolerance, Institute of Tolerance and Diversity*, 2014, p. 283 (in Georgian).

⁷²¹ Ioseliani, P., *Life of Giorgi XIII, With introductory letters, editors and notes by Akaki Gatsserelia*, Tbilisi, Federation Printing House, 1936, p. 154 (in Georgian).

⁷²² Political and literary magazine "Iveria", 1879, №9; Political and Literary Magazine "Iveria", №10, 1879; Political and literary magazine "Iveria", №1, 1880, part I, part II; Political and literary magazine "Iveria", №2, 1880, part I, part II (in Georgian).

⁷²³ *Life of King George XIII and the unification of Georgia with Russia*, described by Ioseliani Plato, published by Z. Tchitchinadze, Tbilisi, 1895, p. 189 (in Georgian).

⁷²⁴ Ioseliani, P., *Life of Giorgi XIII, With introductory letters, editors and notes by Akaki Gatsserelia*, Tbilisi, Federation Printing House, 1936 (in Georgian).

⁷²⁵ *Ibid*, p. 154.

სიტყვა

თქმული პატრი ნიკოლას მიერ გიორგი XII-ისა და დარბაზის ერის
წინაშე

„ევროპიისა მეფეთა ვერ უძლებს სამეფო შენი ტკბილი. წესდება მათი და ჩვეულება იქმნება სამძიმო თქვენთვის. დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქნება დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყანისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტერად და მდევნელად, და მაწუხებელად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, – გარდაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსაარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარკთა, რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი განიყიდებიან ბარაზანითა და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუზიკითა“ (დღესცა სიტყვასა ამას, პატრისაგან თქმულსა, მოიგონებენ თფილისისა მცხოვრებნი, ოდეს მუზიკითა უძღვიან საფლავადმდე მიცვალებულთა).“

**III. ქართული ორატორული ნიმუში კანონიკური სამართლის
ძეგლიდან**

**III. GEORGIAN ORATORY SAMPLE FROM THE MONUMENT OF
A CANON LAW**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [შესხმა, თქმული მონაზონი არსენის მიერ კეთილად მსახურისა და ღვთივდაცულისა მეუფისა ჩუენისა დავითისი] წარმოადგენს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მიღებული კანონთა კრებულის „ძეგლისწერის“ შემადგენელ ნაწილს. მისი მოწვევის თარიღად სხვადასხვა დროს ასახელებენ, ნაწილი იზიარებს 1103 წელს⁷²⁶, ნაწილი კი – 1105 წელს⁷²⁷. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველების დარგსა და შესხმის ჟანრს.

არსებობს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“⁷²⁸, 1897 წელს – თ. ჟორდანას მიერ⁷²⁹, ხოლო 1978 წელს – ე. გაბიძაშვილის მიერ⁷³⁰. უშუალოდ შესხმა, როგორც ქართული სასულიერო პოეზიის ნიმუში, ცალკე გამოქვეყნდა ს. ყუბანეიშვილის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁷³¹, ხოლო როგორც ქართული ორატორული ნიმუში შევიდა 1898 წელს არხიმანდრიტი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილ „სიტყვიერების თეორიაში“⁷³², ასევე 1958 წელს – ნ. კანდელაკის წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“⁷³³ და 2013 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-15 ტომში⁷³⁴. წინამდებარე გამოცემაში მონაზონი არსენის [შესხმა, თქმული კეთილად მსახურისა და ღვთივდაცულისა მეუფისა ჩუენისა დავითისი] გადმოღებულია „ძეგლისწერის“ სწორედ ენრიკო გაბიძაშვილისეული გამოცემიდან⁷³⁵. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁷²⁶ ჯავახიშვილი, ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1965, გვ. 213.

⁷²⁷ გაბიძაშვილი, ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978, გვ. 19.

⁷²⁸ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერა იღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 518-530.

⁷²⁹ ჟორდანია, თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წ. 2, (1213 წლიდან 1700 წლამდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანას-მიერ, ტფილისი, კ.ი. მუხრან-ბატონის გამოცემა (მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.), 1897, გვ. 68-72.

⁷³⁰ გაბიძაშვილი, ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978.

⁷³¹ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 380.

⁷³² არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1898, გვ. 283-284.

⁷³³ კანდელაკი, ნ. (შემდგ.). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 156.

⁷³⁴ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, თბილისი, ციციანათელა, 2013, გვ. 109-110.

⁷³⁵ გაბიძაშვილი, ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978, გვ. 193-195.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The praise by the monk Arsen, to the Good Servant and God protected Reverend of David] is an integral part of the collection of canons “Dzeglistsera” adopted by the Ruis-Urbnis Church Council. The date of his invitation is named at different times, some scholars think 1103⁷³⁶, some – 1105⁷³⁷. The oratorical sample belongs to the epideictic rhetoric field, and to the genre of praise. This is a reference to David the Restorer, written and uttered by the monk Arsen.

There are printed editions of the Ruis-Urbnis Congregation Monument, including one published in 1882 by M. Sabinin in “Georgian Paradise”⁷³⁸; in 1897 – by T. Jordania⁷³⁹, and in 1978 – by E. Gabidzashvili⁷⁴⁰. As a sample of Georgian theological poetry, praise was published separately by S. Kubaneishvili in “Chrestomathy of Old Georgian Literature”⁷⁴¹, and as a Georgian oratorical sample was included in 1898 in the “Theory of Speech” compiled by Archimandrite Kirioni and Gr. Kipshidze⁷⁴², as well as in 1958 – in the N. Kandelaki’s book “Georgian Rhetoric: Monuments and Materials”⁷⁴³ and in 2013 – in the 15th volume of the “Georgian Literature”⁷⁴⁴. In the present edition, [Praise by the monk Arsen, to the good servant and God protected Reverend of David] is taken from Enriko Gabidzashvili’s edition of the “Dzeglistsera”⁷⁴⁵. We offer an unchanged oratorical sample from the source mentioned above.

⁷³⁶ Javakhishvili, Iv., History of the Georgian Nation, Book II, Tbilisi, Soviet Georgia, 1965, p. 213 (in Georgian).

⁷³⁷ Gabidzashvili, E., Monument to the Ruis-Urbnis Congregation (Philological-Textological Research), Tbilisi, Science Publishing House, 1978, p. 19 (in Georgian).

⁷³⁸ Sabinin, M., Paradise of Georgia: A Complete Description of the Saints and Passions of Georgia, collected chronologically and published by Gobron (Mikhail) Pavlovich Sabinin, the candidate of the St. Petersburg Theological Academy, St. Petersburg, 1882, pp. 518-530 (in Georgian).

⁷³⁹ Zhordania, T., Chronicles and other material of Georgian History and Literature. Book 2 (from 1213 to 1700), assembled, chronologically arranged and explained by T. Zhordania, Tbilisi, K. I. Mukhran-Batoni edition (M. Sharadze and Partnership Press), 1897, pp. 68-72 (in Georgian).

⁷⁴⁰ Gabidzashvili, E., Monument to the Ruis-Urbnis Congregation (Philological-Textological Research), Tbilisi, Science Publishing House, 1978 (in Georgian).

⁷⁴¹ Kubaneishvili, S. (Comp.), Chrestomathy of the Old Georgian Literature, Vol. I., Tbilisi, Stalin Tbilisi State University Publishing House, 1946, p. 380 (in Georgian).

⁷⁴² Archimandrite Kyrion, Kipshidze Gr. (Comp.), Speech Theory: In addition to literary samples, Tbilisi, Printing House of M. Sharadze and Partnership, 1898, pp. 283-284 (in Georgian).

⁷⁴³ Kandelaki, N. (Comp.), Georgian rhetoric: Monuments and Materials, Tbilisi, Khelovneba, 1958, p. 156 (in Georgian).

⁷⁴⁴ Georgian Literature, Multi-volume, Vol. 15, Book I, Tbilisi, Tsitsinatela, 2013, pp. 109-110 (in Georgian).

⁷⁴⁵ Gabidzashvili, E., Monument to the Ruis-Urbnis Congregation (Philological-Textological Research), Tbilisi, Science Publishing House, 1978, pp. 193-195 (in Georgian).

შესხმა

თქმული მონაზონი არსენის მიერ კეთილად მსახურისა და
ღვთივდაცულისა მეუფისა ჩუენისა დავითისი

„ამათდა მომართ რასა იტყვ, რასა სიბრძნის ჰმოყუარებ შენ, უფროდსად ბრწყინვალეო თუალო⁷⁴⁶ ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი-ეგე ჰაეროვან ხარ ვითარცა სამყაროდ ხილულსა სოფელსა შორის, საჩინო⁷⁴⁷ ვითარცა მზე ვარსკულავთა შორის, ბრწყინულე ვითარცა ეთერი⁷⁴⁸ ნივთთა შორის, ნათლისფერ ვითარცა ელვად ღრუბელთა შორის, ცისკროვან ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის, ტკბილ ვითარცა არე ჟამთა შორის, ღმრთის სახე ვითარცა სიყუარული სათნოებათა შორის, გულისსათქუმელ ვითარცა ოქროდ მიწათა შორის, ელვარე ვითარცა ჯაკინთი⁷⁴⁹ ქვათა შორის, მაღალ ვითარცა ფინიკი⁷⁵⁰ ნერგთა შორის, შუენიერ ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის, აღმატებულ ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის, ძლიერ ვითარცა ლომი მჯეცთა შორის, მტკიცე ვითარცა ანდამატი⁷⁵¹ განუკუეთელთა⁷⁵² შორის, სახელგანთქმულ ვითარცა ნებროთ⁷⁵³ გმირთა შორის, ახოვან, ვითარცა ისო⁷⁵⁴ წინამბრძოლთა შორის, მოშურნე ვითარცა ფინეზ⁷⁵⁵ მღდელთა შორის, მგნე ვითარცა სამფსონ⁷⁵⁶ მსაჯულთა შორის, უბრძოლელ ვითარცა აქილევ⁷⁵⁷ ელლენთა⁷⁵⁸ შორის, ბრძენ ვითარცა სოლომონ⁷⁵⁹ მეფეთა შორის, მშვდ ვითარცა დავით⁷⁶⁰ ცხებულთა შორის, შურის-მემძიებელ ვითარცა იოსია⁷⁶¹ შარავანდედთა შორის, უზარო ვითარცა მაკედონელი⁷⁶² მფლობელთა შორის, განმადიდებელ ფლობისა ვითარცა ავღსტოს⁷⁶³ კეისართა შორის, კაცთმოყუარე ვითარცა ჩემი იესუ⁷⁶⁴ ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი მაღლით ღმერთქმნულთა შორის, მკურვალე ვითარცა პეტრე⁷⁶⁵ მოწაფეთა

⁷⁴⁶ თუალო – იგულისხმება ძვირფასი თვალი, იგივე ძვირფასი ქვა.

⁷⁴⁷ საჩინო – თვალსაჩინო, გამოჩენილი.

⁷⁴⁸ ეთერი – ჰაეროვანი ნივთიერება, რომელიც, ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა მცდარი მოძღვრებით, თითქოს გარს ახვევია დედამიწას, ცის მნათობებსა და ავსებს მსოფლიო სივრცეს.

⁷⁴⁹ ჯაკინთი = ვიაკინთი = იაკინთი – იაგუნდი; ძვირფასი ქვა.

⁷⁵⁰ ფინიკი – ფინიკის პალმა, მცენარე.

⁷⁵¹ ანდამატი = ადამატი – აღმასი, ძვირფასი ქვა.

⁷⁵² განუკუეთელთა – განუკვეთელი, გაუჭრელი, დაურღვეველი.

⁷⁵³ ნებროთ = ნიმროდი, ნიმრუდი, ნიმვროდი – ბიბლიური გმირი, ქამის ძის ხუსის (ქუშის) მითიური შვილი, სწორუპოვარი მონადირე და ომის გამომგონებელი.

⁷⁵⁴ ისო = ზირაქი – ბიბლიური პერსონაჟი.

⁷⁵⁵ ფინეზ – მართალი ფინეზი, ძველი აღთქმის მღვდელმთავარ აარონის შვილიშვილი და მღვდელმთავარ ელიაზარის შვილი, იყო მღვდელი (ბიბლიური თხრობით).

⁷⁵⁶ სამფსონ = სამსონ – ებრაელთა მსაჯული, ფილისტიმელთა წინააღმდეგ მებრძოლი გოლიათი (ბიბლიური თხრობით).

⁷⁵⁷ აქილევ = აქილევსი (ბერძ. Ἀχιλλεύς) – ბერძნულ მითოლოგიაში ტროას ომის გმირი, ჰომეროსის ილიადის ერთ-ერთი ცენტრალური, მთავარი პერსონაჟი.

⁷⁵⁸ ელლენთა = ელლინი = ელლენი, ძველი ბერძენი – საკუთარი გეოგრაფიული სახელიდან: ელადა – ძველი საბერძნეთი.

⁷⁵⁹ სოლომონ – სოლომონი, ზედწოდებით სოლომონ ბრძენი, ისრაელის სამეფოს მეფე ძვ. წ. 965-928, დავითის ძე და თანამმართველი; მიეწერება ბიბლიური პოეტური ნაწარმოები „ქება-ქებათა“ (ბიბლიური თხრობით).

⁷⁶⁰ დავით – წინასწარმეტყველი, ებრაელთა მეფე (ბიბლიური პერსონაჟი).

⁷⁶¹ იოსია – ებრაელთა მეფე (ბიბლიური პერსონაჟი).

⁷⁶² მაკედონელი – ალექსანდრე დიდი, მაკედონელი (ბერძ. Μέγας Αλέξανδρος; ძვ. წ. 356-323, ბაბილონი), ასევე ალექსანდრე III იყო მაკედონის მეფე (ძვ. წ. 336-323) და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და სახელგანთქმული მხედართმთავარი მსოფლიო ისტორიაში.

⁷⁶³ ავღსტოს = ოქტავიანე ავგუსტე (ძვ. წ. 63 – ახ. წ. 14), რომის იმპერატორი (ძვ. წ. 30 – ახ. წ. 14).

⁷⁶⁴ იესუ = იესო – იესო ქრისტე.

⁷⁶⁵ პეტრე – წმინდა მოციქული პეტრე, ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული ქრისტიანულ რელიგიაში (ბიბლიური პერსონაჟი).

შორის, საყურელ ვითარცა იოანე⁷⁶⁶ მეგობართა შორის, მკვრცხლ ვითარცა პავლე⁷⁶⁷ მოციქულთა⁷⁶⁸ შორის, სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა ვითარცა დიდი კონსტანტინე⁷⁶⁹ თვთმპყრობელთა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა ვითარცა თევდოსი⁷⁷⁰ სკიპტრის მპყრობელთა შორის, სათნო-უჩნან ესენი მყუდროებასა შენსა? განსუენებულ⁷⁷¹ არსა ამათ ზედა სიბოროტისა სულთა მდეველი დავითიანი სული შენი? რომელნი-იგი აწ მღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან, რადთა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობისმოყუარე უფალი, რომელ მოსწრაფებით შემოკრება უბრძანე შენ და დიდისა ამისდა ღმრთისა სათნოსა წარმართებისა თანა შუამდგომელად ღმრთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საკუთარნი მონანი, რადთა რომელიმე ღმრთის სახისა მღდელთმთავრობისა მიერ მახლობელ ექმნებოდის შენთს ღმერთსა, ხოლო რომელიმე მღდელშუენიერთა მეოხებითა შეესაკუთრებოდის დამბადებელსა. სხუასა სულთქუმანი მოაქუნდენ, სხუასა – განდნობად ცრემლითა, სხუასა – დამეყოველობითნი მღვძარებანი, სხუასა – ჯმელსარეცელობად, სხუასა – რადთურთით არარას ქონებად, კეისრისასა – ყოველსავე, ღმრთისასა – მხოლოდ ჯორცთა ოდენ და მათცა მარხვითა განლეულთა, სხუასა სიტყუად დაღათუ მდაბალი და უნდომ, გარნა⁷⁷² არავე უერმომ, არცა უმუსიკელოდ მიმზიდველ-ყოფად სმენისა. ამის თანა შემსგავსებულიცა ძალისად, ყოველთა ვედრებად, ყოველთა ლიტანიობად⁷⁷³, ყოველთა ერთჯმობად, ვითარმედ – დავით⁷⁷⁴ კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცვულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი.“

⁷⁶⁶ იოანე = იოანე მახარებელი – მოციქული (ბიბლიური პერსონაჟი).

⁷⁶⁷ პავლე – წმინდა მოციქული პავლე, ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული ქრისტიანულ რელიგიაში (ბიბლიური თხრობით).

⁷⁶⁸ მოციქულთა – იგულისხმება იესო ქრისტეს 12 მოციქული, მისი მოწაფეები და თანამგზავრები; მოციქულები იყვნენ: სიმონ-პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იაკობ ზებედესი, იოანე ღვთისმეტყველი, მათე, ფილიპე, ნათანიელ-ბართლომე, თომა, იაკობ ალფესი, იუდა იაკობის (თადეოსი), სვიმონ კანანელი, იუდა ისკარიოტელი.

⁷⁶⁹ დიდი კონსტანტინე = კონსტანტინე I, დიდი (IV ს.) – რომის იმპერატორი (ახ. წ. 306 – 337) – ქრისტიანობის მფარველი. მის დროს, 313 წელს გამოიცა მილანის ედიქტი, რომლის ძალითაც შეწყდა ქრისტიანთა დევნა რომის იმპერიაში.

⁷⁷⁰ თევდოსი = თეოდოს I (IV ს.) თეოდოსიუს დიდი (ახ. წ. 347 – 395) – რომის იმპერატორი 379–395 წლებში. თეოდოსიუსი ბოლო იმპერატორი იყო, რომელიც როგორც, აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ რომის იმპერიას მართავდა. მან ქრისტიანობა გამოაცხადა რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად.

⁷⁷¹ განსუენებულ – დაწყნარებულ, დამშვიდებულ.

⁷⁷² გარნა – მაგრამ, მხოლოდ, არამედ; თუ არა, გარდა, გარეშე.

⁷⁷³ ლიტანიობად – სადღესასწაულო წირვა-ლოცვა.

⁷⁷⁴ დავით – იგულისხმება დავით IV, აღმაშენებელი (1073-1125 წწ.) – საქართველოს მეფე (1089-1125 წწ.-ში).

**IV. ქართული ორატორული ნიმუშები აგიოგრაფიული
ნაწარმოებებიდან**

**IV. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE
HAGIOGRAPHY**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

VIII ს.-ის აგიოგრაფიული ძეგლი, იოანე საბანისძის „წამება ჰაბომისი“ შეიცავს ქადაგების ნიმუშს. მეოთხე თავი „ქებად წმიდისა მოწამისა ჰაბომისი“ ორატორული ნიმუშია. მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველების დარგსა და ქების ჟანრს.

არსებობს თხზულების არაერთი ბეჭდური გამოცემა, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“⁷⁷⁵, მეორედ – 1899 წელს პ. კარბელაშვილის რედაქციით⁷⁷⁶, იმავე წელს გამოიცა ასევე კირიონ ეპისკოპოსის მიერ⁷⁷⁷, 1935 წელს – კ. კეკელიძის მიერ „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურის“ კრებულში⁷⁷⁸, 1946 წელს – ს. ყუბანეიშვილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁷⁷⁹, 1963 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“⁷⁸⁰, 2007 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-2 ტომში⁷⁸¹. იოანე საბანისძის „ქებად წმიდისა მოწამისა ჰაბომისი“ ცალკე გამოქვეყნდა 1913 წელს პ. ინგოროყვას მიერ „ძველ-ქართული სასულიერო პოეზიაში“⁷⁸², 1958 წელს – ნ. კანდელაკის „ქართულ მჭევრმეტყველებაში“⁷⁸³, 2013 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-15 ტომში⁷⁸⁴, 2019 წელს – მ. გიგინეიშვილის, ლ. გრიგოლაშვილისა და ვ. როდონაიას მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁷⁸⁵. ასევე არსებობს აგიოგრაფიულ თხზულების რუსულად თარგმნილი გამოცემაც, რომელიც ეკუთვნის მ. საბინინს⁷⁸⁶.

წინამდებარე გამოცემაში ორატორული ნიმუში გადმოღებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებიდან“⁷⁸⁷. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁷⁷⁵ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 333-350.

⁷⁷⁶ კარბელაშვილი, პ. (რედ), წმიდა მოწამე აბო ტფილელი, ტფილისი, გამოცემა საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმისა N3 (მ. შარაძის და ამხ. სტ.), 1899.

⁷⁷⁷ კირიონ ეპისკოპოსი, წმიდა მოწამე აბო ტფილელი, ტფილისი, (მ. შარაძის და ამხ. სტ.), 1899.

⁷⁷⁸ კეკელიძე, კ. (რედ.), ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი I, ტფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935, გვ. 55-80;

⁷⁷⁹ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 55-71.

⁷⁸⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 46-81.

⁷⁸¹ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 2, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 108-139.

⁷⁸² ინგოროყვა, პ., ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII-X საუკუნეები, ტფილისი, 1913, გვ. ა-ვ.

⁷⁸³ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 126-129.

⁷⁸⁴ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, ციციანათელა, თბილისი, 2013, გვ. 29-33.

⁷⁸⁵ გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., როდონაია, ვ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 2019, გვ. 79-115.

⁷⁸⁶ Сабинин, М. П., Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. I, Санкт-Петербург, изд. авт., 1871, ст. 166-178.

⁷⁸⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 76-81.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

The hagiographic monument of the VIII century, Ioane Sabanisdze's "Torture of Habos" contains a sermon. The fourth chapter of these works "The Praise of the Holy Martyr Habos" is the oratorical sample. It belongs to the celebratory rhetoric, and to the genre of praise.

There are also numerous print editions of the work, including the first published in 1882 By M. Sabinin in the "Paradise of Georgia"⁷⁸⁸, for the second time – in 1899 edited by P. Karbelashvili⁷⁸⁹, also published in the same year by Bishop Kirion⁷⁹⁰, in 1935 – by K. Kekelidze in the collection of "Early Feudal Georgian Literature"⁷⁹¹, in 1946 – by S. Kubaneishvili in "Chrestomathy of Old Georgian Literature"⁷⁹², in 1963 – in the "Monuments of Old Georgian Hagiographic Literature"⁷⁹³, in 2007 – in the 2nd Volume of the "Georgian Literature"⁷⁹⁴, in 2019 – by M. Gigineishvili, L. Grigolashvili and V. Rodonaia in the "Chrestomathy of Old Georgian Literature"⁷⁹⁵. Ioane Sabanisdze's "Praise of the Holy Martyr Habos" was also published separately in 1913 by P. Ingorokva in "Old-Georgian Sacred Poetry"⁷⁹⁶, in 1958 in N. Kandelaki's "Georgian Rhetoric: Monuments and Materials"⁷⁹⁷, as well as in the 15th volume of the "Georgian Literature"⁷⁹⁸. There is also a Russian translation of the hagiographic works, which belongs to M. Sabinin⁷⁹⁹.

In the present edition, oratorical sample is taken from the "Monuments of Old Georgian Hagiographic Literature"⁸⁰⁰. We offer an unchanged oratorical sample from the source mentioned above.

⁷⁸⁸ Sabinin, M., *Paradise of Georgia: A Complete Description of the Saints and Passions of Georgia*, collected chronologically and published by Gobron (Mikhail) Pavlovich Sabinin, the candidate of the St. Petersburg Theological Academy, St. Petersburg, 1882, pp. 333-350 (in Georgian).

⁷⁸⁹ Karbelashvili, P. (Ed.), *Holy Martyr Abo Tfileli*, Tfilisi, Edition of the Ecclesiastical Museum of the Exarchate of Georgia N3 (M. Sharadze et al.), 1899 (in Georgian).

⁷⁹⁰ Kirion Bishop, *Holy Martyr Abo Tfileli*, Tfilisi (M. Sharadze and Amkh. St.), 1899 (in Georgian).

⁷⁹¹ Kekelidze, K. (Ed.), *Early Feudal Georgian Literature*, Part I, Tfilisi, State University Press, 1935, pp. 55-80 (in Georgian).

⁷⁹² Kubaneishvili, S. (Comp.), *Chrestomathy of the Old Georgian Literature*, Vol. I., Tbilisi, Stalin Tbilisi State University Publishing House, 1946, pp. 55-71 (in Georgian).

⁷⁹³ *Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature*, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 46-81 (in Georgian).

⁷⁹⁴ *Georgian Literature*, Multi-volume, Vol. 2, Tbilisi, Tsitsinatela, 2007, pp. 108-139 (in Georgian).

⁷⁹⁵ Gigineishvili, M., Grigolashvili L., Rodonaia V., *Chrestomathy of Old Georgian Literature*, 2019, pp. 79-115 (in Georgian).

⁷⁹⁶ Ingorokva, P., *Old-Georgian Sacred Poetry*, Book I, Texts, VIII-X centuries, Tfilisi, 1913, pp. a-f (in Georgian).

⁷⁹⁷ Kandelaki, N. (Comp.), *Georgian rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 126-129 (in Georgian).

⁷⁹⁸ *Georgian Literature*, Multi-volume, Vol. 15, Book I, Tbilisi, Tsitsinatela, 2013, pp. 29-33 (in Georgian).

⁷⁹⁹ Сабинин, М. П., *Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. I, Санкт-Петербург, изд. авт., 1871, ст. 166-178.*

⁸⁰⁰ *Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature*, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 76-81 (in Georgian).

იოანე საბანისძე

ქებად წმიდისა მოწამისა ჰაზოისი

„აწ მოვედით, ქრისტეს მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ჳსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა⁸⁰¹, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა და სიხარულითა მრავლითა განვახუნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩუენტანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოლუაწებასა მისსა და ვიტყოდით: „გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო უფლისა მიერ! რამეთუ შენ, უკუანამსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისა მეთერთმეტისა ჟამისა⁸⁰² მდღევრთა⁸⁰³ მათ თანა აღმსობილთა⁸⁰⁴ მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი!.

გიხაროდენ, მოწამეო უფლისა მიერ! რამეთუ შენ მიემსგავსე უკუანამსკნელსა მას მოციქულსა პავლეს⁸⁰⁵ მამულთა მათ შჯულთა და მოძღურებათა განგდებითა და ქრისტეს ძისა ღმრთისა აღსაარებითა, მსგავსად-ვე მისა თავი მოგეკუეთა,

აწ ვინმე ღირსად გაქებდეს შენ, ჳეშმარიტად საქებელსა? მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროდს გონებისა ჩემისა აღმალდა ქებად სათნოებათა შენთად, და კუალად მეშინის მედადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტეს მიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ-ლა სოფელსა ამას შინა ჩუენსა. აწ ნუუკუე დაყენებითა ენისა ჩემისა მათა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემთვის-ცა მოლუაწებად მეოხებისა შენისა ქრისტეს მიმართ!

აწ შენ მიერ-ვე მოღებითა მადლისა მის ქრისტესისა მათა, მსგავსად ძალისა ჩემისა გაქებდე შენ, შუენიერებითა შემკულო უფლისა მიერ!

გიხაროდენ, გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ თუალით მხილველთა მათ და ჳელით მსახურთა წმიდათა მოციქულთა ქრისტესთა უხილავად სარწმუნოებითა და სიმწნითა აღსაარებითა ნეტარებად მოიგე.

რამეთუ შენ მამამან ჳეცათამან მხოლოდ შობილისა ძისა თვისისა მიერ გვრგვნოსან გყო და სულისა წმიდისა მადლითა აღგავსო!

შენ ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა და სულმან წმიდამან გადიდა!

შენ სულმან წმიდამან შეგიყუარა და მამისა და ძისა თანა ერთობით თვისთა პატივ-გცა და ღლუაწლისა მძლედ გამოგაჩინა!

შენ ჳედა განუკვრდა ანგელოზთა წესსა, რამეთუ ვითარცა უჯორცომან დაითმინე სიკუდილი ქრისტესთვის.

შენ ჳედა მამათ-მთავარნი იხარებენ, რამეთუ ნეტარმან აბრაჰამ⁸⁰⁶ თვისთა ნაშობთაგანი შეგიწყნარა წიაღთა თვისთა ქრისტესთვის, რომელ-იგი კარავსა თვისსა შეიწყნარა და მისგან მრავალთა ნათესავთა გამოჩნდა მამად.

შენ ქრისტეს მოწამეთა მათ ნაყოფ ექმენ და მოციქულთა მოწაფე!

შენ მოწამეთა მათ შორის ჳეცისა მეუფისა მას მატთანსა სახელით დაიწერე და მარტულთა თანა გვრგვნოსან იქმენ!

შენ აღმსაარებელთა მათ თანა განეწესე და მართალთა თანა დიდებულ ხარ!

შენთვის ფრიად დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეფობისა

⁸⁰¹ „ამის წმიდისა მოწამისასა“ – იგულისხმება აზო.

⁸⁰² „მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისა მეთერთმეტისა ჟამისა“ – იგულისხმება მეთერთმეტე ჟამის იგავი – იესოს ქრისტეს ერთ-ერთი იგავი მათეს სახარებიდან (20: 1-16). ჳაგიოგრაფიის გმირები ხშირად მოიხსენებიან, როგორც „მეთერთმეტე ჟამის მუშაკები“. ისინი ღვაწლით გაუტოლდნენ ღვთის გზაზე ადრე დამდგართ.

⁸⁰³ მდღევრი – დღიური მუშა.

⁸⁰⁴ აღმსობილი – ადრე, განთიადისას ამდგარი.

⁸⁰⁵ პავლე – მოციქული პავლე (ბიბლიური პერსონაჟი).

⁸⁰⁶ აბრაჰამ = აბრაამი – ბიბლიური პერსონაჟი, ძველი სამყაროს პატრიარქი და ებრაელებისთვის მამამთავარი, მოხსენებული ძველ აღთქმასა და ყურანში.

ისმაიტელთა⁸⁰⁷ დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტჳსთჳს აღირჩიე და მახვლითა პყრობილი იგი შჯული⁸⁰⁸ განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარ-ცუმულსა მას თავყანის-ეც უფლად და ღმრთად!

ვინაჲ ანუ⁸⁰⁹ ვისგან ისწავე ქრისტჳსთჳს ესოდენი ცნობაჲ? რომელმან საკვრველებამან აღგიყვანა შენ დიდებასა მას სასუფეველისასა?

შენ ჭეშმარიტად მარჯუენითსა მას ავაზაკსა ემსგავსე, რამეთუ გაქუნდა შენ-ცა ერთი შენ თანა პყრობილთაგანი, ნაშობი ქრისტეანეთაჲ, რომელი განდრეკილ იყო ქრისტჳსგან და მიდევნებულ შჯულსა უცხოსა, ხოლო კულად ქრისტჳს აღსაარებისათჳს შენ თანა განიკითხვოდა, არამედ საწყალობელსა მას კულად-ცა უბრკუმ⁸¹⁰ და დაეცა. რამეთუ შიშისაგან სიკუდილისა საწუთროდ ესე შეიყუარა და საუკუნოდ იგი წარწყმიდა, მტერმან ბოროტმან აღიტაცა და ცხოვარი იგი ქრისტჳსი ნამგლევ იქმნა. რამეთუ მწყემსსა მას კეთილსა განემორა და არგანი⁸¹¹ იგი ქრისტჳს ძლიერებისაჲ განაგდო ჳელთაგან თჳსთა, ამისთჳს-ცა იძლია და განვარდა სამწყსომსაგან პირმეტყუელთა მათ ცხოვართაჲსა, ხოლო შენ, სანატრელო მოწამეო, კუერთხითა მით, ჯუართა თჳსითა, დაგიცვა ქრისტემან მსგავსად ძლიერისა მის სარწმუნოებისა შენისა მისა მიმართ.

შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხესა განეწესე!

შენ კარი იგი სამოთხისაჲ განაღე ჯუართა ქრისტჳსითა და მცველთა მათ ქერობინთა⁸¹² ცეცხლის მსგავსთა ვერ განგიკითხეს, ვითარმედ ვინ ხარ!

და რაჲ-ღა-მე ვთქუა უფროდს, რამეთუ „უფალმან ივნო ჩუენთჳს, უბრალომან ბრალეულთათჳს“ დასთხია სისხლი თჳსი უბიწოდ, ხოლო შენ გარდაიკადე თანა-ნადები, რამეთუ შენ-ცა დასთხიე სისხლი თჳსი სიყუარულისა მისისათჳს. ამისთჳს-ცა ძლევისა გვრგვნითა შეგამკო შენ და სასუფეველსა მას მამისა მისისასა მკვდრად გამოგაჩინა.

შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტჳსი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მისა მიმართ კულად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტჳსგან, ნათესავსა საწუთროდსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა მისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჳმონებდით გულის-თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა ვითარცა უსასონი ქრისტჳსგან და დამვიწყებელნი საუკუნოდსა ცხორებისანი. ხოლო აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტჳ და ჩუენ გულისხმა-ყვავთ კულად შიში მისი და სიყუარული მისი და მადლსა მისსა ღირს ვიქმნენით, და სიყუარულსა მისსა და წყალობასა, დღითი-დღედ მრავალთა სასწაულთა და კურნებათა ჩუენ შორის გამოჩინებითა!

შენ უგუნურთა მათ შემწირველთა შენთა მახვლითა და ცეცხლითა, უმეტჳს ალისა, განგაბრწყინვეს, ვერ გულისხმა-ყვეს უგულისხმითა მათ სიტყუად იგი უფლისაჲ, ვითარმედ „იყოს ყოველმან, რომელმან მოგწყვდნეს თქუენ, ჳგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა“. ჳ⁸¹³ უგუნურებაჲ და უმეტჳს უგუნურებაჲ იგი მათი, რამეთუ რომელ-იგი პირველ არავინ გიცოდა, ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლითა შჯულითა სცხონდებოდე, აწ ესერა უნებლებით წარმოგაჩინეს საცნაურად ქრისტჳს აღმსაარებელად, და მარტულად ყოველთა შეგისწავლეს.

შენ ყოველთა დაბადებულთა პატივ-გცეს, რამეთუ ცაჲ მოწამე არს. სიმართლესა შენსა უცხომსა ცეცხლისა გარდამოვლინებითა ადგილსა მას ზედა, რომელსა, ვითარცა კრავი უმანკოდ, შეიწირე, შემწუარი ცეცხლითა.

შენ ქუეყანამან მსხუერპლად წმიდად და სათნოდ⁸¹⁴ მიგიპყრა ღმერთსა მას ზედა დაწუვითა პატიოსნისა გუამისა შენისაჲთა, რამეთუ გექმნა შენ, ვითარცა საკურთხეველი იგი აბელისი⁸¹⁵,

⁸⁰⁷ ისმაიტელთა – სარკინოზები – არაბები; აბრაამის და მისი ხარჳის აგარის მის ისმაილისაგან წარმომდგარი ხალხი.

⁸⁰⁸ „მახვლითა პყრობილი იგი შჯული...“ – იგულისხმება მაჳმადიანური სარწმუნოება.

⁸⁰⁹ ანუ = ან; თუ.

⁸¹⁰ უბრკუმა – დააბრკოლა.

⁸¹¹ არგანი – კვერთხი, კეტი.

⁸¹² ქერობინთა – ზებუნებრივი არსებანი, ღმრთის ნების აღმსრულებელნი.

⁸¹³ ჳ – ძველი ქართულში აღნიშნავდა შორისდებულებს – ჳოი! იო! ჳაი!

⁸¹⁴ სათნო – სასურველი, სასიამოვნო.

⁸¹⁵ აბელისი – (ებრ. אָבֶל „აბელი“ – ტირილი) – ბიბლიური პერსონაჳი, ადამის მეორე ვაჳი, მწყემსი, მოკლული უფროსი ძმის კანის მიერ მოშურნეობის ნიადაგზე, რადგან ღვთისმოსავი ადამი უყვარდა ღმერთს. იუდაისტური

ენუქისი⁸¹⁶, აბრაჰამისი⁸¹⁷ და ელიადისი⁸¹⁸, რომელნი-იგი მრგულიად დასაწუველთა⁸¹⁹ მათ ტარიგთა⁸²⁰ შესწირვიდეს ღმრთისა, და კუალად ადგილი იგი სამსხვერპლოდასა შენისაჲმსა ემსგავსა ბერვარსა⁸²¹ აპრონისსა⁸²² და ზაქარიაჲსსა⁸²³ მღდელთაჲსა, რამეთუ ნაკურცხალსა მას ზედა ცეცხლისასა აღვიდოდა, ვითარცა სულნელებად საკუმეველთაჲმ, ჯორცთა მაგათ შენთაჲმ წინაჲმ უფლისა, წმიდასა მას წმიდათასა, ზეცისა საკურთხეველსა!

შენ მდინარეთა მაგათ შეგიწყნარეს, ვითარცა ქრისტჱს მარტული, ხოლო ქრისტემან ღმერთმან სიღრმეთა მათ სიბნელჱ ზეცისა ნათლითა განაბრწყინვა.

შენ ნათესავთა შენთა უცხო და განგდებულ გყვეს, ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია და მიგიპყრა თვისსა მას ეკლესიასა!

შენ ველური ეგე ზეთის ხილი მოგიღო ქრისტემან და მტილსა მას შინა თვისსა სამკვდრებელსა ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა, და ნაყოფითა მით სარწმუნოებისა შენისაჲმსა ახარა ეკლესიასა, რომელსა შინა იშუებენ ქრისტჱს მორწმუნენი და ჰნატრიან შენსა მას დიდებულეებასა, შენსა მას მოლუაწეებასა, შენსა მას სიმჴნესა, შენსა მას მარტულობასა, შენსა მას გვრგვონსნებასა!

ვითარ-მე გაქებდე შენ, ღუაწლისა მძლეო წმიდაო მოწამეო? რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტჱს მორწმუნჱ, მოძღუარ ჩუენდა იქმენ სწავლულნი უფროჲს გულისხმიერ-ჰყვენ, შერყეულნი უფროჲს განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ ჰყვენ ქრისტჱს მონებად, საჯსენებელი მარტულობისა შენისაჲმსა ჩუენ დაგვტევე, სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმნენით!

აწ ვევედრებით ყოველნი შენსა ქრისტჱს მოყუარებასა მეოხ-მცა ხარ⁸²⁴ წინაჲმ მაცხოვრისა ყოველთაჲსა ჩუენ ყოველთათვის, რომელნი შენ მიერ ითხოვენ წყალობასა ქრისტჱს ღმრთისაგან, რომლისაჲმ არს დიდებაჲ და პატივი და ძლიერებაჲ თანა მამით და ყოვლად წმიდით სულითურთა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჴნი!“

და ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, აბელი თვინიერი და უდანაშაულო მსხვერპლის ზოგადი სახეა.

⁸¹⁶ ენუქისი = ენოქი (ებრ. חֲנוֹךְ, Hānōk – „მასწავლებელი“) ადამის შვილიშვილი, კანის მხრიდან (ბიბლიური პერსონაჟი).

⁸¹⁷ აბრაჰამისი = აბრაამი – ბიბლიური პერსონაჟი, ძველი სამყაროს პატრიარქი და ებრაელებისთვის მამამთავარი, მოხსენებული ძველ აღთქმასა და ყურანში.

⁸¹⁸ ელიად – წინასწარმეტყველი (ბიბლიური პერსონაჟი).

⁸¹⁹ მრგულიად დასაწუველი – მთლიანად დასაწუველი.

⁸²⁰ ტარიგი – კრავი, სამსხვერპლო ცხოველი.

⁸²¹ ბერვა, ბერვალი = ბერბარი – საბერველი, საცეცხური.

⁸²² აპრონისსა = აარონი = არონი (ებრ. אַהֲרֹן – აპრონი) – ისრაიტელი, ისრაელიანების წინამძღვარი და მღვდელი, პირველი მღვდელი ბიბლიურ ისტორიულ ტრადიციაში, გამორჩეული ორატორული ნიჭის მქონე (ბიბლიური პერსონაჟი).

⁸²³ ზაქარიაჲსსა – წინასწარმეტყველი (ბიბლიური პერსონაჟი).

⁸²⁴ მეოხმცა ხარ – შემწე იყავ, შეეწიე.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სწავლა, თქმული იოვანე ზედაძნელის მიერ მოწაფეთა მიმართ] დაცულია აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთა. რომელთა განანათლეს ქუეყანა ესე ჩრდილოეთისა და ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოზმან სარგებელად, რომელნი ისმენდენ“⁸²⁵. თხზულების ავტორია არსენ II კათალიკოსი. დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაციით, იგი განეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგსა და სწავლის ჟანრს.

არსებობს თხზულების ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“⁸²⁶, მეორედ 1946 წელს – ს. ყუბანეიშვილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁸²⁷, 1963 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“⁸²⁸, 2007 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-2 ტომში⁸²⁹.

წინამდებარე გამოცემაში [სწავლა, თქმული იოვანე ზედაძნელის მიერ მოწაფეთა მიმართ] გადმოღებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებიდან“⁸³⁰. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁸²⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 191-217.

⁸²⁶ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერა დღევანდელ და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შუკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის მის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 193-208.

⁸²⁷ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 157-159.

⁸²⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 191-217.

⁸²⁹ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 2, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 175-197.

⁸³⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 202-207.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The study by Ioane Zedadzneli to the disciples] is contained in the hagiographic work “Life and Citizenship of our Holy Father Ioane Zedadzneli and his Disciples”⁸³¹. The author of this composition is the bishop Anton II. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the preaching rhetoric, and to the genre of speech.

There are also numerous print editions of the work, including the first published in 1882 By M. Sabinin in the “Paradise of Georgia”⁸³², for the second time in 1946 – by S. kubaneishvili in the “Chrestomathy of Old Georgian Literature”⁸³³, in 1963 – in the “Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”⁸³⁴, in 2007 – in the 2nd volume of the “Georgian Literature”⁸³⁵.

In the present edition, oratorical sample [The study by Ioane Zedadzneli to the disciples] is taken from the “Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”⁸³⁶. We offer an unchanged oratorical sample from the source mentioned above.

⁸³¹ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 191-217 (in Georgian).

⁸³² Sabinin, M., Paradise of Georgia: A Complete Description of the Saints and Passions of Georgia, collected chronologically and published by Gobron (Mikhail) Pavlovich Sabinin, the candidate of the St. Petersburg Theological Academy, St. Petersburg, 1882, pp. 193-208 (in Georgian).

⁸³³ Kubaneishvili, S. (Comp.), Chrestomathy of the Old Georgian Literature, Vol. I., Tbilisi, Stalin Tbilisi State University Publishing House, 1946, pp. 157-159 (in Georgian).

⁸³⁴ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 191-217 (in Georgian).

⁸³⁵ Georgian Literature, Multi-volume, Vol. 2, Tbilisi, Tsitsinatela, 2007, pp. 175-197 (in Georgian).

⁸³⁶ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 202-207 (in Georgian).

სწავლა

თქმული იოვანე ზედაძნელის მიერ მოწაფეთა მიმართ

„შვილნო, რაღას სდგათ უქმად? არა უწყით-ა, რამეთუ სარგებელისათვის ამის ქუეყანისა წარმოგუავლინა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან და აქა მოგვძლუა, რამეთუ ახალ ნერგ არს ქუეყანად ესე? ამისთვის-ცა ჯერ-არს, რადთა წარხვდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარებდეს ქრისტე.

და ნურარად გიყუარს, ძმანო, უფროდს ღმრთისა, შუებასა და უძღვებებასა განემორენით, რამეთუ შუებისა მიერ და საჭმლისა იშვა ურჩებად იგი ადამისი, რომელი ნაშობთა მისთა ზედა დადგრომილ არს, ამან გამოჴადა იგი სამოთხით. უკუეთუ-მცა მცნებად იგი მარხვისად დაემარხა, არა-მცა უფლებულ იყო ჩუენდა ხრწნილებად და სიკუდილი, დაღაცათუ აწ ქრისტეს განკაცებითა უხრწნელ ვიქმნენით იგინი, რომელთა აწ მცნებად მისი დავიმარხეთ.

ხოლო ღვინისათვის ნამეტნავ არს სიტყუად-ცა, რამეთუ არა არს მონაზონთად, ვინადთგან პავლე მოციქულმან ძირად და მოქმედად სიბოროტისად თქუა: „და ნუ დაითრვობით ღვინითა-ო, რომლისაგან არს სიბილწე“. და წამალი არს მაკუდინებელი და დედად გულის-თქუმათა ბოროტთად, და ყოლად ნუ შეეხებით, რომელი საუკუნოდ სასჯელსა მოგუატყუებს, ძმანო ჩემნო, მარადის სიკუდილსა იკსენებდით და თუ სადა მიმავალ ვართ. რამეთუ ჯორცნი ესე მოკუდავ და წარმავალ არიან და სული უკუდავ არს მარადის, ვილუაწოთ აქა-ვე სულთა ჩუენთათვის, რამეთუ ყ(ოველ)ი ესე ჴირისად არს, ხოლო საუკუნოდ განსუენებისად. განვეკრძალნეთ ჟამისა მისთვის საზარელისა, ოდეს განემორებოდის სული ჯორცთაგან. რამეთუ დიდ არს შიში, ოდეს წარიყვანონ სული და მოაგებდენ მისაგებელსა საქმეთა მისთასა.“

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული გრიგოლ ხანძთელის მიერ ჳელმწიფეთა, მთავართა, აღმზრდელთა და ერისა მიმართ] დაცულია აგიოგრაფიულ თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“⁸³⁷. დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაციით, იგი განეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგსა და სიტყვის ჟანრს.

თხზულების ავტორი არის გიორგი მერჩულე, რომელმაც თავისი ნაწარმოები შექმნა გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, კერძოდ, 951 წელს. ავტორი აღნიშნავს: „რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჳემმარტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა“⁸³⁸. ამდენად, ის ეყრდნობოდა სანდო პირთა მონათხრობსა და წერილობით წყაროებს.

თხზულება პირველად აღმოაჩინა ნ. ჩუბინაშვილმა 1845 წელს. არსებობს თხზულების ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1946 წელს ს. ყუბანიევილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁸³⁹ და „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“⁸⁴⁰, 2007 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-2 ტომში⁸⁴¹, 2019 წელს – მ. გიგინეიშვილის, ლ. გრიგოლაშვილისა და ვ. როდონაიას მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁸⁴².

წინამდებარე გამოცემაში [სიტყვა, თქმული გრიგოლ ხანძთელის მიერ ჳელმწიფეთა, მთავართა, აღმზრდელთა და ერისა მიმართ] გადმოღებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებიდან“⁸⁴³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁸³⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 248-319.

⁸³⁸ იქვე, გვ. 348-349.

⁸³⁹ ყუბანიევილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 99-156.

⁸⁴⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 248-319.

⁸⁴¹ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 2, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 243-346.

⁸⁴² გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., როდონაია, ვ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 2019, გვ. 116-192.

⁸⁴³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 250-251.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical sample [The Speech by Grigol Khandzteli to Sovereigns, Chiefs, Educators and the Nation] is contained in the hagiographic work “Life of Grigol Khandzteli”⁸⁴⁴. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the preaching rhetoric, and to the genre of speech.

The author of the works is Giorgi Merchule, who wrote his work 90 years after the death of Grigol Khandzteli, in particular, in 951. The author notes: “As many as were able to discern the truth from the disciples of the hearers of the hearers, and from the disciples of the disciples to His saints”⁸⁴⁵. Thus, he relied on the narratives and written sources of credible persons.

The hagiographic work was first discovered by N. Chubinashvili in 1845. There are also numerous print editions of the work, including the first published in 1946 by S. Kubaneishvili in the “Chrestomathy of Old Georgian Literature”⁸⁴⁶, in 1963 – in the “Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”⁸⁴⁷, in 2007 – in the 2nd volume of the “Georgian Literature”⁸⁴⁸, in 2019 – by M. Gigineishvili, L. Grigolashvili and V. Rodonaia in the “Chrestomathy of Old Georgian Literature”⁸⁴⁹.

In the present edition, oratorical sample is taken from the “Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”⁸⁵⁰. We offer an unchanged oratorical sample from the source mentioned above.

⁸⁴⁴ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 248-319 (in Georgian).

⁸⁴⁵ Ibid, pp. 348-349.

⁸⁴⁶ Kubaneishvili, S. (Comp.), Chrestomathy of the Old Georgian Literature, Vol. I., Tbilisi, Stalin Tbilisi State University Publishing House, 1946, pp. 99-156 (in Georgian).

⁸⁴⁷ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 248-319 (in Georgian).

⁸⁴⁸ Georgian Literature, Multi-volume, Vol. 2, Tbilisi, Tsitsinatela, 2007, pp. 243-346 (in Georgian).

⁸⁴⁹ Gigineishvili, M., Grigolashvili L., Rodonaia V., Chrestomathy of Old Georgian Literature, 2019, pp. 116-192 (in Georgian).

⁸⁵⁰ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 250-251 (in Georgian).

სიტყვა

თქმული გრიგოლ ხანძთელის მიერ კელმწიფეთა, მთავართა,
აღმზრდელთა და ერისა მიმართ

„თქუნ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთაჲ, გულისკმა-გიყოფია წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მღდელთ-მოდღუართა განსაზღვრებული კანონი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ. თუ ვითარნი კრძალვანი უკმან მღდელობასა და ყოლად უბრალოებაჲ არა ხოლო საქმით, არამედ გონებითა-ცა და სიტყვთა. ხოლო დადაცათუ სულგრძელებასა ღმრთისასა თავს-უდებიეს დათმენად, უწესოთა კაცთა მღდელობაჲ უმჯობეს არს მათა, უკუეთუ-მცა ყოლად-ვე რიცხუსა კაცთასა არა შერთულ იყვნეს ვიდრე საუკუნოდ პატიჟთა დაუსრულებელთა, ხოლო სარწმუნოთა მღდელთათჳს ესე უწყოდეთ თქუნ, ვითარმედ უფროდ არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ჯორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცვალობაჲ არს ჭეშმარიტისა ღმრთისაჲ, რომელმან-ცა ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: „ნეტარ ხართ თქუნ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა სწადოდა ხილვად და სმენად, რომელსა ხედავთ თქუნ და გესმის, და ვერ მიემთხვნეს“⁸⁵¹, რომელსა ღირს იქმნენით თქუნ და თჳსისა მის მღდელობისა ნაცვალად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად, და შემდგომითი შემდგომად ყოველნი სარწმუნონი მღდელნი და მათ მიერ ცხორებისა სასოებაჲ ქრისტეანეთაჲ მღდელობასა შეჰვედრა, და სასწაულთა ყოველთა და წინაწარმეტყუელთა ჩუენებასა და ღმრთის-მხილველთა კაცთა გამოცხადებასა მღდელობითა დაჰბეჭდა. და აწ არა ვინაჲ არს კაცთა ცხორებაჲ თჳნიერ მღდელობისა, რომლისათჳს პავლე იტყჳს, ვითარმედ: „ქრისტეს მიერ სახარებისაგან მე გმვენ თქუნ“⁸⁵². და უფალი ბრძანებს: „უკუეთუ ვინ-მე არა იშვეს მეორედ და არა მიიღოს წმიდაჲ საიდუმლოდ, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა“⁸⁵³. და აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის!“

⁸⁵¹ მათე 13,16-17.

⁸⁵² I კორინთ. 4,15.

⁸⁵³ იოანე 3,3.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [შესხმა, თქმული სტეფანე მტბევარის მიერ გობრონის მიმართ] გვხვდება აგიოგრაფიულ თხზულებაში „გობრონის წამება“. ნაწარმოები დაიწერა სტეფანე მტბევარის მიერ აშოტ ერისმთავართ-ერისმთავარის ბრძანებით. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი განეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველებასა და შესხმის ჟანრს.

გობრონი იყო ქართველი აზნაური. სამხრეთ აზერბაიჯანის მმართველის აბულ კასიმის საქართველოში ლაშქრობის დროს ხელმძღვანელობდა ყველისციხის დაცვას და აღესრულა მოწამეობრივად 914 წელს.

არსებობს თხზულების ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“⁸⁵⁴, მეორედ – 1946 წელს ს. ყუბანეიშვილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁸⁵⁵, 1963 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“⁸⁵⁶, 2007 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მრავალტომეულის მე-2 ტომში⁸⁵⁷. არსებობს აგიოგრაფიულ თხზულების რუსულად თარგმნილი გამოცემაც, რომელიც ეკუთვნის მ. საბინინს⁸⁵⁸.

წინამდებარე გამოცემაში [შესხმა, თქმული სტეფანე მტბევარის მიერ გობრონის მიმართ] გადმოღებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებიდან“⁸⁵⁹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁸⁵⁴ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 393-400.

⁸⁵⁵ ყუბანეიშვილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 80-85.

⁸⁵⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 172-183.

⁸⁵⁷ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 2, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 228-242.

⁸⁵⁸ Сабинин, М. П., Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. II, Санкт-Петербург, изд. авт., 1872, ст. 57-63.

⁸⁵⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 183.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical Sample [The Praise by Stephane Mtbevari to the Gobron] is contained in the hagiographic work “Torture of Gobron”. The work was written by Stephen Mtbevari on the orders of Ashot Erismtavart-Erismtavari. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the preaching rhetoric, and to the genre of praise.

Gobron was a Georgian nobleman. During the expedition of the ruler of South Azerbaijan, Abu Qasim, to Georgia, he led the defense of the fortress and was martyred in 914.

There are also numerous print editions of the work, including the first published in 1882 By M. Sabinin in “Paradise of Georgia”⁸⁶⁰, for the second time – in 1946 by S. Kubaneishvili in the “Chrestomathy of Old Georgian Literature”⁸⁶¹, in 1963 – in the “Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature”⁸⁶², in 2007 – in the 2nd volume of the “Georgian Literature”⁸⁶³. There is also a Russian translation of the hagiographic works, which belongs to M. Sabinin⁸⁶⁴.

In the present edition, oratorical sample [The Praise by Stephane Mtbevari to the Gobron] is taken from the “Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”⁸⁶⁵. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁸⁶⁰ Sabinin, M., *Paradise of Georgia: A Complete Description of the Saints and Passions of Georgia*, collected chronologically and published by Gobron (Mikhail) Pavlovich Sabinin, the candidate of the St. Petersburg Theological Academy, St. Petersburg, 1882, pp. 393-400 (in Georgian).

⁸⁶¹ Kubaneishvili, S. (Comp.), *Chrestomathy of the Old Georgian Literature*, Vol. I., Tbilisi, Stalin Tbilisi State University Publishing House, 1946, pp. 80-85 (in Georgian).

⁸⁶² *Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature*, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 172-183 (in Georgian).

⁸⁶³ *Georgian Literature*, Multi-volume, Vol. 2, Tbilisi, Tsitsinatela, 2007, pp. 228-242 (in Georgian).

⁸⁶⁴ Сабинин, М. П., *Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. II, Санкт-Петербург, изд. авт., 1872, ст. 57-63.*

⁸⁶⁵ *Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature*, Book I (V-X centuries), Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1963, pp. 183 (in Georgian).

შესხმა

თქმული სტეფანე მტბევარის მიერ გობრონის მიმართ

„აწ საყუარელნო, მოციქულისა სიტყუასა ვერძდეთ და კსენებასა წმიდათასა ვეზიარნეთ და საკსენებელსა მათსა აღვასრულებდეთ! ვითარცა წმიდათა მოწამეთა სულნი მათნი წარუდგინნეს ღმერთსა გუამთა⁸⁶⁶ მათთა ტანჯვითა, ნუ ეგრე შენცა შემძლებელ ხარ ეგევითარისა მსხუერპლისა წარდგინებად წინაშე ღმრთისა. რამეთუ რაოდენცა დღეს არავინ არს, რომელმან წამებისათს დაჭრნა ჯორცნი შენნი მახვლითა, არამედ შენ შემძლებელ ხარ დაწუად მათა იწროებითა და მწუხარებითა და ნებსით სიგლახაკითა უფლისათს, რომელი ვითარცა-იგი შემძლებელ იყოს, სოფლისა საშუებელთა და განსუენებათა, და ნებსის აღირჩიოს მწუხარებად და იწროებად ნაცვალად მისა. იგი არს, რომელი შესწირავს მსხუერპლსა ქებისასა წინაშე ღმრთისა, ვითარცა მოწამემან ქრისტესმან გობრონ.

აწ უკუე მოაკუდინენით ჯორცნი თქუენნი და ჯუარს-აცუთ იგი შრომითა და მარხვითა, გვრგვნითა მოწამეთადათა, რომლისათს იგი მძლავრნი მარტულთა მოსწყუედდეს და იწამნეს. ხოლო შენ ნებსით თავი თვისი მოსწყუდე იწროებით. და ესე არს მსხუერპლი უბიწოდ, რომელსა არა უქმს მდდელი შემწირველი, რამეთუ რომელი ამას ქუეყანასა ზედა დამდაბლდეს, იგი ცათა შინა ამაღლდების ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისადა არს დიდებად მამისა თანა სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჟნ.“

⁸⁶⁶ გუამი – ძვ. ქართულად ჯორცი, სხეული, ტანი.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სწავლა, თქმული იოვანეს მიერ მონასტრის ძმათა მიმართ, 1005 წლის 19 ივნისს] გვხვდება „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“⁸⁶⁷. აგიოგრაფიული თხზულების ავტორია გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც აღგვიწერა თავისი მასწავლებლების მოღვაწეობა.

ნაწარმოებიდან დგინდება ორატორული ნიმუშის წარმოთქმის თვე და რიცხვი – 19 ივნისი (იდ ივნისი), ხოლო იოვანეს გარდაცვალების წლად ისტორიაში ცნობილია 1005 წელი⁸⁶⁸. აგიოგრაფიული ნაწარმოებიდან იმასაც ვიგებთ, რომ ორატორული ნიმუში წარმოთქმულია უშუალოდ იოვანეს გარდაცვალების წინ, რაც იძლევა მისი დათარიღების შესაძლებლობას. რაც შეეხება დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, ნიმუში განეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების დარგსა და სწავლის ჟანრს.

არსებობს თხზულების ბეჭდური გამოცემები, მათ შორის, პირველად გამოქვეყნდა 1882 წელს მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“⁸⁶⁹, მეორედ – 1946 წელს ს. ყუბანიევილის მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁸⁷⁰, 1967 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“⁸⁷¹, 2019 წელს – მ. გიგინეიშვილის, ლ. გრიგოლაშვილისა და ვ. როდონაიას მიერ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁸⁷².

წინამდებარე გამოცემაში [სწავლა, თქმული იოვანეს მიერ მონასტრის ძმათა მიმართ, 1005 წლის 19 ივნისს] გადმოღებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებიდან“⁸⁷³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁸⁶⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, მეცნიერება, 1967, გვ. 58-59.

⁸⁶⁸ კეკელიძე, კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1945, გვ. 226.

⁸⁶⁹ საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 401-432.

⁸⁷⁰ ყუბანიევილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 178-189.

⁸⁷¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967, გვ. 38-100.

⁸⁷² გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., როდონაია, ვ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 2019, გვ. 193-220.

⁸⁷³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967, გვ. 58-59.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical Sample [The study by Ioane to brothers of the monastery on June 19, 1005] is contained in the hagiographic work “Life of Ioane and Ephtvime”⁸⁷⁴. The author of the hagiographic works is Giorgi Mtatsmide-li, who described the work of his teachers.

The month and date of the oratorical sample are determined from the work – June 19, and the year of Ioane’s death is known in history as 1005⁸⁷⁵. From the hagiographic work we also find that the oratorical sample was uttered immediately before Ioane’s death, which give us the possibility of its dating. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the preaching rhetoric, and to the genre of study.

There are also numerous print editions of the work, including the first published in 1882 By M. Sabinin in “Paradise of Georgia”⁸⁷⁶, for the second time – in 1946 by S. Kubaneishvili in the “Chrestomathy of Old Georgian Literature”⁸⁷⁷, in 1967 – in the “Monuments of old Georgian Hagiographic Literature”⁸⁷⁸, in 2019 – by M. Gigineishvili, L. Grigolashvili and V. Rodonaia in the “Chrestomathy of Old Georgian Literature”⁸⁷⁹.

In the present edition, oratorical sample [The study by Ioane to brothers of the monastery on June 19, 1005] is taken from “Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”⁸⁸⁰. We offer an unchanged oratorical sample from the sources mentioned above.

⁸⁷⁴ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book II (XI-XV centuries), Tbilisi, “Metsniereba”, 1967, pp. 58-59 (in Georgian).

⁸⁷⁵ Kekelidze, K., Etudes from the history of Old Georgian literature, Vol. 2, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1945, pp. 226 (in Georgian).

⁸⁷⁶ Sabinin, M., Paradise of Georgia: A Complete Description of the Saints and Passions of Georgia, collected chronologically and published by Gobron (Mikhail) Pavlovich Sabinin, the candidate of the St. Petersburg Theological Academy, St. Petersburg, 1882, pp. 401-432 (in Georgian).

⁸⁷⁷ Kubaneishvili, S. (Comp.), Chrestomathy of the Old Georgian Literature, Vol. I., Tbilisi, Stalin Tbilisi State University Publishing House, 1946, pp. 178-189 (in Georgian).

⁸⁷⁸ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book II (XI-XV centuries), Tbilisi, “Metsniereba”, 1967, pp. 38-100 (in Georgian).

⁸⁷⁹ Gigineishvili, M., Grigolashvili L., Rodonaia V., Chrestomathy of Old Georgian Literature, 2019, pp. 193-220 (in Georgian).

⁸⁸⁰ Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature, Book II (XI-XV centuries), Tbilisi, “Metsniereba”, 1967, pp. 58-59 (in Georgian).

სწავლა

თქმული იოვანეს მიერ მონასტრის ძმათა მიმართ, 1005 წლის 19
ივნისს

„თქუნ, სასურველნო და საყუარელნო შვილნო ჩემნო, უკუეთუ მცნებათა ღმრთისათა დამარხვად ილუაწოთ და წესისაებრ და კანონისა საღმრთოდას იყოფებოდით და წინამძღუართა მიმართ გაქუნდეს უზაკუველი მორჩილება და ურთიერთარს მშჯდობად და ერთობად, მრწამს ღმრთისად, რომელ არარად კეთილი არა მოგაკლოს ღმერთმან, არამედ მეფენი და მთავარნი და ყოველნი კაცნი წყალობად თქუნდა აღძრნეს და უმეტეს და უმეტეს წარემატნეთ. ამიერითგან ნუ-მცა ვინ განგაშორებს თქუნ საქმისა ამისგან კეთილისა და ღმრთისა საყუარელისა, რომელ არს უზაკუველი მორჩილება და განუკუეთელი ერთობად და მშჯდობად, რადთა ამას-ცა საწუთროსა უშფოთველი ცხორებად აღასრულოთ და საუკუნესა მას მომავალსა ცხორებად საუკუნოდ დაიმკვდროთ კაცთ-მოყუარებითა ქრისტეს მეუფისადთა. და იგი სახიერი და მრავალ მოწყალე ღმერთი იყავნ მწყალობელ თქუნდა და წარგიძელვნ წმიდასა ნებასა მისსა და საღმრთოთა მისთა მცნებათა, მეოხებითა ყოლად წმიდისა ღმრთის-მშობელისადთა და ყოველთა წმიდათადთა, ა(მწ)ნ.

სტუმრის-მოყუარებასა ნუ დაივიწყებთ და, რად ღმერთსა ებოდოს, გლახაკთა მიუპყრობდით, მსგავსად ძალისა თქუნისა, და მილოცევდით და მაცსენებდით, საყუარელნო შვილნო და ძმანო ჩემნო, მარადის, რადთა ყოს ღმერთმან წყალობად საწყალობელისა და ცოდვათა შინა განფრდილისა სულისა ჩემისა თანა და შემინდვენეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი. და ეგრეთ-ვე სულიერსა ძმასა ჩუენსა იოვანე სჯნგელოზსა, რამეთუ ფრიადითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩუენდა წმიდასა ამას მთასა, და სულიერისა მამისა ჩუენისა ათანასეს⁸⁸¹ საკსენებელსა წლითი-წლად აღასრულებდით და მოიკსენებდით წმიდათა ჟამის-წირვათა შინა“.

⁸⁸¹ ათანასე – ღირსი ათანასე ათონელი, ათონის მთაზე სამონასტრო ცხოვრების დამფუძნებელი.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, თქმული გიორგი მცირის მიერ გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო] გვხვდება გიორგი მცირის (ხუცესმონაზონის) მიერ 1066-1068 წლებში შექმნილ აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“. იგი დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

გიორგი მცირის აგიოგრაფიული თხზულება ბეჭდურად პირველად გამოიცა 1882 წელს – მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“⁸⁸², 1901 წელს – „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ადაპტებით“⁸⁸³, 1946 წელს – ს. ყუბანიევილის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“⁸⁸⁴, 1967 წელს – „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“⁸⁸⁵, ასევე „მწიგნობრობა ქართულის“ მე-3 ტომში⁸⁸⁶.

ასევე ცალკე, უშუალოდ ორატორული ნიმუში გამოქვეყნდა 1958 წელს ნ. კანდელაკის წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“⁸⁸⁷, 2013 წელს – „მწიგნობრობა ქართულის“ მე-15 ტომში⁸⁸⁸. არსებობს აგიოგრაფიულ თხზულების ნათარგმნი გამოცემებიც, მათ შორის, რუსულად თარგმნილი მ. საბინინის მიერ⁸⁸⁹ და ლათინურად – პ. პეტერსის მიერ⁸⁹⁰. მთელი თხზულებისა და განსაკუთრებით, მასში მოთავსებული სამგლოვიარო სიტყვის მჭევრმეტყველურ მხარეს პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება 1916 წელს გამოცემულ ნაშრომში⁸⁹¹.

წინამდებარე გამოცემაში ორატორული ნიმუში გადმოღებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებიდან“⁸⁹². გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁸⁸² საბინინი, მ., საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართუელთა წმიდათა, შვერებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 437-488.

⁸⁸³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ადაპტებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, სტამბა გრ. ჩარკვიანისა, 1901, 279-351.

⁸⁸⁴ ყუბანიევილი, ს. (შემდგ.), ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 190-214.

⁸⁸⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, მეცნიერება, 1967, გვ. 106-207.

⁸⁸⁶ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული: სასულიერო მწერლობა, ტ. 3, თბილისი, ციციანათელა, 2007, გვ. 65-149.

⁸⁸⁷ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 145-149.

⁸⁸⁸ მწიგნობრობა ქართული: მრავალტომეული, ტ. 15, წიგნი I, თბილისი, ციციანათელა, 2013, გვ. 92-97.

⁸⁸⁹ Сабинин, М. П., Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. II, Санкт-Петербург, изд. авт., 1872, ст. 161-212.

⁸⁹⁰ Peeters, P., *Histoires monastiques Géorgiennes*, Bruxelles Bollandistes, 1923.

⁸⁹¹ ჯავახიშვილი, ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), ტფილისი, აღ. ჯაბადარი (ქართ. ამხანაგობის სტ.), 1916, გვ. 88-91.

⁸⁹² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, მეცნიერება, 1967, გვ. 189-194.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Oratorical Sample [The speech by Giorgi Mtsire because of the death of Giorgi Mtatsmideli] is contained in the hagiographic work “Life and Citizenship of the Holy and Blessed Father Giorgi Mtatsmideli”, created by Giorgi Mtsire (Khutsesmonazon) in 1066-1068. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the funeral rhetoric, and to the genre of speech.

There are also printed editions of George Mtsiri’s hagiographic work, which are based on separate lists of the eighteenth century, including, notably, published in 1882 by M. Sabinin “Paradise of Georgia”⁸⁹³, 1901 edition “1074 manuscript of the Iveria Monastery of Athos with agape”⁸⁹⁴, in 1946 – by S. Kubaneishvili in the “Chrestomathy of Old Georgian Literature”⁸⁹⁵, in 1967 – “Monuments of old Georgian Hagiographic Literature”⁸⁹⁶, in 2013 – in the 3rd volume of the “Georgian Literature”⁸⁹⁷. A separate oratorical sample [The speech by Giorgi Mtsire uttered because of the death of Giorgi Mtatsmideli] was also published separately, including in publications such as N. Kandelaki’s “Georgian Rhetoric: Monuments and Materials”⁸⁹⁸, in the 15th volume of the “Georgian Literature”⁸⁹⁹. There are also translations of hagiographic works, including Russian translations by M. Sabinin⁹⁰⁰ and in Latin, translated by P. Peeters⁹⁰¹. For the first time Iv. Javakhishvili paid attention to the work published in 1916⁹⁰².

In the present edition, oratorical sample is taken from “Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”⁹⁰³. We offer an unchanged oratorical sample from the source mentioned above.

⁸⁹³ Sabinin, M., *Paradise of Georgia: A Complete Description of the Saints and Passions of Georgia*, collected chronologically and published by Gobron (Mikhail) Pavlovich Sabinin, the candidate of the St. Petersburg Theological Academy, St. Petersburg, 1882, pp. 437-488 (in Georgian).

⁸⁹⁴ 1074 manuscript of Athos Iveria Monastery in Agapi, jubilee edition of the Ecclesiastical Museum, Tbilisi, printing house of Gr. Charkviani, 1901, pp. 279-351 (in Georgian).

⁸⁹⁵ Kubaneishvili, S. (Comp.), *Chrestomathy of the Old Georgian Literature*, Vol. I., Tbilisi, Stalin Tbilisi State University Publishing House, 1946, pp. 189-214 (in Georgian).

⁸⁹⁶ *Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature*, Book II (XI-XV centuries), Tbilisi, “Metsniereba”, 1967, pp. 106-207 (in Georgian).

⁸⁹⁷ *Georgian Literature*, Multi-volume: *Theological Writings*, Vol. 3, Tbilisi, Tsitsinatela, 2013, pp. 65-149 (in Georgian).

⁸⁹⁸ Kandelaki, N. (Comp.), *Georgian Rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, 1958, pp. 145-149 (in Georgian).

⁸⁹⁹ *Georgian Literature*, Multi-volume, Vol. 15, Book I, Tbilisi, Tsitsinatela, 2013, pp. 92-97 (in Georgian).

⁹⁰⁰ Сабинин, М. П., *Полное жизнеописание святых грузинской церкви; Жребий божией матери / Сост. и пер. с груз. подлинников Михаил Сабинин. Ч. II, Санкт-Петербург, изд. авт., 1872, ст. 161-212.*

⁹⁰¹ Peeters, P., *Histoires monastiques Géorgiennes*, Bruxelles Bollandistes, 1923.

⁹⁰² Javakhishvili, Iv., *Purpose of History, Sources and Methods Before and Now*, Book I, *Old Georgian Historical Writing (V-XVIII centuries)*, Tbilisi, Al. Jabadari (Georgian: Partnership Press.), 1916, pp. 88-91 (in Georgian).

⁹⁰³ *Monuments of the Old Georgian Hagiographic Literature*, Book II (XI-XV centuries), Tbilisi, “Metsniereba”, 1967, pp. 189-194 (in Georgian).

სიტყვა

თქმული გიორგი მცირის მიერ გიორგი მთაწმიდელის
გარდაცვალების გამო

„ვად მე, ვად მე, ძმანო ჩემნო პატოსანნო, აწ დაგუეკვა⁹⁰⁴ პირი იგი, რომელი გუაწურთიდა შჯულსა უფლისასა დღე და ღამე, წარვიდა გონებისა განზრახვად ჭეშმარიტად ღმრთისა მიერ აღძრული, დაწუნხნა თუალი იგი მართლიად მხედველი და განმარჩეველი კეთილსა ბოროტისაგან და უმჯობესსა უდარესისაგან, დადუმნეს ბაგენი იგი მცველნი შჯულსა უფლისასა, შეიკრა ენად იგი ოქროსიტყუად და საღმრთოთა ბრძანებათა კმამაღლად მღალადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღმრთივ-სულიერთა წიგნთად, დაყუდნა კელი იგი შუენიერად მწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიანი ჩუენნი, დადგეს ფერწნიცა იგი შუენიერნი; განკაფულნი ღამისთევათა შინა ზედგომითა, დაყუდნა გონებად იგი მხილველი და სიღრმეთა სულისათა გამომეძიებელი, დაიფარა მიწასა შინა გუამი წმიდად, მოღუაწებისა, შრომითა განლეული.

ხედავთა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენნი? მენება, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, განძლიერებად უძღურებად ჩემი და ამაღლებად სიმაღლესა ამას თანა განსაცდელისასა და აღტევებად ჯმისა რადასამე ვნებისა ამის შემსგავსებულისა, ვითარცა ყვეს ობოლთა მათ და ჯმითა მაღლითა განსაცდელსა მამისასა იგლოვეს. არამედ რად-მე ვყო, გინა ვითარ ვაძიულო ენასა მსახურებად სიტყვსა, რომელი-იგი განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა მძიმითა რადთმე საკრველითა რკინისადათა შეკრულ არს? ანუ ვითარ აღვალო პირი, უტყუებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ჯმად ვნებითა და გოდებითა ძალისა თვისისაგან დაქსნილი, ვითარ აღვიხილნე თუალნი სულისანი, განსაცდელისა ამის აღმურითა დაბნელებულნი, ვინმცა განმიბნია უკუნი ესე და წყუდიადი მწუხარებისა ბნელი და მიჩუენამცა სიწმიდესა შინა ბრწყინვალე იგი ნათელი მშჯდობისა? ანუ ვინადა მოგუეფინოს ჩუენ შარავანდედი, ვინადათგან დაჰყდა მნათობი ჩუენი? ეჰა ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩუენი, დაჰყდა. ეჰა, ვითარდა იქმნეს ჩუენდა ადგილსა ამას წინაუკუმო სიტყუანი ჩუენნი და საქმენი, აწ და პირველ ამისსა, რამეთუ პირველ, ვითარცა მექორწინენი, განვსცხრებოდეთ, ხოლო აწ, ვითარცა საწყალობელნი გლოვისა ამისთვის სულთ-ვითქუამთ? ანუ თუ მცირე არსა ჩუენ ზედა მოწვევული ესე ბოროტი, ანუ ამოდ ნუ ვიტყებთა და განვიწირვით, ანუ თუ უფროდს-ლა ვერ მივსწუთებით თავსა ამის ვნებისასა, დადაცათუ უფროდს აღვამაღლნეთ სიტყუანი და ჯმანი ჩუენნი?

გუავასხენით უკუე, ძმანო, გუავასხენით ცრემლნი წყალობისანი, რამეთუ ოდეს-იგი იხარებდით თქუენ, სიხარულსა თქუენსა გეზიარენითქუენ. აწ უკუემომაგეთ ჩუენ ბოროტი ესენაცვალი. სიხარული მოხარულთა თანა მოგუეცით ჩუენ, ტირილი მტირალთა თანა მომიზღეთ ჩუენ. ცრემლოდა ოდესმე უცხოთესლი იგი ერი⁹⁰⁵ მამათ-მთავრისა იაკობისთვის⁹⁰⁶, და უცხოდა იგი განსაცდელი, ვითარცა თვისი განესაკუთრა, რამეთუ იგი, შემდგომად სიკუდილისა, მეთა მისთა ეგვპტით გამოიყუანეს და ყოველი იგი ერი უცხოდა ამის განსაცდელისათვის უცხოსა შინა ქუეყანასა ოცდაათ დღე და ოცდაათ ღამე იგლოვდა მის ზედა და მწარედ გოდებდა და ტიროდა.

აწ უკუე, ძმანო, ემსგავსენით უცხოთესლთა მათ, ძმანი ეგე ჩუენნი და ნათესავნი, ზოგად იყო მაშინ უცხოთა და თვსთა ტირილი, ზოგად იყავნ აწცა, და რამეთუ გლოვადცა ესე და მწუხარებად ზოგად არს, ამისთვისცა, აჰა ესერა⁹⁰⁷, ვითარცა სახილველსა შინა წარმოვიჩინები და წინა-ვპირობ და ვღალადებ განსაცდელისა ამის სიმძიმესა და ვიტყვ „გწყალობ თქუენ, გწყალობ, შვილნო და მოწაფენო ამის ტკბილისა და სახიერისა მამისანო, ხოლო აწ მწარედ დაობლებულნო, მცირედ აღყუავებულნო, ხოლო აწ მსწრაფლ დაქნობილნო, ბრწყინვალედ განათლებულნო და ბოროტად დაბნელებულნო!

⁹⁰⁴ დაგუეკვა – დაგვეკეტა, დაგვეხურა.

⁹⁰⁵ „უცხოთესლი იგი ერი...“ – იგულისხმება ებრაელი ერი.

⁹⁰⁶ იაკობ – პატრიარქი, მოციქული (ბიბლიური პერსონაჟი).

⁹⁰⁷ აჰა ესერა – აი აჰა, აი აგერ, აი აქ.

არამედ, ეკა, რაბამ⁹⁰⁸ კეთილ იყო ვიდრე აქამომდე გზად სიტყვსა ჩუენისად, და, ეკა, რაბამ სანატრელ იყო, უკუეთუმცა ამას პირსა ზედა დასრულდებოდა მოთხრობა ჩუენი. ხოლო ამიერიტგან რად «მოუწოდეთ დედათა მტირალთა», ვითარცა იტყვს იერემია⁹⁰⁹, რამეთუ განსაცდელთა და მწუხარებათა მიერ შეპყრობილისა და აღვსებულისა გულისად სხვთა სახითა ნუგეშინის-ცემად შეუძლებელ არს, არა თუ ცრემლთა მიერ და სულთქუმათა აღსუბუქნეს. უტევეთ უკუე, ნუგეშინის-მცემელნი, უტევეთ და ნუ განამრავლებთ ნუგეშინის-ცემასა, რადთა წრტიალად და მწარედ იგლოონ ობოლთა ამათ, და გულისკმა-ყონ დაჭირვებად ესე, რომელი დაჭირდა მათ, დაღაცათუ არა გამოუცდელ არიან განშორებასა მისსა ღუაწლთა მათ მიერ მოღუაწისათა და ჩუეულთა, რამეთუ გაქსოვს განაღა თუ ვითარ თქუენდა მომართ თქუმულმან ამან სიტყუამან ჩუენმან ღუაწლნი იგი მაღლისა მის კაცისანი მიგითხრნა თქუენ?

მწუხარე იქმნეს ოდესმე ისრაელიტელნიცა⁹¹⁰, რაჟამს-იგი აღიტაცა ზეცად ელია⁹¹¹, არამედ ნუგეშინის-სცემდა განშორებასა მისსა ელისე⁹¹², ხალენითა მოძღურისადათა შემკობილი, ხოლო აწ საღმობად⁹¹³ ესე ზეშთა არს კურნებისა, რამეთუ ელია ამაღლდა და ელისე არა დაშთა. უწყი, რამეთუ არა უმეცარ ხართ სიტყუათა მათ და კმათა იერემიადსთა⁹¹⁴, რომელთა-იგი იტყოდა გოდებით მოოწრებისათვს იერუსალემისა⁹¹⁵; რამეთუ სხუათა მათ თანა გლოვათა მისთა ესეცა შესძინა და თქუა, ვითარმედ: «გზანი სიონისანი⁹¹⁶ იგლოვდითო». და ესე სიტყუად მაშინ ითქუა მის მიერ. ხოლო აწ ჩუენ ზედა აღესრულა, რამეთუ რაჟამს განითქუას ჰამბავი ესე საგლოელი, მაშინ აღივსნენ გზანი, უდაბნონი გოდებითა მგლოვარეთადთა, და მოწაფენი მისნი, შეწუხებულნი მწუხარებითა კმასა მას ნინეველთასა⁹¹⁷ აღუტევებდენ და უფროდს-და უმეტეს მათსა ტკივნეულ იყვნენ და საწყალობელ, რამეთუ გოდებამან მათმან შიში დაქცევისა დაჰქსნა. ხოლო ამათ ბოროტთა დაქსნისა არცა ერთი აქუს სასოებად თვსთა ამათ გოდებათა მიერ.

ვიცი სხუადცა რამდე გოდებად იერემიადსი, შემსგავსებული წიგნსა ფსალმუნთასა, რომელი-იგი წარტყუენვისათვს ისრაელთადას⁹¹⁸ შეჰმზადა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: «მეწნთა ზედა დავჰკიდენით ორღანონი ჩუენნი», რამეთუ დუმილისა მიერ თავთა თვსთა თანა და ორღანონიცა თვსნი დასაჯუნეს. ამას უკუე გოდებასა მეცა განვიჩემებ აწ და ვიგლოვ უფროდს მათსა, რამეთუ ვზი მდინარეთა ზედა ცოდვისათა, და მათგან წიაღმყვანებელი ჩემი არა მაქუს. და ორღანოთა წიგნთა საღმრთოთასა დავჰკიდებ დუმილისა მეწნთა, რამეთუ იტყვს მოციქული პავლე⁹¹⁹: «უკუეთუ თარგმანი არა იყოს, მკითხველი დუმენო». რამეთუ მეწნი ხე არს უნაყოფოდ და, ვინამთგან დაცვვა ტკბილი იგი ცხორებისა ჩუენისა ნაყოფი, არა მეწნი ვიქმნენითა უნაყოფო? ჰე ჰემმარტად. და უქმად და უძრავად ორღანონი იგი მეტყუელებისა ჩუენისანი დუმილისა მიერ შეშათა ზედა დავჰკიდენით.

ხოლო არა ვინ არს, რომელმანცა მოიღო ნაწუეთი ერთი წყლისად და განაგრია ენად ჩემი საღმობიერი და შემწუარი ცეცხლითა მწუხარებისადათა. წარცდა შუენიერებად იგი საწადელი, დადუმნა კმად იგი სავსე სიტკბოებითა, დაიყვნეს ზაგენი იგი ღმრთივ-ბრწყინვალენი, აღფრინდა მაღლი იგი განმაბრძნობელი ჩემი: სადა არიან თუალნი ზეცისა საიდუმლოთა მხილველნი, სადა არნ ყურნი იგი, საღმრთოდსა მის კმისა მსმენელნი, სადა არს ენად იგი წმიდად, ტკბილად მსწავლელი ცოდვილთად სინანულსა, სადა არს ტკბილი იგი მყუდროებად თუალთა მისთად, სადა არს წესიერი იგი დუმილი ზაგეთა მისთად, სადა არს საწადელი იგი მარჯუენე მისი, რომელი კურთხევასა მას პირისასა სასურველთა მათ თითთა თვსთა ჯუარის-წერთა დაჰბეჭდვიდა?

⁹⁰⁸ რაბამ – როგორ.

⁹⁰⁹ იერემია = იერემია – წინასწარმეტყველი (ბიბლიური პერსონაჟი).

⁹¹⁰ ისრაელიტელი = ისრაელი = ისრაილი – ებრაელი – საკუთარი სახელიდან: იზრაილ = ისრაილ – ბიბლიური პატრიარქის იაკობის წოდება.

⁹¹¹ ელია – წინასწარმეტყველი (ბიბლიური პერსონაჟი).

⁹¹² ელისე – ბიბლიური პერსონაჟი.

⁹¹³ საღმობად – ჭირი, ტკივილი.

⁹¹⁴ იერემია = იერემია – წინასწარმეტყველი (ბიბლიური პერსონაჟი).

⁹¹⁵ იერუსალემი = იერუსალიმი – ისრაელის დედაქალაქი.

⁹¹⁶ სიონი – ერთ-ერთი გორაკი, რომელზედაც გაშენებულია ქ. იერუსალიმი; ზოგჯერ თვით ქალაქის სახელწოდება.

⁹¹⁷ ნინეველი – ასურეთის ძველი დედაქალაქის ნინევის მკვიდრი.

⁹¹⁸ ისრაელი = ისრაილი = ისრაელიტელი.

⁹¹⁹ პავლე – მოციქული (ბიბლიური პერსონაჟი).

არამედ აწ გვედრები, შემაშრვენით მე ცრემლნი ჩემნი, დააცხრვეთ გოდებად ჩემი, რამეთუ ვაგრძნობ, ვითარმედ უფროდს ჯერისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა, და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსები. არამედ მოვედით ამიერიტგან და განუსუენოთ სასმენელთა თქუენთა გლოვისაგან და გოდებისა ობოლთადასა და მაშურალთა და საღმრთოთა თხრობათა და ნუგეშინის-ცემისა სიტყუათა მიმართ მივაქციო გონებად თქუენი, დაღაცათუ რაქელ⁹²⁰ დაღადებს, რომელ არს ეკლესიად, და ჳმობს ძლიერად და გოდებს დაობლებისათჳს შვილთა თჳსთადასა.

ვინაჲცა ჯერ-არს, რადთა ამიერიტგან მოვაქციო აფრად სიტყუსა ჩემისაჲ და საეკლესიონი სიტყუანი აღმოვთქუნე, რამეთუ არა მიგუელო ჩუენ მოძღუარი ჩუენი, არცა წარვიდა ჩუენგან, არამედ შორის ჩუენსა მდგომარე არს, დაღაცათუ ჩუენ არა ვხედავთ მას და წმიდასა მას შიდა წმიდათასა შევიდა მამად ჩუენი და შინაგან კრეტსაბმელისა⁹²¹, სადა-იგი წინამორბედად ჩუენდა შევიდა ქრისტე, დაღაცათუ დაუტევა კრეტსაბმელი იგი ჳორცთა თჳსთად, არამედ არღარა სახით და იგავით ჳმსახურებს ზეციერთა მათ, არამედ თჳთ მას ხატსა საქმეთასა განიცდის, არღარა სარკითა და სახითა, არამედ პირსა ღმრთისასა პირის-პირ ხედავს და მეოხ არს ჩუენთჳს წინაშე მისსა შვილთა და მოწაფეთა თჳსთათჳს, და ითხოვს მიტევებასა ცოდვათასა.

განიძარცუნა უკუე ტყავისა იგი სამოსელნი და რამეთუ სამოთხისა მკვდრთა არცა თუ ექმარებიან ესევითარნი სამოსელნი, არამედ იგი სამოსელნი ჳმოსიან მას, რომელნი-იგი სიწმიდითა ცხორებისა თჳსისაჲთა უქსოვნა თავსა თჳსსა და მოიხუნა ღმრთისაგან. ჳემმარიტად, ესევითარისა ამის კაცისა სიკუდილი პატოსან არს წინაშე ღმრთისა და, უფროდს-ღა, არცა თუ სიკუდილ არს, არამედ განხეთქად საკრველთად, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «განხეთქენ საკრველნი ჩემნი». განტევებულ იქმნა სჳმეონ⁹²² და განთავისუფლებულ იქმნა საკრველთაგან ჳორცთადასა, საბრჳე შეიმუსრა. ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგჳპტე, რომელ არს ცხორებად ესე ნივთიერი, და წიად-ვლო არა თუ ზღუად იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუად ამის საწუთროდსაჲ, შევიდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალჳმი, მთასა მას ზედა სიბრძნის-მეტყუელებს ღმრთისა თანა, წარიჳადა ჳამლი სულისაჲ, და, რადთა საღმრთოდთა მით სლვითა გონებისაჲთა წმიდასა მას ქუეყანასა შინა უნივთოდ იმოთხვიდეს, რომელსა-იგი შინა იხილვების ღმერთი და თჳსთა საკუთართა ხედავს და განუსუენებს. ესევითარი ნუგეშის-ცემად გაქუნდინ თქუენ, ძმანო, რომელნი-ეგე ძუალთა იოსებისთა⁹²³ ქუეყანასა მას კურთხევისასა აღიყვანებთ, ესე იგი არს თქუენ, რომელთა-ეგე გუამი წმიდაჲ ამის ნეტარისაჲ მთაწმიდას წარგყავს“.

⁹²⁰ რაქელ – ბიბლიური პატრიარქის იაკობის ცოლი.

⁹²¹ კრეტსაბმელი – ფარდა, რომელიც წმიდათაწმიდას ყოფდა ტაძრის დანარჩენი სივრცისაგან.

⁹²² სიმეონ = სიმონ – ბიბლიის პერსონაჳი.

⁹²³ იოსებ – ბიბლიური პერსონაჳი.

**V. ქართული ორატორული ნიმუშები მხატვრული
ნაწარმოებიდან**

**V. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM
THE NOVEL**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ გვხვდება ორატორული ნიმუში [ქადაგება, თქმული ომარ-ხანის შემოჭრის თაობაზე]⁹²⁴. ნ. კანდელაკი თავის ნაშრომში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“ მსჯელობს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულ ერთ ორატორულ ნიმუშზე „სიტყვა ერეკლე მეორისადმი“⁹²⁵, თუმცა არ ახსენებს კიდევ ერთ ნიმუშს, კერძოდ, „ქადაგება, თქმული ომარ-ხანის შემოჭრის თაობაზე“. რაც შეეხება ორატორული ნიმუშის დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, იგი დარგობრივად მიეკუთვნება სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – ქადაგების ჟანრს.

ნ. კანდელაკი წერს: „საქმე ისეა დახატული, თითქოს ეს სიტყვა თავის დროზე ცნობილ მქადაგებელს იონა ხელაშვილს (1772-1837) უთქვამს მეფის წინაშე. სინამდვილეში, უნდა ვიფიქროთ, სიტყვა შეთხზულია იოანე ბატონიშვილის მიერ, როგორც ერთგვარი ორატორული ნიმუში, რომელიც, ალბათ, არასოდეს არ წარმოთქმულა. „კალმასობა“ დაწერილია 1813-1828 წლებში და მის ფურცლებზე მოთავსებული სიტყვაც ამ პერიოდის ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ისიც შესაძლოა, რომ ეს სიტყვა უფრო ადრე შეიქმნა, თავის დროზე წარმოითქვა კიდევ და შემდეგ „კალმასობის“ მასალად გადაიქცა. ასეა თუ ისე, ხსენებული სიტყვა ი. ბატონიშვილის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს. ეს მართებულია თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვის ენობრივი ფორმა განურჩეველია „კალმასობის“ სადა სიტყვიერი ფორმისაგან და არაფრით არ ჩამოგავს იონა ხელაშვილის ღვლარჭნილ მეტყველებას“⁹²⁶. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსაზრება გამოთქმულია ორატორული ნიმუშის – „სიტყვა ერეკლე მეორისადმი“ – თაობაზე, იგივე შესაძლოა გავავრცელოთ მეორე ორატორული ნიმუშის მიმართაც.

წინამდებარე გამოცემაში იოანე ბატონიშვილის [ქადაგება, თქმული ომარ-ხანის შემოჭრის თაობაზე] გადმოღებულია „კალმასობის“ კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძისეული რედაქციიდან⁹²⁷. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁹²⁴ ბატონიშვილი, ი., კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1936, გვ. 156-163.

⁹²⁵ იხ. შემდეგი პუბლიკაცია.

⁹²⁶ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 36-37.

⁹²⁷ ბატონიშვილი, ი., კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1936, გვ. 156-163.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Ioane Batonishvili's "Kalmasoba" contains an oratorical sample [The sermon on the invasion of Omar-Khan]⁹²⁸. In his work "Georgian Rhetoric: Monuments and Materials", N. Kandelaki discusses one of the oratorical sample preserved in Ioane Batonishvili's "Kalmasoba", "The speech to Erekle II"⁹²⁹, but does not mention another sample, namely, "The Sermon on Omar-Khan". As for the sectoral and genre affiliation of the oratorical sample, it belongs to the field of preaching rhetoric and to the genre of sermon.

N. Kandelaki writes: "The story is told in such a way that this speech was said by the famous preacher of his time Iona Khelashvili (1772-1837) in front of the king. In fact, we have to think that the speech was coined by Ioane Batonishvili as an oratorical sample that was probably never uttered. "Kalmasoba" was written in 1813-1828 and the speech placed on its pages should be considered as a creation of this period. However, it is possible that this speech was created earlier, was even uttered in its time and then became the material of "Kalmasoba". Either way, the mentioned speech should be considered as belonging to I. Batonishvili. This is true even because the linguistic form of the speech is indistinguishable from the plain verbal form of "Kalmasoba" and does not resemble to the lofty speech of Iona Khelashvili."⁹³⁰ Although his opinion is expressed about the oratorical sample – "The speech to Erekle II" – the same may apply to the second oratorical sample.

The present text is taken from "Kalmasoba" edited by K. Kekelidze and Al. Baramidze⁹³¹. We offer an unchanged oratorical sample from the source mentioned above.

⁹²⁸ Batonishvili, I., *Kalmasoba*, Vol. 1, Edited by K. Kekelidze and Al. Baramidze, Sakhelgami, Tbilisi, 1936, pp. 156-163 (in Georgian).

⁹²⁹ See. next publication.

⁹³⁰ Kandelaki, N. (Comp.), *Georgian rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, pp. 36-37 (in Georgian).

⁹³¹ Batonishvili, I., *Kalmasoba*, Vol. 1, Edited by K. Kekelidze and Al. Baramidze, Sakhelgami, Tbilisi, 1936, pp. 156-163 (in Georgian).

ქადაგება

თქმული ომარ-ხანის შემოჭრის თაობაზე

„ვაჰ! სადა ვარ მე და რასა ვხედავ მე! ვხედავ მე ადგილთა იმა წმინდათ მხეცთა განსასვენებელად, სირინოსთა და ეშმაკთა საროკველად⁹³², ხოლო ვირკენტავროსთა⁹³³ დასამკვიდრებელად, შვილთა თქვენთა განსახეთქელად, ცოლთა წარსატაცებლად და სახლებთა თქვენთა წარსატყვევნელად.

ქართველნო, კახნო და იმერნო, დაივიწყეთ თქვენ კეთილმოქმედებად წინაპართა თქვენთა, სული ძველისა პატიოსნებისა, ძმათა ერთსულობისა, მორჩილება მეფისა და ამასთანავე სული მამაცობისაცა განდრევილ იქმნა თქვენგან, ნაცვლად მისა დამკვიდრებულ იქმნა უპატიოვებამ, განცხრომა და ფუფუნებამ და იმათ ჰქმნეს შესაძლებელი წინასწარმისაღებელად მეზობლისად, რომელიცა თვინიერ ამისა შეუძლებელ იყო. საქმემან ამან კადნიერ ჰყო მტერი, შემოხდა იგი მამულად ჩვენდა, და დასთესა მტერობამ ძმათა შორის, სძლივა, დაიმონავა, და მიგვიღო ქონება და განიყვეს ალაფი; თავისუფალნი ძმანი ჩვენნი სჭვრეტთ ყოველსა ამას, მიუშვებთ თვისზედა დადებად ტვირთისა და ქედსა ზედა სახივთა, ვითარცა მონანი და ტყვენი. ესგვარვე, ქართველნო, დაივიწყენით კეთილმოქმედებანი წინაპართა თქვენთანი და მიეცენით რულვასა⁹³⁴ კიდედგან კიდედმდე ქვეყანისა თქვენისანი.

უთანხმოებამან თქვენმან სამგზის ადგილსცა ავარიის მთავარსა ომარხანს⁹³⁵, და შემოხლა მამულად ჩვენდა, დააქცივნა ციხენი, დასწვნა სოფლები, იავარჰყო⁹³⁶, დაატყვევა და უკუნიქცა: აჰა, აწცა პირისპირ ჩვენდა დგას, ვითარცა სახლსა შინა თვისსა, უშიშრად; უთანხმოებამან თქვენმან გააბედვინა საჭურისს აღამამათ-ხანს⁹³⁷, შემოხდა მამულად ჩვენდა, აღიღო სატახტო ქალაქი, წარტყვევნა, დასწო, აღივსო ალაფითა და წარვიდა მშვიდობით; და კვალად იქადა უკუმოქცევასა და აოხრებასა ჩვენსა, მხედველი უძღურისა სულისა ჩვენისა და თვინიერ მდევარისა ლტოლვილთა, რომელთაცა დაუტყვევით სახლნი თვისნი და მიმომრწოდით მათა და ტყეთა შინა, არა მექონნი მიდრეკად თავთა თვისთა. ესეგვართა შემთხვეულებათა შინა არ გიტევათ ღმერთმან დაცემად და მოგივლინათ თქვენ შემწედ ჩრდილოდთ კერძოდ მხედარნი, და მათ ძლით შემოკრბით კვალადვე თქვენსა, გარნა⁹³⁸ მსწრაფლ შემთხვეულთა საქმეთა უკანვე აქცივნეს მხედრობანი თვისნი; და მიზეზითა ამით უფროვე განმხნდა მტერი ჩვენი, და მოვიდა რანსა⁹³⁹ შინა (ყარაბაღს) უმეტესითა ძალითა განძვინებული აღსაოხრებელად ჩვენდა; ყოველთა ამა განწირულებათა შინა და დაცემულებათა არა გვიტევა ჩვენ ღმერთმან დაცემად რომელიცა შემდგომად დაცემისა, ღმერთი კვალად არს უხილავად შემწე და აღმმართველი. იგი არს ნათელი და ნათელი იგი ბნელსა შინა სჩანს და ბნელი მას ვერ ეწივა. მყის განზრახვად უღთოდსა მის ცუდ იქმნა, და მეყსეულად სცა მას ანგელოსმან უფლისამან, და სული წარხდა და იქმნა მატლთაგან შესაჭმელ.

ქართველნო! უკეთუ გექმნებისთ სასოება ღმერთსა ზედა, ესე ავარიის ხანი შეიმუსრება ხელთაგან თქვენთა. ესე ეგეოდენ არა არს საშიშ მტერ თქვენდა, უკეთუ იქმნებით თანახმად, გარნა ურჩება

⁹³² საროკველად – სათამაშოდ.

⁹³³ ვირკენტავროსთა – ვირდები, ვირკაცი, ანუ იპოკენტავროსი.

⁹³⁴ რულვა – თვლენა.

⁹³⁵ ომარხანი – ომარ-ხანი, ავარიელი (გ. 22 მარტი, 1801); დალესტენელი ფეოდალი, ხუნძახის მფლობელი და ავარიის სახანოს გამგებელი. ნურსალ-ბეგის ვაჟი. ომარ-ხანი ხშირად ესხმოდა თავს ამიერკავკასიას, მათ შორის, ილაშქრა 1785, 1787 და 1800 წლებში ქართლ-კახეთსა და იმერეთში.

⁹³⁶ იავარჰყო < იავარყოფა – ხოცვა, ჭლეტა, გაწყვეტა, ამოსვრა, შემუსვრა, მუსრის გავლება, მოსვრა, განადგურება, გაჟუჟვა, აღმოფხვრა, ამოთაქვა, ბოლოს მოღება, მოსპობა, ცეცხლში ამობუგვა, ამოგდება, ალგვა (პირისაგან მიწისა), გალენვა, რბევა.

⁹³⁷ აღამამათ-ხანი = აღა-მაჰმად-ხანი (აზერ. Ağa Məhəmməd-xan Qacar, სპარს. آقا محمد خان آقا محمد آقا Mohammad xān Qājār; 1742-1797 წწ, შუშა) – აღა-მოჰამედ-ხანი მცირეწლოვანი იყო, როდესაც ტყვედ ჩაიგდო და დაასაჭურისა მამამისის – ყაჯართა ტომის მედირ-შაჰის ძემ ადილ-შაჰ ავშარამ. ირანის გამგებელი 1794 წლიდან, შაჰი 1796 წლიდან. ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი.

⁹³⁸ გარნა – მაგრამ, მხოლოდ, არამედ; თუ არა, გარდა, გარეშე.

⁹³⁹ რანი – ჰერეთი, ისტორიული მხარე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

თქვენი კვალადც არა ვიტყვებით განსვენებად. ქართველნო! დაივიწყეთ თქვენ კეთილმოქმედებანი წინაპართა თქვენთანი, იგინი იყვენ თუმცა კირთებასა შინა სხვათა და სხვათა მპყრობელთა მიერ, ესე იგი, ვსთქვათ ძველადგანვე, მაკედონელთაგან, რომაელთაგან, ბერძენთაგან, მეგვიპტელთაგან, სპარსთაგან, სკვიტელთაგან⁹⁴⁰, ოსმალთაგან და ჩინგიზთაგან, გარნა სიყვარული მეფისა, მამულისა და სიმხნე სულისა ვერა დაატევებინეს, იძლივნენ და სძლეს, იდევენ და განდევნეს და ესრეთ მოიგეს ვიდრე აქამომდე უკვდავებისა სახელი. მე ვსჭრეტ აწმყოსა დროსა შინა სახეთა ზედან თქვენსა სხვათა და სხვათა გამოწერილობათა, რომელთამესა მცბიერობასა, რომელთამესა მლიქვნელობასა, რომელთამესა მოტყუებასა, რომელთამესა დაუნდობელობასა, რომელთამესა ანგარებასა და სხვანი. ესე ყოველნი არიან მტერ საშიშ თქვენდა, ესე ყოველნი მოგაუძღურებენ თქვენ, ესე ყოველნი განხრწნიან სიმტკიცესა თქვენსა და უკანასკნელ შეგიქმსთ თქვენ ტკივნეულებასა, ოხვრასა და ვალალებასა. და შემდგომ იტყვი, რომელ ზეცა გვრისხამს ჩვენ. ჩვენ არაოდეს შეგვრისხამს ღმერთი, უკეთუ ჩვენ არა ვამიზეზებთ მას რისხვად ერთგვის, ათგვის, ასგვის და ათასგვის. გარნა მაშინცა მოწყალე არს იგი, და ვინაიდგან მან შექმნა კაცი მიწისაგან, შთაბერა საღმრთო სული, ჰყო მსგავს თვისა პირველი მამა ჩვენი ადამ; და რომელმანცა არა დაიცვა მცნებად მისი, სცთა და წარწყმდა, გარნა მაშინვე შეიწყალა იგი, და განათავისუფლა საკვრელთაგან წყვდიადისგან; ჩვენცა შვილნი მისნი თუმცა ქვეყანასა ამას ზედა მოსილვართ ხორცითა და ძვალთა, არამედ ჩვენ არა ვართ ხორც და არცაღა ძვალი; კაცი არს უკვდავ, კაცი არს არსება უხრწნელისა ბუნებისა, შენიშნულებად მისი არს დიდ და საღმრთო! იმ წინადვე განსაზღვრებულ არს მმუფლებელად ხრწნადისა ქვეყანისა მყოფად ხატად ღვთისა და წარმომჩინებელად მისა ქვეყანასა ზედა. ესრეთ იყო იგი დასაბამით და შემძლებელცა არს კვალად ესე ვითარ ყოფად, შემძლებელ არს მოქცევად პირველ დაწყებასავე შინა დიდებისა თვისისა, გარნა მიწდომისათვის ამა უმაღლესისა საგანისა, არა კმა იქნებიან ძალნი ხრწნადისა ბუნებისანი. არს არსება პირველ საუკუნოვანსა, რომლისაგა სახე გვმოსიეს ჩვენ; სული ყოველგან არს და ყოველსავე

აღავსებს, საუნჯე ყოველთა კეთილთა, წყარო ძლიერებისა, რომელსა შინა იგი ყოველნი შეერთებულ და განუყოფელ არიან. ამა არსებისა და მის მხოლოდსაგან შემძლებელ ვართ ჩვენ მოლოდებად შემწეობისა და შემემცნებისა, ესე კაცთაგან შეუძლებელ არს, ხოლო ღვთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ, ვინადგან ღმერთი კაცისათვის შემდგომად დაცემისა მისისა არს ღმერთი უხილავად და დაუფარავად, და ნათელსა მყოფ არს მიუწომელსა. ამის გამო ჰრქვეს მოსეს⁹⁴¹ ძეთა ისრაილისათა: „მეტყოდე შენ ჩვენთანა, და ნუ მეტყვი ჩვენ ღმერთი, ნუ უკვე მოვსწყდეთ“. „ღმერთი არავინ სადა იხილა, გარნა მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქვა“. მხოლოდ შობილი ძე ესე მოსაყდრე მამისა, იგი არს მეოხ ჩვენდა, რომელსა შინა ნათელი ღვთაებისა ღმობიერ არს თვალთათვის მოკვდავთა; იგი არს ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალი სოფლად; იგი არს წყარო საღმრთოთა კეთილობათა; უფალი და მეუფე ყოველთა არსთა, რომლისაგან ყოველივე შეიქმნა და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა, მის მიერ გამოვალს ძალი, მიმნიჭებელი ყოველთა ქმნულთა სიმრთელისა და ცხოვრებისა, და არცაღა არს სახელი სხვად ცასა ქვეშე მოცემული კაცთა, რომლითაცა ჯერ იყო ცხოვრება ჩვენდა, რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელი ღვთისა და კაცთა. გვიღირს ჩვენ მხოლოდ ცხადითა და დაუბნელებელითა თვალთა აღხილვად ხილულსა ზედან ბუნებასა⁹⁴², რათამცა ვიხილეთ იგი და გვრწმენეს მისა. ცანი და ქვეყანანი კეთილ მოთხრობლობენ მისთვის და ყოველნი განცხადებანი ხილულისა სოფლისანი არიან ბრწყინვალეებისაგან დიდებისა მისისა, მაჩვენებელნი გვისა მისისანი. იესო ქრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე. ვითარცა შეიყვარა მან კაცი დასაბამიდგან სოფლისა, ეგრეთვე ჰყვარობს მას დასასრულადმდე ქვეყანისა, და კეთილსა გვიყოფს თვითეულსა ჩვენგანს თანასწორ, ვითარცა პირველ ყოველთა კეთილთა უყოფდა, ესრეთ იქმს იგი დღეინდელად დღედმდე და ვიდრე დასასრულადმდე ქვეყანისა, იგი ჩვენ ყოველთათვის აღთქმულ არს, და დროდცა მოსვლისა მისისა მოახლებულ არს ყოველთათვის, ვინმცა უკვე გამზადებულ არს მიღებად მისსა, ვინმცა ისურვის მოსვლასა მისსა და დასდებს სასოებას მას ზედა და ყოვლითა გულითა სწადნოდს მას, ვინმცა შეიყვარებს მას, და მცნებათა მისთა დაიმარხავს, მისთანა

⁹⁴⁰ სკვიტელი = სკვითელი = სკვიტი – ძველირანული მოდგმის ტომი, მოსახლეობდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.

⁹⁴¹ მოსე – ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და ბელადი (ბიბლიის პერსონაჟი).

⁹⁴² ბუნება – თვისება, აგებულება.

დაემკვიდრების, მისთანა იწყების, მისთანა იშობების, მოკვდების და აღსდგების მისთანა უბრუნელებითა და მიიღებს ხელმწიფებას ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; და მას უწოდს საღმრთო წერილი ხაიდუმლოდ, ქრისტე ჩვენ შორის, გარნა რაოდენ შეუძლებელ არს სურვად კეთილისა მის, რომელიცა ჩვენ არა უწყით. და ვინააღგან საიდუმლოობითი სიტყვა, მეტყველი მისთვის გულსა შინა თვითეულისა კაცისათა, არა საკმაოდ ცხად არს და ყურად საღებელ ყოველთვის, მაშასადამე სრულიად საჭირო არს, რათამცა სხვანი კეთილმოთხრობლობდენ მისთვის და ქადაგებდენცა მას. შემძლებელ ვინმე არსა რწმენად მისთვის, რომლისათვისცა მას არაოდეს სმენიეს? ესე უწყოდინ ყოველთა მეცნავთა ბუნებისა და მზურემელთა ღვთისათა და ამისთვის მეცადინეობდიან სხვითა და სხვითა სახით უწყებად და კეთილ-მოთხრობად მისთვის. ამისთვის შვილნი ადამისნი შესწირვიდიან მსხვერპლებთა და დროსაცა ენუქისა⁹⁴³ იწყეს მოწოდებად სახელსა უფლისა ღვთისასა, ამისთვის აბრაჰამ⁹⁴⁴ და ისაკ⁹⁴⁵ მოუწოდინ სახელსა უფლისასა; ამისთვისვე მოსემ ჰქმნა საკურთხეველი ზემო კიდობნისა ოქროსაგან წმინდისა და განაწესა ღვთისმსახურებად, რათა ერნი მით ადვილადვე შემძლებელ იყვნენ წარმოდგენად თვის შორის მარადის თანად-ყოფად მისა, რომლისაგანცა მადლი და ჭემმარიტებად სოფელსა შინა იქმნა და რომლისათვისცა იკურთხებოდინ ყოველნი ტომნი ქვეყნისანი. ამისთვის სოლომონ⁹⁴⁶ აღუმენა უფალსა ტაძართ, ამისთვის წინასწარმეტყველნი ქადაგებდიან, ამისთვის ქადაგებდა იოანე⁹⁴⁷ უდაბნოსა შინა იუდიანთასა, ამისთვის თვით ქრისტემანცა მოვლო სრულიად ურიასტანი⁹⁴⁸, ქადაგებდა უბნებთა და მათათა ზედა, ხომალდთა, ტაძრებთა და სასწავლებლებთა შინა, იქმნადა სასწაულებთა და საკვირველებთა მრავალთა, რათა იხილონ და ისმინონ, რამეთუ იგი არს, რომელსაცა მამანი მათნი ესვიდეს; ამისთვის მოციქულთაც მოვლეს ყოველი უკვე ქვეყანა და ასწავებდიან ყოველთა უკვე წარმართთა შევრდომილ იქმნებოდინ ყვედრებათა ქვეშე, და არცალათუ შიშობდიან სიკვდილისაგან. ესახედვე სხვათაცა უკვე წმინდათა სახელნი. ესახედვე წმინდამან დავით აღმაშენებელმან⁹⁴⁹ სამნი როინნი მოსახლენი სამთა მდინარეთა ზედა, ას-ასიათასის კომლის კაცით, ქართლს, სურამიდამ ვიდრე განჯამდე მპყრობელი, მტკვრის პირზედ მოკიდებით მოსახლეობდენ. მეორე, თიანეთიდამ ვიდრე განჯამდე, ივრისა პირსა ზედან მოსახლეობდენ. მესამე პანკისიდამ ვიდრე განჯამდე, ალაზანს ზედან მოსახლეობდენ. ისინი ყოველ დღე არბევდენ მამულთა ჩვენთა, აღაოხრეს სრულიად ქვეყანა ესე და ცალიერ ყვეს. გარნა ღმერთი, რომელიც მარად მწე იყო ჩვენ ყოველთა, ამ წმინდამ მეფემ დავით შემუსრნა იგინი და განაბნივნა და კვალად მოგიყვანნა თქვენ სადიდებლად თვისად. უკანასკნელ მეფემან მეორემ ირაკლი განსდევნა ოსმალნი და თავისუფალ გვეყნა, გარნა, ქართველნი, დაივიწყეთ კეთილმოქმედებანი წინაპართა თქვენთანი, არამედ არა ყოველთა. ესრეთ არა ყოველი თესლი გამოსცემს ნაყოფს. აჰა ესერა გამოვიდა მთესვარი თესვად, და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა; მოვიდეს მფრინველნი ცისანი, და შეჭამეს იგი. და სხვა დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად და მეყვსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა, მზე რა აღმოვიდა, დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაეზნეს განხმა. სხვა იგი დავარდა ეკალთ შორის, აღმოცენდეს ეკალნი, შეაშთვეს იგი. რომელნიმე დავარდა ქვეყანასა კეთილსა, მოსცემდა ნაყოფსა, რომელნიმე ასსა, რომელნიმე სამეოცსა, რომელნიმე ოცდაათს. ხოლო თესლი იგი გამოიღებს ნაყოფს კეთილს, რომელიც დაეცა კეთილსა ზედა ქვეყანასა. პირველ იმითა ჩვენც ვიყვენით ქვეყანა კეთილ, გამომცემელი კეთილის ნაყოფისა, ხოლო აწ ვართ ჩვენ დამაბრკოლებელ გამოღებად კეთილისა ნაყოფისა მით, რამეთუ დაუტევეთ ჩვენ კეთილი და შეუდეგით ბოროტს, შეურაცხვევით სიყვარული ღვთისა, შევიყვარეთ ამაოება, სოფლიური განცხრომა, დავსტკბით გემოთ-მოყვარებასა შინა; გულნი ჩვენნი აღივსნეს ანგარებით, თვალნი ჩვენნი დაიწუნნეს კეთილისთვის, სასმენელნი ჩვენნი არღა მივაქციეთ საღმრთოთა თხრობათა ზედა, და მსგავს ვიქმნენით პირუტყვთა უგუნურთა,

⁹⁴³ ენუქი = ენოქი (ებრ. חֲנוֹך, Hānōk – „მასწავლებელი“) ადამის შვილიშვილი, კენის მხრიდან (ბიბლიური პერსონაჟი).

⁹⁴⁴ აბრაჰამ = აბრაამი – ბიბლიური პერსონაჟი, ძველი სამყაროს პატრიარქი და ებრაელებისთვის მამამთავარი, მოხსენებული ძველ აღთქმასა და ყურანში (ბიბლიური პერსონაჟი).

⁹⁴⁵ ისაკ = ისააკ – აბრაამისა და სარას აღთქმული შვილი (ბიბლიური პერსონაჟი).

⁹⁴⁶ სოლომონ – სოლომონი (ებრ.: שְׁלֹמֹה), ზედწოდებით სოლომონ ბრძენი, ისრაელის სამეფოს მეფე ძვ. წ. 965-928, დავითის ძე და თანამმართველი; მიეწერება ბიბლიური პოეტური ნაწარმოები „ქება-ქებათა“ (ბიბლიური თხრობით).

⁹⁴⁷ იოანე – იოანე ნათლისმცემელი.

⁹⁴⁸ ურიასტანი – პალესტინა.

⁹⁴⁹ წმინდამან დავით აღმაშენებელმან – დავით IV, აღმაშენებელი (1073-1125 წწ.) – საქართველოს მეფე (1089-1125 წწ.-ში).

წმინდათ აღწერეს საღმრთო წერილნი, გვასწავეს ნათლად მსახურება ღვთისა, მეფის და მამულისა, მორჩილება დედ-მამის, მწყემსთ-მთავართა, ეგრეთვე სიყვარული მეზობელთ, მოყვასთა ჩვენთა. თანხმობა ურთიერთის კეთილთა ზედა. მათ მიიღეს სიბრძნე და ძალი მეცნიერებისა, სიწმინდე, ნეტარება სულისა წმინდისა მიერ; მათ გვიქადაგეს, გვასწავეს ჩვენ, რათა დაადგინონ კაცნი გზას ზედა ნეტარებისა. ესაახედვე მამულსაც ჩვენსა მოვიდნენ ნებითა ღვთისა წმინდანი, გვაცნობეს ძალი საიდუმლოებისა ღვთისა. გზა ჭეშმარიტებისა გვიჩვენეს ჩვენ. მოგვაქცივნა კერპთმსახურებისაგან წმინდამან მოციქულმან ღვთისმშობლისამან, მერეთ გვასწავეს, გვიქადაგეს ათორმეტთა მამათა, ასურეთიდან ღვთის-მშობლისგანვე მოვლინებულთა, ეგრეთვე გვასწავეს და გვითარგმნეს საღმრთო წერილნი ძველის და ახლის სჯულისა წმინდათა მამათა ჩვენთა ქართველთა, წმინდამან ილარიონ კახელმან⁹⁵⁰, გიორგი მთაწმინდელმან⁹⁵¹ ქართველმან, ევთიმე ქართველმან⁹⁵², და სხვათა ფილოსოფოსთა ჩვენთა ელინთ⁹⁵³ ენისაგან. ეგრეთვე მეცადინეობდენ მეფენი ჩვენნი და მოიყვანეს ქრისტიანობაში დაშთომილნი ერნი საქართველოსნი, ესე იგი, მთის კაცნი, ძურძუკნი⁹⁵⁴, მთიულნი, ფშაველნი, ხევსურნი და თუშნი. განეწყვნენ მტერს და მოძულეს ქრისტიანობისას დიდთა ხელმწიფეთა სპარსისა და ოსმალისა, იტანჯნენ ქრისტესთვის, იგვემნენ, მოიკლნენ: არჩილ მეფე, ლუარსაბ მეფე, ქეთევან დედოფალი, დიმიტრი თავდადებული, მეფე ვახტანგ მოწამე და სხვანიც, რომელნიმე გვემით, რომელნიმე პყრობილებით შესცვივდენ პირად-პირადსა განსაცდელში. ეგრეთვე ქართველთ თავადნი ეწამნენ თქვენისათვის არგვეთისა: ქსნის-ერისთავნი⁹⁵⁵, ჩოლოყაშვილი⁹⁵⁶, რანის-მთავარნი⁹⁵⁷, ველის-ციხის მთავარნი, ეგრითის მთავარნი და სხვანი, რომელნიც მოხსენებულ არიან სვინაქსარს⁹⁵⁸. მიმხელნი მისნი, ვსელ-ვთქუამთ თავისუფლებისთვის და მივისწრაფით მისდამი, არამედ ვშთებით ჩვენ ტყვეობასა და მონებასა შინა ცოდვისასა. თუმცა ვმეცადინეობთ ჩვენ ურთიერთისადმი თანხმობასა, გარნა შური და სიძულილი და ცუდ-დიდებობაჲ, რომელიცა დამკვიდრებულ არს ჩვენთანა, არა გვიტევენს ჩვენდა სიტყვასა, რომელსა ვიტყვი, არა დაადგრების ჩვენ შორის; და ესე არს მიზესი დაბრკოლებისა, ვითარცა მოციქულიცა იტყვის: რამეთუ ხორცთა გული უთქვამს სულისათვის და სულსა ხორცთათვის, და ესენი მხდომ არიან ურთიერთარს; უკეთუ ხორცი მოკვდების კეთილისა საქმისთვის, სული განცხოვლდების, და უკეთუ სული მოკვდების ბოროტისთვის, ხორცი იტანჯების, და ესრეთ ორნივე მონაწილეობენ მისაგებეთა შინა კეთილისა და ბოროტისა. თქვენ, ერთის დედის შვილნი (ესე იგი, ერთის ქვეყნის შვილნი) ნუ მიჰბაძვთ მათ, რომელნი არ შეიწყნარებენ სულსა ღვთისასა. უზომოდთა თვითმოყვარებითა, თვითრჩულობითა, მომაცთუნებლობითა, დიდებისმოყვარებითა, თავხედობითა, ანგაარებითა⁹⁵⁹, შურითა, სიძულვილითა, ცრუ-ბეზლობითა. ესე ვითართა ბოროტთაგან ივლტოდეთ, რათა არა იგმოს ქადაგებაჲ იგი სახარებისა, და გაქვდინ სასოებაჲ ღვთისა ზედა, და მისგან მიიღეთ სასყიდელი. ერჩდით ხორციელთა უფალთა თქვენთა, ნე ეძიებთ ორთა უფალთაგან მიღებად სასყიდლისა, რამეთუ არვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხვა იგი შეიყვაროს, ანუ ერთისა

⁹⁵⁰ წმინდა ილარიონ კახელი – სავარაუდოდ, იგულისხმება ილარიონ ქართველი (822-882 წწ.) – ქართველი სასულიერო მოღვაწე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი, ხსენების დღე არის ძველი სტილით 19 ნოემბერი, ახალი სტილით 2 დეკემბერი.

⁹⁵¹ გიორგი მთაწმინდელი = გიორგი ათონელი (1009-1065 წწ.) – ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი; ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი; საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი.

⁹⁵² ევთიმე ქართველი = ექვთიმე (ეფთჳმე) მთაწმინდელი = ექვთიმე ათონელი – (955-1028 წწ.) – ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, 1005-1019 ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი.

⁹⁵³ ელინთ – ელ[ლ]ინი, ელ[ლ]ენ[ნ]ი, ბერძენი.

⁹⁵⁴ ძურძუკნი – დურძუკნი, კავკასიური ტომი, მოსახლეობდნენ ხევიდან დიდოეთამდე.

⁹⁵⁵ ქსნის-ერისთავნი – იგულისხმება შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

⁹⁵⁶ ჩოლოყაშვილი – იგულისხმება ბიძინა ჩოლოყაშვილი.

⁹⁵⁷ რანის-მთავარნი – იგულისხმება ჰერეთი, ისტორიული მხარე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

⁹⁵⁸ სვინაქსარი – ტიპიკონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, რომელშიც მოცემულია წმინდანთა, მოწამეთა და დღესასწაულთა თორმეტი თვის ყველა დღეზე გაწყობილი კალენდარი, გავრცობილი მათი ბიოგრაფიული და ისტორიული ცნობებით და ლიტურგიკული მითითებებით ტროპარებზე, კონდაკებზე, ლიტანიაზე და სხვა.

⁹⁵⁹ ანგაარი = ანგაპარი, ანგარი – ხარბი, გაუმადარი.

მის თავს იდვას და ერთი იგი შეურაცხყოს. ვერ ხელეწიფების ღვთისა მონებად და მამონასა. ესრეთვე ჩვენ თავით თვისით მოკლებულ ვჰყოთ უმვირფასესსა საუნჯესა და ნეტარებასა ჩვენსა თვით ვჰყოფთ თავთა თვისთა უბედურად. ნუ ვსცთებით, ძმანო ჩემნო, რამეთუ სოფელი ესე ყოვლითურთ შვენიერებითა თვისითა წარხდების და ჩვენცა გარდვიცვალებით. ყოველივე მსოფლიური დიდება და ქონება აქა დაშთების, ხოლო კეთილისა საქმე თანა წარგვეყვების. ვსდგეთ კეთილად, მოვიგოთ სიყვარული ურთიერთისადმი, შეუდგეთ კვალსა წინაპართა ჩვენთასა, მორჩილ და ერდგულ ვექმნეთ მეფეთა ჩვენთა! აჰა მეფის ძე, რომელიც აწ მზა არს ერდგულობისთვის მამულისა დანთხეულ სისხლისა თვისისა. ეგრეთცა თქვენ თანაგამთ ქმნად ამისა; ოდესცა ველი განმზადებულ არს, მაშინ დროდ მოწევნილ იქმნების დათესვად, რათა გამოვიდეს მთესველი და არა ყოვნოს.

გარნა საჭირო არს ესეცა, რათა ამის ძლით მოუგოთ თავთა ჩვენთა ბედნიერებად, მივიღოთ სახედ ნინეველთა⁹⁶⁰ და ესრეთ სინანულით მოუწოდოთ ღმერთსა და ერთობით ვევედრნეთ და ვსთქვათ: ვსცოდეთ და უსჯულო-ვიქმენით დხ სიცრუე ვყავთ წინაშე შენსა, და არა დავიმარხეთ აწ, არცა ვყავთ, მეუფეო, ვითარ იგი შენ გვამცენ ჩვენ, გარნა ნუ მიმცემ ჩვენ ხელთა უცხო თესლთასა სრულიად, მაღალო ღმერთო მამათა ჩვენთაო! და მერე მტკიცედ უკვე სდგეთ, მოირტყენით წელნი თქვენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისა, და შეისხენით ფერხთა თქვენთა განმზადებულებად სახარებისა მის მშვიდობისა ყოველსა შინა; აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად, და ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა დაიდგეთ, და მახვილი იგი სულისა, რომელ არს სიტყვა ღვთისა, ესრეთ განვედით წყობად მტრისა, მეოხებითა წმინდისა ღვთის-მშობელისა და ქართველთ-განმანათლებელისა ნინოსითა⁹⁶¹, და მთავარმოწამისა წმინდისა გიორგისათა და წმინდათა მეფეთა ჩვენთათა ვედრებითა შეგიწყალნეს ღმერთმან, დაგიცვნეს და განგარინნე ხელთაგან დევთა და ვირკენტავროსთასა, აწ და უკუნისამდე, ამინ.“

⁹⁶⁰ ნინეველი – ასურეთის ძველი დედაქალაქის ნინევიის მკვიდრი.

⁹⁶¹ ქართველთ-განმანათლებელისა ნინოსითა – წმინდა ნინო – ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში 323 წლიდან, მოციქულთასწორი.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ გვხვდება ორატორული ნიმუში [შესხმა, თქმული ერეკლე II-ისადმი]⁹⁶². ამასთან, ნ. კანდელაკი აღნიშნული ნიმუშის სათაურს მოიხსენიებს, როგორც „სიტყვა ერეკლე მეორისადმი“. სინამდვილეში კი, ესაა მეფის შესხმა, რასაც ადასტურებს უშუალოდ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოყვანილი შესავალი სცენა, სადაც ორატორი თავის გამოსვლას „შესხმას“ უწოდებს⁹⁶³. შესაბამისად, მართებული იქნება, თუ ორატორულ ნიმუშს დარგობრივად მივაკუთვნებთ სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – შესხმის ჟანრს.

იოანე ბატონიშვილის [შესხმა, თქმული ერეკლე II-ისადმი] წარმოადგენს მეფის მჭევრმეტყველურ ხოტბას. „კალმასობის“ ავტორის მიერ სიტყვა მიეწერება ისტორიულ პიროვნებას იონა ხელაშვილს. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი ი. ბატონიშვილის ნაშრომის პერსონაჟია და არა მხოლოდ ეს სიტყვა, არამედ დიალოგების დიდი ნაწილი წარმოდგენილია მის „სახელსა ზედა“, როგორც თვითონ ამბობს ერთ პირად წერილში⁹⁶⁴. ამ საბუთით ეს სიტყვა „კალმასობის“ ავტორის (და არა პერსონაჟის) ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ი. ბატონიშვილმა მართლაც გამოიყენა მასალის სახით ი. ხელაშვილის რომელიმე ორატორული ნიმუში. ნ. კანდელაკი თავის ნაშრომში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“ მსჯელობს „კალმასობაში“ დაცულ ამ ორატორულ ნიმუშზე და მის ავტორად იოანე ბატონიშვილს მიიჩნევს⁹⁶⁵.

იოანე ბატონიშვილის [შესხმა, თქმული ერეკლე II-ისადმი], როგორც ორატორული ნიმუში, გამოქვეყნდა ნ. კანდელაკის წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“⁹⁶⁶. წინამდებარე ტექსტი გადმოღებულია „კალმასობის“ კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციიდან⁹⁶⁷. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁹⁶² ბატონიშვილი, ი., კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, სახელგამი, 1936, გვ. 177-179.

⁹⁶³ იქვე, გვ. 177.

⁹⁶⁴ კარიჭაშვილი, დ., დამატებითი შენიშვნა, საქართველოს არქივი, წიგნი II, ტფილისი, 1927 წ., გვ. 187.

⁹⁶⁵ კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958, გვ. 36-37.

⁹⁶⁶ იქვე, გვ. 250-252.

⁹⁶⁷ ბატონიშვილი, ი., კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, სახელგამი, 1936, გვ. 156-163.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Ioane Batonishvili's "Kalmasoba" contains an oratorical sample [The Praise to Erekle II]⁹⁶⁸. However, N. Kandelaki refers to the title of the sample as "a speech to Erekle II." In fact, this is the meeting of the king, which is directly confirmed by the introductory scene quoted in Ioane Batonishvili's "Kalmasoba", where the orator calls his speech a "Praise"⁹⁶⁹. Accordingly, it would be correct to attribute the oratorical sample to the field of festive rhetoric, and to the genre of praise.

Ioane Batonishvili's [Praise said to Erekle II], is a eulogy to the king. The speech is attributed to the historical figure Iona Khelashvili by the author of "Kalmasoba". As is well known, he is the character of I. Batonishvili's work and not only this speech, but also a large part of the dialogues are presented above his "name", as he himself says in one personal letter⁹⁷⁰. With this document, this praise should be considered as the creation of the author (and not the character) of "Kalmasoba", although it is possible that I. Batonishvili really used I. Khelashvili's rhetorical samples as a material. N. Kandelaki in his work "Georgian Rhetoric: Monuments and Materials" discusses this oratorical sample preserved in "Kalmasoba" and considers Ioane Batonishvili as its author⁹⁷¹.

Ioane Batonishvili's [The Praise to Erekle II], as an oratorical sample, was published by N. Kandelaki in his book "Georgian Rhetoric: Monuments and Materials"⁹⁷². The present text is taken from "Kalmasoba" edited by K. Kekelidze and Al. Baramidze⁹⁷³. We offer an unchanged oratorical sample from the source mentioned above.

⁹⁶⁸ Batonishvili, I., *Kalmasoba*, Vol. 1, Edited by K. Kekelidze and Al. Baramidze, Sakhelgami, Tbilisi, 1936, pp. 177-179 (in Georgian).

⁹⁶⁹ *Ibid*, p. 177.

⁹⁷⁰ Karitchashvili, D., Additional note, *Archives of Georgia*, Book II, Tfilisi, 1927, p. 187 (in Georgian).

⁹⁷¹ Kandelaki, N. (Comp.), *Georgian rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, pp. 36-37 (in Georgian).

⁹⁷² *Ibid*, p. 250-252.

⁹⁷³ Batonishvili, I., *Kalmasoba*, Vol. 1, Edited by K. Kekelidze and Al. Baramidze, Sakhelgami, Tbilisi, 1936, pp. 156-163 (in Georgian).

შესხმა

თქმული ერეკლე II-ისადმი

„უმაღლესო და უმოწყალესო ხელმწიფე⁹⁷⁴ და მეფე ქართლისა-კახეთისაჲ, მქონებელო ერევნისა-განჯისა⁹⁷⁵, და მპყრობელო ყაზახ-ბორჩალოს⁹⁷⁶, ფამბაკ-შამშადილისა⁹⁷⁷ და სხვათა და სხვათა...“

საკმეველნი წმინდათა ტაძართა შინა ღვთისათა, თქვენ მიერ შეწირულნი და დაკმეულნი, სულად სურნელად აღიწივნეს ღვთისადმი და ნაცვლად მისა გარდმოივლინეს თქვენდა მაღლი მძლეველობისანი, რომლითაცა ყოვლად უმაღლესმან ძალმან დაგვირგვინებულყო მხედარი და საჭურველი შენნი. ამამან ავარიის ხანმან⁹⁷⁸ მოიდრიკა წინაშე შენსა ძლეული თავი თვისი და სირცხვილეული ივლტვის პირისაგან შენისა. ბრძოლისა ღრუბლითა დაფარულთა ადგილთა ზედა აღმოზრწინდა ნათელი კურთხეულისა მშვიდობისა; სატახტომან ქალაქმან ამან განიდარცვა ხატი თვისი, დაფარული მხცოვანებითა, და შეიმოსა სახედ სიჭაბუკისა; და ესრეთ მხიარულებით მცხოვრებნი ამას შინა მოისწრაფიან აღტყინებულნი სულითა და აღტაცებულნი სიხარულითა მოლოცვად უმაღლესობისა თქვენისადმი. და გიგალობენ ქებასა გალობისასა და გიძღვნიან დიდებასა წინაპართა შენთასა და შეგამგზავსებენ დიდსა პაპასა შენსა დავით წინასწარმეტყველსა⁹⁷⁹ სიყვარულსა შინა ღვთისასა და სიმხნითაცა, რომელმან დასცა ძალი საღმრთოთა ტყორცითა შურდულისათა გოლიათი⁹⁸⁰ და მით განარინა ერი ისრაელთა ხელთაგან მისთა; ეგრეთვე თქვენცა სარწმუნოებითა და კეთილმსახურებითა შეთხზე შურდული და დაიშურდულენ სასოება შენი ღვთისა მიერ, სტყორცენ ზვავსა მას სისხლმწყურიელსა გოლიათს და შემუსრე უსჯულო თავი მისი და განმარინენ ჩვენ უცხო თესლთაგან. ამისთვის ჩვენ ნეტარად ვრაცხთ საუკუნესა ამას და ვჭვრეტთ შენ ტკბილსა მამასა და ვსტკბებით ამით; გარნა⁹⁸¹ ჩვენ უღონო ვართ ღირსად ქებისა შენისა, და ითხოვს საჭიროებაჲ შემთხვევისა ამისთვის ძველთა ფილოსოფოსთა სადიდებელად თქვენდა: პლატონს⁹⁸², ლომერს⁹⁸³, სოლონს⁹⁸⁴, ვირლილიას⁹⁸⁵, ციცერონსა⁹⁸⁶, კურციოს⁹⁸⁷, ოვდის⁹⁸⁸, ბარდონს⁹⁸⁹ და ცხრათა მუზათა⁹⁹⁰, მეკრებულთა პარნასის⁹⁹¹ მთასა ზედა, რათამცა თვითეულნი მათგანნი ნაყოფით ბუნებითა ნიჭთა⁹⁷⁴ ხელმწიფე – იგულისხმება ერეკლე II (1718-1798 წწ.), მეფე კახეთისა (1744-1762 წწ.-ში) და ქართლ-კახეთისა (1762-1798 წწ.-ში).

⁹⁷⁵ ერევან-განჯა – ერევნისა და განჯის სახანოები, ერეკლე II-ის მოხარვე ქვეყნები საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით.

⁹⁷⁶ ყაზახ-ბორჩალო – ქართლ-კახეთის საზღვრებში შემავალი მხარეები XVIII ს.-ის მეორე ნახევარში.

⁹⁷⁷ ფამბაკ-შამშადილი = ბამბაკ-შამშადილი – ქართლ-კახეთის საზღვრებში შემავალი მხარეები XVIII ს.-ის მეორე ნახევარში.

⁹⁷⁸ ავარიის ხანი – იგულისხმება დადესტნის ერთ-ერთი მფლობელი ნურსალ-ბეგი = ხუნძახის ბატონი, რომელიც XVIII ს.-ის 60-იან წლებში რამდენჯერმე დაამარცხა ერეკლე II-მ.

⁹⁷⁹ დავით წინასწარმეტყველი – ებრაელთა მეფე (ბიბლიის პერსონაჟი).

⁹⁸⁰ გოლიათი – „ბოროტი ძალის“ გამომხატველი სახე, რომელიც უპირისპირდება „კეთილი ძალის“ გამომხატველ დავით წინასწარმეტყველს (ბიბლიური თხრობა).

⁹⁸¹ გარნა – მაგრამ, მხოლოდ, არამედ; თუ არა, გარდა, გარეშე.

⁹⁸² პლატონი (ძვ. წ.-ით 427-347) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი.

⁹⁸³ ლომერი = ჰომეროსი (ძვ. წ.-ით IX ს.) – დიდი ბერძენი პოეტი, ავტორი ილიადისა და ოდისეისა.

⁹⁸⁴ სოლონი (ძვ. წ.-ით 639-559) – ბერძენი სახელმწიფო მოღვაწე და კანონმდებელი.

⁹⁸⁵ ვირლილია = ვერგილიუსი (ძვ. წ.-ით 70-19) – დიდი რომაელი პოეტი.

⁹⁸⁶ ციცერონი (ძვ. წ.-ით 106-43) – გამოჩენილი რომაელი ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე.

⁹⁸⁷ კურციოსი, კვინტუს რუფინუსი (ახ. წ.-ით I ს.) – რომაელი ისტორიკოსი, ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის ავტორი.

⁹⁸⁸ ოვდი = ოვიდიუსი (ძვ. წ.-ით 43 - ახ. წ.-ით 17) – დიდი რომაელი პოეტი.

⁹⁸⁹ ბარდონ – იოანე ბატონიშვილის მიერ დამოწმებული პიროვნება („კალმასობა“).

⁹⁹⁰ ცხრა მუზა – ხელოვნების სხვადასხვა დარგის მფარველი ღვთაებანი (ბერძნული მითოლოგიური თხრობით).

⁹⁹¹ პარნასი – მთა საბერძნეთში, მეცნიერებისა და ხელოვნების ღმერთის აპოლონისა და მისი ხელქვეითი მუზების სამყოფელი.

უმაღლესობისა შენისათა მიაწერდენ ქებასა და მადლობასა და ესრეთ დაატკობდენ სასმენელთა ჩვენთა.

არამედ ჩვენცა ერთბამად⁹⁹² შეძლებისამებრ ჩვენისა ვმოხარულობთ და ნათლითა დღესასწაულობისათა ვდღესასწაულობთ ტაძარსა და პალატსა ამას შინა და ვიტყვი: მოვედით თაყვანისცემად უფლისა ზეციურისა სამღვდელთა მთავრისად და ღვთივ დაგვირგვინებულისა მეფისად, უკეთილმსახურისა უფროს წარმართთა მეფეთა ქვეყანისათა.

უფალმან დაიცვას მეფობა მუნი ჯვართა ჭემმარიტებისათა და სკიპტრიტა კეთილმოქმედებისათა, და მით უძლოდერსა შენსა, ვითარცა მოსე⁹⁹³ ისრაილთა, და ვითარცა ისო ნავეს-მე⁹⁹⁴, იქმენ ამაღლებულ სკიპტრიტა, ვითარცა ალექსანდრე⁹⁹⁵ ბერძენთა შორის და ჯვართა, ვითარცა დიდი კონსტანტინე⁹⁹⁶ მორწმუნეთა მეფეთა შორის; მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის, და ბრძენ, ვითარცა სოლომონ⁹⁹⁷ მეფეთა შორის; თავ-დადებულ ვითარცა დიმიტრი⁹⁹⁸ ქართველთა შორის; მართალ, ვითარცა ღმერთი ღმერთთა შორის და საყვარელ, ვითარცა ქრისტე მართლმადიდებელთა შორის. გაკურთხოს შენ უფალმან და დაგიცვას შენ საყდარსა ზედა მეფობისა შენისასა ნათესავითგან ნათესავადმდე; და იყავნ შენ ზედა საღმრთო მადლი, სულისა წმინდისაგან დამტკიცებული და დაუბრკოლებელ სულიერსა შინა დიდებასა შენისა მსახურებისასა, და აყვავდეს დღეთა შინა შენთა საქართველო მშვიდობითა და დიდებითა, და გეწოდებოდეს მეფე მშვიდობისა და განსვენებისა და მყუდროებისა, ვითარცა მამასა შენსა სოლომონს. უფალმან მარჯვენითა შენითა კეთილად განაგოს მცა ყოველნი საქმენი ხელთა შენთანი. უფალმან გამოგირჩიოს შენ ერად გულისამებრ თვისისა და განიხილოს მცა შინაგანნი სულისა შენისა კეთილობანი, და იყო შენ დღეგრძელ ქვეყანასა ზედა, და იყოს შენდა სიხარული და თხეული და ქვეშევრდომთა შენთა ზედა ზეციურისა კურთხევითა და შეწყნარებითა. და მხიარულებად ჩვენი სრულ იქმნეს შენ შორის, და მხიარულებად ესე ჩვენი ნურცა ვისგანმე იყოს მცა აღსახოცველ, ხოლო ჩვენ დასამტკიცებლად ამისა დაუფენთ ერთგულსა გულსა ჩვენსა საღმრთოსა ტერფსა შენსა სარწმუნოებითა, მორჩილებითა და სიყვარულისა გულითა აღსრულებითა, ჩვენ უკვე ერთბამად შტოებითა და ბაიათა⁹⁹⁹ განვემზადებით აღსრულებად მეფობითისა ნებისა შენისა, და უკანასკნელ, ვითარცა მსახურნი საკურთხეველისა და მონანი სარწმუნონი, ვდღესასწაულობთ და ვდაღადებთ „ოსანნასა“¹⁰⁰⁰ ამას ყოვლისა მპყრობელისადმი, მხურვალითა ლოცვითა მორტყმულნი.

განაგრძოს ნება მან მალლისამან დიდებასა შინა შეუძერელსა მეფობა შენი და შთამომავლობათა შენთა განუწყვეტელად და საუკუნოდ, და იდიდებოდეს სახელი შენი ქვეყანასა ზედა და დაგიმორჩილნეს ქვეშე ფერხთა შენთა ყოველნი მტერნი შენნი და სახლისა შენისანი, ამინ!“

⁹⁹² ერთბამად – ერთად, ერთბაშად.

⁹⁹³ მოსე – ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და ბელადი (ბიბლიის პერსონაჟი).

⁹⁹⁴ ისო ნავეს-მე – ბიბლიის პერსონაჟი, მოსეს შემცველი.

⁹⁹⁵ ალექსანდრე – ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ.-ით 356-323), მაკედონის მეფე (ძვ. წ.-ით 336-323), სახელგანთქმული სარდალი და დამპყრობელი.

⁹⁹⁶ კონსტანტინე = კონსტანტინე I, დიდი (IV ს.) – ბიზანტიის იმპერატორი (306-337), ქრისტიანების ქომაგი და მფარველი.

⁹⁹⁷ სოლომონ – სოლომონი, ზედწოდებით სოლომონ ბრძენი, ისრაელის სამეფოს მეფე ძვ. წ. 965-928, დავითის ძე და თანამმართველი; მიეწერება ბიბლიური პოეტური ნაწარმოები „ქება-ქებათა“ (ბიბლიური თხრობით).

⁹⁹⁸ დიმიტრი – დემეტრე II, თავდადებული (1259-1289 წწ.), საქართველოს მეფე (1270-1289 წწ.-ში).

⁹⁹⁹ ბაია – აქ იგულისხმება: მცენარეთა გვარი ბაისებრთა ოჯახისა.

¹⁰⁰⁰ ოსანა – ძველი ებრაული რიტუალური მიმართვა: გვიხსენი! – აღფრთოვანების გამომხატველი შორისდებული.

VI. ქართული ორატორული ნიმუში ისტორიული პოემიდან

**VI. GEORGIAN ORATORY SAMPLE FROM THE HISTORICAL
POEM**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

აკაკი წერეთლის ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი“ დაცულია ერთი ორატორული ნიმუში, კერძოდ, [სიტყვა, თქმული თორნიკე ერისთავის მიერ დარბაზის წინაშე], რომელიც ლექსის ფორმითაა გადმოცემული. იგი დარგობრივად მიეკუთვნება სადარბაზო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

თორნიკე ერისთავი იყო X საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, ტაოელი დიდებულის, ჩორდვანელის ძე, ბერად აღკვეცის შემდეგ იოანე-თორნიკედ წოდებული. ერთხანს იოანე-თორნიკე ათონის მთაზე, განთქმულ ათანასე დიდის ლავრაში იყო ბერად შემდგარი. X საუკუნის 60-იან წლებში ათანასეს ლავრაში მოვიდნენ ქართველები – იოანე (იოანე ათონელი) ბერი, მისი ძე ეფთვიმე ათონელი და თორნიკე ერისთავი, რომლებიც ერთ წელიწადზე მეტ ხანს დარჩნენ ლავრაში, შემდეგ კი მათ სხვა ქართველებთან ერთად ათონის ივერთა მონასტერი ააშენეს. იოანე-თორნიკე საქართველოს ისტორიაში ცნობილია, აგრეთვე, როგორც დავით კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, რომლის დახმარებითაც X საუკუნის 70-იან წლებში (976-979 წწ.) ჩაახშეს საიმპერატორო ტახტის წინააღმდეგ ამბოხებული ძლევამოსილი ბიზანტიელი სარდლის, ბარდა სკლიაროსის აჯანყება. დავით კურაპალატმა თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკ ერისთავის სარდლობით ბიზანტიაში გაგზავნა 12 ათასი ქართველი მეომარი, რომლებმაც სასტიკად დაამარცხეს ბარდა სკლიაროსი და ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დაპირებული ტერიტორია დავითს გადასცა. სამხედრო ნადავლიდან მიღებული წილი იოანე-თორნიკემ ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, უდიდესი ნაწილი კი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა. 980 წელს ბიზანტიის კეისარმა იოანე-თორნიკეს სვინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერი) წოდება უბოძა.

აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ მრავალჯერ გამოქვეყნებულა. საყურადღებოა შემდეგი გამოცემები: პრო. კვეკელიძის „აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები“¹⁰⁰¹, აკაკი წერეთლის რჩეული ნაწარმოებები¹⁰⁰² და სხვ. წინამდებარე გამოცემაში [სიტყვა, თქმული თორნიკე ერისთავის მიერ დარბაზის წინაშე] გადმოღებულია აკაკი წერეთლის რჩეული ნაწარმოებების ხუთტომეულის II ტომიდან¹⁰⁰³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁰⁰¹ კვეკელიძე, პრო., აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები: თორნიკე ერისთავი, ნათელა: ტექსტოლოგიური გამოკვლევა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1961, გვ. 99-154.

¹⁰⁰² წერეთელი, აკ., რჩეული ნაწარმოებების ხუთტომეული, ტ. II, პოემები, დრამატული ნაწარმოები ლექსად, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1989, გვ. 24-82.

¹⁰⁰³ იქვე, გვ. 27-36.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Akaki Tsereteli's historical poem "Tornike Eristavi" preserves one oratorical sample, namely, [The speech by Tornike Eristavi in front of the hall], which is conveyed in the form of a poem. It belongs to the field of royal rhetoric, and to the genre of speech.

Tornike Eristavi was a well-known Georgian statesman and theologian of the second half of the 10th century, the son of a Taoist nobleman, Chordvani, who was called Ioane-Tornike after his death as a monk. Ioane-Tornike was once a monk on the famous Lavra of Athanasius the Great on Mount Athos. In the 60s of the 10th century, Georgians came to Athanasius Lavra – Ioane (Ioane Athoneli), a monk, his son. Eftvime Athoneli and Tornike Eristavi, who stayed in Lavra for more than a year, and then together with other Georgians built the Iverta Monastery in Athos. Ioane-Tornike is also known in the history of Georgia as the famous commander of David Kurapat, with the help of whom in the 70s of the X century (976-979) he suppressed the revolt of the powerful Byzantine commander, Barda Skliaros, who rebelled against the imperial throne. David Kurapat, under the command of Tornike Eristavi and Jojik Eristavi, sent 12 thousand Georgian warriors to Byzantium, who brutally defeated Barda Skliaros and seized a large amount of booty. The Byzantine Imperial Karma handed over the promised territory to David. Ioane-Tornike donated the proceeds of the military booty to Athanasius Lavra and other Greek monasteries, most of which were used to build the Iverta Monastery in Athens. In 980, the Byzantine emperor conferred on Ioane-Tornike the title of Svingeloz (Assistant Patriarch).

Akaki Tsereteli's "Tornike Eristavi" has been published many times. The following editions are noteworthy: Pro. Kekelidze's "Historical Poems of Akaki Tsereteli"¹⁰⁰⁴, Akaki Tsereteli's "favorite works"¹⁰⁰⁵, etc. In the present edition, [The speech by Tornike Eristavi in front of the hall] is taken from the 2nd volume of the five-volume works of Akaki Tsereteli¹⁰⁰⁶. We offer an unchanged oratorical sample from the source mentioned above.

¹⁰⁰⁴ Kekelidze, Pro., *Historical Poems of Akaki Tsereteli: Tornike Eristavi*, Natela: Textological Research, Tbilisi, Tbilisi University Press, 1961, pp. 99-154 (in Georgian).

¹⁰⁰⁵ Tsereteli, Ak., *Five volumes of the selected works, Vol. II, Poems, Dramatic Writings in Poem*, Tbilisi, Soviet Georgia, 1989, pp. 24-82 (in Georgian).

¹⁰⁰⁶ *Ibid.*, pp. 27-36.

სიტყვა

თქმული თორნიკე ერისთავის მიერ დარბაზის წინაშე

II

გამართულია დარბაზი¹⁰⁰⁷,
 ერიც სამსჯავროდ შეყრილი¹⁰⁰⁸ ...
 წინ სდგას თორნიკე პირნათლად,
 წარბიც არა აქვს შეხრილი.
 თავი ჩაიგდო სამსჯავროდ,
 მიჰყვა საერო ნებასა,
 ჯერ ელის მისგან ბრალდებას
 და მერე განჩინებასა¹⁰⁰⁹.
 აბრძანდა მეფე ბრალმდებლად,
 ამას კანონი ითხოვდა,
 და თაყვანი სცა კრებულსაც,
 სანამდი სიტყვას იტყოდა.
 თვალამღვრეულად შეხედა
 თორნიკეს მრავალწლიანსა;
 სიტყვები ყელში ეჩრება,
 უმისოდ სიტყვაწყლიანსა.
 ბრძანებს და მისსა სიტყვასა
 ყურს უგდებს მთელი კრებული;
 კრძალვით მოისმენს თორნიკეც,
 სხვაგვარად ჩაფიქრებული.
 ამბობს: „მბრუნავი ქვეყანა,
 ვიცით, რომ ცვალებადია;
 ვისაც მიინდობს, გასწირავს,
 მისთვის მახე და ზადეა.
 მოყვარეს გადაამტერებს,
 მტერსა გაუხდის მოყვრად,
 დღევანდელს ლხენა-სიცილსა
 ხვალ გადაუქცევს ოხვრად.
 კაცობრიობის დიდება
 მას მიაჩნია ჩალადა
 და შეუქმნივართ ჩვენ მხოლოდ
 ამ სოფლის მაჩანჩალადა!..
 შემცდარი არის, ვინც ჰფიქრობს
 მედიდურ უქველობით!

ან ერთი რა ვართ ამ სოფლად
 უსუსურ ჭიანჭველობით?
 თუმცა ესე სჭრის გონება,
 რომელიც უტყუარია,
 მაგრამ ადამის სისხლმა კი
 ჩვენი გონება არია.
 გული, მეურჩე თავისა,
 ცხოვრების წინამძღვარია
 და ამის გამო ჩვენს საქმეს
 და სიტყვას შუა ზღვარია!
 ხშირად მონურად ვასრულებთ
 დღეს, რაც რიგი და წესია,
 და იმას ვიმკით კანონად,
 რაც ძველ დროს დაუთესია!..
 მეცა ადამის შვილი ვარ,
 თქვენსავით შვილი ქართლისა,
 თავდადებული ქვეყნისთვის,
 მამიებელი მართლისა.
 მაგრამ მეფე ვარ დღეს თქვენი:
 ხელთა მაქვს მეთაურობა!
 საქმის დროს საქმე შემშვენიის
 და ხუმრობის დროს – ხუმრობა.
 გუშინ რომ გული მილხენდა,
 თქვენც ლხინად მყავდით წვეული;
 და დღეს კი გიწვევთ სამსჯავროდ,
 გულზედა სისხლმოთხეული¹⁰¹⁰.
 ერთ კაცის ნდობა ძნელია,
 გინდა გადიქცეს გონებად,
 და შეუმცდარი ამ ქვეყნად
 მეფეცა ნუ გეგონებათ!
 ჩვენის წინაპრის გონებას
 ადრევე გადუწყვეტია,
 რომ სამსჯავროში¹⁰¹¹ ისა სჯობს,
 მსაჯული¹⁰¹² რაც რომ მეტია!
 და, აჰა, მეცა შეგყარეთ
 სამსჯავროდ, როგორც წესია...
 თქვენ საჯეთ და მე ავირჩევ,
 რომელიც უკეთესია:
 თორნიკე მხედართმთავარი,

¹⁰⁰⁷ დარბაზი – ისტორიულად საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო – სამეფო საბჭო.

¹⁰⁰⁸ სამსჯავროდ შეყრილი – მსჯავრის, განაჩენის გამოსატანად შეკრებილი.

¹⁰⁰⁹ განჩინება – ძვ. განაჩენი; სასამართლოს მიერ სამსჯავრო სხდომაზე გამოტანილი გადაწყვეტილება ბრალდებულის ბრალეულობის ან არაბრალეულობის საკითხის თაობაზე.

¹⁰¹⁰ სისხლმოთხეული – აქ: გამწარებული.

¹⁰¹¹ სამსჯავრო – მსაჯულთა საკრებულო, სასამართლო.

¹⁰¹² მსაჯული – ძვ. მოსამართლე; ის, ვინც სჯის, ასამართლებს.

თითქოს ხახვს გვაჭრის ყურზედა¹⁰¹³,
 მოულოდნელად ხელს იღებს
 საერო სამსახურზედა.
 გვიწუნებს გმირი სარდლობას,
 აპირებს მოსვენებასა;
 არც დასდევს მეფის სურვილსა,
 არც ითხოვს ხალხის ნებასა...
 დიდ მამულიშვილს ურჩობა
 ქვეყნის არ შეეფერება!
 ვერ მივხვდი... მეტად მაკვირვებს
 ამგვარი კადნიერება¹⁰¹⁴!
 სწორედ აქვს რამე მიზეზი,
 შესაწყნარ¹⁰¹⁵-პატივსადები¹⁰¹⁶,
 თქვენგან არდასაფარავი,
 საეროდ გასაცხადები.
 და უნდა გვითხრას სახალხოოდ,
 მისთვის მყავს მოწოდებული,
 რომ არვინ დარჩეს ჩვენგანი
 ხალხისგან ბრალდადებული.
 თორემ, ხომ იცით, ქვეყანა
 უბრალოდ დამძრახველია:
 განაგონებით გადასწყვეტს,
 რისიცა არმნახველია!..“
 ეს თქვა და ტახტზე დაბრძანდა
 მეფურად მეფე სვიანი¹⁰¹⁷,
 გვერდით მიუსხდნენ მსაჯულად
 მოხუც ჭადარათმიანნი.
 მერე სხვებიცა ჩამოჰყვენ,
 დასხდნენ რიგ-რიგად ყველანი...
 მდივანს მზათა აქვს ქაღალდი,
 საწერ-კალამი, მელანი.
 აქ ჩამოვარდა სიჩუმე,
 პასუხს ელიან სარდლისას,
 წრფელ სინიდისის მექონის
 და მასთან სიტყვა მართლისას.

¹⁰¹³ ხახვს გვაჭრის ყურზედა – ფრაზ. არაფრად გვაგდებს.

¹⁰¹⁴ კადნიერება – სითამამე, გამბედაობა, მოურიდებლობა, თავზედობა.

¹⁰¹⁵ შესაწყნარი/შესაწყნარებელი – ანგარიშგასაწვევი, მისაღები, საპატიო.

¹⁰¹⁶ პატივსადები – ანგარიშგასაწვევი, გასამართლებელი, საპატიო (მიზეზი, საბუთი).

¹⁰¹⁷ სვიანი – ბედის მექონე, ბედნიერი (იხმარებოდა უმთავრესად მეფის ეპითეტად).

III

ახოვანი¹⁰¹⁸, მშვენიერი,
 თეთრწვერა და თეთრთმიანი,
 წინ წამოდგა სასაუბროდ
 მოწიწებით ტკბილხმიანი.
 თაყვანი სცა პირველ მეფეს,
 მერე კრებულს ორი მხრითა,
 გულზე ჯვარად ხელებს იქდობს,
 თავდახრილი, ცრემლის ღვრითა.
 წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ
 ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
 მწარის ოხვრით ვერ იქარვებს,
 გულს რომ ცეცხლი ეკიდება...
 უკვირს, რომ ამ სამსჯავროში
 უმიზეზოდ ის ჩავარდა
 და რომ მასზე გულს იყრიან
 ისინი, ვინც მას უყვარდა.
 გულნატკენად რომ უყურებს
 სხვებს, თვითონაც გული სწყდება,
 მაგრამ თავის პირადობა
 აღარ ახსოვს, ავიწყდება.
 და საერო ნება-სურვილს
 მორჩილებით აძლევს პასუხს
 და თანდათან მისი სიტყვა
 შეუპოვრად სჭექავს და ჰქუხს:
 „ვფიცავ იმ პირველ მიზეზსა¹⁰¹⁹,
 ყოველ მიზეზის მიზეზსო¹⁰²⁰,
 ვიფიცავ საქართველოსა
 და მერე, მეფევ, თქვენს მზესო,
 რომ მართალი ვარ იმაში,
 რაზედაც ბრალს მდებთ თქვენაო!
 დაბლა ეს გული მიმოწმებს
 და მალლა – ღმერთი ზენაო!
 მართალი არის, დღეიდან
 რომ ვსტოვებ სამსახურსაო,
 თუმც გული ჩემი ერთგული
 ძველებურადვე ხურსაო.
 თქვენ რომ გმორდებით, მით ვკარგავ
 ხორციელ ნეტარებასო...
 ვერ ხადავთ გულდაწყვეტილის

¹⁰¹⁸ ახოვანი – ტანად დიდი და მოხდენილი აგებულებისა, ბრგე, წარმოსადეგი.

¹⁰¹⁹ პირველი მიზეზი – ღმერთი.

¹⁰²⁰ მიზეზის მიზეზი – ღმერთი.

მოხუცის მდულარებასო?
 მაგრამ მივყვები საგანსა
 აწ¹⁰²¹ უფრო უდიდესსაო;
 ის მარღვევინებს გაბედვით
 ჩვენს ჩვეულებრივ წესსაო.
 დრომ მოითხოვა აწ ჩემგან
 სხვაგვარი სამსახურიო
 და, რომ უარვჰყო, დავრჩები
 ძველზედაც უმაღურიო...
 ეჰ, მეფევ! ბრალს რათ მადებდი
 შენს ერთგულს, ფეხთა მტვერსაო,
 რომ სამსჯავროში მაგდებდი,
 ვით ორგულს... ქვეყნის მტერსაო?
 იძულებით ვარ აწ მთქმელი
 ყოველფრის უნაკლოლოდო,
 რაც გულმა გადამიწყვიტა
 მხოლოდ მე საიდუმლოდო!
 თქვენი ნებაა!.. მონა ვარ
 მე თქვენის სურვილისაო!
 სიტყვაა მხოლოდ წამალი
 გულისთქმის, ურვილისაო¹⁰²²!
 მოხუცმა ამ სიტყვების დროს
 ცრემლები ჰღვარა მრავალი
 და უნებურად დაიწყო
 თვისი თავგადასავალი:

IV

„მწარ წარსულის მოგონებით
 თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
 რომ მომსწრე ვარ საქართველოს
 შავი დღის¹⁰²³ და ვარამისა...
 ბევრ თქვენგანს ის არც-კი ახსოვს,
 იქნებოდით მაშინ ბალდი¹⁰²⁴,
 მაგრამ მე კი დღესაც გულზე
 მაშინდელი მაზის დალი¹⁰²⁵!
 ცამან რისხვით მოგვიქუხა,
 საქართველოს ადგა ბუნდი¹⁰²⁶,
 მონავრულად¹⁰²⁷ გვესეოდა
 ყოველის მხრით მტრისა გუნდი.

¹⁰²¹ აწ – ახლა.

¹⁰²² ურვილი – ძვ. შეჭირვებული, დამწუხრებული, შეწუხებული.

¹⁰²³ შავი დღე – გადატ. უბედურება, გაჭირვება, ომი.

¹⁰²⁴ ბალდი – პატარა ასაკის, ბავშვი.

¹⁰²⁵ დალი – გახურებული რკინის იარაღით (შანთით) დასმული ნიშანი; აქ: გადატანითი მნიშვნელობით წარუშლელი კვალი.

¹⁰²⁶ ბუნდი – ბინდი; შესიტყვება: ბინდ-ბუნდი.

¹⁰²⁷ მონავარი – კრაზანა, ზიკვი, მანენე.

მოგვაწვენ და მოგვაზვრითდენ
 ერთიანად ჩასანთქმელად...
 რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
 ძნელი არის აწ სათქმელად.
 ეს პატარა საქართველო
 ჯარასავით¹⁰²⁸ დატრიალდა,
 გადიწერა რა პირჯვარი,
 გაფოლადდა და გასალდა...
 მოხუცი, თუ ახალგაზრდა,
 ერისკაცი, თუ სამღვდელო,
 ყველა ერთმხრივ მიიწევდა,
 ერთი ჰქონდა ყველას ლელო!
 სადღა იყო განსხვავება?
 რის ბატონი? ან ვისი ყმა?!
 ყველა ერთად შეკავშირდა,
 ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:
 რომ გულწრფელად მოეხადათ
 ქართლის შვილებს მათი ვალი
 და სიკვდილით აგმოეხსნათ
 ჩვენი ქვეყნის მომავალი!
 მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს
 უმატებდა შვილი ფასსა
 იმითი, რომ ლომკაცურად
 შეებმოდა ერთი ასსა.
 „ჰკა მაგის“ ხმა ყოველის მხრივ
 მოისმოდა მტრის საზარი
 და იმ გვირგვინს ბანს აძლევდა
 საორკეცოდ მთა და ბარი.
 სისხლით მორწყეს ტყე და ველი,
 შეიღება წითლად მდელი;
 აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
 ჭირნახული საქართველო!
 განახევრდა ქართველობა...
 მაგრამ მტერს კი სძლიეს მათ ღვთით
 და თამამად დაიძახეს:
 „საქართველო აღსდგა მკვდრეთით!“
 და მართლაც რომ გამოიხსნეს
 განწირული, სულთამბრძოლი
 და გადმოსცეს შვილიშვილთა,
 მარგალიტი ვით ობოლი!..
 მხედართმთავარ-უხუცესად
 იყო მაშინ იოანე,
 შემდეგში რომ ბერად შედგა,
 დღეს ულუმბოს¹⁰²⁹ აქვს სავანე¹⁰³⁰.

¹⁰²⁸ ჯარა – სართავი ჯარა; პრიმიტიული ხელის მანქანა და ხალხური რეწვის იარაღი, რომლის შემწეობითაც მაფს რთავენ მატყლის ან ზამბისგან.

¹⁰²⁹ ულუმბო – ოლიმპის მონასტერი, ძვ. ქართული სასულიერო და მწიგნობრული კერა.

¹⁰³⁰ სავანე – საცხოვრებელი, სადგომი, გასაჩერებელი ადგილი.

სანამ მტერი გარს გვეხვია,
მძვინვარებდა, ვითა ლომი,
გოლიათის შებმას ჰგავდა
მისი ბრძოლა, მისი ომი.
მტრისა ისრით გამხვრეტელი
ხმაღს უღეწდა, ფარს უხეცდა;
ხშირად მამა-პაპის სისხლზე
თავისასაც ზე ანთხევდა...
ჯოჯობეთის რისხვა იყო
მისი რისხვა, მისი ვნება;
სანამდი კი მტერს ჰხედავდა,
არ იცოდა მოსვენება.
მაგრამ, როცა საქართველო
ნახა გმირმა დამშვიდებით,
სხვა მაღალ მთას მიაშურა
გალობით და ღვთის დიდებით.
მან ფარ-ხმალი აიყარა,
მოურიდლად თვისის ნებით
და თავსაც ვერ იმართლებდა
ის ჩემსავით მხცოვანებით.
მხოლოდ უთხრა დარაზმულ ჯარს,
„უქმია აწ ფარ-ხმალიო!
აწ სხვა მმართვეს სამსახური
და მიმიწევს სხვა ვალიო!“
დაგვლოცა და მისი ხმალი
გადამკიდა, მისგან რჩეულს;
თაყვანი ვეც მორჩილებით,
როგორც მამას, მეც კურთხეულს.
მითხრა: „თორნიკ! ჰა, შენ გქონდეს
სარდლობა და ჩემი ხმალი;
ვინძლო ღირსად აასრულო
მომავალში შენი ვალი!..“
ამ სიტყვებმა მომიმატეს
მე სიმხნე და ერთგულება,
გულმა იგრძნო ფოლადობა
და სულმაცა ამალღება!
თუმცა ამგვარ დიდებისა
უღირსად თავს ვიგულებდი,
მაგრამ მაინც უნებურად
დღემდი ჩემს ვალს ვასრულებდი.
ავათ იყო ის, თუ კარგათ,
თქვენს ხელთ არის დაფასება:
მე არ მფერობს ჩემი თავის
არც გინება და არც ქება!
ვიტყვი მხოლოდ: ხმა ისმოდა
თქვენგან ჩემის პირველობის
და მე მხოლოდ ვთავკაცობდი,
შემწირველი დიდ მადლობის.
მეფისა და სამშობლოს წინ,
მართალია, მიძღვის ღვაწლი,

მაგრამ, მეფევ, სხვას დავუთმობ
აწ სამსახურს... სხვას დავაცლი!
იმიტომ რომ აღარა ვარ,
რაც ვიყავი ადრე... ძველად:
ჩემ სისუსტეს გული გრძნობს და
გონება სწყვეტს უეჭველად!
მართალია, ეს ჭაღარა
სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს,
მაგრამ ღონის წახმარება
აღარ ძალუმს მუხლსა და მკლავს!
ადრინდულად მუხლს არ მერჩის,
აღარ მიჭრის არცა თვალი...
და ვით შევსძლო, მაშ, სარდლობა,
როცა ასტყდეს ბრძოლის ალი?
ვისაც ჰხედავ აქ, სუყველა
არის ჩემგან გამოზრდილი,
ათასჯერ და ათასგვარად
ბრძოლის ველზე გამოცდილი.
რაც მე ვიცი რაზმთა წყობა
და სამხედრო წესი სრული,
მაგათაც აქვსთ ჩემგანავე
ახსნილი და განსწავლული.
ჩემზედ მეტიც შეუძლიათ,
უკეთ გაჰკვეთს მათი ხმალი,
და ჩემსავით სიბერითა
არ უმტყუნებსთ ომში თვალი.
ბევრია, რომ ჩემზე უფრო
დღეს შეშვენით მათ სარდლობა,
და რათ დახვდეს ღობე-ყორედ
იმათ ჩემი პირველობა?..
რომ ამხადო პირველობა,
მეფევ, შენ ეს არ შეგშვენის!
უმაღურად ჩაითვლები...
გქონდეს რიდი ქვეყნის ენის!
და, რომ ჩემის წარსულითა
დღესაც კიდევ ვისარგებლო,
მოღალატე შევიქმნები...
მეძულება მე სამშობლო!..
აი, მეფევ, თუ რათ ვბედავ
თქვენს წინაშე დღეს ურჩობას,
და სულ სხვა გზით მიმავალი
გილოცავ თქვენ გამარჯობას!..
იოანეს მივაშურებ...
შევუდგები მეც მის კვალსა
და, თქვენისვე ნებადართვით,
სხვას გადავცემ ამ ჩემ ხმაღს!“
ესა სთქვა და მისი ხმალი
ორბელიძეს გაუშვირა
და ამგვარმა მისმა სიტყვამ
გულში ბევრი აატირა...

VII. ქართული ორატორული ნიმუშები ისტორიული
რომანიდან

VII. GEORGIAN ORATORY SAMPLES FROM THE HISTORICAL
NOVEL

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს
ნათია კენჭიაშვილმა და გიორგი ამირანაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე (1839-1913), სამწერლობო და პუბლიცისტური მოღვაწეობის გარდა, იურიდიულ საქმიანობასაც ეწეოდა საქართველოში; XIX საუკუნის 70-იან წლებში ანტონ ფურცელაძე სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში მოღვაწეობდა როგორც ადვოკატი. პირადი არქივის შესწავლიდან ირკვევა, რომ სამეგრელოში ერთ-ერთ საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესზე მას ევალეობდა სისხლის სამართალში მიცემულთა დაცვა, სასამართლოზე წარმოუთქვამს დაცვითი სიტყვაც, რომელიც შემდეგ შეასწორა და გამოიყენა თავის ცნობილ რომანში „მაცი ხვიტია“.

„მაცი ხვიტია“ პირველად გამოქვეყნდა 1872 წელს ჟურნალ „მნათობში“¹⁰³¹. ქვესათაურად წამძღვარებული აქვს „ისტორიული რომანი მეგრულის ცხოვრებიდან“ და ფრჩხილებში „ეს რომანი ეკუთვნის 500 წლის წინათ დროებას“. ნაწარმოებში აღწერილია მაცი ხვიტიას საქმეზე გამართული სასამართლო პროცესი; მოყვანილია ჯერ ბრალმდებლის პირველი საბრალდებო სიტყვა¹⁰³², შემდეგ ამას მოსდევს ვინმე მარსელელი ადვოკატის დაცვითი სიტყვა¹⁰³³ და ბოლოს, ბრალმდებლის დასკვნითი საბრალდებო სიტყვა¹⁰³⁴. რაც შეეხება ორატორული ნიმუშების დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, რა თქმა უნდა, ისინი მიეკუთვნება სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგს და დაცვითი და საბრალდებო სიტყვის ჟანრს.

მარსელელი ადვოკატის დაცვითი სიტყვა, როგორც ორატორული ნიმუში, მოგვიანებით, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1974 წელს გამოქვეყნდა შემოკლებული სახით ვ. სიდამონიძის მიერ შედგენილ კრებულში „ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება“¹⁰³⁵. ნიმუშს სათაურად აქვს „ანტონ ფურცელაძის დაცვითი სიტყვა“.

წინამდებარე სამივე ორატორული ნიმუში – ბრალმდებლის პირველი საბრალდებო სიტყვა, მარსელელი ადვოკატის დაცვითი სიტყვა და ბრალმდებლის დასკვნითი საბრალდებო სიტყვა მაცი ხვიტიას საქმეზე – გადმოღებულია მნათობის 1872 წლის ივნის-ივლისის ნომრებიდან¹⁰³⁶. გთავაზობთ დაცვითი და საბრალდებო სიტყვების ტექსტებს უცვლელი სახით ამ უკანასკნელი წყაროდან.

¹⁰³¹ ჟურნალი „მნათობი“, იანვარ-ივლისი, 1872, №1-7.

¹⁰³² ჟურნალი „მნათობი“, ივნისი და ივლისი, 1872, №6-7, გვ. 37-39.

¹⁰³³ იქვე, გვ. 39-55.

¹⁰³⁴ იქვე, გვ. 56-62.

¹⁰³⁵ სიდამონიძე, ვ. (შემდგ.), ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, გვ. 126-131.

¹⁰³⁶ ჟურნალი „მნათობი“, ივნისი და ივლისი, 1872, №6-7, გვ. 37-62.

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were added
by Natia Kentchiashvili and Giorgi Amiranashvili

(A BRIEF OVERVIEW)

Famous Georgian public figure Anton Purtseladze (1839-1913), among his literary and journalistic activities, also engaged in legal activities in Georgia; In the 70s of the XIX century Anton Purtseladze worked as a lawyer in Samegrelo, in particular, in Zugdidi. A study of the personal archives reveals that in one of the ongoing cases in the Samegrelo, he was in charge of protecting those convicted in criminal cases, and the court also uttered a defense speech, which was later corrected and used by the writer in his famous novel “Matsi Khvitia”.

“Matsi Khvitia” was first published in 1872 in the magazine “Mnatobi”¹⁰³⁷. It is subtitled as a “Historical Novel from the Life of Megrelians” and in parentheses “This novel belongs to a time 500 years ago”. The work describes the trial in the case of Matsi Khvitia: The first indictment of the accuser is given first¹⁰³⁸, then it is followed by the defense speech of the lawyer from Marseilles¹⁰³⁹ and lastly, the final indictment of the accuser¹⁰⁴⁰. As for the sectoral and genre affiliation of oratorical samples, of course, they belong to the field of judicial rhetoric, and genre – to the genre of defense and prosecution.

The defense speech for a lawyer from Marseilles, as an oratorical sample, was later, almost a century later, published in 1974 in abbreviated form in the collection compiled by V. Sidamonidze “Georgian Court Rhetoric”¹⁰⁴¹. The title of the sample is “Anton Purtseladze’s Defensive Speech”.

All three of these oratorical samples – the first indictment speech by the prosecutor, the defense speech by the lawyer from Marseilles and the last indictment speech of the prosecutor in the case of Matsi Khvitia – are taken from the June-July 1872 issues of “Mnatobi”¹⁰⁴². We offer an unchanged oratorical samples of the defensive and accusatory speeches from the source mentioned above.

¹⁰³⁷ Magazine “Mnatobi”, June-July, 1872, №1-7 (in Georgian).

¹⁰³⁸ Magazine “Mnatobi”, June-July, 1872, №6-7, 83. 37-39 (in Georgian).

¹⁰³⁹ Ibid, pp. 39-55.

¹⁰⁴⁰ Ibid, pp. 56-62.

¹⁰⁴¹ Sidamonidze, V. (Comp.), Georgian Judicial Rhetoric, Tbilisi, Soviet Georgia, 1974, pp. 126-131 (in Georgian).

¹⁰⁴² Magazine “Mnatobi”, June-July, 1872, №6-7, pp. 37-62 (in Georgian).

პირველი საბრალდებო სიტყვა

თქმული ბრალმდებლის მიერ მაცი ხვითის საქმეზე

„აი, უფალო მოსამართლენო, იწყო ბრალმდებელმა, ბრალდებული უფ. მაცი ხვითი, თვითვე თავისის პირით აღვიარებს თავის დანაშაულობას ყველა იმ საზარელ საქმეებზედ, რომელიც თქვენ მოისმინეთ როგორც გამოძიებიდამ, ეგრეთვე ბრალდების ქაღალდიდამ. მაგვარი დამნაშავენი, ჩვენი კანონების ძალით (მუხლი ესა და ესა) მაცი ხვითი უნდა დაისაჯოს თავის სამშობლოდამ დაკარგვით საუკუნოთ მადნებში სამუშაოთ. თქვენ ჰხედავთ უფ. მოსამართლენო და დაფიცებულნო, რომ არავითარი შემასუმბუქებელი სიმართლე არ მიუძღვის ხვითის საქმეში. რაც თავს მოსწრებია ყოველთვის ქურდობასა და აბრაგობაში¹⁰⁴³ ყოფილა. რეულა¹⁰⁴⁴ ყოვრიგს მმართველობის წინააღმდეგ საქმეში, ურევია და უბრიყვებია ხალხი. ხალხი და მართებლობა შეუჯახებია ერთმანერთისათვის და უღვრია უმანკო სისხლი. არა ჰქონია მაგისგნით მოსვენება არამცთუ მარტო ოდიშს¹⁰⁴⁵, არამედ თვით აფხაზეთს, სვანეთს, გურიას და იმერეთს. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ რომ ჩვენმა განათლებულმა მართებლობამ შემოსვლის უმაღლეს ოდიშში, გამოაცხადა, რომ ყოველ ძველს აბრაგებს და ქურდებს ვანებებთ თავსა, ოღონდ ახლად ქურდობა და აბრაგობა ნულარ იქნებაო. მაგრამ ხვითამ არამც თუ არ დაიშალა, პირიქით მაგან დაიწყო უარესი ქურდობა და ავაზაკობა. არ გაუმადრდა მაგას არც დაკეტილი, არც ციხე და არც სიმაგრე; არც მდიდარი და არც ძლიერი კაცი, – ყველა მაგისთვის იყო ერთი, ყველა მაგისათვის იყო ხსნილი. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ის ხალხი, რომელსაც კი მისწვდებოდა მაგისი ხელი! ყოველი საკუთრების პატრონი ჰკარგავდა შეძენის ხალისს, ყოველი მუშაკი ჰკარგავდა სასოებას, რათგან არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ შერჩებოდათ თავისი ღვაწლი. ყველა მხოლოდ იმას ელოდა, რომ თვალთმაქცი მაცი და იმისი მსგავსი წაიღებდნენ და მოიხმარებდნენ ამათის ღვაწლითა და ოფლით შეძენილს სარჩოს. ამგვარს ნიადაგს მოუსვენარსა და უიმედო ცხოვრებას მოსდევს ის სიღარიბე, რომელსაც თქვენ ჰხედავთ დღეს ოდიშსა და მის მსგავს ქვეყნებში. ყველანი ცხადათა ჰხედავენ, რომ შრომა და ნაღვაწლი არა რჩებათ ხელში და ჰფიქრობენ, რომ ვიშრომებთ თუ არ ვიშრომებთ, ყველა ერთ ბარში გამოვალთო. ამისგამო ყველანი რჩეობენ ისევ გულხელდაკრევით ყოფნას ან ქურდობითა და აბრაგობით ცხოვრებას. მოსპეთ ქურდობა და აბრაგობა, მაშინ ნახავთ რა რიგათ დაწინაურდება ხალხი, მეტადრე ამისთან მდიდარს და უხვს, ყოვლრიგის ბუნების დაწყობილებით შემკობილს ქვეყანაში, როგორც არის სამეგრელო და აფხაზეთი. ეხლა ჩვენს განათლებულს მმართველობაზედ არის ვალად დებული, რომ მოსპონ ეს ბოროტება ამათს ხელთ ჩაცვივულთ ხალხში და დააწესონ რიგიანობა, სამართლიანობა და წესიერება; მისცენ ყოველს მუშაკს და მოღვაწეს ღონისძიება მშვიდათ და გულდასმობით საქმის შედგომისა, რომ მფარველობის ქვეშ განათლებულის სახელმწიფოსი გავრცელდეს კეთილდღეობა და ბედნიერება ხალხში, სადაც ყველა მუშაკს გაბედვით შეეძლოს სთქვას, რომ ჩემი შრომა შემრჩება ხელთა და ვედარავინ წარმტაცებსო. ამგვარათ შრომით დაჯილდოება და თავის ღვაწლით შეძენილის სარჩოს დამკვიდრება წაახალისებს ყველას საქმეზედ, ყველა შეუდგება მხნეობასა და შრომას; ყველა ეცდება სარჩოს წარმატებას. ხალხი გაბედნიერდება, გამდიდრდება. და დღეს უფალო მოსამართლენო და დაფიცებულნო თქვენ წინაშე სთდგას ის საშინელი დამნაშავე, რომელიც არის მოთავე ყოვლრიგის წესის დარღვევისა, საკუთრების შეურაცხმყოფელი და წინააღმდეგი ყოვლრიგის წესის დარღვევისა, საკუთრების შეურაცხმყოფელი და წინააღმდეგი ყოვლრიგის წარმატებისა და მომსპობი შრომისა და მუშაკობისა. ერთი სიტყვით ძირი ყოვლრიგის ბოროტებისა და ხალხის უბედურებისა. მაგვარ კაცთაგან, როგორც წელან მოგახსენეთ, წარმოსდგება უხალისობა მუშაკისა და მოღვაწისა; უხალისობისაგან წარმოსდგება სიღარიბე,

¹⁰⁴³ აბრაგობა – სიტყვიდან აბრაგი, იგივე ფირალი, ყაჩაღი, ავაზაკი. ბატონყმური ურთიერთობის ჩამოყალიბების პერიოდში აბრაგობა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხთა პროტესტს გამოხატავდა. აბრაგი იყო მებატონისაგან გაქცეული ყმა, რომელიც იარაღით იბრძოდა თავისი უფლებებისათვის.

¹⁰⁴⁴ რეულა – ჩარეულა.

¹⁰⁴⁵ ოდიში – ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, გვიანდელი შუა საუკუნეების ხანის სამეგრელოს ძირითადი ნაწილი (სამეგრელოს სამთავროს მეორე სახელწოდება).

რომელსაც მოსდევს თან შიმშილი და სიტყვლე. შიმშილსა და სიტყვლეს უნდათ დაკმაყოფილება. ამ დასაკმაყოფილებლათ მეტი გზა არ არის უნდა მოახდინონ ბოროტება: ან გაცარცონ, ან იქურდონ, ან მოჰკლან კაცი რადგან შიმშილისა და სიტყვლისაგან შეწუხებული კაცი თავის თავის დასაცველათ მზათ არის ყოველის ბოროტებისათვის. ახლა, უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო, თქვენ გაძევთ დიდი ვალი, რომ დაეხმაროთ თქვენს განათლებულს მართებლობას ამ დიდს, მძიმეს და ყოვლათ მაღალს კეთილს საქმეში, როგორც ბედნიერება ხალხისა და მოსპობა ხალხთა შორისა ბოროტებისა, რომელიც აგდებს მთელს ამოდენა ხალხებს სიღარიბესა და სიავაზაკეში. თქვენ თქვენის დასჯითი, გადაწყვეტილებით, ხვიტიას სახეში დასჯით ყოველთ მაგის მიმზამავთ და მიმადევართ და ამითი ჯერ ერთი, რომ იხსნით სხვათ მრავალთ უბედურებისაგან, რომელშიაც ისინი უეჭველია ჩაცვივიან ხვიტიას დაუსჯელობით, რათგან მაგისი მაგალითი წაახალისებს იმათაც ბოროტებაზედ; მეორეც ესა დაიხსნით ხალხთ ბოროტთა ხელთა და საქმეთაგან და გაუხსნით გზას კეთილდღეობისა და სინიდისიერის შრომისათვის. ხვიტია არის შემცოდე, ჩვენი კანონი სჯის შემცოდეთა. თქვენი ვალია, ათასთა საბედნიეროთ დაჰსაჯოთ ერთი. ხვიტია ღირსია ყოვლრიგის სასჯელისა.“

დაცვითი სიტყვა

თქმული მარსელელი ადვოკატის მიერ მაცი ხვტიას საქმეზე

„– თქვენ რას იტყვით ბრალდებულის დამცველო ამაზედა? – ჰკითხა თავმჯდომარე მსაჯულმა მაცი ადვოკატს.

მეზვერისათქმელი მაქვს, – უპასუხა იმან, – და ვითხოვ უგულთადესად მიაქციოდ როგორც თქვენ, ეგრეთვე დაფიცებულთ სრული ყურადღება ჩემს საბუთებს. ამასთან უფალნო მოსამართლენო და მბჭობელნო, მე გთხოვთ ამ ჩვენ მსჯელობის დროს გამოხვიდეთ იმ აზრებიდამ, რომელიც ჩვენგნით გასარჩევს საგანზედ წინათვე გაქვთ აღებული. მე გთხოვთ დადგეთ ამ საგანზედ როგორც გარეშე პირი, რომელსაც არცარა წახდენიარა და არცარაფერში დასწვია გული იმგვართ მოქმედებათაგან, რომელსა ბრალად სდებენ ხვტიას. უამისოდ შეუძლებელია საქმისა სიწმინდით გადაწყვეტა და სამართლიანათ გაბჭობა. ძნელია იმ კაცისა მოსამართლეთ დაყენება, რომელიც გასასამართლებელს პირს ჰხედავს თავისავე მტრათ. მაშინ მოსამართლე სამართლიანის თვალით კი არ უყურებს ბრალდებულს, უყურებს ისე, როგორც ბრალმდებელი და ზღვევის¹⁰⁴⁶ მთხოვნელი. მაშინ რაღა თქმა უნდა არ უნდა მოველოდეთ სამართალს, უნდა მოველოდეთ მხოლოდ სასჯელს, ზღვევას ნატკენობისთვის. როდესაც თქვენ დადგებით იმ აზრზედ, როგორც გარეშე პირი ამ საქმისა, გამოიღებთ თავიდამ წინათვე გულში ჩანერგილს აზრებს შესახებ გასარჩევის ბოროტებისა და მოისმენთ ყურადღებით ორთავე მხარის საბუთებს, მაშინ შეგიძლიანთ წმინდის სამართლით გადაწყვეტა და გაბჭობა საქმისა. შევუდგები საქმესა.

აქ დაიწყო ადვოკატმა.

„სრულიად ამაოდ ვრაცხავ იმ ცარიელი სიტყვებით მჭევრმეტყველებას, რომელსაც ხშირათ ჰხარჯამენ ხოლმე თქვენ წინაშე თქვენი გულის მოსალობლათ. ამგვარი ჩემი გცევა დაამამტკიცებს მხოლოდ იმასა, რომ თქვენი გონებისა და მართლმსაჯულების იმედი არა მქონია. მჭევრმეტყველებით მოსტყუვდება მხოლოდ ბავშვი და ბავშვებრ გონება გაუხსნელი კაცი. მე მიინდა მხოლოდ გასაგონარის ენით გელაპარაკოთ ამ საგანზედ მეცნიერების გამოკვლევის ძალით, რომლის წინაშე ყოველი მჭევრმეტყველება არის უძლური. მე მიინდა გილაპარაკოთ ასე უფრო იმისთვის, რომ ცხადის საბუთებით დაგიმტკიცოთ, რომ დანაშაულს უნდა უყურებდენ სრულიად სხვა თვალით, ვიდრემ უყურებთ ჩვენა და ჩვენი კანონები. ამის დამტკიცება უფრო იმისთვის მიინდა, რომ თქვენ ხართ შთაცვივნიული იმ ხალხში, რომელიც არ არის ჯერ ცრუ ცივილიზაციის წამხდარი აზრებით გონება დაზიანებული და რომელსაც, როგორც ჯერედ გონება გაუფუჭებელს ბავშვს შეუძლიან მიიღოს ყოველი ახალი რიგიანი საქმე და ჩაინერგოს გულში, თუ ამ საქმეებს მმართველობა შეუდგება გულმოდგინეთ და ცოდვნითა.

„ბრალდებულმა ცხადის საბუთებით დაამტკიცა დანაშაულობა უფ. ხვტიასი. ამაზედ ყველა თქვენგანის გული დარწმუნებულია. რასაკვირველია იმ აზრზედ მდგომთათვის, რომელშიაც ჩვენა ვართ აღზრდილი, ბრალმდებელის დამტკიცება საკმაოა და ცხადია, მაგრამ ავილოთ ხელი ჩვენში ჩანერგული აზრებიდამ, ჩავაკვირდეთ კარგათ საქმეს, ავწონოთ მეცნიერების ძალით, და მაშინ დავინახამთ, რომ უფალი ბრალმდებელი სარგებლობს ჩვენის უმეცრებით, აქეზებს ჩვენს წამხდარს მიდრეკილებათა და ნაცვლათ იმისა, რომ გამოგვიყვანოს შემცდარი აზრებიდამ, გვამზადებს უფრო და უფრო ამ აზრებზედა გვიღვიძებს, სიბრალულის მაგივრათ, სიძულვილს სრულიად უმანკო კაცებზედ, რომლებსაც ალაგას ჩვენ იქნება უარესი საქმეები გვექნა და რომელთათვისაც ჩვენი საქმეები იქნება უფრო ბოროტათა სჩნდეს, ასე რომ, რომ შეიცვალოს გარემოება და ჩვენი საქმეების გასამართლება, – იმ საქმეებისა, რომელიც ჩვენ დიდპატიოსნებათ მიგვარჩნია, – შეჰხვდეთ იმათა, იქნება უარესს სასჯელს მიგვცენ.

„მე გთხოვთ უფ. მოსამართლენო და დაფიცებულნო გამოადვენოთ გონება ჩემს ლაპარაკს და გადავიდეთ ძველს მეგრელთა ცხოვრებაში. ძველის ძველადვე, სადამდინაც კი კაცის გონება და ხსოვნა

¹⁰⁴⁶ ზღვევა – ზღვევა; სამაგიეროს გადახდა.

მისწვდება, ჩვენა ვხედავთ კოლხიდას¹⁰⁴⁷ (სხვათა შორის და უფროც დღევანდელს სამეგრელოს) განათლებულ და განვითარებულ ქვეყნათა. ის გასაოცებელი საქმენი, რომელიც მედეამ¹⁰⁴⁸ ჩაიდინა წინაშე არგონავტთა¹⁰⁴⁹, ამტკიცებენ, რომ მეცნიერება დიდათ გაღსნილი და განვითარებული ყოფილა აქა, ასე რომ სხვა ხალხები და თვით ბერძენიც, რომელნიც ირაცხებოდნენ მაშინ განათლებულათ, ვერც კი მიხვედრილან ამ მეცნიერებას და უწოდებიათ ამგვარს მედიის საქმეებისთვის მისნობა და ჯადოქრობა. ამასგარდადიდიჰომარსი¹⁰⁵⁰ კოლხიდის ღვინოებს ასმევს ბერძენთა ღმერთთა, როგორათაც ღმერთების საკადრისს ღვინოსა, ისესახელოვანი ყოფილან მაშინდელი ნაწარმოებნი მეგრელთა. ძველი მეისტორიენი გვიამბობენ, რომ ქარტა¹⁰⁵¹ ყველაზედ წინ შეურდგენიათ სამეგრელოში. ესე ყოველივე ამტკიცებს დიდს ნიჭს და დიდს ლტოლვილებას მეგრელთა მეცნიერებისა და განათლებისადმი. არც ერთის ძველის მოგზაურისა და არც ერთის მატთანესაგან ძველს დროში არ გვესმის, რომ ამგვარი ქურდობა და ავაზაკობა გავრცელებული ყოფილიყვეს სამეგრელოში. ამას მხოლოდ ვხედავთ ბოლოსა და ბოლოს, და შემდეგ გამოჩენილის მოგზაურის შარდენისაგან¹⁰⁵² გვესმის საშინელება ამგვარის საქმეებისა სამეგრელოში. რა იყო მიზეზი, რომ უცებ ხალხმა აიღო ხელი თავის კულტურაზედ, თავის სამეცნიეროსა და განათლების გზაზედ? ცხადი საქმეა, რომ, როგორც სხვა ყველაფერი, არც ეს უნდა მომხდარიყო უმიზეზოთ, უნდა დიდი და ხანგრძლივი ყოფილიყო, რომ აეღებინა და დაევიწყებინა ხალხისათვის ის საქმენი, რომელნიც ამას აძლევდნენ წარმატებას და კეთილდღეობას. არც ერთი ხალხი, არც ერთი კაცი, თავის გონებაში მყოფი ხელს არ აიღებს იმისთანა საქმეზედ, რომელიც ამას ამყოფებს მოგებასა და მოსვენებაში. მიზეზი ამგვარს მდგომარეებაში ჩავარდნისა, ცხადია, არ იყვნენ თვით მეგრელნი. მიზეზი ამისი იყო შემოსევა მძლავრის მტერისა, რომელმაც შემუსრა თავისუფლება და თვით არსებობა მეგრელთა. ერთხელს დარეულს და მოუძღურებულს ხალხს აღარ უსვენებდნენ მტრები და ნიადაგ ესეოდნენ, სტაცებდნენ სარჩო-საბადებელს, ქონებას, ცოლს, შვილს. უხოცავდნენ ბრძოლაში საუკეთესო მუშა კაცთა, უწვამდნენ სამყოფ-საცხოვრებელსა; არ უყენებდნენ არავითარს ნაღვაწსა. ამასთან შემოერთყნენ ამათ გარშემო ის გაცარცული მტერთაგან ხალხი, რომელთაც შეეძლოთ რჩენა მხოლოდ ცარცვითა და ტაცენითა, ხალხნი ისეთნი, რომელნიც თვის უშვერებისაგამო ვერ იხმარდნენ თავის მწირს ადგილებსა, რომელნიცა თხოულობდნენ დიდს ცოდვნასა და შრომასა. ეს ხალხნი ესხმოდნენ და ცარცვავდნენ მეგრელთა. მძლავრი მტერი არ უყენებდა ამათ ნამუშავარს მინდორსა და სახლში. მეგრელთ დაუპარგეს ამათ თავის ხანგრძლივის მოუსვენარის ცხოვრებით ძველი ცოდვნა და ხალისი. მეგრელნი დაღარიბდნენ, დაიმშვნენ, დარჩნენ უბინაონი; დაავიწყდათ თავისი ძველი ცხოვრების გზა. ისინი ჰედავდნენ მხოლოდ ცარცვასა და ბოროტებას. თითონ აღარა ჰქონდათ ცოდვნა და არც ასვენებდნენ იმას ამისთვის. შიმშილი აჭირვებდა, შიმშილი თხოულობდა დაკმაყოფილებას. წელან უფ. ბრალმდებელმა სამართლიანათ აღვიარა, რომ შიმშილი არის ყველას გამბედეველი. კაცს თავისი თავი ყველას ურჩევნიან. კაცის თვისება და აგებულება ისეთია, რომ თავის გარეშა სხვას ყველას ისე უყურებს, როგორც თავის რჩენისა და კეთილდღეობის ღონისძიებას. შიმშილი არის პირველი შემძვრელი კაცისა. ქვეყანა არის სარკე კაცისა. შიმშილი აღვიძებს კაცის გულში სურვილსა, რომელსაც უეჭველი დაკმაყოფილება უნდა, თუნდა რომ კაცი თვით რკინის ხასიათებისა იყვეს. სურვილს შესრულება უნდა. ყველანი, ვინც კი არტყიან მეგრელთა თავის სურვილს იკლამენ ცარცვითა და მტაცებლობითა, მეგრელნი არა ჰხედავენ სხვა მაგალითსა. ყველა იმასა სწავლობს, რასაც ჰხედავს. ყველა იმას მოქმედობს, რასაც სხვები სჩადიან. რაც არ უნახავს

¹⁰⁴⁷ კოლხიდა – ძველი სამეფო შავი ზღვისპირეთში. ასევე ცნობილია, როგორც კოლხეთი ან კოლხა (ძვ. ბერძ. Κολχίς, ბერძ. Κολχίδα, ლაზ. კოლხა).

¹⁰⁴⁸ მედეა – ბერძნული მითის მიხედვით ძველი კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის უმცროსი ასული.

¹⁰⁴⁹ არგონავტთა = არგონავტები (ძვ. ბერძ. Αργοναύται) – ბერძნულ მითოლოგიაში გმირთა ჯგუფი, რომელთაც ტროას ომამდე იასონთან ერთად კოლხეთში იმოგზაურეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

¹⁰⁵⁰ ჰომარსი = ჰომეროსი (ძვ. წ. -ით IX ს.) – დიდი ბერძენი პოეტი, ავტორი ილიადისა და ოდისეისა.

¹⁰⁵¹ ქარტა – რუკა.

¹⁰⁵² შარდენი – ჟან შარდენი (ფრანგ. Jean Chardin) (1643-1713 წწ.) – ფრანგი იუველიერი, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე და მოგზაური. მისი ავტობიოგრაფიული „სერ ჯონ შარდენის მოგზაურობა“ სპარსეთსა და ახლო აღმოსავლეთზე ადრეული დასავლური კვლევების საუცხოო ნიმუშად ითვლება. მისი ნამუშევარი დასრულებული სახით მხოლოდ 1711 წელს იბეჭდება ამსტერდამში სათაურით „Voyages de monsieur le chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'orient“ (ქართ.: „ბატონი რაინდი შარდენის მოგზაურობები სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა მიწებზე“). წიგნის გარკვეული ნაწილი საქართველოს ეხება, სადაც მან 1672-1673 იმოგზაურა.

და არ უსწავლია, კაცს იმის წარმოდგენაც არ შეუძლიან. მაშ რა უნდა ექნათ მეგრელთა თავის ბუნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ? ეს მოთხოვნილებანი ისეთნი არიან, რომ თუ არ დააკმაყოფილე, გემუქრის სიკვდილი და კიდევ მოკვდები. ისიც როგორ მოკვდები! ერთბაშათ კი არა, რომ მორჩე და მოისვენო. არა, კვდები სატანჯველით, წვრილ წვრილათ, მოუსვენრათ. მაშ დარჩათ მხოლოდ შესწავლა იმ ხელობისა, რომელითაც სცხოვრებდნენ შემოსული და გარეშემო მცხოვრები ხალხები, რომელთაც უშვერებისა და ადგილსამყოფის სიმწირის გამო სხვათაშორის ცარცვა და ქურდობა და დარჩენოდათ რჩენის ღონეთ. ამას შეეჩვივნენ თან და თან წვრილ წვრილათ მეგრელნი. შემდეგ იწყეს ამ საქმეებში ხელოვნება და როგორც მაღალი ნიჭის პატრონი ხალხი, ამ საქმეშიაც ხელოვნება და როგორც მაღალი ნიჭის პატრონი ხალხი, ამ საქმეშიაც გამოიჩინეს დიდი ნიჭი. შემდეგ ეს საქმე გადიგვა საქებურათაც და საკვებურათაც რათგან შეიქნა საყოველთაო და ამასთან რჩენის ღონეთ. ყველა მხნე და ნიჭიერი ვარჯიშობდა ამ ხელობაში, ყველა უხეირო, უნიჭო და უძლური რჩებოდა ამ ხელობის გარეთ, ან არა და ყოველთვის ებმოდნენ მახეში და რჩებოდნენ უღონისძიებოთ. იმათ დარჩათ ღონეთ მიწის ნაყოფიერება, რომელთაც ჰხმარობდნენ ქურდები და აბრაგები და ამათ უშვებდნენ ისევ ისე ხახამშრალს. ასე რომ მხოლოდ უნიჭონი და უძლურნი რჩებოდნენ მშვიდობაში და ყოველი ნიჭიერი და მხნე იყო შემდგარი ქურდობასა და აბრაგობის საქმეზედ. ამგვარი კაცნი იყვნენ მოსაწონარნი ყველასაგან. ამგვართ კაცთ აქებენ მშვენიერნი ქალნი სამეგრელოსანი. ამათთვის აწყობდნენ ტკბილსა და ქების სიმღერებსა და მღერობდნენ დღეობაებსა და ლხინებში. ამითი უფრო ადებინებდნენ თავს ვაჟკაცთა. როგორც შიმშილი არის კაცის გამამხნევებელი სარჩოს შეძენაში, ეგრეთვე ლტოლვილება ქალისადმი არის გამღვიძებელი კაცის გულში ქალის მოწონებისა და იმის მოსაწონარი საქმეების შესრულებისა შიმშილი, ქალთა მოწონება, საზოგადო აზრი, – ყველა იმას ჩასძახოდა, რომ ვისაც შეეძლო ყოფილიყო მარჯვედ იმ საქმეებში, რომელიც ეხლა ჩვენ ასე დიდ დანაშაულათ მიგვაჩნია. თავის მხრივ ქალნი ამგვარის აზრის შერდგენით და კაცთა ცარცვასა და ქურდობაზედ წახალისებით არ იყვნენ გასამტყუნარნი. ისინი, ჩაცვივნულნი ოჯახობაში, შვილებისა და სახლის მოსაველეათ, იყვნენ დიდს შიმშილსა და მოთმინებაში, რაკი მტერთ დაუკარგეს ამათ თავისუფლება და მშვიდობიანობა. ამისგამო ამათ რაც უფრო ქურდი და აბრაგი კაცი იყო, უფრო კარგათ არჩენდა და ინახავდა. მაგ მდგომარეებაში მყოფთ კაცთათვის უფრო კარგი და საქებარი ის არის, ვინც უფრო მოუვლის და შეინახავს. ამისგამო იმათ ქურდებსა და აბრაგებზედ შეარდგინეს კარგი აზრი, რათგან ისინი უფრო ჰპატრონებდნენ ამათა.

„ეს ისტორიულნი მიზეზნი. ახლა გადავიდეთ მეორე მხარეზედ, რომლითაც ჩვენ ეს საქმენი არ უნდა გვეჩვენნენ ასე საზარლებათ, როგორც გვეჩვენება.

„ჩვენ გვაღელვებს ისა, რომ ჩვენის ღვაწლითა თუ შრომით შეძენილს სარჩოს გვაცლიან ხელიდან, – ერთის სიტყვით გვაკლებენ ჩვენს საკუთრებას, რომელსაც ჩვენს მაგივრათ ჰხმარობენ ისინი. გთხოვთ კიდევ დაკვირვებასა და ამ შედარების კარგათ გარკვევასა. მე ვამბობ, რომ ჩვენ ქურდობა და ცარცვა იმისთვის გვაღელვებს, რომ გვაკლებენ ჩვენს საკუთრებასა და ჩვენს ღვაწლს ჰხმარობენ ისინი. სხვა მიზეზი ამ საქმეებზედ აღელვებისა ჩვენ არა მიგვიძღვისრა. ახლა ვნახოთ მარტო ამგვარი საქმით გვერთმევა ჩვენი საკუთრება და ნაღვაწლი. ამას რომ კარგათ განვიხილავთ, ჩვენ ვნახავთ, რომ როგორც მეგრელნი ქურდობასა და აბრაგობას არიან შეჩვეულნი და მიაჩნიათ საქებურათ, ეგრეთვე სხვა ყველა ხალხნი შესწვევიან სხვა უარესთ და უფრო საძაგელთ საქმეთა, რომლითაც ერთნი სცარცვამენ მეორეს, აკლებენ უკანასკნელს საკუთრებასა, თითონა მდიდრდებიან და ღარიბნი უფრო და უფრო უკანასკნელდებიან. ჩვენ ვნახავთ, რომ ბევრით ის საქმენი, რომელნიც ჩვენ საქებურათა და საკვებურათ მიგვაჩნია, უფრო მავნე და საძაგელნი არიან ხალხისათვის, ვიდრემ ქურდობა და აბრაგობა. სხვათა შორის ავიღოთ აღებმიცემობა¹⁰⁵³, რომელიც ყველა მცირეც არის განათლებულს ქვეყნებში გავრცელებულია. საქონელი უჭირავს აღებ მიცემის კაცსა¹⁰⁵⁴. მე დამჭირდა საქონელი. მოვდივარ აღებმიცემის კაცთანა და ვევაჭრები საქონელსა. იმას საქონელი დასჯდომია მანათი. ეს ნანდვილი ფასი ამ საქონლისა მხოლოდ თვითონ აღებმიცემმა იცის. ფასი საქონლისა არც მე ვიცი და არცა მაქვს შემთხვევა, რომ შევიტყო. ვაჭარი მანათიანს საქონელს მიფასებს ორმანეთათ. ის ჰსარგებლობს ამ შემთხვევაში ჩემის გაჭირვებითა და უმეცრებითა. ამისგამო, საქონელში, რომელშიაც ბევრი ბევრი მანეთზედ ორი შაური¹⁰⁵⁵ ერგებოდა თავისი ღვაწლის ფასი მართმევს მანეთზედ მანეთს

¹⁰⁵³ აღებმიცემობა – ვაჭრობა.

¹⁰⁵⁴ აღებ მიცემის კაცი – ვაჭარი.

¹⁰⁵⁵ შაური – შაურიანი, ხუთი კაპიკი.

მოგებასა.

აქ თითონ მანეთში მპარავს მე ისა ოთხ აბაზ¹⁰⁵⁶ უზალთუნსა¹⁰⁵⁷. ასე, რომ ასი მანეთისა რომ ვივაჭრო, ის იგებს, ანუ უკეთა ვსთქვათ, მპარავს მე ოთხმოც და ათს მანეთსა, ათ მანეთის მაგივრათა, რომელიც იმას ერგებოდა. ეს ვაჭარი თან და თან მდიდრდება და იძენს ქონებასა. საწყალი კაცი უფრო ღარიბდება, რათგან იმას ყოველთვის უჭირს საქონელი, და ამ საქონელში ნიადაგ ატყუებენ და ჰპარავენ. გკითხავთ მე უფ. მოსამართლენო და მბჭობელნო, გვალეღვებს ჩვენ ეს საქმეები? უყურებთ ამ საქმეებს ცუდათა? ვსჯით კანონით ამგვარ კაცთა? ან საზოგადო აზრი ჰსთავილობს იმათა? არ მიგვაჩნია ამგვარათ გამდიდრებული კაცი პატივცემულათ? რატომ არ უნდა ჩვენ გვალეღვებდეს ესა და გვაწუხებდეს?! წედანა ვსთქვით, რომ ქურდობა და ცარცვა იმისთვის გვაწუხებს, რომ გვაკლებენ ჩვენს საკუთრებასაო. ნუ თუ, როდესაც ერთი გპარავს ის დასაკლისია და საწყენი, და როდესაც მეორე – ის კი არა? რომ დავაკვირდეთ ის ქურდობა და ცაცვა უფრო შესაწყნარებელია, რომელსაც ვსდევნით, ვიდრემ ის ქურდობა, რომელიც ჩვენ შეგვიწყნარებია და პატივსაცემრათაც მიგვაჩნია. გავსინჯოთ კარგათა, რომ ეს აზრი უსაფუძლო არ გეგონოთ. ქურდს და აზრავს ყოველთვის ეშინიან, რომ არ მოასწროს პატრონმა და არ დაიჭიროს, ამისგამო ის ყოველთვის ვერა ჰბედავს თავის ავკაცობასა. ქურდსა და აზრავს დაუმაღავ, დაუკეტავ, დაუდგები იარაღითა და ძალითა და არაფერს დაანებებ. ქურდსა და აზრავს თუ უპოვე ნაქურდალი ერთი ორათ დაიბრუნებ. ქურდი და აზრავი მოიპარავს და მოიტაცებს, და მოჰპარამენ და მოსტაცებენ სხვა იმათხედ უფრო გაჭირვებულები. მაგრამ, რას უზავთ თქვენ მაგალითად აღებმიცემის კაცთა? გიჭირს საქონელი. გიფასებს მამასისხლათა¹⁰⁵⁸. გინდა იყიდე, არ გინდა წაბრძანდი. ტანისამოსი, ფეხსაცმელი, დასახურავი, სახლის ავეჯულება და სხვანი მრავალნი ისეთი საჭიროებანი არიან, რომ უამათოთ არ შეიძლება. მეტი ჩარა არა გაქვს – უნდა იყიდო და აძლევ იმ ფასსა, რომელსაც გთხოვენ. ვსთქვათ გაიგე კიდევცა, რომ ვაჭარმა მოგატყუა და მანათში ორი მანეთი ანუ მეტი გამოგართვა – რას იზავ? – არაფერსა. იმიტომ რომ ამგვარი ქურდობა ჩვენგანაცა და კანონისაგანაც შეწყნარებულია. რაც უფრო მდიდარი ვაჭარია, იმდენი უფრო ქვეშ ვეგებით და პატივსაც ვცემთ, თუმცა რავდენიც უფრო მდიდარია, იმდენი ამისი სიმდიდრე იმას ამტკიცებს, რომ უფრო ბევრი მოუტყუებია და გაუცარცვავს. ამასთან რაც უფრო მდიდარი ვაჭარია, იმდენი, უფრო შეუძლიან ატყუოს სხვები და სხვები ამას ვერას გამორჩებიან, რათგან აქვს ამას ღონე უსხვებოთ შესძლოს რავდენი ხანიც უნდა, და სხვები კი უამისოთ ვერ შესძლებენ, რათგან არა აქვთ ის საჭირო ნივთნი, ურომლისოთაც ვერ გასძლებენ და რომელელებიც ამისგან უნდა მიიღონ. მეორეს მხრივ, რაკი ამგვარი ძალა აქვთ ხელთ აღებმიცემის კაცთა, ისინი მეტათ ჰსარგებლობენ ამ ძალითა. მუშტარი¹⁰⁵⁹ კი რომელიც მოკლებულია ღონეს რომ ამანაც თავის მხრივ ამგვარათ ატყუოს სხვები, თან და თან ღარიბდება, რათგან ყველა ნივთში ართმევენ ერთი ხუთათა. ამის შრომა და ღვაწლი გადადის ცრუ და გაუმაძღარი აღებმიცემის კაცების ხელში. და ბოლოს მუშტრები დატაკდებიან, და აღებ მიცემის კაცები ცვივდებიან ნეტარებაში. მაშინ მუშტარი ანუ უკეთა ვსთქვათ, უფრო მდაბიო ხალხი ჰხდებიან სრულნი მონანი აღებმიცემთა, გარდა იმისა, რომ ჰყიდულობენ საქონელს მამასისხლათა, რაკი სცვივდებიან მეტს გაჭირვებაში სესხულობენ ფულსა ეგრეთვე მამასისხლათა და ამგვარათ სულიან ხორციან ცვივიან იმათს ხელში. რაც ხანი გადის ამგვარს მდგომარეობაში, იმდენი უფრო მოდის მეფობა ვაჭართა, იმდენი ისინი იჭერენ ძალასა და ქონებას ხელთა, და იმდენი უფრო დატაკდებიან და მონათ ჰხდებიან მილიონობით ხალხი. რა მიზეზია, რომ ამგვარს ბოროტებას, რომელსაც უფრო დიდი და საზოგადო უბედურება მისდევს, ვიდრემ ცარცვასა და ქურდობასა. ჩვენ ვცემთ პატივსა? მიზეზი ის არის, რომ ჩვენ შევჩვევივართ ამ საქმეებსა. ჩვენთვის შეიქნა დიდათ საჭირო აღებმიცემობა, რომ დაგვეკმაყოფილებინა ჩვენ მრავალი ბუნებრივი მოთხოვნილებანი. ამის დასაკმაყოფილებლათ გამოჩნდნენ კაცნი. ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ ეს კაცნი და იმათი მოქმედებანი, რაკი მოგვეცეს ღონე ჩვენი საჭიროების დაკმაყოფილებისა. ამ სიამოვნებამ ისინი წაახალისა და დაიწყეს ისე გვევა, როგორც ერჩივნათ. უშვერებისა გამო ჩვენ არ ვიცოდით, როგორ დაგვეჭირა საქმე, რომ აღებმიცემა ასე საზარალო არა ყოფილიყო ჩვენთვისა და ზარალის მაგივრათ ნანდვილი სარგებლობა მოეტანა. ჩვენ

¹⁰⁵⁶ აბაზი – ქართული ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა. შემოიღო ირანში აბას I-მა (აქედან სახელწოდება).

¹⁰⁵⁷ უზალთუნი – უზალთუნი (თურქ. yuzaltin – ასი ალთუნი) – ვერცხლის მონეტის სახელწოდება. ქართულ წერილობით წყაროებში ჩნდება XVIII საუკუნიდან. აღნიშნავს ირანული აბაზის სისტემის მონეტას – მაჰმუდს ანუ ორ შაურს.

¹⁰⁵⁸ მამასისხლათა = მამასისხლადა – (გურ. დიალექტზე) მეტისმეტად ძვირად.

¹⁰⁵⁹ მუშტარი – მყიდველი, მომხმარებელი, დამკვეთი.

შევეჩვიეთ ამასა. ამითი ისინი გამდიდრდენ. სიმდიდრესა, მხნეობას და ოსტატობასა იმათსას ვეცით პატივი. ვეცით პატივი ჩვენს ცხადათ გამტყავებელთა. მაშ რათ გვადელვებს ასე ისა, რომ მეგრელნი აბრაგობენ და ქურდობენ. ჩვენი აღებმიცემობა და იმათი ქურდობა, ორივე წარმოსდგენენ გაჭირვებისა და საჭიროების მოთხოვნილებისაგან. ორივენი წარმოსდგენენ თვით მომქმედთა უნებურათა, ისინი ამაში ცოდვას კი არა, დიდს სიკეთესა ჰხედამენ და ჰგონიანთ, რომ თუ ასე არ მოვიქეცით უფრო სირცხვილიაო. ახლა როგორ გინდა დანაშაულათ დასდოთ ის კაცსა, რაზედაც ის სრულის გულით არის დარწმუნებული, რომ არის კარგი და არა ცუდი საქმე. ნუ თუ თქვენ დასჯით ან დასდებთ ბრალათა, რომ მაჰმადიანი არ არის ქრისტიანი, როდესაც ის დარწმუნებულია, დედის ძუძუდამევე შეგონებული და ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი აზრი, რომ მაჰმადიანთა უკეთესი სარწმუნოება არ არის ქვეყანაზედაო? ნუ თუ დასდებთ ბრალათა რომელსამე ხალხის შვილსა, რომ ის იმ ხალხის შვილია და არა სხვა ხალხისა? როგორც არ არის ჩვენი ნება, რომ დავიბადნოთ მაგალითათ ნემენცათ¹⁰⁶⁰, როდესაც ვმობილვართ ქართველათ, ეგრეთვე ჩვენთვის შეუძლებელია შევისწავლოთ ნემენცების აზრები და ადათები თუ ჩვენ ეს აზრები და ადათები გვაქვს შესწავლული. ამავე მდგომარეებაში უნდა იყვნენ ჩვენთვის მეგრელთა აბრაგები და ქურდები: რასაც შინა ჰხედავდნენ, ის აქვთ გასწავლული და ძვალსა და რბილში გამჯდარი. რაც არ უნახავთ და არ უსწავლიათ – ის არ მოეთხოვებათ.

„რასაც ვნებას აძლევენ ქურდნი და აბრაგნი მეგრელთა ხალხსა, ამგვარს სავენებელ საქმეებს ჩვენ ყოველს ნაბიჯზედ შევხვდებით თვით უუგანათლებულესს ქვეყნებშიაცა, რომლებიც წარმოსდგება ისევ ხალხების უმეცრებისაგან. როგორ მოვთხოვოთ ახლა ხალხსა და დავსაჯოთ ისინი, რათა ხართ მაგ უმეცრებაშიაო? გარდა აღებმიცემობისა ავილოთ თუნდა დიდი მამულების პატრონები, რომლებიც აქირავებენ თავის მიწებსა. ვინც ქირაობს მიწასა, ალბათ უჭირს, ან სრულიათ არა აქვს, ან თუ აქვს საკმაო არა აქვს, რომ ჰქირაობს. ვინც აქირავებს – იმას ბევრი აქვს და აქირავებს. ყველა კაცი არის ბუნების შვილი. ბუნება ყველა კაცს ბუნებითათ აძლევს ხოლოდ ჯანს და გონებას, რომლითაც უნდა იცხოვროს ყოველმა კაცმა. გარდა ჯანისა და გონებისა კაცს საკუთრება არა აქვს ბუნებით დაყოლილი. სხვა ყველა ეკუთვნის ბუნებასა. კაცმა თავისის შრომით უნდა გამოიტანოს ბუნებიდამ საცხოვრებელი. ვინც ჰქირაობს მიწასა, შრომობს და შრომით მოჰყავს საზრდო. ვინც აქირავებს მიწებსა, (ან თუნდა ფულსა) ის მუქთათა ჰზის და თავის ჯანს ტყუილათ ათას გასართობსა და შესაქცევს საქმეებში ჰლუპავს. რაში აძლევს ახლა ეს მშრომელი კაცი თავის ნაშრომს მიწის პატრონსა? ის ტყუილათ ჰკარგავს თავის ჯანსა, ეს ჯანს ჰხმარობს სასარგებლოთ. ის იღებს მხოლოდ იმ მიწაში ქირას, რომელიც ეკუთვნის ბუნებას, და ბუნებისგნით მხოლოდ ამ ბუნებაზედ მშრომელს კაცს. რა არის ამგვარი მიწისა ანუ სხვა რისგანმე ქირის აღება? – ქურდობა. გაცარცვა კაცის ჯანისა, რომელიც ყველაზედ უფრო მომეტებულიათ ეკუთვნის კაცსა, რომელიც არის მხოლოდ ნანდვილი საკუთრება კაცისა. ჯანიანს კაცს ჰმართებს მუქთათ შენახვა მხოლოდ უჯანო და სნეული ხალხისა. ჯანიანისგნით სხვის კისერზედ წოლა არის ქურდობა, რათგან თავის ჯანს არა სჯის, და ჰსარგებლობს სხვის ჯანითა, რაკი ჰხედავს იმის გაჭირვებასა და იცის, რომ ის ძალაა თუ ნება უნდა ემსახუროს ამას. ჩვენ არამც თუ ვითმენთ, რომ ერთი კაცი ჰსარგებლობდეს ერთის კაცის ჯანით და ნაღვანითა, – ჩვენ იმდენი უფრო საქებურათა გვყავს ის კაცნი, რამდენიც ამ კაცთ უფრო ბევრი სხვა კაცის ჯანი ელევათ, რამდენიც უფრო ბევრი კაცის ჯანს იმსახურებენ იმ ადგილებშია, რომელიც არ არის ამათის ჯანითა და ჰკუთნით შეძენილი. ზოგჯერ ერთი კაცი ჰნთქავს ათასობით კაცის ჯანს მიწის მიქირავებასა თუ ქარხანებსა და სხვა ამგვარ სამუშაოებში, და ჩვენ ამ კაცთ უყურებთ დიდებით და ღაღადებითა. ამგვარი უსაზომობით და უწესოებით არის ქვეყანა მოცული. ჩვენ ამათ უყურებთ სრულიად გულგრილიათ, რათგან თვალიცა და ყურიც შეჩვეული გვაქვს, რათგან ამგარემოებაში გავზდილვართ, რათგან სხვა ცხოვრება ჩვენ არ შეგვისწავლია და ჩვენთვის არავის ჩაუგონებია ამათი სიცუდე და სიბოროტე, რათგან ჩვენ თითონ ამაში გავზდილვართ, რათგან ჩვენ თითონ ყველანი გამზადებულნი ვართ ამ საქმისათვის, ჩვენ თითონ ყველანი ურევივართ ამ საქმეში. რომ გავარჩიოთ კარგათ, ჩვენ ცხოვრებაში არ დარჩება სამართლიანობის კვალი, ყველანი გამოვალთ ბრალდებულნი ამ უსამართლობასა და უწესობაში თუ ეს ყველა ჩაგვივარდა დანაშაულათ, მაშინ ყველანი შევიქნებით დასაკარგნი და ადგილსაც ვედარ ვიპოვნით ჩვენ დაკარგვისას. რა არის საკუთრათ დანაშაული? დანაშაული მხოლოდ ის არის, როდესაც კაცი დარწმუნებულია, რომ ესა და ეს საქმე ცუდია, შეუძლიან რომ ეს ცუდი საქმე არ მოახდინოს, და მაინცა და მაინც მოახდენს. როდესაც კაცი სრულიად დარწმუნებულია,

¹⁰⁶⁰ ნემენცი – ბარბარიზმი, ნაწარმოებია რუსული სიტყვიდან: Немецкий < გერმანელი.

რომ ჩადის კარგს საქმესა და ეს ამისი მოწონებული საქმე სხვის თვალში არ ვარგა და არც იცის, თუ ეს სხვისთვის ცუდიაო, ეს დანაშაულათ არავის არ ჩაუვარდება. აგრეთვე, როდესაც კაცი, თუმცა დარწმუნებულია, რომ ეს საქმე ცუდიაო, მაგრამ სხვა ღონე არა დარჩენიარა, რომ უნდა ჩაიღინოს, არც ეს არის დანაშაული, რათგან ამაზედ არ იყო ამ საქმის ჩადენა დამოკიდებული. ამგვარი შეცოდებანი ისეთებივე არიან, როგორც მაგალითათ უსაბედი საქმენი. უსაბედოსათვის არა სჯის კანონი იმიტომ, რომ ან არ იცოდა, რომ მოსდებოდაო ან არ უნდოდაო ამგვარივეა სწორეთ ეს საქმენიცა. ხვითა და მაგის მსგავსნი კაცნი მთელის ხალხით დარწმუნებულნი არიან, რომ არა არისრა მაგათს საქმეებში ცუდი. მაგათ სრულიათაც არ უდევთ ცუდი საქმე გულთა. მაგრამ მაგათ და უნებურათ, მაგათთა უცოდვნელათ ხდებიან ცუდნი საქმენი მაგათ ხელიდამ. თუ დაისჯებიან ესენი, უნდა მამასადამე დაისაჯნენ უსაბედი საქმის მომხდენიცა.

„რასაკვირველია, რაკი ჩვენ სასჯელს შეჩვეულნი ვართ, არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ სხვა ღონისძიება ხალხთა ზნეობისა და ცხოვრების გასასწორებლათ. მე რომ ამეებს ვამტკიცებ და ვლაპარაკობ, თქვენ იქნება გულში ჯავრიც მოგდით, რომ ერთმხრივ გიმტკიცებთ რომ ყველა ცუდში, ყველას წილი გვიდევსო, მეორეს მხრივ გიკრძალავთ თითქმის სასჯელსა და კი არ გიჩვენებთ ღონესა, რომლითაც ეშველოს ქვეყანასა უწყისობისა და უსამართლობისაგან. მე მსურს ჯერ ბოლომდინ ამ მოკლე სიტყვით მიგიყვანოთ იქამდინ, თუ რა წარმოსდგება იქიდან, რომ ვსაჯოთ ყველა ხვითას მსგავსი კაცები. მე ვგონებ, რომ ის საკმაოთ დავამტკიცე, რომ იმათ არ მიუძღვით თავის საქმეებში დანაშაული. ისინი თვისდა უნებურათ და გაუგებრათ ახდენენ ცუდს საქმეებსა. ეს საქმეები არიან საქებურნი ხალხისაგან. ვინც ამათ ჩაიდენს არიან საჩინონი¹⁰⁶¹, შვრებიან მოსაწონარ საქმეებსა. ვინც არ ჩადის ამასა, არ ჩადის იმიტომ რომ არის უღონო, შეუძლებელი. საზოგადო აზრი უყურებს იმათ, როგორც უვარგისთ. რიგიანი ქალი იმათ ქმრათ არც კი იკადრებს. მამასადამე საზოგადო აზრში ესენი არიან უფრო დამნაშავენიც, რათგან ვერ ასრულებენ საზოგადო მოსაწონარ საქმეებსა. მამასადამე აქ ვისაც კი შეეძლო, ყველა უნდა შესდგომოდა საზოგადო მოსაწონარ საქმესა. და ისეც იყო. აიღეთ, გასინჯეთ კარგათა, შეადარეთ აბრაგები ისე მშვიდობიან ხალხთა სამეგრელოში; შეადარეთ მარჯვე და გამოჩენილი ქურდი ისე უბრალო უმანკო მეგრელს და თქვენ ნახავთ, რომ საუკეთესო ვაჟკაცი, საუკეთესო ნიჭიანი კაცნი შესდგომიან ქურდობასა და აბრაგობასა და ყოვლად უხეირონი და უნიჭონი დარჩენილან ამ ხელობის გარეთა არამც თუ სამეგრელოში, ყველგან ისეა, რომ საუკეთესო მხნე და ნიჭიერი შესდგომიან იმ საქმეებსა, სადაც უფრო გამოსაჩენი და შესამენი საქმეა. თუ კაცი არ შესდგომია იმ საქმეს, რომელიც საზოგადოებისაგან მოწონებულია, თუმცა რომ ეს საქმე ცხადი სავენებელიც იყვეს, ის კაცი არ ვარგა სრულათა. რიგიანი კაცი არა მოწონებულს საქმეში არ დარჩება უკანა, თუ არ არის გონებით გახსნილი და არ არის დარწმუნებული, რომ ეს საზოგადოების მოწონებული საქმე ცუდიაო. ამგვარი კაცნი იპოვებიან ძალიან მნელათ თვით უგანათლებულესთ ხალხთშორისაც და სამეგრელოში, ხომ ან სულ არ უნდა იყვნენ, ან თუ არიან – უნდა იყვეს იშვიათი. სხვები თუ არ გაჰყოლიან საზოგადოებისაგან ნაქებს საქმესა, ამტკიცებს სრულს იმათ უნიჭობასა, უძლურებასა და უხეირობასა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ყველა ქურდებსა და აბრაგებს გადუწყვიტეთ დაკარგვა და დაღუპვა თავის სამშობლოდამ, მაშინ როგორა ჰფიქრობთ: სარგებლობასა უშვრებით ხალხსა, თუ ზარალსა? რასაკვირველია სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ სარგებელსა. მაგრამ აი რა ზარალს უშვრებით და ვნებას აძლევთ ქვეყანას და თქვენდა უნებურათა ჰხდებით თვით ისეთი დამნაშავენი, რაოდენსაც ვერც ერთი დამნაშავე, რომელსაც თქვენა ჰსჯით ვერ იზავს. წედან დავამტკიცე, რომ საუკეთესნო არიან ქურდნი და ავაზაკნი; უარესნი და უხეირონი ამ ხელობას გარეთ დარჩენილნი. დაიკარგნენ საუკეთესო ძენი ქვეყნისა, დარჩნენ უარესნი. ჯერ ერთი ესა, რომ ამ უარესთ როგორ უნდა შეინახონ ქვეყანა და ხომ დარჩნენ ამ დაკარგულთ ვაჟკაცთა ცოლშვილი უსაზრდოვოთ, რომელთაც მხოლოდ ეს ღა დარჩენიათ, რომ ახლა თითონ იქურდონ, იუნამუსავონ და პატარას ხანს უკან თითონაც თან გაჰყვნენ ქმარშვილსა. მაშინ, გკითხავთ, ვილასთვის არის ეგ თქვენი ზრუნვა?! მეორეც ესა, თუმცა ასეც არ მოხდეს, და მოისპოს ამით ქურდობა და აბრაგობა, რა მოუვათ იმ ნიჭიერთა და მმოდრავთ მეგრელთა? თქვენ ყველამ კარგათ იცით და შემჩნეული გექნებათ ბუნების კანონი, რომ კარგი დედმამისაგან ჩამოდიან კარგი შვილები, ცუდებისაგან – ცუდნი. ამ კარგებს რომ დაჰკარგავთ, ხომ გაწრიოკდა, გაუნიჭოვდა, გაბედხეირდა ამისთანა ნიჭიერი და მახვილი ხალხი, როგორც მეგრელნი. რაკი გაუნიჭოვდებიან, წახდებიან და დაიგვალეებიან, ხომ გაგიხდათ თქვენვე

¹⁰⁶¹ საჩინონი – თვალსაჩინონი, გამოჩენილი.

თავში საცემრათა და დაგაწვანთ კისერზედა! ამაზედ თქმა აღარ უნდა თქვენი ყურადღება არავის მიუგცევია. მაგრამ აქ გმართებთ დიდი დაფიქრება, თუ არ გინდათ რომ ჩააგდოთ თქვენი თავიცა და მთელი ქვეყანაც საუკუნო უბედურებაში; თუ არ გინდათ რომ შთამამავლობისათვის, რომელიც უქვევლია მიხვდება ავსა და კარგსა, დარჩეთ უსამართლოთა და მთლათ უშვერ ხალხათა.

„ახლაგადავიდეთიმლონისძიებასთან, რომელიც არის ნანდვილი წამალი ამგვართსა ზოგადოების სიწამხდრისა და აშლისა. როგორც ხალხი არის წამხდარი ცუდის მაგალითებით, რომელსაც ისა ჰხედავს თვის გარშემო, როგორც არის წამხდარი ცუდის გაზრდილობითა; ისე ამ ხალხს გააკეთებს მხოლოდ კარგი მაგალითი და კარგი გაზრდილობა. როგორც კაცს აქნევენებს სიმშილი და სიღარიბე ცუდს საქმეებსა, ისე როცა ჩააგდებ ხალხს კარგს მაგალითებში, კარგს გაზრდაში და მისცემ ცხოვრებისა და შრომის სახსარსა, ის შეიქნება კარგი და კეთილი. ამისგამო არის უპირველესათ საჭირო, რომ გახადოთ ყველა კაცი თავის საქმეში თავისუფალი, მხოლოდ ამ თავისუფლებით არ ავიწროებდეს სხვის თავისუფლებას, რამდენათაც საზოგადო წრეში იმას ეს თავისუფლება ერგება; მიეცით ხალხს ადგილი სახელმწიფო საქმეებსა და მმართველობაში. დაუმართეთ გზები, მიეცით საყოველთაო სწავლა, სწავლა ნანდვილი, რომელიც ავითარებდეს იმას ბუნების კანონების გამოკვლევასა და მოვლინებაებში და საზოგადო კანონებსა და მოვლინებაებში. მიეცით სახსარი, რომ არ შეეძლოს ერთს მეორეზედ წარმატება. ამ გზაზედა სდგას დღეს საფრანგეთი; ყოვლის თვის ძალითა ამაზედ სდგანან და ზოგში კიდევ მიუწევიათ ამერიკას, შვეიცარიას და კიდევ ზოგიერთებს. თქვენში უფრო ადვილია ეს საქმენი, რათგან, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი თქვენში ცრუ ცივილიზაციის აზრი არ არის დამკვიდრებული და ძვალსა და რბილში გატანებული. თქვენი მაღალი ნიჭი, თქვენი უხვი ბუნება, თქვენი მდებარება ყველა გაძლევთ ნებასა, რომ ყველაზედ უფრო ადვილათ შეასრულოთ ეს საქმენი და თქვენი ხალხები ჩააგდოთ ბედნიერებაში. ერთი სიტყვით მოაშორეთ ბოროტის მომქმედთ ამ საქმის აღმძვრელნი გარემოებანი, და მაშინ აღარ მოგინდებათ იმ კაცთა დასჯა, რომელნიც თავის ცოდოებში არ მოუძღვით არა ვითარი დანაშაული; მაშინ აღარ მოგინდებათ თქვენ სინიდისზე აღება ათასის კაცისა და იმათისის ცოლშვილის საცოდაობისა. ახლა იმედი მაქვს, რომ არც ერთი თქვენგანი არ იკისრებს ხვიტიას დასჯას, რადგან ყველა თქვენგანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ხვიტია არის ცუდი საქმეების მომქმედი, მაგრამ არა აქვს დანაშაული. დასჯა შეესაბამება მხოლოდ დამნაშავეთა. შემცდართ იმიტომ არა სჯის კანონი, რომ აქვს სახეში, რომ შემცდარს არ ესმის თავისი დანაშაული, ესე იგი იმათი გონება არა ჰხედავს ამ საქმეში არაფერს ცუდსა. ეგრეთვე ხვიტია და მაგის მსგავსნი არა ჰხედავენ არაფერს თვის საქმეებში ცუდსა. მაგათი გონება დედის ძუძუდამვე შეჩვეულია მაგ ცუდს საქმეებსა, როგორც კარგს და რიგიანს საქმესა. ეგენი სრულებით ვერა ჰხედავენ მათ სიცუდეს.“

დასკვნითი საბრალდებო სიტყვა

თქმული ბრალმდებლის მიერ მაცი ხვტიას საქმეზე

„არ შემიძლიან, რომ არ ვეთანხმო ბევრში უფ. ადვოკატს. მაგრამ არ შემიძლიან კიდევ უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო არ მივაქციო თქვენი ყურადღება რამდენსამე გარემოებას, რომელიც გაუშვა მხედველობიდან უფალმა ადვოკატმა და ურომლებითაც თქვენ მართლაცა და უნდა გეჩვენოთ, ვითომც ხვტიას დასჯით ჩაიდენდით უსამართლობას. უფალი ადვოკატი გვიმტკიცებს, რომ თითქმის ყოველი ცუდი ზნე კაცისა წარმოსდგება გაზრდილობისა, გარემოებისა და ცუდის მაგალითებისაგანაო. ამაზედ შეუძლებელია რომ არ დავსთანხმდე. ამის წამალი არისო, ბრძანებს ისა, რომ ეს გარემოებანი ჩამოვაცალოთ, მივცეთ კარგი შესაფერი გარემოებანიო და სიცუდე და ბოროტება მოისპობაო. ესეც ყოვლად ჭეშმარიტია. მაგრამ როგორც ხალხის წახდენისათვის არის საჭირო ბევრი ხანი, ეგრეთვე იმის ამ სიწამხდრიდან გამოყვანისათვის. ამგვართ ხალხის შეცვლას, როგორსაც გვიქადაგებს ადვოკატი უნდა დიდი ღონისძიება; უნდა კაცნი, რომელთაც შეეძლოთ ღირსეულად დაჭერა სახალხო სასწავლებელი ადგილისა, რომ თავისის ცოდვით, თავისის ზნეობით, თავისის ხალხით გადაახალისონ და გაწრთვან ხალხი. სად არის, ვკითხულობ მე ამოდენა ღონისძიება სახელმწიფოში, რომ ერთბაშათ დაიმართოს მაღალი სასწავლებლებიც და სახალხო სასწავლებლებიც, სადაც ასწავლიდნენ ნანდვილს მეცნიერებას, კაცის გონების გამხსნელს და ბუნების დამმორჩილებელს? ამასთან, სად არის იმდენი სწავლულნი, რომ ყველა ამგვარს სასწავლებელში დავაყენოთ თითოც არის? ამ ღონისძიების მოპოვებას უნდა მრავალი ხანი და ამგვართ კაცებთა მომზადებას კიდევ უფრო ბევრი და ამაზედ კიდევ უფრო ბევრი დრო უნდა ახლა ამ კაცთაგან თვით ხალხის გაწრთვანსა. ეს ძალიან გვიანი საქმეა, ამას უნდა მოველოდეთ მხოლოდ შორს მომავალში. მინამ რა უნდა ვქნათ? მინამ ხომ იტანჯა მუშა და მშრომელი ხალხი? მინამ ხომ ამოუვიდა სიღარიბეში ხალხს სული? ქურდობა და აბრაგობა ისეთი ბოროტებაა, რომ როგორც სხვებს უკარგავს ხალხის შრომასა და შეძენაზედ, რათგან ყოველი მოღვაწე თავის ნაღვაწს არა ჰრაცხავს თავისათ, ეგრეთვე არა მდიდრდებიან და არა კეთდებიან აბრაგნი და ქურდნი, რათგან ისინი ნიადაგ სცდებიან ამ საქმეებზედ და მაშასადამე თავისის ღვაწლით არა ჰმატებენ ბუნებიდან არაფერს საზოგადოებასა და სცხოვრებენ სხვის შრომითა, რომელიც, სარაკვირველია, არ ეყოფათ ორივე მხარეს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს მშრომელნიც ამ ქურდთა და აბრაგთა გადამკიდე არა შრომობენ საკმაოთ; მეორეც ესა, არა მდიდრდებიან იმიტომ, რომ ამურებენ ნაქურდლისა და ნატაცები საქონლის მალე გასაღებას და ჰყრიან თითქმის უფასურათა; მესამეთა იმიტომ, რომ ხშირათ პატრონები პოულობენ ამათს ხელში ნაქურდლებს და ხდევინებენ ერთი ორათ, ერთი შვიდათ. ამგვარს მდგომარეებაში ცხადი საქმეა, რომ ხალხი ნიადაგ გაჭირვებასა და სიღარიბეში უნდა იყვეს. რაკი ხალხი იქნება ღარიბი და გაჭირვებული, ჯერ ერთი ესა რა გული ექნება სწავლისა და წრთვისა; მეორეც ესა, რა ღონისძიებით ლა შეეძლება, რომ დაიმართოს გზები, სასწავლებლები და რიგიანი წესდებულეებანი. ამათ ყველას უნდა დიდი ღონისძიება. საიდამ შეიძენს ხალხი ღონისძიებას, თუ ეს წესი სხვა რამე ღონისძიებით მცირეც არის არ შეიცვალა? მამავალის ბედნიერება არის დამოკიდებული ღონისძიებაზედ. ღონისძიების მოპოვება-მოსპობაზედ იმ გარემოებათა, რომელიც ჰბადავს უღონისძიებლობას. ეს გარემოებაც ის არის, რომ მოისპოს ქურდობა და აბრაგობა. თუ არ მოისპოს – შემცირდეს მაინცა. მართალია, თუ ყველა ქურდნი და აბრაგნი მოვსპეთ ახლად დაპყრობილს ქვეყნებში, ზარალის მეტს, სარგებლობას ვერ მოუტანთ, რათგან საუკეთესო ხალხისა და მამეტებული ნაწილის მოსპობა მოგვინდება. მაგრამ თუ მეორეს მხრივ სულ მთლათ დაუსჯელად გაუშვით და მივანებეთ თავი ყველასა, მაშინ ჩვენ ვნახავთ იმ საშინელებასა, რომ ძმა ძმას აღარ დაინდობს და შვილი მამასა. ამისგამო მაგალითისათვის უნდა დაისაჯნონ პირველი გამოჩენილი ქურდნი და აბრაგნი სამაგალითოთა, რომ ამათი მნახველნი სხვებიც შეფიქრიანდნენ და შეიკავონ თავი ავაზაკობისაგან. ამითი, მართალია, მთლათ და ერთბაშათ იქნება არ მოისპოს ავკაცობა, მაგრამ უეჭველია, რომ არ შემცირდეს. შემცირდება ამითი მაინც, რომ უარესნი მოაკლდებიან მხარესა და ამათგან მაინც ექნებათ დასვენება ხალხსა. მაშინ ხალხი ცოტ

ცოტათი ისევ წახალისდება საქმეზედ, ცოტ-ცოტათი დაწინაურდება ხალხი ღონისძიებით და ცოტა ცოტათი დაიწყებს ის წესებისა და ღონის ძიებების შემოღებას, რომელსაც გვასწავლის უფ. ადვოკატი. ამისგამო, უფ. მოსამართლენო და მამულებლო, თქვენ არ უნდა გაუშვით დაუსჯელათ მაცი ხვიტია, რომელიც არის, უპირველესი აბრაგი სამეგრელოში და რომლისაც დასჯით თქვენ მოუტანთ დიდს სიკეთეს მთლათ სამეგრელოს და რომლითაც თქვენ განწმენდთ თქვენს სინიდისს მით, რომ გექნებათ სახეში დაშინება სხვათა ქურდთა და აბრაგთა და ამით წარმატება ხალხისა. თუ არა და ყოველს შემთხვევაში, როდესაც გაიგონებთ თქვენ სამეგრელოს სიღარიბეს და ავაზაკთაგან შეწუხებას, თქვენი სინიდისი ჩაგძახებთ, რომ თქვენა ხართ ამაში დანაშაულიო.“

„უფალი ბრალდებული გახდა ყველაში ჩემი თანახმა. იმან ვერც კი იკისრა. – დაიწყო ისევ ადვოკატმა, – რომ შესდგომოდა დამტკიცებას, რომ ხვიტია და მის მსგავსნი კაცნი არიან თავის საქმეში დამნაშავენი. მამსადამე ის გახდა თანახმა, რომ იმათ არ მიუძღვით დანაშაული. მეც ეს მინდოდა, რათგან კანონიცა და სინიდისიცა მხოლოდ სჯიან დამნაშავეთა. უფ. ბრამდებელი თხოულობს, რომ დაისაჯოს ხვიტია ისე კი არა ვითარცა დამნაშავე, არამედ დაისაჯოს მაგალითისათვის. წელან მე დავამტკიცე და თვით ბრალმდებელიც გამიხდა თანახმა, რომ ქურდობა და აბრაგობა რაკი საქმეური იყო ხალხში, რაც უფრო გამოჩენილი ქურდი და აბრაგი იქნებოდა, იმდენი უფრო მოსაწონი იყო, და ეს ქურდნი და აბრაგნი იყვნენ საუკეთესო პირნი ხალხში როგორც ნიჭიერებით, ეგრეთვე აგებულებით. ახლა გკითხავთ, ვინ უნდა დაისაჯოს მაგალითისათვის? ის კაცი, რომელიც პირველი გამოვიდა მთელს ხალხში თვისი ნიჭიერებითა და იმ საქმეებში, რომელნიც იყვნენ საჩინონი მთელს ხალხში? ეგ გამოდის ბოროტების დევნა კი არა – ნიჭიერების დევნა, რათგან ხვიტიამ სრულიათაც არ იცოდა, რომ ჩადიოდა ბოროტ საქმესა და არც მოელოდა, რომ შეუერთდება იმ ხალხსა, რომელსაც ამისთანა საქმეები არ მოსწონსო. იმასა ჰქონდა მაღალი ნიჭი, დიდი სიმკვირცხლე და ესენი იჩინა იმ ხელობაში, რომელნიც ამაღლებდნენ კაცს ქვეყნის თვალში. რაც შეეხება იმასა, რომ ხალხი გაღარიბებულია ქურდობისა და აბრაგობისაგანა და არ შეუძლიან შეიტანოს ის წესები და დაწყობილებანი, რომლებიც იმას გადაახალისებენ და დააყენებს სხვას გზაზედაო, ამის ღონე სრულიადაც არ არის დასჯა უდანაშაულოთა. ერთს მოსკობთ, მეორე გამოჩნდება. აქ კანონი ბევრს ვერას გახდება, რათგან ყველასათვის საზოგადო აზრი უფრო ძრეელი და აღმძვრელია, ვიდრემ შიში და კრძალვა კანონისა. კანონს იქა აქვს დიდი ძალა, რა ხალხის აზრზედაც ის არის დაწერილი, რომლითაც კანონი სჯის იმ კაცთა, რომელნიც თვის გვევით არიან წინააღმდეგნი საზოგადო აზრისა და შემოღებულისა. ამისგამო არც ერთს რიგიანს ხალხს არ შეჰფერის სხვა ხალხში იმ კანონების შეტანა, რომელნიც აღძრულან და დაწესებულან სხვა ხალხის ცხოვრებასა და გარემოებაებში. ყველა ხალხს აქვს თავის საკუთარი გარემოებანი, ჩვეულებანი, დაწყობილებანი, რომლისაც სამნი არიან სხვანი. ერთი ხალხის ისტორიულს ცხოვრებას რომ შეუმუშავებია ერთნაირი ჩვეულება და აზრები, მეორე ხალხში შეუმუშავებია სრულებით წინააღმდეგნი. ახლა როგორ უნდა ერთი ხალხის კანონით დავსაჯოთ მეორე, როდესაც ერთიც თავის შემუშავებულ მხარეს ჰპოვებს სამართლიანათ და მეორეცა? აი ამგვართ, მეგრელების მსგავს ხალხში არ გამოდგება სხვების კანონები. ამათ მხოლოდ გონების გაღსნით უნდა დაანახოთ თავისი შეცდომილებანი. ღონისძიებაც ამგვართ გუნების გაღსნისა არ არის სასჯელი, როგორც ჰპოვებს უფ. ბრალმდებელი. ჯერობით თუ ხალხს ფული და სხვა ღონისძიება არა აქვს, ჯანი კარგი აქვს. გამოიყვანეთ ეს ხალხი და დაამართვინეთ გზები. რაკი ექნებათ გზები, ამათს ნაყოფიერებას ექნება გასავალი გარეშე ხალხებში. რაკი ამიდამ დაინახამენ სარგებლობას, მრავალნი თვით ქურდნი და აბრაგნი მიჰყოფენ ხელს ნაყოფიერებას, და ჰპოვებენ, რომ აქედამ უფრო სარგებელში არიან, ვიდრემ თავისის ხელობითა. ამასგარდა, რაკი ექნებათ გზები, დაიწყებენ აქ სიარულს უცხო ქვეყნელები რომლებსაც, თუ სხვაში არა, ტანისამოსსა და გარეგანს სანახაობაში მაინც მიჰბადამენ, და ყველგან განათლება ეპარებათ უშვერს ხალხებს გარეგანის სანახაობის გადაღებიდამ. შეიძენენ მცირე ფულებს თავისის ნაყოფიერების გასაღებით, ექნებათ კარგი გზები და გავლენ სხვა ქვეყნებში, ნახვენ იქაურს ცხოვრებას და დარწმუნდებიან, რომ იმათი ცხოვრება და მდგომარეება სჯობს, ამათსას. მაშინ თითონაც მიჰბადამენ იმათა. რაკი გვეღვიძებათ ამგვარი მოთხოვნილებანი, დაინახვენ საჭიროთ ვაჭრობასა, რომლითაც დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილებანი. ვაჭრობა გაუიაფებს იმათ გარედამ შემოტანილ საქონელს და მოაგებინებს შიგნით მოყვანილს საქონელში. ამგვართ შეიძვრის ცხოვრება, დატრიალდება სარჩო. აქ შესაძლებელიც იქნება ცოტ-ცოტათი სასწავლებლების დაწესება. ამასგარდა, დღეს დიდი ალაგი უჭირავს სესხსა. დაუწყესეთ რიგიანი

ბანკი, საიდანაც შეეძლოთ სესხი. ამასგარდა პირველი დაწყობილებებისათვის, უშოვნეთ და მიეცით სარგებლითა. ამ ნასესხი ფულებით დაუმართეთ ის სასწავლებლები, რომელიც საჭიროა ამათის ბუნებისა და გარემოებისათვის. ეს სასწავლებლები ამათ უცებ დაანახვენს, რომ ამათს ბუნებაში ცარცხვა და ქურდობა არ არის სასარგებლო, რო ბუნება უფრო უხვად აჯილდოებს, ვიდრემ ქურდობა. შევლენ ცნობასა და წარმატებაში და თავის ვალს მალე გადიხდიან. აქ საჭიროთ არა ვრაცხ ყოველი ღონისძიების ჩამოთვლას. ეს ორი მაგალითიცა კმარა ჩემს საბუთათ. აქედამ მოვა ყველა ახალს წესზედ. აქ მხოლოდ არის საჭირო რიგიანი ხელმძღვანელობა. რიგიანი ხელმძღვანელი ამ ნიჭიერს ხალხს, ამ უხვს და შემკულს ბუნებაში მალე დააყენებს ფეხზედ, ასე რომ რამდენიმე ათის წლის განმავლობაში, იქნება ეს ხალხი აღარც კი ჰგვანდეს თავის თავს. მაშასადამე აქაც ამო ჩნდება დასჯა იმ კაცთა რომელთაც უმანკოებაზედ დამთანხმდა უფალი ბრალმდებელი და რომელთაც მაღალს ნიჭიერებაზედ არ არის იჭვი. ამისგამო, მე ვფიქრობ უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო, რომ დიდი შეცოდება იქნება წინაშე სინიდისისაცა და წინაშე კანონისაცა კისრად ღება უდანაშაულო კაცის დასჯისა. ამითი ვერ მიხვდებით თქვენ ვერც იმ საწადელს, რომელსაც აღვითქვამთ თქვენ უფალი ბრალმდებელი. პირიქით ამგვარი კაცები არიან პატივსაცემნი, რათგან სხვა გარემოებაში, სხვა მდგომარეებაში, ესენი თვისის მაღალის ნიჭით და მხნეობით იქნებოდნენ ქვეყნის ფეხზედ დამყენებელნი.“

VIII. ქართული ორატორული ნიმუში მემუარული
ნაწარმოებიდან

VIII. GEORGIAN ORATORY SAMPLE FROM THE MEMOIR
WORK

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

კ. ბოროზდინის მემუარული ნაწარმოები „სამეგრელო და სვანეთი“ შეიცავს ორატორულ ნიმუშებს: [სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ რუსი მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ]¹⁰⁶² და [სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის წინაშე]¹⁰⁶³. ორატორული ნიმუშები დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ქართული სადარბაზო მჭევრმეტყველებას ჩაენაცვლა ე.წ. „ხალხური პოლიტიკური მჭევრმეტყველება“. ამ დარგის პირველ წარმომადგენლად ნ. კანდელაკი და ც. ბარბაქაძე ასახელებენ სწორედ 1857 წლის აჯანყების მეთაურს, მჭედელ უტუ მიქავას, რომლის რამდენიმე ორატორული ნიმუში მოღწეულია ჩვენამდე მემუარული პროზის მეშვეობით¹⁰⁶⁴. „ხალხური პოლიტიკური მჭევრმეტყველების“ სხვა ნიმუშები, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შემონახულა. ასეთ პირობებში კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უტუ მიქავას გადარჩენილ ორატორულ მემკვიდრეობას. მისი საჯარო გამოსვლის ნიმუშები შემონახულია კ. ბოროზდინის მემუარულ ნაწარმოებში „სამეგრელო და სვანეთი“, სადაც მოთავსებულია ორატორის ორი სიტყვა: პირველია [სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ რუსი მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ]¹⁰⁶⁵, ხოლო მეორე [სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის წინაშე]¹⁰⁶⁶.

კ. ბოროზდინის „სამეგრელო და სვანეთი“ ქართულად თარგმნა თ. სახოკიამ. წიგნი გამოქვეყნდა სულ ორჯერ: პირველად გამოიცა 1934 წელს¹⁰⁶⁷, მეორედ – 2019 წელს¹⁰⁶⁸. პირველი „სიტყვა, თქმული უტუ მიქავას მიერ რუსი მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ“, ცალკე გამოქვეყნდა 1968 წელს ნ. კანდელაკის „ქართულ მჭევრმეტყველებაში“¹⁰⁶⁹. წინამდებარე ჟურნალში ორივე სიტყვა მოგვყავს პირველი გამოცემიდან. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁰⁶² ბოროზდინი, კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: მოგონებანი, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ, ტფილისი, სახელგამი, ცეკავშირის სტამბა, 1934, გვ. 114-116.

¹⁰⁶³ იქვე, გვ. 150-151.

¹⁰⁶⁴ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 151; ბარბაქაძე, ც., ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა, თბილისი: ქართული ენა, 2003, გვ. 171.

¹⁰⁶⁵ ბოროზდინი, კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: მოგონებანი, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ, ტფილისი, სახელგამი, ცეკავშირის სტამბა, 1934, გვ. 114-116.

¹⁰⁶⁶ იქვე, გვ. 150-151.

¹⁰⁶⁷ იქვე.

¹⁰⁶⁸ ბოროზდინი, კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: კავკასიური მოგონებანი, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ, თბილისი, პეგასი, 2019.

¹⁰⁶⁹ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 152-153.

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were added by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

K. Borozdini's memoir work "Samegrelo and Svaneti" contains some oratorical samples: [The Speech by Utu Mikava to the Russian officer N. Kolubyakin]¹⁰⁷⁰ and [The Speech by Utu Mikava in front of the Ekaterine Tchavtchavadze, Queen of Samegrelo]¹⁰⁷¹. As for the sectoral and genre affiliation of the oratorical samples, they belong to the political rhetoric, and to the speech genre.

As mentioned in the Georgian scientific literature, the Georgian royal rhetoric was replaced by the so-called "Folk political rhetoric". N. Kandelaki and Ts. Barbakadze consider that the first representative of this field is Utu Mikava, who was a blacksmith and the leader of the rebellion of 1857. A few of his oratorical samples have come down to us through memoir prose¹⁰⁷². Unfortunately, other samples of "folk political rhetoric" have not reached us. In such conditions, special importance is given to the surviving oratorical heritage of Utu Mikava. Samples of his public speech have been preserved by K. Borozdin's memoir "Samegrelo and Svaneti": the first one is [The Speech by Utu Mikava to the Russian officer N. Kolubyakin]¹⁰⁷³ and the second one is [The Speech by Utu Mikava in front of the Ekaterine Tchavtchavadze, Queen of Samegrelo]¹⁰⁷⁴.

K. Borozdin's "Samegrelo and Svaneti" was translated into Georgian by T. Sakhokia. The book was published twice: the first time was published in 1934¹⁰⁷⁵, the second time – in 2019¹⁰⁷⁶. The first sample "The Speech by Utu Mikava to the Russian officer N. Kolubyakin", was published separately in 1968 by N. Kandelaki's "Georgian Rhetoric"¹⁰⁷⁷. In the present edition, we have printed the first speech from the first edition. We offer an unchanged oratorical sample in an unchanged from the source mentioned above.

¹⁰⁷⁰ Borozdini, K., Samegrelo and Svaneti, 1854-1861: Memoirs, translated by Tedo Sakhokia, Tfilisi, State Publishing House, Central Union Printing Office, 1934, pp. 114-116 (in Georgian).

¹⁰⁷¹ Ibid, pp. 150-151.

¹⁰⁷² Kandelaki, N., Georgian Rhetoric, Tbilisi, Soviet Georgia, 1968, p. 151; Barbakadze, Ts., Pragmatics of Georgian Rhetoric, Tbilisi, Georgian language, 2003, p. 171 (in Georgian).

¹⁰⁷³ Borozdini, K., Samegrelo and Svaneti, 1854-1861: Memoirs, translated by Tedo Sakhokia, Tfilisi, State Publishing House, Central Union Printing Office, 1934, pp. 114-116 (in Georgian).

¹⁰⁷⁴ Ibid, pp. 150-151.

¹⁰⁷⁵ Ibid.

¹⁰⁷⁶ Borozdini, K., Samegrelo and Svaneti, 1854-1861: Caucasian Memoirs, translated by Tedo Sakhokia, Tbilisi, Pegasi, 2019, (in Georgian).

¹⁰⁷⁷ Kandelaki, N., Georgian Rhetoric, Tbilisi, Soviet Georgia, 1968, pp. 152-153, (in Georgian).

სიტყვა

თქმული უტუ მიქავას მიერ რუსი მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ

„ამ ერთს წელს წინად, ბატონო, ჩვენს ქვეყანას, ოსმალთა ჯარი შემოესია, მერმა გაანიორწყლა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდან გვქონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგიერ რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგოებსა გვტაცებდენ¹⁰⁷⁸ და ოსმალებზე ჰყიდდენ¹⁰⁷⁹. აუარებელი წასახეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდენ¹⁰⁸⁰ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად, მოგვდგენენ¹⁰⁸¹. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენის შრომის ნაყოფი იმათა რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლესს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიენით¹⁰⁸². ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავს, რომ ამბობენ, ვითომ ჩვენ ადამიანის სულიც კი არ უნდა გვედგასო. მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავს¹⁰⁸³, ჩვენ არა გვჯობდეს! ვსთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ¹⁰⁸⁴ გლესს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს; მწევრის¹⁰⁸⁵ ან მეძებრისათვის რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები. აქავე, ყურიძირში, ცხენისწყალსა და რიონს გაღმა, ადამიანებს ასე როდი ეპყრობიან. ჩვენ ვიცი, რომ იქ პირუტყვზე დაბლა არ აყენებენ, რომ იქ არსებობს სამართალი და კანონი. ნეტავი, რა დავაშავეთ ისეთი ღმერთთან, რომ ჩვენთანაც ისევე არ არის? როცა ბატონს თავისას ვაძლევდით, მხოლოდ იმასა ვსთხოვდით – ისე მოგვქცეოდენ, როგორც ამას ჩვენი ძველი, ჩვენთა მამაპაპათა მიერ დადგენილი, ჩვეულება მოითხოვდა. მაგრამ ამ წმინდა ჩვეულებას მეზობლებმა, დიდი ხანია, ფეხი დააბიჯეს, უგულუბელ ჰყვეს, ხოლო ნაომევს მათმა სისასტიკემ ყოველსავე საზღვარს გადააცილა. გვეჩივლნა? აბა ვისთან გვეჩივლნა? დედოფალი¹⁰⁸⁶ აქედან შორს იყო, ხოლო მისს მდივანბეგებს (პოლიციის მოხელენი) მეზობნეების მხარე უჭირავს, მათგან ძალდატანების მეტი არაფერი გვახსოვს, თვითონ დედოფლის მოურავები ისე გაგულქვავდენ და ისე უდიერათ იქცევიან, რომ მისმა საკუთარმა გლესებმაც-კი გადასტყვიტეს არ დამორჩილდენ და ხატზე დაიფიცეს – დედოფლის ჩამოსვლამდე ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და ერთიმეორეს არ უღალატონ. ჩვენც მათს მაგალითს მივბამევი¹⁰⁸⁷. გვეგონა, ჩქარა დაბრუნდებოდა; მაგრამ გაიარა თვეებმა, ჩვენ იქით-აქეთ დავეხეტებოდით, ჩვენს ბატონებს ვემალებოდით, და როცა დევნა დაგვიწყეს და ძალებით დანირობდენ¹⁰⁸⁸ ჩვენზე, ერთად შევერთდით და ძალას ძალა დავუპირისპირეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ დათესილა, მეზობნენი არ გვითმობდენ და აღარც ჩვენ ვუთმობდით. ბოლოს, ზაფხულში დედოფალი ჩამოვიდა. მაგრამ რა გამოვიდა? არამც თუ მფარველობა არ გაგვიწია, ყურშიაც არ უნდა შეუშვას ჩვენი გაჭირვება. „როგორ გაჰბედევით¹⁰⁸⁹, – გვიბრძანა დედოფალმა, – და ბატონებს ხელი ახელითო!“ ჩვენი ხელისხლება კი ის გახლდათ, რომ

¹⁰⁷⁸ გვტაცებდენ – გვტაცებდენ
¹⁰⁷⁹ ჰყიდდენ – ჰყიდდენ
¹⁰⁸⁰ წავიდენ – წავიდენ
¹⁰⁸¹ მოგვდგენენ – მოგვადგენენ.
¹⁰⁸² შევეჩვიენით – შევეჩვიეთ
¹⁰⁸³ გნებავს – გნებავთ
¹⁰⁸⁴ კომლი – სოფლად მცხოვრები ცალკე ოჯახი.
¹⁰⁸⁵ მწევარი – სანადირო ძაღლის ჯიში.
¹⁰⁸⁶ დედოფალი – იგულისხმება ეკატერინე ჭავჭავაძე (1816-1882) – სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი; ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული და სამეგრელოს მთავრის დავით ლევანის ძე დადიანის მეუღლე.
¹⁰⁸⁷ მივბამევი – მივბამეთ.
¹⁰⁸⁸ დანირობდენ – ნადირობდენ.
¹⁰⁸⁹ გაჰბედევით – გაბედეთ.

ჩამოვართვით ხაჯალურები¹⁰⁹⁰ და დადიანურები¹⁰⁹¹, რომლითაც ისინი ზოგჯერ მთელის წლობითა გვტანჯავდნენ, და მათს სახლებიდან გამოვიყვანევით ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც მოახლები ერქვათ და ნამდვილათ კი მათი ხასები იყვნენ, და ქრისტიანულის წესით გავათხოვეთ. მოხუცმა მართალი მოგახსენათ: შენ თვითონ რომ არ მოსულიყავ, ჩვენ თვითონ გეახლებოდით შენთან; მთელი ეს ხალხი მე მომყავდა და რამდენსამე დღეში ცხენისწყალს გაღმა ვიქნებოდით. ჩვენი სამშობლო შეგვზიზღდა, გადავსწყვიტევით მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოთ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგნეთ... რაც უნდათ, ის გვიყონ, თუნდაც დაგვხვრიტონ ყველანი, მაგრამ ერთმანეთს შევფიცევით: არაფრის გულისათვის დავბრუნდეთ აქეთ. აი, ოხრად კი დარჩეს ისეთი სამშობლო, საცა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, საცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ!.. დედოფალს ყოველივე ეს ესმოდა ჩვენგან და არ მოინდომა ჩვენთვის ეშველნა. იმას თავის დღეში არაფრით დამუქრებივართ, ჩვენი არაფერი შიში უნდა ჰქონებოდა, არც ავაზაკები ვართ და აღარც მემამოხენი, უბედურები ვართ, სამართალსა ვთხოვლობთ, მეტს არასფერს. გვიწყალობე, გენერალო¹⁰⁹², ეს სამართალი, გვიყავი სიკეთე, თქვენი ყურმოჭრილი ყმები ვიქნებით, ყველაფერს გაგიგონებთ. მანამდე კი თქვენის ბედნიერის თვალებითა ნახევით... – აქ მიქავა გლეხებს მიუბრუნდა და მეგრულად რაღაც უთხრა. ერთ წუთში რამდენმამე კაცმა მოათრია მთელი გროვა მძიმე ჯაჭვებისა და ძირს დაჰყარა. – აი რითი გვაბამდენ და გვაწამებდენ.

გენერალმა უნებურად წარბები შეიჭმუხა, როცა ეს საწამებელი იარაღი დაინახა.

– აბა რა უნდა გვექნა, – განაგრძო მიქავამ, – მოძალის წინააღმდეგ ძალა უნდა გვეხმარნა ფარად, თუ არა? ისე გამოტეხილად გვეუბნები, როგორც ღმერთს. აი თუნდაც გუშინ, იძულებულნი ვიყავით ასეთის საშუალებით გვეპასუხნა ერთ-ერთ აქაურ მემამულისათვის, – და აქ დაასახელა მისი გვარი. – შეურრია თავისი თანამოგვარენი, მოულოდნელად დაეცა გლეხის ოჯახს და მოიტაცა იქიდან ქალი, რომელიც წინად მასთან მოახლედ იყო და რომელიც ჩვენ იქიდან წამოვიყვანეთ და ჯვარი გადავსწერევით; ეს ქალი სადღაც დამალეს, ამბობენ, აფხაზეთისკენ წაიყვანეს გასასყიდადო. ჩვენ ეს ძალადობა არ შევარჩინეთ და თვითონ მემამულე, გაბაწრული, ჩვენს ტყვედ არის, სანამ მოტაცებულ ქალს არ დაგვიბრუნებს...”

¹⁰⁹⁰ ხაჯალური // დადიანური, მძიმე ბორკილი (გურული დიალექტი).

¹⁰⁹¹ დადიანური // ხაჯალური, მძიმე ბორკილი (გურული დიალექტი).

¹⁰⁹² გენერალი – იგულისხმება რუსი მოხელე ნ. კოლუბიაკინი.

გამომცემლობა „მერიდიანი“ / “Meridiani” Publishers
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 / Tbilisi, Al. Kazbegi Ave. 47
ელფოსტა / E-mail: meridiani777@gmail.com
ტელ. / Tel: 239-15-22

